

146
101

სსიპ-ის ინსტიტუტი

№ 63

თ. ნიძა-ზაქარიაშვილი და კ. ჯუღაშვილი,
დ. ი. ხაჩიძის სახელობის სკოლა

გსრულირ გედიცინის გოკლვ ისტორია

(გეოგრაფიული თარგანი)

გ. ბილაშვილი ხელნაწერი მისი ინსტიტუტის
ბ ბ ბ ბ ბ
1931

610031

ს. კ. სოციალური ჰიგიენის ინსტიტუტი

თ. მიძნ-შთინებ, და კ. ზუღვოფი
ლ. ი სოროსოდოვი, ლ. რანოვი

შ. 2019-12688

123

გსოფლირ ვედიცინის მეკლე ისტორია


K 46
K 10



(შემოკლებული თარგმანი)

გამოცემა სოციალური ჰიგიენის ინ-ტის

ტფილისი
1930



ა. დ. შიასნიკოვის სახ. სტაჟბა გამომცემ. „ზარია ვიასტოკა“ სი

შეკვ. № 2100

მთავლიტი. № 1783

ტირაჟი. 1000

მედიცინაში. პირველყოფილი მედიცინა.

მედიცინის დასაწყისი ისე, როგორც ზოგადი კულტურის ჩანასახი; იკარგება საუკუნეთა წყვედიადში. ნაპოვნია პრეისტორიული (ისტორიის წინა დროს) ადამიანის მრავალი ძვლის ნაშთი, და ამისდა მიხედვით, თუ რა გვაღებდობას ვპოულობთ მათში ნორმასთან შედარებით, შეიძლება დავასკვნათ გარკვეული დაავადების პროცესის მსვლელობისა და წამლობის შესახებ. ამ პრიმიტიული მედიცინის სურათი შემდეგია. ასეთ სამკურნალო მოღვაწეობას ალბად საფუძვლად უდევს ინსტიქტიური მოქმედება. არსებითად ეს მოქმედება არ განიხივეა უმაღლეს ცხოველთა მოქმედებისაგან. როგორც ძალღი, რომელიც გრძნობს მუკელში სიმძიმეს, სკამს ბალახს, რომ გამოიწვიოს პირის საქმება, ან როგორც მაიმუნი ცდილობს ამოიღოს თავისი ხელით კანში შესობილი ხიწვი, აგრეთვე პირველყოფილი ადამიანი ანალოგიურ შემთხვევებში აწარმოებს სხვა და სხვა გვარ მარტივ მოქმედებას და წარმოადგენს კი არ აქვს თეორიის. ის ფაქტი, რომ რომელსამე ღონისძიებას მოქონდა სარგებლობა, აიძულებდა მას მიემართა ისევ იმ საშუალებისათვის და, მეორე მხრით, რომელიმე საშუალების მანვე მოქმედების გამოცდა ხელს აღებინებდა მას იმავე საშუალების ხელმეორედ ხმარებაზე. ამ გვარად წმინდა ემპირიული გზით წარმოიშვა მთელი რიგი უბრალო სამკურნალო მოქმედებათა და საშუალებათა. პირველყოფილი ადამიანი მიიჭრია რომელიმე ბალახის მიღებას, რომელმაც ის არა

ერთხელ უშველა; ხმარობდა სამკურნალო მიზნით ბუნე-
ბის ძალებს (მზეს, წყალს და სხვა). ეს ცოდნა გადადიო-
და ერთი თაობიდან მეორეზე, უმჯობესდებოდა სხვა და
სხვა მანიპულიაცია. უხსოვარი დროიდან ჩაეყარა საფუ-
ძველი მთელ მერპინდელ მედიცინას, იმ დროიდანვე გა-
მოეყო შინაგანი მედიცინა ქირურგიას. ის გარემოება,
რომ წამლების მთელი რიგის მოქმედება ჩვენ ვისწავლეთ
უფრო გვიან ველურ ტომებისაგან (ასეთებია: ქინა-ქინა,
სენეგა, იპეკაკუანა), მოწმობს, რომ ველურს შვენიერად
აქვს განვითარებული დაკვირვების უნარი. ამასვე
ადასტურებს ისეთი საშუალებანი, როგორც მკურნალობა
წყლით, ცხელი აბაზანები, მკურნალობა ოფლის დენით;
ქირურგიის ჩანასახს წარმოადგენს ძლიერ გავრცელებუ-
ლი სისხლის გამომშვება სხვა და სხვა მეთოდით—უბრა-
ლო სისხლის გამომწოვი კოტონიდან დაწყებული ნამ-
დვილი სისხლის გამომშვებამდე. ყურადსაღებია ქრილო-
ბების მკურნალობა, მათი შეხვევა, გაწმენდა. ზოგიერთმა
ველურმა ტომებმა იციან ქრილობის გაკერვა, კარგად
შეზრდილი გადატეხილი ძვლების პოვნამ უნდა დაგვარ-
წმუნოს, რომ პირველყოფილმა ადამიანმა შვენიერად იცო-
და ისეთი რთული ოპერაციების გაკეთება, როგორც
არის ტრეპანაცია. როგორ იტანდა პირველყოფილი ადა-
მიანი მატკივარ ოპერაციებს უნარკოზოდ, უბანგოდ? ჯერ
ერთი, რომ ჩვენი შორეული წინაპარი არ იყო ისე განე-
ბივრებული, როგორც ჩვენ, და მეორე, მათ ქონდათ გამ-
ნელელებელი საშუალებანი. ბევრ შემთხვევაში პირველყო-
ფილი ადამიანს ესმოდა კავშირი, რომელიც არსებობს
მოვლენათა შორის—მიზეზსა და შედეგ შორის, მას ესმო-
და, რომ ქრილობას მოყვება ხოლმე სისხლის დენა, რომ
ძალადობითი მოქმედება იწვივს ტკივილს. ბევრ შემთხვე-
ვაში მას, რასაკვირველია, არ ესმოდა ავადმყოფობის არ-

ხება. ამის გამო მისთვის გაუგებარ მის ორგანიზმში წარ
მოებულ პროცესები ველურს ესმოდა იმგვარადვე, რო-
გორც ბუნების სხვა მოვლენები. მზის ამოსვლა ჩასვლა,
მთვარის ფაზები, ამინდის გამოცვლა, წლის სხვა და სხვა




სურ. 1.

წინაისტორიული [თავის ქალა ტრეზანაციის შედეგ განკურნებული
კრილოზით. ნატურ. სიდიდ. 3/4.

დრო, მისი გაგებით, შედეგი იყო ამ მოვლენათა მალლა
მდგომა რომელიმედაც ნებისყოფისა—ძალისა. ამ ძალის
მატარებელი ან სხვა ადამიანები იყვნენ ან რომელიმედაც
არაჩვეულებრივი აჩსებანი, სული—დემონი. ამ აზრით,

ავადმყოფობა ჩნდებოდა ან სხვისი ბოროტი ძალის მოქმედების გამო, ან დემონი უშუალოდ შეიჭრებოდა დაავადებულის ორგანიზმში. ეს დემონი ხშირად უხილავი იყო ან მიიღებდა ქვის, კვის ან სხვა რისამე სახეს. ეს



სურ. 2.

თავის ქალა გაჩეხილი კრილობით. ზევით კრილობა ტრეპანაციის შედეგ ახალ გვინეიდან, სიდიდ. 1934.


გახლავსთ პირველი თეორია, რომელიც ცდილობდა აეხსნა ავადმყოფობის არსება. ამ თეორიას ეწოდება დემონიზმი. ამ თეორიამ ზოგიერთი აზრიანი ძველი მანიპულიაცია, მიღებული ემპირიული გზით, უკუაგდო. თუ არსებობს სავანგებო ძალა დემონის სახით, რომელსაც შე-

უძლია გამოიწვიოს რამე სენი, საჭიროა შევედრონ მას, მიუტანონ სადმე საჩუქარი ან. შელოცვით და სხვა და სხვა მისტიური მოქმედებით როგორმე განდევნონ ბოროტი სული ან მისი გავლენა. ახალმა წოდებამ, რომელიც შუამავალი გახდა ავადმყოფსა და დემონებს შორის, გამოაყენა ზოგიერთი ძველი საშუალება შეენივრად მაგალითად, ზოგიერთი ველური ტომების ექიმები აყლაპინებენ პაციენტს ათასგვარ მძივებს და ხანდახან იღებენ შესაფერ ეფექტს, ვინაიდან ეს მძივები შეიცავენ პირის საღებუნებელს. ტრეპანაციის დროსაც თავის ქალაში ხელოვნურად გაკეთებული ხვრელიდან გააძევებდნენ ტანი-ნიდან დემონს და, თუ ეს მანიპულაცია მიზანშეწავაში იყო, თერაპიულ ეფექტსაც მიიღებდნენ. სამკურნალო მოქმედების და წარმოდგენის გართულებამ და სხვა და სხვა ფერობამ შექმნა ადამიანთა განცალკევებული ჯგუფი, რომელიც ამ საქმეს უყურებდა, როგორც პროფესიას. პირველად ისინი იქნებოდნენ მოხერხებული ადამიანები, რომელთაც დაკისრებული ქონდათ შუამავლობა ადამიანსა და დემონს შორის. თანდათანობით მისი ცოდნა-გამოცდილება გადადიოდა მის შთამომავლობაზე და ზოგიერთ რჩეულ მოწაფეებზე. ინდოელ ექიმს უნდა გაეგო ეს სკოლა ბავშვობიდან, რომ შემდეგ ქონდა უფლება შესულიყო ასე წოდებულ mide-ს კავშირში.

მედიცინა მესოპოტამიაში.

კულტურის განვითარება სფეროთოდ იწვევდა სამკურნალო ხელოვნების სათანადო განვითარებასაც. გამოცდილება გროვდებოდა, საექიმო განათლება ფართოვდებოდა. სამკურნალო დაკვირვებანი და ფაქტები გროვდებოდა, რაც აადვილებდა ამა თუ იმ სენის შინაარსასა და მსვლელობის გაგებას,—რასაკვირველია, თავისებურად. ძველ

მესოპოტამიას სამართლიანად უწოდებენ თანამედროვე კულტურის ფუძეს. სამწუხაროდ მეცნიერებას ჯერ არ




მოეპოვება კემმარიტი მასალა, რომ ნათლად წარმოვიდგინოთ მესოპოტამიის მედიცინის განვითარება. მეცნიერების განკარგულება შია მხოლოდ მცირერიცხოვანი სურათები და ზოგიერთი ქირურგიული ინსტრუმენტი. უმთავრესი წყაროა ლურსმული წარწერები, რომელნიც ეხებიან სამედიცინო საკითხებს. უმთავრესი მნიშვნელობა აქვსთ ლურსმულ წარწერებს სარდანაპალის წიგნსაცავიდან (668—625 ჩვენი ერამდის). ის ფაქტი, რომ საჭირო იყო სპეციალური კოდექსის შექმნა, „ჰამმურაბის კოდექსის“, რომლის მიზანია მოაწესრიგოს სამკურნალო საქმე, თავის თავად ლაპარაკობს, რომ მედიცინა მაღალ საფე-

სურ. 3.
სვეტი, ხამმურაბის საკანონმდებლო კოდექსი

ხურზე მდგარა. ექიმები ახლოს იდგენ ქურუმთა წოდებასთან. სამკურნალო საქმეს მისდევდენ ქურუმნიმკურნალი ღმერთის ეპი და მისი შვილის მარდუქისა. ეს ექიმ-ქურუმნი მისდევდენ შინაგან მედიცინას, ქირურგია მხოლოდ განსაკუთრებული სპეციალისტების ხელობა იყო. ამ გარემოებას ადასტურებს ჰამმურაბის კოდექსი, სადაც აღნიშნულია ნიხრი-ქირურგიულ დახმარებისათვის. ექიმი — ქურუმი, როგორც სახელმწიფო მოხელე, იღებდა გარკვეულ ჯამაგირს და სამკურნალო დახმარებას უწევდა უფასოდ. ზემოხსენებულ კოდექსის §. 215 აწესებს ნიხრს მძიმე ოპერაციისათვის (მაგ., კატარაქტის განკურნება) — 10 სეკელ ვერცხლს. ეს თანხა ადასტურებს, რომ ექიმის ხელობა ძლიერ მომგებიანი იყო, ვინაიდან 5 სეკელი ვერცხლი უდრიდა კარგა მოზრდილი სახლის ქირას წლის განმავლობაში და 1/30 სეკელისა იყო დღიური ხელფასი ხელოსნისა (პარ. 274). სამკურნალო ხელობის შესასწავლად იყო სპეციალური სკოლები. სახელმწიფო სკოლები იყო (სტრაბონით) ურუკეში, შემდეგ კი ბორსიპეში, თუმცა ჰონორარი დიდი იყო და ექიმის პროფესიული უფლებები დაცული იყო; იმავე დროს ექიმის პასუხისმგებლობაც ფრიად დიდი იყო. 218 პარ. ჰამმურაბის კოდექსისა ამბობს, რომ თუ ოპერაციის შემდეგ ავადმყოფი გარდაიცვლება ან კატარაქტის ოპერაციის შემდეგ ვაუფუქდება თვალი, ექიმს უნდა მოსჭრან ხელი. ამის გარდა ექიმს უნდა გადაეხადა ჯარიმა, თუ კი მკურნალობა ცუდად გათავდებოდა. ექიმების გარდა იყო საშუალო დამხმარე პერსონალი, წამლების მიმწოდებელი და სხვა და სხვა მანიპულაციების შემსრულებელი.

სამედიცინო თეორია და პრაქტიკა.

სამედიცინო სოფლებედა სავსებით ესაბამება საერთო სოფლებედვას. ყველა პროცესები ადამიანის ორგანიზ-



ურ. 4. ბაბილონის ქირურგიული ინსტრუმენტები, ნაპულია ნინევის მიდამოებში. მარცხნიდან მარჯვნივ: სკალპელი, ხერხი, ტრეპანი, ორი დანა, ყველაფერი ბრინჯაოსი. ერთი პატარა დანა ოქსი დიანიდან.


მში ექვემდებარებიან იმ კანონებს, რომლებიც განაგებენ მსოფლიოს მოვლენებს, ძარიითა და ძალა კი არის ღვთაებრივი ძალა და მისი ძლიერება. ამ სოფლებდვას საფუძველი იყო ასტრონომია. მეცნიერება, რომელიც ბატონობდა მაშინდელ ბაბილონელთა შორის და რომლის გავლენა განიცადა მედიცინაზე. მოვლენები ცის სივრცეში უშუალოდ მოქმედობდნენ, როგორც ჯანმრთელს, ისე დაავადებულ ორგანიზმზე, ისინი მოქმედობენ აგრეთვე ებიდეშიებას სისწირეზე და მათ მსვლელობაზე. სამკურნალო მოქმედებაზე გავლენა აქვს ცის მნათობთა მსვლელობას. დაავადების ნამდვილ მიზეზს ეძებდნენ მხოლოდ ორგანიზმის გარეშე, სენის მსვლელობას კი ხსნიდნენ ორგანიზმში შინაგანი პროცესებით. ბაბილონელი ექიმი ზოგიერთ დაავადებას მიაწერდა ჭიებს, რომელნიც სჯიხობდნენ, როგორც პარაზიტები ადამიანის ორგანიზმში. დიდი მნიშვნელობას ორგანიზმის არსებობისა და მისი ავადობისათვის აძლევდნენ სითხეებს (humores), განსაკუთრებით სისხლში მოძრავ სითხეს. ამგვარად ძველ ბაბილონელებს ქონდათ სხვა და სხვა თეორიები: დემონიური, კოსმაური პარაზიტალური, ჰუმორალურ-პათოლოგიური. ბაბილონელები იცნობდნენ ბევრ სხვა და სხვა სენს და დიაგნოზის დასმაც შეეძლოთ. მკურნალობის წესები ბევრი ქონდათ, მისტიურ ბურუსის მიუხედავად. რასაკვირველია, იმ დროს სხვა სოფლებდვა შეუძლებელი იყო, მაგრამ მაინც ისინი ღმერთზე კი არ ამყარებდნენ იმედს, არამედ თვით წამლობაზე. საინტერესოა საილუსტრაციოდ კბილის ჭიის ტექსტი. აქ უდიდესი ადგრა უჭირავს შელოცვებს— მკურნალობას კი მცირედია, მაგრამ ეს მცირედი იყო საფუძველი ექიმობისა: როდესაც კბილის ღრუ უსათუოდ უნდა გაეტენათ ბანგიანი ჰლომბით (ჩაკირვით). წამლები ბაბილონელ ექიმებისა იყო როგორც მცენარეული, ისე

ცხოველური (ორგანიული) და მინერალური. სხვა და სხვა სახით დასალევი მიქსტურა, მალამო, კომპრესი, აბაზანი, ოყნა და სხვა.

ეგვიპტეს მედიცინა.

ბაბილონელთა და ძველ ეგვიპტელთა კულტურას ბევრი საერთო აქვს. ძველი პაპირუსები „ძველი იმპერიის“ დროისაა და წარმოადგენენ რეცეპტების უბრალო კრებულს, და სენების მოკლე აღწერილობას. ასეთებია ეგრედ წოდებული „საბეითლო“ და „გინეკოლოგიური“ პაპირუსები, — ამ დროის მკურნალობა არ განიცდის რელიგიურ გავლენას და ხშირად ამტკიცებს სამკურნალო საქმის უმაღლეს განვითარებას. შემდეგი დროის (1550 წინ ქრ. დაბ.) ებერსის პაპირუსს უკვე აჩნია მისტიციზმის გავლენა, თუმცა მედიცინა დამკვიდრებულია ემპირიულ საფუძველზე. „ბრუგშის პაპირუსი“ იძლევა იმის სურათს, თუ რა დიდი გავლენა მოიპოვა რელიგიამ და რა დიდი ადგილი აქვს დათმობილი მისტიურ პროცედურებს. შემდეგ კი ემპირიკა სრულებით ქრება და უთმობს ადგილს უხეშ ცრუმორწმუნეობას. ექიმები აქაც ეკუთვნოდნენ ქურჯობა წოდებას და დიდად პატივცემულნი იყვნენ. ჰერედოტეს ცნობით, სპეციალიზაცია განვითარებული იყო — იყვნენ ექიმები, რომელნიც სწავლობდნენ მხოლოდ თვალს, თავის სნეულებებს, იყვნენ კბილის ექიმები, შინაგანი ორგანოთა ექიმები და სხვანი. ჯამაგზარს იღებდნენ სახელმწიფოდან. სკოლა ბევრი იყო ცნობილი და განთქმული. იყვნენ სკოლები საისში, მემფისში და თიბაში. ცოდნა ადამიანის ორგანიზმის აგებულობის და ფუნქციებისა მეტად მცირე იყო. ქიმებს სენების წარმოშობაში აქაც დიდი ადგილი უჭირავს. პათოლოგიური პროცესი ეგვიპტელების აზრით შედგება ტანის ნაწილების ცვლილების. დიდ ყურადღებას აქცევდნენ სისხლს

(ჰუმორალური მიდგომა), მაგრამ მთავარი იყო „პნეუმა“. „პნეუმა“ ეგვიპტელების წარმოდგენით ჰაერში მყოფი უხილავი არსება იყო. ჩასუნთქვის დროს ჩადიოდა ფილტვებში, იქიდან გულში—გულიდან სისხლის მილვებში.



სურ. 5.

სვეტი ებერსის პაპირუსიდან

კაცი ჯანმრთელია მანამდის, ვიდრე სისხლის და „პნეუმა“-ს თვისება ნორმალურია. ასეთი დაავადება შედეგია სისხლის და „პნეუმა“-ს ცვლილებისა, ავადმყოფის სხეულის სხვა და სხვა ნაწილის გასინჯვა ეგვიპტელმა ექიმებმა უკვე კარგად იცოდენ. წამლების სია, რომელსაც ხმა-

რობს ეგვიპტელი ექიმი, დიდია—მათ მიერ ხმარებული ბევრი წამალი ახლაც იხმარება: ოპიუმი, სასაქმებელი ზეთი, სტრიხნინი, ნატრიუმის მარილები, და სხვა. ეს წამლები ეძლეოდა ავადმყოფს სხვა და სხვა სახით, რაც მოწმობს წამლების მომზადების განვითარების ტექნიკას. ქირურგიის შესახებ ცნობები ძლიერ მცირეა, თუმცა უნდა ვიფიქროთ, რომ მედიცინის ეს ნაწილი სათანადოდ განვითარებული იქნებოდა. ცალკე სპეციალობაში დიდი მნიშვნელობა ეძლეოდა თავის მკურნალობას. თვალის დაავადებანი მიჩნეული იყვნენ ადგილობრივ ავადობად. განვითარებული იყო აგრეთვე მეანობა და გინეკოლოგია. იცოდნენ ორსულობის გამოცნობა, წამლობა უშვილობის, ძუძუების დაავადებათა წამლობა. დიდი მნიშვნელობა ეძლეოდა ჰიგიენას. ჰეროდოტი სთვლიდა ეგვიპტელებს ყველა ერებში უფრო ჯანსაღ ხალხად. დიოდორი ამბობს: „ეგვიპტელის ცხოვრება ისე მიზანშესაფერად არის მოწყობილი, რომ შეიძლება დავინახოთ არა საკანონმდებლო შემოქმედება, არამედ საქმიანი ექიმის მუშაობა, რომელმაც ცხოვრებაში გამოიყენა მეცნიერება ჯანპროთელოზის შესახებ“. როგორც სჩანს, ეგვიპტელთა ჰიგიენურ მოთხოვნილებათა ცხოვრებაში გატარებას საფუძვლად ედო ის, რომ ეგვიპტელებმა მათ რელიგიური წესებისა და მცნების ფორმა მიაკუთვნეს როგორც საზოგადოების ცხოვრება, ისე ცალკე პირის რეგლამენტაცია მოწესრიგებული იყო იყო წესები დამარხვის, დასაკლავი საქონლის შემოწმების; იყო მთელი კოდექსი, თუ როგორ უნდა ინახებოდეს სუფთად ბინა, ტანისამოსი; იყო აგრეთვე საზრდოობის და სქესობრივი ურთიერთობის წესები. ყოველივე ეს ამტკიცებს, რომ ეგვიპტელ ექიმს შეგნებული ჰქონდა, რომ დაავადების მორჩენა უფრო ძნელია, ვიდრე მის წინააღმდეგ გამაფრთხილებელ ზომების მიღება.

მედიცინა საბერძნეთში.


უქველია, რომ მედიცინის განვითარებაზე საბერძნეთში თავდაპირველად დიდი გავლენა მოახდინა ალმა საკლეთის მედიცინამ. ამისდა მიუხედავად საბერძნეთის მედიცინის განვითარების გზები დამოუკიდებელი და თავისებური იყო და მედიცინა ამაღლდა ისეთ მწვერვალამდე, რომ დღესაც განცვიფრებას იწვევს საბერძნეთის გენიის შემოქმედება ამ დარგში. მრავალ მიზეზთა შორის უდადესი როლი მედიცინის აყვავებაში საბერძნეთში შეასრულა იმ გარემოებამ, რომ რელიგიას არაოდეს არ ყვავდა შებოჭვილი ბერძნის სული. მთელი მისი სიცოცხლე უქველესი ფორმა სამკურნალო ხელოვნებისა საბერძნეთშიაც ემპირიკა იყო. ილიადა (1000 წელი ქრ. დ.) იძლევა დიდ მასალას სახალხო მედიცინიდან. ოდისეაში ექიმები უკვე გამოყოფილი არიან ცალკე წოდებად, მათ აღწევენ ჰონორარს. მათი ცოდნა დიდი არ არის და წამლების არსენალიც მეტად უიწროა. ჰომეროსი აღნიშნავს ექიმის მალალ მდგომარეობას, ვინაიდან ექამა ისეთი კაცია, რომლის ღირებულება აღემატება რამდენადმე კაცის ღირებულებას. თანდათან აქაც მედიცინაში შემოიჭრა მისტიციზმი მე 7 საუკუნიდან ქრისტ. დაბ. სამკურნალო ხელოვნების ღმერთად ითვლება ასკლეპიუსი. მას სახელზე აშენებული იყო მთელ საბერძნეთში მრავალი ტაძარი, რომლებსაც აწყდებოდა აუარებელი ავადმყოფი. წარმოიშვა საშიშროება, რომ რელიგია დაიპყრობდა მედიცინას და ისე დააქვეითებდა, როგორც აღმოსავლეთში ბერძნის გენიამ აქ პოვა გამოსავალი. ასკლეპიუსის ტაძრების მედიცინასთან ერთად განვითარდა ემპირიული მედიცინა და ქურუმ-ექიმთა წოდებასთან ერთად არსებობდა წმინდა ექიმთა წოდება. მედიცინის განვითარება მჭი-

დროდაა დაკავშირებული ძველ ბერძნულ ფალოსოფია-სთან. პითაგორი არკვევდა საკითხს ცოცხალ არსებათა წარმოშობის შესახებ. ალკმეონმა კროტონიდან პირველმა პოახდინა ცხოველთა გაკვეთა და შეისწავლა სხვა და სხვა ანატომიურ — ფიზიოლოგიური პროცესები. მისა მტკიცე-ნით ტვინი არის ცენტრალური ორგანო ყოველგვარი სულიერი განცდისა. დემოკრატი არკვევდა, როგორც სა-ბუნებისმეტყველოს, ისე სამედიცინო საკითხებს. საბერძ-ნეთი მოფენილი იყო, როგორც ასკლეპიუსის ტაძრებით, სადაც მკურნალობაში უმთავრესად მისტიურ პროცედუ-რებს ქონდა დათმობილი ადგილი, და ნამდვილი სამკურ-ნალო დაწესებულებებით, რომელთაც განაგებდნენ ექიმები ექიმთა წოდება თანდათან ფართოვდება და უკვე წარ-მოადგენს ცალკე კასტას. ამ წოდებას ქონდა თავისი წეს-დება, რომელმაც მოაწია ჩვენამდე და რომელიც ცნობი-ლია „ჰაიპოკრატის ფიცის“ სახელწოდებით: „ფფიცავ აპო-ლონს, ასკლეპიუსს, ჰიგიას და პანაკეას და ქველა ღმერ-თებს და ღმერთ ქალებს, რომ მე ჩემი ძალღონით და ცოდნით ვემსახურო ჩემს წოდებას და ხელობას, ვსცემ პატივს, როგორც დედ-მამას, ჩემ მასწავლებლებს, რომელ-თაც შემასწავლეს საექიმო ხელოვნება. უპირველესად მი-ვმართავ დიეტურ საშუალებებს... არავის არაოდეს არ მივცემ ისეთ საშუალებას, რომელიც გამოიწვევს მათ სი-კვდილს... არ მივცემ დედაკაცებს ისეთ საშუალებებს, რომ მოიწყვიტოს მუცელი. რასაც ვაგიგებ თჯანში მკურნა-ლობას დროს, თუ ძმის თქმა სხვისთვის შეუძლებელია, — მე დავდუმობები, ვინაიდან ამაში ვხედავ საიდუმლოებას...“ „მედიცინის განვითარებას ხელი შეუწყო სხვა და სხვა სკოლის არსებობამ: გნსაკუთრებით ორმა სკოლამ — კნი-დონის და კოსისამ. ამ ორი სკოლის მიერ მედიცინის შემეცნება განიზრგოდა ერთმანეთისაგან და ეს დავა შე-


დევ საუკუნეთა დავაა. კნიდოსის სკოლა მედიცინას აღიარებდა მეცნიერებად და ზედღების დავარად ქმნიდა სამედიცინო მეცნიერებას. ამისათვის სახზავდნენ თეორიებს რომელშიც სენის შესახებ, რომ ამ თეორიის და მიხედვით შედგომოდნენ თერაპიას. კრიდოსელების აზრით, სენები უმთავრესად წარმოდგებიან „materia peccantis“—მაგნიფიკაციებისაგან, რომელიც გროვდება ორგანიზმის გარკვეულ ადგილებში. კოსსის სკოლა ფიქრობდა, რომ მედიცინის დანიშნულებაა არა უმადლესი შემეცნების პრობლემების გარკვევა, არამედ ავადმყოფობის შორჩენის პრინციპებს შექმნა. კოსსის სკოლას ექიმები ფიქრობდნენ, რომ შეუძლებელია წარმოიშვას ცოდნათა ისეთი სისტემა, რომ ყოველ მსურველს შეეძლოს გახდეს ექიმად ამისათვის მათი აზრით, საჭიროა განსაკუთრებული ნიჭი და მძივრეკილება.—მედიცინაში ისინი ხედავდნენ ხელოვნებას და ფიქრობდნენ, რომ ექიმი იბადება ექიმად. კოსსის სკოლის ექიმთა შრომებში ეს აზრი წითელი ზოლივით გადის და ამასვე შესანიშნავად ამტკიცებდა კოსსის სკოლის უდიდესი და უბრწყინვალესი წარმომადგენელი, ჰიპოკრატე (490 წ. ქრ. დაბ.) ჰიპოკრატის ცხოვრების შესახებ ძლიერ ცოტა ვიცით, მამა მისი, ექიმი, სახელად ჰერაკლედი, ეკუთვნოდა ძველი ასკლეპიადების სკოლას. პირველად ეზიარა ჰიპოკრატი მედიცინას მამისაგან, სწავლის გათავების შემდეგ იმოგზაურა საბერძნეთში და გაიცნო საბერძნეთის მაშინდელი შესანიშნავი პირები: ფილოსოფოსი დემოკრატე, რიტორი ჰორგიუსი და სხვები. ჰიპოკრატე გარდაიცვალა 377 წ. ლარისაში.

ნამდვილად არც ის ვიცით, თუ როგორ მოხდა რომელნიც ისტორიამ მიაწერა ჰიპოკრატეს, ნაწილად მისია, ისე გამოსჩქეფს გენიოსის აზრები, ასეთებია „ქველი მედიცინის შესახებ“, „ჰაერი, წყალი და ნიადაგის“

96
2



თვისებანი", „პროგნოსტიკა“, ორი წიგნი „ეპიდემიური
სენების შესახებ“, „დიეტა მწვავე სენების დროს“, „ძვლე-



სურ. ნ.

ჰიპპოკრატე

ბის გადატენის შესახებ“, „ნაღრძობების შესახებ“ და
ბოლოს ცნობილი „აფორიზმები“, რომლებშიაც ეხება მე-

დიცინის სხვა და სხვა საკითხებს. ჰიპოკრატის მთავარი შეხედულება მედიცინაზე კ. სისის სკოლის დებულებაა: მედიცინა ხელოვნებაა, მას აქვს თავისი ფარგლები, რომლიდანაც ექიმი არ უნდა გამოვიდეს. სამკურნალო საექიმო პროფესია პოითხოვს ექიმისგან ეთიკურისა და ზნეობრივი თვისებების მთელ რიგს: უანგარობას, სიმშვიდეს, სინდისიერებას, საკუთარი თავის პატივისცემას, მზად ყოფნას დახმარებისათვის; ერთი სიტყვით ექიმმა თავისი პირადი მე უნდა დაუმორჩილოს ავადმყოფის ინტერესებს. სამკურნალო ხელოვნება დაფუძნებულია ცდაზე. ცდა არის საძიკველი სამედიცინო ცოდნისა, სენი, დაავადება არის ბრძოლა ორანიზმში მოთავსებულ გამკურნავი ძალების მანერ მიზეზთან, რომელმაც გამოიწვია ავადმყოფობა. ექიმის მოვალეობაა მოეხმაროს ორგანიზმს ბრძოლაში დაავადებასთან, მიზანი კი—სენის სრულიად მოსპობაა. სამკურნალო განათლებას უმთავრესად პრაქტიკული ხასიათი უნდა ქოდეს, მისი მთავარი ამოცანაა დაავადების ავადმყოფის საწოლთან პირადი ცდა-დაკვირვება. როდესაც ასეთი მიზანი და ამოცანა დაუსახა მედიცინას ჰიპოკრატმა; მას ავადმყოფობის არსის შესწავლა მიაჩნდა მეორე ხარისხოვან საქმედ. ექიმისთვის უმთავრესი იყო ყოველი ცალკე შემთხვევისათვის დაკვირვება, ვინაიდან ყოველი ორგანიზმი თავისეფურად, ისე, როგორც ეს მას სჩვევია, უპასუხებს დაავადებას: ამიტომ ჰიპოკრატეს სკოლის ექიმს თითქმის არ აინტერესებდა ჯანსაღი ადამიანი. მაგალითად, ჰიპოკრატეს სამედიცინო სისტემაში ნორმალური ანატომია მეორე ხარისხოვან საგნად იყო მიჩნეული. ჰიპოკრატეს თეორია სენების წარმოშობისა ჰუმორალური პათოლოგიური ხასიათისაა.

ორგანიზმის humores-ზე დამოკიდებულია, როგორც ჯანმრთელობა, ისე დაავადება. ოთხი უმთავრესი


სიტხეა: სისხლი, ბაღდაში, ყვითელი ნაღველი და შავი ნაღველი. თითოეულ მათგანს თავისი თვისება აქვს. სისხლს აქვს ნესტიანი სითბო. ბაღდას—ცივი სინნესტე, ყვითელ ნაღველს—შშრალი სითბო და შავ ნაღველს—ცივი სიმშრალე. თუ ეს სითხეები წესიერად არის ერთმანეთში არეული, ორგანიზმი ჯანმრთელია; თუ მათი არევა პნორმალურია, ორგანიზმი ავად ხდება. იბადებოდა კითხვა, რა არის მიზეზი ანორმალობისა სითხეთა შერევაში? ჰიპოკრატელები ეძებენ ნორმალურ სითხეთა არევის მიზეზს ცუდ, არა ნაკმარის საზრდოობაში, პროფესიულ მავნებლობაში, კლიმატიურ პირობებში, ტემპერატურის ცვალებადობაში და ნიადაგის თვისებებში, ცუდ წყალში. ჰიპოკრატეს სკოლამ იცოდა, რომ ეს მავნე ფაქტორები თანაბრად არ მოქმედობენ ყოველ ცალკე ადამიანზე. ზოგიერთ ორგანიზმს აქვს მიდრეკილება ერთი დავადებისადმი, მეორეს—მეორესადმი. მემკვიდრეობით შეიძლება იყოს თანდაყოლილი მიდრეკილება რომელიმე იმ სენისადმი. საინტერესოა ჰიპოკრატეს სკოლის შეხედულება დაავადებათა მსვლელობაზე. დაავადების დროს არის გააფთრებული ბრძოლა მავნე დასაწყისსა და ორგანიზმს შორის. ბრძოლას აქვს სამი ფაზა. პირველ ფაზაში მავნე დასაწყისი იწვევს სითხეთა შეცვლას—სითხეები იძენენ განსაკუთრებულ მწვავე თვისებებს. ასეთივე თვისებებს იძენს შარდი. ამ რეაქციის შედეგია t⁰-ის აწვევა. ამის მიზეზია „გაფუჭებული“ სითხეები. გაცხელების გამო იძენენ სულ სხვა თვისებებს, მაგ., სისხლისაგან ჩნდება ჩირქი. ეს არის მეორე სტადიუმი „მონელება“. შემდეგ ორგანიზმი ცდილობს გამოყოს ეს სითხეები ორგანიზმიდან. ამ ფაზას ჰქვია კრიზისი. კრიზისი შეიძლება გათავდეს რამდენსამე საათში ან მიიღოს ხანგრძლივი მსვლელობა. ორგანიზმის რომელი ძალები აწარმოებენ ამ ბრძოლას?

ჰიპოკრატები ფიქრობდნენ, რომ ორგანიზმს აქვს თანდაყოლილი ძალა, რომელიც არის მისი (ნორმალური ორგანიზმის) რეგულატორი — მომწესრიგებელი — მისი ფუნქციების მოშლილობისა და პათოლოგიურ ხანაში ეს ძალა ებრძვის მავნე ელემენტებს. ამ ძალას უწოდებენ „ფიზისი“ ყოველ ადამიანს აქვს „ფაზისი“ განსაკუთრებული სახისა და ძალისა. უმთავრესი ყურადღება ჰიპოკრატის სკოლის ექიმისა მიქცეული იყო კერძო ინდივიდზე და კერძო დაავადებაზე, ექიმები დაწვრილებით შეისწავლიდნენ ავადმყოფსა და ავადმყოფობის ყველა ნიშნებს ყოველგვარი საშუალებით. დიდი მნიშვნელობა ეძლეოდა თვალს, ავადმყოფის გამომეტყველებას, სხეულის მდგომარეობას, კანის თვისებებს, შარდის, ოფლის, ნახველის, ცხვირის ლორწოს და სხვა გარეგან სახეს.

ეგრეთ წოდებული *facies Hippocratica*-ში შესანიშნავად აღწერილი სიმპტომოკომპლექსია, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს დღესაც პროგნოზისათვის: „წაწვეტილი“ ცხვირი მიბნედილი თვალეები, ჩავარდნილი საფეთქელი, ცივი და დაპატარავებული ყურები, მშრალი კანი, ყვითელი, შავი, ფერმქთალი ან მოლურჯო სახე. — პალპაციით ირკვევდნენ მუცლის ღრუში მოთავსებულ ორგანოებს — გატეხილის და ამოვარდნილის დიაგნოსტიკაც საფუძვლიანი იყო. აუსკულტაციის ჩანასახი გამოიხატება შემდეგით: „უნდა მიაღწა ყური ავადმყოფის გვერდს და ყური უგდო რამდენიმე წუთს, გესმის თითქოს ძმარი აღუღდაო: დიდ ყურადღებას აქცევდნენ სისხლის, შარდის, ნახველის სუნს და გემოს. თუ დაავადების სიმპტომები არ არის გამოაშკარავებული, უნდა მოეხმაროთ ბუნებას, ამისთვის ავადმყოფს აძლევდნენ სასაქმებელს, პირის საღებინებელს ან იწვევდნენ მის ენერგიულ მოძრაობას და სხვა. სამკურნალო დახმარება ორი სახისა იყო, ზოგადი

და კერძო პირველს ექუთუნოდ დიეტუჩა ლონისძიებანი
ფართო გაგებით. აქ ადგილი ქონდა, როგორც საზოგა-
დოების, ისე მთელი ცხოვრების მოწესრიგებას ტანისა-
მოსი, საწოლი, მოძრაობა, აბაზანები, ფიზიკური ვარჯი-
შობა შედგოდა პირველი სახის დახმარებაში. კერძო სა-
ხის დახმარებით ებრძოდნენ პირდაპირ დაავადებას. არსე-
ნალი დიდი არ იყო. ჰიპოკრატეს სკოლაში დიდი ადგი-
ლი ქონდა დათმობილი ქირურგებს. ქირურგს უნდა ცო-
დნოდა დანის შესაფერი ხმარება, უნდა გამოეცნო, არის
თუ არა ჩირქი კრილობაში ან აბსცესში. უნდა გამოეცნო
მოტეხილი და ნაღრძობი, უნდა ცოდნოდა კატეტერის
შეტანა შარდის ბუშტში, და სხვა. ზოგადი წესება საო-
პერაციო ოთახის მოწყობისა, პაციენტის, უჩიმის და მი-
სი თანაშემწეების დგომისა, ხელის დაბანისა მოწმობს,
რომ იპოკრატელებს ესმოდათ ქირურგის უსაჭიროების
მოთხოვნები, რაც შეეხება კრილობის მკურნალობას,
აქაც სჩანს დიდი ცოდნა. უდიდესი მოთხოვნები იყო,
რაც შეიძლება, ფრთხილად და იშვიათად შეეხო კრა-
ლობას, იცოდნენ კრილობის შეკერვა და შეხვევის გაკე-
თება. ჰიპოკრატელთა ოპერატიული ქირურგია მშვენიე-
რად იყო დაყენებული: აბსცესებიდან ჩირქის გამოშვება,
გარეგანი სიმსივნეები, მოკვეთა პოლიპების და ჰემორაი-
დალური „სოკოების“... ამის გარდა აკეთებენ ცალკე
ორგანოების რეზექციას. თავის ქალას ტრეპანაციას, ნე-
ფროტომიას, ლაბორატომიას და სხვ... ქირურგიული ია-
რადებიც ბლომად ქონდათ. დანები, ლანცეტები, პინცე-
ტები, ძვლის მაშები, კავეები კრილობისათვის, შპადელი,
ნემსები, რესპირატორი, დოლბანდი და სხვ. გულგრი-
ლად, თუ შეიძლება ასე ითქვას, ეკადებოდა ჰიპოკრატე-
ლი ექიმს მენაობას და გინეკოლოგიას. ამის მიზეზი იყო
ის, რომ ექიმს ტრადიცია უშლიდა ხელით შეხებოდა

სქესობრივ ორგანოებს. ექიმი მკურნალობდა, ყოველგვარ მის დანიშვნას ასრულებდა ბებია. იმ შემთხვევაში, თუ ბავშვს დაბადება შეუძლებელი იყო—ხმარობდნ ნაყო-



სურ. 7.

ჰიპოკრატეს დროის ქირურგიული ინსტრუმენტები: მარცხნიდან მარჯვნივ: პინცეტი, ფელის მაშები, დანა, სკალპელი, კოვზი, კატეტერი.

ფის დანაწილებას საშვილოსნოში, განსაკუთრებული ია-
რალებით. ჰიპოკრატეს და მის სკოლის მედიცინა საერ-
თოდ წარმოადგენს ფრიად განვითარებულ ხელოვნებას.
თეორიული ცოდნა თანამედროვე ცოდნასთან შედარე-
ბით, პრიმიტიულია, მაგრამ ამან ხელი არ შეუშალა,
რომ ამ სკოლიდან გამოსულიყვნენ შესანიშნავი პრაქტი-
კოსები, რომელთაც შეეძლოთ თავისი ცოდნის გადაცე-
მა სხვებისათვის. და, თუ ორი ათასი წლის შემდეგ მე-
დიცინა პატივისცემით იხსენიებს ჰიპოკრატეს და მის
სკოლას, ამის მიზეზი ის არის, რომ ჰიპოკრატემ პირვე-
ლად თქვა და გაატარა ცხოვრებაში სამკურნალო ხელო-
ვნების პრინციპები. ამ პრინციპისდა მიხედვით მედიცი-
ნის ერთ ერთი მიზანია ავადმყოფის განკურნება, ამ ხე-
ლოვნების შესწავლა შეიძლება მხოლოდ ავადმყოფის სა-
წოლთან და დაკვირვება—გამოცდილება ექიმის ქეშმა-
რიტი მასწავლებელია.

ჰიპოკრატეს შემდეგ.

სანამ ჰიპოკრატე ცოცხალი იყო, მისმა სკოლამ და-
ჩრდილა დანაწილნი სკოლები და მიმდინარეობანი. მისი
საკვდილის შემდეგ, როდესაც გაქრა უშუალო გავლენა
ჰიპოკრატეს გენიისა, მისმა სკოლამ დაკარგა ის განსაკუთ-
რებული გავლენა, რომელიც მას ქონდა. ჰიპოკრატეს
სკოლა ფრიად დიდ მოთხვნილებას უყენებდა იმას, ვისაც
უნდოდა შეესწავლა სამკურნალო ხელოვნება. შერჩევა
ისეთი ახალგაზრდების, რომელთაც უნდა შეესწავლათ
ექიმობა, რათა ისინი შესაფერი ყოფილიყვნენ, როგორც
ზნეობრივის ისე გონებრივისა და ფიზიკური ნხრით, ძნე-
ლი შეიქნა. მოთხვნილება დიდი იყო, მსურველიც ბევ-
რი და კნიდოსის სკოლა მისი დებულებით, რომ მედი-
ცინა მეცნიერებაა, რომლის შესწავლა ყოველ გულმოდ-

გინესა და ბეჯითს შეუძლია, უფრო აკმაყოფილებდა ცხოვრების მოთხოვნილებას. ამან აიძულა ჰიპოკრატეს მემკვიდრენი შეექმნათ მთლიანი თეორია, სადაც მეცნიერება და პრაქტიკა შეზავებული იქნებოდა. დიდი მნიშვნელობა მედიცინის განვითარებისათვის ქონდა ორ დიდ ფილოსოფოს მეოთხე საუკუნისა ქრ. დაბადებამდე პლატონს და არისტოტელს. ზოგიერთი აზრები პლატონისა მედიცინამ შეითვისა მისი თხზულებიდან „თიმეი“. არისტოტელის მიერ შეგროვილი იყო აჯარებელი ფაქტიური მასალა—რასაც დიდი გავლენა ქონდა მედიცინის საფუძვლების შემუშავებისათვის. მისი შედარებითი ანატომიის აღწერილობას, მის ცხოველთა კლასიფიკაციას, რომლისდა თანახმად ზოგიერთ ცხოველს სისხლი აქვს, ზოგს კი რაღაც სხვა ნივთიერება, ქონდა დიდი მნიშვნელობა როგორც მედიცინისთვის, ისე ბუნების მეტყველებისთვის. ამ ძვალსაზრისმა მხოლოდ შეაფერხა მედიცინის განვითარება. მედიცინის განვითარებაზე დიდი გავლენა მოახდინეს სწორედ ამ პირებმა, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ კნიდოსის სკოლასთან. არისტოტელი და ევდოქსი კნიდოსელი ასკლეპიადების ჩამომავალი იყვნენ. კნიდოსის სკოლა თავიდანვე ცნობდა მედიცინას, როგორც მეცნიერებას, და ამიტომ მეტ ყურადღებას აპყრობდა ნორმალურ ორგანიზმს, ვიდრე ჰიპოკრატეს სკოლა, კნიდოსის სკოლა ცდილობდა, რაც შეიძლება უკეთ გაეგო ორგანიზმის ნორმალური ფუნქციები და აგებულობა, ვინაიდან სწამდა რომ ანგვარ გაგებას ბევრს უდიდესი მნიშვნელობა ქონდა მკურნალობისათვის. ამ მიმდინარეობას შემდეგ ეწოდება დოგმატიური სკოლა. მისი საუკეთესო წარმომადგენელი იყო დიოკლესე კარისტიანი (4 საუკუნე ქრ. დაბ.) ის არის ანატომიის კორიგინალური შრომის ავტორი. მის მოძღვრებას საკმლის მონეტე-

ბის შესახებ დიდი გავლენა ქონდა ყველა ექიმებზე, თვით დიდ გალენტიც. თავის ფიზიოლოგიურ და პათოლოგიურ თეორიებში დოგმატიური სკოლა დიდ ადგილს უთმობდა „პნეუმას“ და ამაში იყო განსხვავება ჰიპოკრატელებისაგან, რომლებიც ავადმყოფობის წარმოშობას ხსნიდნენ ჰუმორალურ პროცესებით. რაც უფრო შორდებოდა დოგმატიური სკოლა ჰიპოკრატეს აზრებს, მით მეტ მნიშვნელობას აძლევდნენ ანატომიას, ფიზიოლოგიასა და ეთიოლოგიას, ე. ი. წმინდა თეორიულ დისციპლინებს, და უახლოვდებოდნენ ჰმედიკინის ალექსანდრიის ხანას. ეს ხანაა როდესაც სამკურნალო ხელოვნებამ მიღწევა მწერვალს, და მხოლოდ ამ უკანასკნელ დროს იქმნა დაძლეული.

ალექსანდრიის სკოლა.

შესამე საუკუნეში ქრ. დაბადებამდე ალექსანდრიაში შეიქმნა ისეთი პირობები, რომ განვითარდა ცოდნის სწრაფი შტოები. ეს პირობები იყო: აუწყრელი დოვლათის მოგროვება ამ ქალაქში, აღმოსავლეთის სიახლოვე, რაც საშუალებას აძლევდა გამოეყენებინა მისი შეცნიერული მიღწევები, და ბოლოს ის განსაკუთრებული ინტერესი რომელიც გამოიჩინეს პტოლომეებმა მათემატიკის, ასტრონომიის, ფაზიკის, ტეხნიკის, ლიტერატურის ისტორიის, ფილოსოფიისადმი. ბუნებისმეტყველებასთან ერთად მედიცინამ გამოიყენა ეს პირობები; პტოლომეები აშენებდნენ ყოველგვარ შენობებს—ხელოვნების მიზნისათვის; ზოოლოგიურ და ბოტანიკურ ბაღებს, შექმნეს განთქმული ალექსანდრიის წიგნსაცავი და მუზეუმი. წიგნსაცავში 500.000 ტომი იყო, ამის გარდა მეცნიერს ქონდა საშუალება ეწარმოებინა მუშაონა დამუშავებით, ვინაიდან სარჩოს თვით თსახელმწიფო აძლევდა. უდიდესი მნიშვნელო-

ბა მედიცინისთვის ქონდა ამ გარემოებას, რომ დაძლე-
ული იყო ძველი შეხედულება, რომ გვამის გაკვეთა ცო-
დვია, და დამნაშავეთა გვამების გაკვეთის თავისუფლებამ
წინ წასწია ანატომიის შესწავლა. ცელსის და ტერტუ-
ლიანის ცნობით, ექიმები ალექსანდრიაში აწარმოებდნენ
პატიმარ-დამნაშავეთა ვივისექციას. ალექსანდრიის წიგნ-
საცავი საშუალებას იძლეოდა ფართოდ გამოეყენებიათ
საჰედიცინო ლიტერატურა, გვამების გაკვეთამ ადამიანის
სხეულის შესწავლის საშუალება მისცა პკლეფარტ-ზო-
ოლოგიის, ბოტანიკისა და ფიზიკის განვითარებამ შე-
ქმნეს პირობები ფიზიოლოგიურ გამოკვლევათათვის. ალექ-
სანდრია შეიქმნა ცენტრო, როგორც ექიმთათვის, ისე
ყველა იმისთვის, ვისაც სურდა მიეღო საშუალო განე-
თლება. ალექსანდრიაში შესამე საუკუნის დასასრულ ყო-
ველ პატარა თვის ყავდა საკუთარი ექიმი, რომელსაც
შექდეგ ეწოდებოდა არქიატრი. ალექსანდრიის სკოლამ
შექმნა ანატომია და ფიზიოლოგია. თვალსაჩინო წარმო-
მადგენლები ამ სკოლისა იყვნენ ჰეროფილი და ერახის-
ტრატი. ჰეროფილას ცხოვრების შესახებ ერთობ ცოტა
ვიციტ. დაიბადა 300 წ. ქრ. დაბადებამდე. მის წინაპ-
რებს ქონდათ ცოდნა და დაკვირვება ანატომიის ნაწი-
ლების. მთლიანი სისტემა ანატომიისა შექმნა პირველად
ჰეროფილმა. ჰეროფილი იყო პირველი, რომელმაც დაამ-
ტკიცა, რომ პერიფერიულ ნერვულ სისტემას აქვს კავშირი
თავის დახერხებლის ტვინთან. მისი აღმოჩენილია torcular
Herophili, რომელიც calami Herophili-ის ნაწილია აგრე-
თვე შედგელობის ნერვი, და მანვე გამოარკვია მისი კავ-
შირი თვალთა და ტვინთან. ჰეროფილს არ აქმაყოფილებდა
ჰოპოკრატეს „ფიზისი“ (physis). მისი აზრით, სიცოც-
ხლის პროცესი დამოკიდებულია ოთხ ძალზე: 1) საზრდო-
ობის ძალა—მისი ლოკალიზაცია ღვიძლი და საკმლის

მომწივებელი ორგანოები, 2) გამთბობი ძალა იმყოფება გულში, 3) აზროვნების ძალა—მოთავსებულია ტვინში და 4) მგრძნობიარე ძალა, რომელიც არის ნევიულ სისტემაში. ჰეროფილმა დაამტკიცა, რომ მაჯის ცემა არ არის შედეგი არტერიებში მყოფი რაღაც უცნობი ძალისა, არამედ შედეგია გულის მოქმედებისა მასი სისტოლითა და დიასტოლით. ზეიარე გამოჩენილი ექიმი იყო ერაზისტრატი — დიდი მოწინააღმდეგე ჰიპოკრატეს მედიცინისა. მისი გამოკვლევითი მუშაობის საგნები იყო არტერიები და ნერვული სისტემა. მასი უდადესი აღმოჩენა იყო რომ არსებობს მგრძნობიარე და აღმამოძრავებელი ნერვები, მან პირველმა ასწერა გული. ერაზისტრატის აზრით, დაავადება არის შედეგი ორგანიზმის ნორმალური ფუნქციების აშლისა, რის მიზეზია—ორგანიზმში დაუმუშავებელი და არა საკმაოდ მონელებული საკმლის ნივთიერება. ამ დგომარეობას ის უწოდებს პლეტორას და მით ხსნას დაავადებას, მოვლენას. ამ ორზე ექიმმა და მათმა სკოლებმა ფრიად განავითარეს ავადმყოფობის გამოცნობა და მისა წამლობა: ალექსანდრიის სკოლაჰ ქართურული ოპერაციების დროს პირველად შემოიღო ნარკოზია—ამ ცნობას იძლევა დიოსკურიდი.—ოპერაცების დროს (დანით ან შამთით) რომ გამოეწვიათ ანესტენზია ხმარობდენ შანდრაგორას ძირს. ამავე სკოლამ შემოიღო სისხლის ძარღვების შეხვევა, რამაც საშუალება მისცა ექიმებს მიემართათ რთული ოპერაციების წარმოებისათვის. გამოჩენილი ექიმი იყო კლავდიუს ფილოქსენი, მედიცინის თითქმის ყველა დარგში ცნობილი. ამმონიუმმა შემოიღო გაუმჯობესებულ იარაღი შარდის ბუშტიდან ქვკენჭების ამოსაღებად. მეანობაში და გინეკოლოგიაში ცნობილია დემეტრიუსი. ოფტალმოლოგიაში დიდი ღვაწლი მიუძღვის დემისფენ ფილატს. მისი შრომა საუ-

კუნთა განმავლობაში ფასდაუდებელი იყო ამ დარგის სპეციალისტებისათვის. ფარმაკოლოგიის საკითხებზეც დამუშავებულია: აღსანიშნავია ჰიკეზიუსის თავისი წიგნით (de materia medica) და ადრე კარისტიდან თავისი შრომით „ყუთი წამლებით“. ალექსანდრიის სკოლაში დააგროვა აუარებელი ცალკე ფაქტები მედიცინის ყოველ დარგში და შექმნა ნიადაგი, რათა 400 წლის შემდეგ დიდ გალენს თავი იმთლიანი სამედიცინო სისტემით, რომელიც ურყევი იყო საუკუნეთა განმავლობაში, დაეგვირგვინებია ალექსანდრიის სკოლის შემოქმედება და ნამოღვაწარი.

ალექსანდრიის ექიმთა შორის ყველა, რასაკვირველია, არ იზიარებდა ალექსანდრიის მედიცინის მამების აზრს, რომ თეორია აუცილებელია ექიმის პრაქტიკული მოღვაწეობისათვის. ეს, ეგრეთწოდებული, ემპირიული სკოლა ამტკიცებდა, რომ სრულებით არ არის საინტერესო ვიცოდეთ თუ საიდან წარმოიშვა სენი—დაავადება, საინტერესოა ვიცოდეთ თუ როგორ მოვიცილოთ ის თავიდან, რომ ავადმყოფები განიკურნებიან არა მკვერმეტყველებით, არამედ წამლებით, რომ სამკურნალო ხელოვნება წარმოიშვა მაშინ, როდესაც აღმოჩნდა ისწავლა; თუ რა არის მავნე და რა არის განმაკურნებელი და როდესაც აღმოაჩინეს სამკურნალო ნივთიერებანი, მხოლოდ შემდეგ დაიწყეს კამათი მათი თეორიული მოქმედების შესახებ. ამგვარად სამკურნალო ხელოვნება წარმოიშვა არა თეორიიდან, არამედ თეორიულ დასაბუთებაზე დაიწყეს ფიქრი მის შემდეგ, როდესაც მკურნალობის შეთოდები უკვე აღმოჩენილი იყო. ემპირიკები აღიარებენ, რომ უმთავრესია საკუთარი დაკვირვება და გამოცდილება, უნდა გამოკიყნოთ აგრეთვე სხვისი დაკვირვება, ცდები და გამოცდილება და, როდესაც ეს საკმაო

იქნება, უნდა მივმართოთ ანალოგიასო. ამ სკოლის მამა-მთავრები იყვნენ ფილინი კოსიდან და სარეფირნი ალექსანდრიიდან. ბევრი შრომა დასტოვა ჰერაკლეიდა ტარასიდან.

რომის მედიცინა.

მედიცინა ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით აღმოცენდა რომში შედარებით გვიან. სანამ რომაელები წარმოადგენდნენ უხეშ ჯარის კაცებსა და მაგარ გლეხებს, — ექიმების მოახლოვლება დიდა არ იყო. თვითელი სწამლობდა თავს ისე, როგორც შეეძლო და მხოლოდ ხანდისხან მიმართავდა ეტრუსკელ მისნებს. ამ ნიადაგზე წარმოიშვა კულტი სამკურნალო ღმერთების. ჯანმრთელობის ღმერთის Dea Salus-ის გარდა იყვნენ სხვა ღმერთებიც (Dee Febris (ციებ-ცხელების ღმერთი). მშობიარობის დროს მიმართავდნენ Carmenta და Lucina-ს. რომაელებს კარგად ესმოდათ სანიტარულ ღონისძიებათა მნიშვნელობა. 450 წ. ქრ. დაბ. კანონით აკრძალული იყო გარდაცვალებულის დამარხვა ან დაწვა შიგ—ქალაქში; აშენებული იყო კანალიზაცია Cloaca maxima და წყალსადენი. სახელმწიფო ზრუნავდა აგრეთვე სულით ავადმყოფთათვის (demens და furioses) რომაელთა გამარჯვებას მოყვა იუარებელი ტყვე-მონის მოყვანა. მონათა შორის იყვნენ ბერძნები ექიმები. მათ შეიტანეს მედიცინა რომში. მოკლე ხანში ყოველი შეძლებული მოქალაქე საჭიროდ სთვლიდა სახლში ყოლოდა საკუთარი ექიმი—მონა (servus medicus). მეორე საუკუნეში ქრ. დაბ. პირველად მოვიდნენ რომში თავისუფალი ბერძენი-ექიმები მათ რიცხვს ემატებოდა ბატონის მიერ განთავისუფლებული ყოფილი მონა-ექიმები. ასე, რომ სულ ჩქარა რომში შედგა წოდება medici liberti „თავისუფალი ექიმები“. თან-

დათანობით რომაელებიც იწყებენ სამკურნალო საქმის შესწავლას. ბერძენთ ექიმებმა შეიტანეს რომში, როგორც მედიცინა, ისე სხვადასხვა სამედიცინო მამართლებანი. რომაელებს დახვეწებული ძველი რომაული სახალხო მედიცინის გარდა არა გააჩნდათ რა, რომელიც დიდ წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა ბერძენულ მედიცინას, მაგრამ საჭირო იყო, რომ ბერძენული მედიცინა რომის ნადავზე გამხდარიყო რომაულ მედიცინად, რომელიც ანგარხშს გაუწევდა რომის განსაკუთრებულ პირობებს. ეს საქმე იკისრა და დაავიროგვინა ასკლეპიადმა ბიფინიიდან — ცხოვრობდა 1 საუკუნეში ქრ. დაბ. მედიცინის შესწავლამდე სწავლობდა რიტორიკას და ფილოსოფიას. მისი მოძღვრებით, ადამიანის სხეული შედგება ნივთიერება „ატომებისაგან“ (ძსე, როგორც ყველაფერი მსოფლიოში). მათ თვისებებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვსთ სიცოცხლის პროცესებისათვის, როგორც ნორმალურს, ისე დაავადებულ ორგანიზმში.

„პნეუმა“, მისი წარმოდგენით, ნივთიერებაა, წვრალი ნაწილებისაგან შემდგარი. სხეულას სითხეებს აქვსთ მნიშვნელობა იმდენად, რამდენადაც ისინი არიან ატომების მატარებელნი.

ასკლეპიადის წარმოდგენით სენი, დაავადება არის შედეგი სხეულაკების შეზერებისა. ამის მიზეზია ნაწილაკების ან სხვადასხვა სიდიდით ან ფორმა. მნიშვნელობა აქვს ან ოდენობასა და ჩქარ მოძრაობას ან გადალუნვას, თუმცა ზოგიერთი დაავადების მიზეზია სითხეების და „პნეუმის“ აშლა. პრაქტიკულ მოღვაწეობაში ასკლეპიადი მოძხრე იყო მარტივი წამლობისა; დიეტა, მოძრაობა, აბაზანები, ოფლის დენა, წყლით მკურნალობა, რამაც დიდი პოპულიარობა მოუპოვა. ასე თუ ისე ასკლეპიადი იყო ნოვატორი, რომელმაც ალღო აუღო რომის სპეციფიკურ

პირობებს, დაუკავშირა მედიცინა მას და გავლენა მოახდინა მედიცინის მომავალ განვითარებაზე. მისი მოწაფეთაგანი იყო გამოჩენილი ექიმი თემისონი ლარდოკიიდან,



სურ. 8.

რომაელების შესახვევი პუნქტი

მან დაამუშავა თერაპიული სისტემა თავისი მასწავლებლებისა და შექმნა სკოლა მეთოდური. ამ სკოლის მთავარი იღდა იყო შეექმნა „იოლი გზა“ სენების მოსარჩენად-

ეს სკოლა აღმოცენდა რომის ნიადაგზე და რომის იმპე-
რიის არსებობის დროს უდიდესი გავლენა ქონდა. თემო-
ბის აზრით, ავადმყოფობის მიზეზის ცოდნას არავითარი
კავშირი არ აქვს მის მკურნალობასთან, — თერაპიისათვის
საკმარა იხელმძღვანელოს ზოგადი მოვლენებისა და მიხედ-
ვით. მოვლენები სამი რიგისაა: 1) status strictus შეკუმ-
შვის მდგომარეობა, 2) status laxus შესუსტების მდგომარე-
ობა, და 3) შერეული მდგომარეობა, Status strictus
მდგომარეობაა, როდესაც სხეულის ქსოვილები ანორმალუ-
რად შეკუმშულია, ნესტვები შევიწროებულია, გამონათხევი
დაკავებულია. ქსოვილები შესუსტებულია, სხეულის ზე-
დაპირი გაფხვიერებულია, გამონათხევი ყოველგვარი მო-
მატებულია. თერაპიაც ამიტომ მარტივია. საჭიროა მხო-
ლოდ ვაცოდეთ, თუ რა მდგომარეობასთან გვაქვს საქმე
და წამლობაც ადვილია. თუ ავადმყოფს აქვს status
laxus (ოფლის დენა, ფალარაფი, შარდის დენა მომეტე-
ბული, საერთო სისუსტე), უნდა მივსცეთ წამლები, რომა-
ლებიც საწინააღმდეგოდ მოქმედობენ. თუ status strictus
თან გვაქვს საქმე (კრუნჩხვა, ყათაზი, შარდის დენის შე-
წყვეტა), თემისონი უნიშნავს წამლებს, რომლებიც მოქ-
მედობენ შეპასუსტებელი გზით. თუ ორგანიზმში ორივე
„მდგომარეობა“, უნდა უწამლო უფრო საშიშარ მდგო-
მარეობას. საინტერესო შრომა დასტოვა კორნელიუს
ცელსმა — არა ექიმმა, მისი შრომა De medicina libri
octo ენციკლოპედიაა, სადაც მოთავსებულია რიტორიკა,
ფილოსოფია, სასოფლო მეურნეობა, უფლება და სამედი-
ცინო ხელოვნება. მასალად გამოყენებულია ბერძნული და
ალექსანდრიის წყაროები, დაწერილია მთელი შრომა მე-
თოდიური სკოლის თვალთსაზრისით. მედიცინის ნაწილი
წარმოადგენს ვრცელ კომპენდიუმს პრაქტიკული მედიცი-
ნისა. კარგად არის დამუშავებული დიეტეტიკა, ფარმა-
კოლოგია, და ნიშნები გაგრცელებული სენებისა, წიგნის

ცალკე თავი დათმობილი აქვს ოფტალმოლოგიას. მეშვიდე წიგნი აჩვენებს ქირურგიის საკითხებს. მედიცინის საკითხებს ცხება აგრეთვე პლინის შრომა „Naturalis historia“ და წიგნები ვალეუს რუფის, ნიგილრუსის, ტულოეს ბასისის და სხვების თემისონის აზრს მკურნალობის შესახებ იცავდა აგრეთვე. გამოჩენილი ექიმი თესალი ტრალუსიდან, რომელიც ამტკიცებდა, რომ თეორია ექიმისათვის საჭირო არ არის, და რ თევა საკმარისი, რომ შეასწავლოს ყველაფერი ადამიანს, რაც ექიმობისათვის საჭიროა. პრაქტიკული შესწავლა ექიმობის უნდა წარმოიბადეს ავადმყოფის საწოლთან. სულ სხვა აზრის იყო მეორე წარმომადგენელი მეთოდური სკოლის-გამოჩენილი ექიმი სორანეთელი. განათლება სორანმა მიიღო ალექსანდრიაში, შემდეგ კი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა რომში. სორანი ეთანხმებოდა თემსონს, რომ მედიცინის საბოლოო მიზნისათვის სწავლას ჯანსაღი სხეულის შესახებ არ აქვს მნიშვნელობა, მაგრამ განათლებულმა ექიმმა უსათუოდ უნდა იცოდეს ნორმალური ადამიანის ორგანიზმის აგებულება და ფუნქციები. სორანის შრომებიდან ცნობილია „დედაკაცის დაავადებანი“ და „მწვავე და ქრონიკული სენები“. სორანი ხმარობდა სარკეს. და თავისებურ გინეკოლოგიურ მაგიდას ავადმყოფის გასინჯვის დროს. სორანის მიერ შესანიშნავად არის დამუშავებული სხვადასხვა სენების ნიშნები. თანადროული სამედიცინო თეორიის მცოდნე სორანმა შესანიშნავად დამუშავა განსხვავებითი ნიშნები სხვა და სხვა სენისა და უეჭველად უნდა ჩაითვალოს დიფფერენციალური დიაგნოსტიკის შემქნელად სორანის მეთოდის ავადმყოფის გასინჯვის გვიჩვენებს, რომ მას შეთვისებული ქონდა ჩანებულად პიპოკრატეს მედიცინის სამი საშუალება: დათვალიერება (inspectio), თითით გასინჯვა (palpatio) და აუსკულტაცია.

სორანმა საბოლოოდ გადაა ხიდი რომაულ ხალხურ მედი-
 ცინასა და ბერძნულ მეცნიერულ მედიცინას შორის. მე-
 თოდიურ სკოლას ყავდა თავისი მოწინააღმდეგენი. ესენი
 იყვნენ წმინდა მეცნიერული პრინციპების მომარენი მე-
 დიციანაში. მათი აზრით, ორგანიზმის ყველა პრო-
 ცესები შედგება „სიცოცხლის, ჰაერის“ (პნეუმა)
 თვისებების და განაწილებისა. 50 წ. ქრ. დაბ. შემ-
 დეგ ამ თეორიის საუკეთესო წარმომადგენელი იყო ექიმი
 ათენაი ატატალიდან — ათენას ბევრი შრომა საინტერე-
 სოა მით, რომ დაწერილია პოპულიარულად. პნემატიურ
 სკოლას ეკუთვნიან ავატინი, ცნობილი ქირურგი არჰიგე-
 ნი, რომელიც შესანიშნავად აკეთებდა კიდურების ამპუ-
 ტაციას, ლეონიდა აღექსანდრიიდან (პირველი საუკუნის
 ბოლო) შემოიღო „ნაფლეოგანი გაქრა“, ჰელიოდორმა
 გააუმჯობესა ტენიკა თავის ქალას ოპერაციების და შე-
 ხვევების. მე-2-რე საუკუნის პირველ ნახევარში ცხოვრობ-
 და გამოჩენილი ექიმი ქირურგი ანთილი, რომელმაც პირ-
 ველად დაიწყო ეგრეთ წოდებული პლასტიური ოპერაცი-
 ების წარმოება დაშავებული თვალის ქუთუთოების, ცხვი-
 რის, ყურის და სხვა აღსადგენად. პირველმა გააკეთა
 ანევრიზმის ოპერაცია. ქირურგიის ასეთი განვითარება
 შეუძლებელი იქნებოდა უნარკოზოდ და ასეპტიკის პრინ-
 ციპების არ ცოდნით. ზოგადი ანესთეზიისათვის ხმარობ-
 დენ სასმელს მანდრაგორას ქრებიდან, რომლის მომქმე-
 დი ნივთიერება თავისი შემადგენლობით ძლიერ ახლოს
 არის სკობოლამინთან. ოხნდათანობით ბევრი ექიმი არ
 ეკედლებოდა არც ერთ სკოლას და საღ აზრებს და მე-
 თოდიკას სესხულობდენ ყველა სკოლის თეორიიდან თუ
 პრაქტიკიდან, ასეთები იყვნენ პედანიუსი, არეთეი კაპპა-
 დოკიიდან და რუფი ეთესიდან და ჰალენუსი პერგამიდან.
 არეთეის მიერ პირველად აღწერილია დიფტერია. დიაგ-

ნოსტიკა შვენიერად დამუშავებული ქონდა. იცის უკვე გულის ანესკულტაცია. რუფის მიერ დაწერალია დიდი შრომა ანატომიიდან „ადამიანის სხეულის ნაწილების სახელწოდება“. მასვე ეკუთვნის პირველი მონოგრაფიები ნიკრისისა და თირკმელებისა და შარდის ბუშტის დაავადებების შესახებ.

გ ა ლ ე ნ ი .


პირობები, რომლებშიაც მუშაობდენ ჰიპოკრატეს ეპოქის ექიმები, აიძულებდენ მათ წარმოედგინათ მედიცინა, როგორც ხელოვნება. გალენს შეეძლო მისვლა მედიცინასთან, როგორც მეცნიერებასთან. სათანადო გზა უკვე გავლილი იყო, ალექსანდრიის მედიცინამ ფარტო მეცნიერულ საბუნებისმეტყველო ნიადაგი მოუშადა სამკურნალო ხელობის მეცნიერულ გაგებას. ანატომია და ფიზიოლოგია წარმოადგენენ დამუშავებულ დისციპლინებს, კარგად არის დამუშავებული სხვადასხვა სკოლის მიერ სწავლა ავადმყოფობათა წარმოშობი მიზეზთა შესახებ. ფარმაკოლოგია, ქირურგია, მენობა. საუკუნეთა გამოცდილებით დიდ პროგრესს წარმოადგენენ. ყველაფერი მზად იყო, რომ წარსულის დიდი მემკვიდრეობა, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული, გამოყენებული ყოფილიყო სამკურნალო ხელოვნების მთლიანი სამეცნიერო სისტემის შესაქმნელად, რომელშიაც თეორია იქნებოდა უშუალო საფუძველი პრაქტიკული მოღვაწეობისა. ამ კოლოსალური ამოცანას შესრულება შეეძლო მხოლოდ ისეთ ადამიანს, რომელსაც ექნებოდა ამომწურავი ცოდნა თანადროული მედიცინისა, ადამიანს ფართო შემოქმედებითი ნიჭით ენერგიულს, ადამიანს, რომელსაც შეეძლო მაშინდელ ცოდნათა და აზრთა სინტეზის საშუალებით შეექმნა სრულებით ახალი მოძღვრება დრომოქმული თეორიების ნაცვ-

ლად. ყველაფერი ეს ქონდა ბრწყინვალე ვალენს. დიდ ხანს ქონდა მას თუ რა გავლენა, დავინახავთ შემდეგი საუკუნეების მედიცინის განვითარების შესწავლიდან, კერძოთ კი საქართველოს მედიცინის გაცნობითაც. ვალენი დაიბადა პერგამში 130 წელს, მამა მისი იყო განათლებული ხუროთმოძღვარი ნიკონი, 14 წლიდან ვალენი სწავლობს ფილოსოფიას, 17 წლიდან მიჰყო ხელი მედიცინის შესწავლას. ვალენი სწავლობდა ქალაქ ასკლეპიონში, სადაც მრავალ საავადმყოფოებს აწყდებოდა აუარებელი ავადმყოფი, გამოჩენილი ექიმების ხელქვეით, რომელნაც ეკუთვნოდნენ სხვადასხვა მიმდინარეობას—სკოლას. მამის გარდაცვალების შემდეგ ვალენი სწავლობს უმთავრესად ანატომიას სმირნაში პელოპსთან და კორინთში ნუმეზიანთან. შემდეგ ის ალექსანდრიაშია, სადაც ანატომიის გარდა მუშაობს მედიცინის სხვა დარგებში. 9 წლის შედეგ ბრუნდება მშობლიურ ქალაქში და იღებს გლადიატორების ექიმის თანამდებობას. აქ განაგრძობს მუშაობას ანატომიაში და ფიზიოლოგიაში და განსაკუთრებით აინტერესებს ყოფა ცხოვრების გავლენა ორგანიზმის მდგომარეობაზე. რომი კულტურის ცენტრია, იზიდავს მას და ვალენი მიდის რომში და შედის დიდ რომაელთა საზოგადოებაში. მას საშუალება აქვს გააცნოს თავისი იდეები რომის განათლებულ საზოგადოებას, მაგრამ აქვე იჩინა თავი ვალენის ხასიათის ცუდმა მხარეებმა. აბეზარი, მოჩხუბარი, სხვისი აზრის ვერ მომსმენი, მყვირალა იყო და გადაიკიდა რომაელ ექიმთა საზოგადოების თვალსაჩინო წევრები. რომში 4 წლის ცხოვრების შემდეგ ვალენი იძულებული იყო მიეტოვებია რომი. ცნობილია, რომ 166 წ. ვალენი გაიქცა და არ მიიღო ბრძოლა დიდ ეპიდემიასთან, რომელიც ცნობილია „ანტონინის ქირის“ სახელწოდებით. პერგამიდან ვალენი გამოძახებულ იქნა აქ-

ვილნუსში იმპერატორ ვერის მიერ. მოკლე ხანში გახდა მარკ ავრელიუსის პირადი ექიმი. პრაქტიკას ეწეოდა შედეგებით იშვიათათ — განსაკუთრებით მუშაობდა სამეცნიერო ლიტერატურულ სფეროში. მოკვდა; ზოგიერთების აზრით მშობლიურ ქალაქში, 201 წელს. ლიტერატურული მემკვიდრეობა მისი შეიცავს თითქმის 400-მდე შრომას. მისი უდიდესი შრომებია: „ანატომიური გამოკვლევათა“, „სხეულის ნაწილების დანიშნულება“, „ჰიპოკრატეს და პლატონის მოძღვრება და შეხედულება“, „თერაპიული ბეთოდები“, „წამლების შემადგენლობა“, „ჰიგიენა“ და სხვა. მთავარი ამოცანა გალენის მდგომარეობდა იმაში, რომ დაეკავშირებინა ერთმანეთისათვის ბედოცინას სხვადასხვა დარგი. ექიმის გამოსავალ წერტილად მიჩნეულ უნდა იქნეს ანატომია და ფიზიოლოგია, მათზე უნდა შემუშავდეს სწავლა ავადმყოფობის შესახებ და სწავლა წამლების მოქმედების შესახებ. გალენს უნდოდა მედიცინა დაემოხრილებია საბუნებისმეტყველო-ემპირიულ მეთოდთან ერთად მათემატიკური მეთოდისათვის, ე. ი. მედიცინის საფუძვლად უნდა ყოფილიყო არა მარტო დაკვირვება გრძნობათა ორგანოების საშუალებით, არამედ დედუქცია იმ დებულებიდან და ქეშმარიტებიდან, რომელთაც აქვსთ აბსოლიუტური ხასიათი (მუხ. 128). ამ მიდგომას ქონდა ორი შედეგი: ერთი ის, რომ გალენმა შექმნა შექმნა სამეცნიერო სისტემა, რომელიც ხსნიდა მოვლენებს ჯანმრთელ და დაავადებულ ორგანიზმში, და მეორე ის რომ ამ სისტემის შექმნის დროს დაჯშვა მთელი რიგი შეცდომებისა, რომელთა აცდენაც შეეძლო მის გენიალობას, რომ ცალკე საკითხების დამუშავების დროს დარჩენილიყო საბუნებისმეტყველო — სამეცნიერო — ემპირიულ ნიადაგზე. იდეა, რომლითაც გალენი უდგებოდა ყველა სამედიცინო საკითხებს, გამოხატული ქონდა ჯერ

კატეგორიის არისტოტელის: „ბუნება“ არაფერს არ აკეთებს უმი-
ზნოდ. მას არ აინტერესებს, თუ როგორ წარმოადგება
ესა თუ ის სასიცოცხლო პროცესები, მისთვის საჭიროა
გაეგება, თუ რისთვის გაჩნდა ეს მოვლენა. ამ იდეისდაში-
ხედვით, გალენი ხედავს ორგანიზმში მხოლოდ მექანიზმს,
რომლის მეოხებითაც სული ახორციელებს თავის ფუნ-
ქციებს ორგანიზმში, ხმარობს მასში მყოფ ძალებს, რომ-
ლების მატარებელია პნეუმა. ეს ნივთიერება შედის ორ-
განიზმში სუნთქვის დროს და სამსუბსტრატად დაფერენ-
ციულ ქმნილია: 1) სიცოცხლის პნეუმა, მისი ლოკალიზა-
ცია გულში, 2) პსიქური პნეუმა — ტვინში და 3) ფიზი-
კური პნეუმა — ღვიძლში. ღვიძლის ფუნქციაა სისხლის შე-
ქმნა ორგანიზმის საზრდობა და მისი ზრდა. ღვიძლი
იღებს საზრდოს კუჭის და ნაწლავებისაგან, წინასწარ დამუ-
შავებულს ამ საზრდოს ღვიძლი აძლევს სისხლის თვისებებს.
ზედმეტა მისალიდან წარმოდგება ნალველი. სასაზრდოო
ნივთიერებანი ღვიძლიდან ნაწილობრივ გადადიან ვენებ-
ში, ნაწილობრივ კი გადადიან ჯერ მარჯვენა გულში და
იქიდან არტერიაებში და ამ ორი სისტემის საშუალებით
სხეულის ყველა ნაწილები იღებენ საზრდოს. სასიცოცხლო
პნეუმის ცენტრალური ორგანოა გული. სასიცოცხლო
პნეუმა მზადდება პნეუმიდან, რომელიც მარცხენა გულში
შემოაქვს ფალტის ვენას. სხეულას სითბო მისა საქვე
ტვინშია მოთავსებული სულა, სულის პნეუმა, მისი მატა-
რებელია ტვინის პარაკუჭები, სადაც მზადდება იმ პნეუმი-
სგან, რომელიც მოტანილია ტვინში არტერიებით, ტვი-
ნიდან კი ნერვების საშუალებით ნაწილდება სხვადასხვა
ორგანოებში და სხეულის სხვადასხვა ნაწილებში. სხეუ-
ლის ნაწილები ამ სამი მთავარი ფუნქციების მეოხებით
წარმოადგენენ მთლიან ერთეულს. მათზეა დამოკიდებუ-
ლი ორგანიზმის, როგორც ორგანოების, ისე ცალკე ნა-

წილების პროცესები. ორგანიზმი შედგება მკვრივისა და თხელი ნაწილებისაგან. არიან „თანაბარი მკვრივი ნაწილები“ და „არა თანაბარი მკვრივი ნაწილები“. პირველთაგან შედგებიან კუნთები, ცხიმი, ძვალი, მეორეთაგან თირკმელი, ღვიძლი თხელი სისხლი, ლორწო, ყვითელი და შავი ნალღელი. ადამიანი ჯანსაღია, თუ ეს შემადგენელი ნაწილი საკმაოდ ხარისხის და რაოდენობისაა. დაავადება — სენი არის აშლასხეულის რომელიმე ნაწილის ფუნქციისა. ზოგიერთი სენები წარმოდგენიან სითხე-ხსნარის თვისებებზე. შეცვლის გამო (სისხლი, ლორწო, ყვითელი და შავი ნალღელი). ზოგიერთი სენები წარმოდგებიან პნემის შეცვლის გამო.



სურ. 9.
სისხლის მიმოქცევა გალენის წარმოდგენით

ბა. გალენის აზრით, არ შეიძლება წარმოვიდგინოთ ფუნქციათა აშლა, თუ არ არის პათოლოგიური ცვლილებები სხეულის იმ ნაწილში, რომელ-აც ეხება დაავადება. ექიმ-

დგენელი ნაწილი საკმაოდ ხარისხის და რაოდენობისაა. დაავადება — სენი არის აშლასხეულის რომელიმე ნაწილის ფუნქციისა. ზოგიერთი სენები წარმოდგენიან სითხე-ხსნარის თვისებებზე. შეცვლის გამო (სისხლი, ლორწო, ყვითელი და შავი ნალღელი). ზოგიერთი სენები წარმოდგებიან პნემის შეცვლის გამო. ანთებას — ციებ-ცხელებას ავადმყოფობის მსვლელობას აქვს სხვა და სხვა სტადიუმი; სტადიუმში დასაწყისი, მოვლენათა მატება, მოვლენათა სრული განვითარება და მოკლენათა კლე

მა უნდა გამოარკვიოს, აქვს თუ არა ორგანიზმს საკმაო ძალის physis-ი (ჰიპოკრატესაგან არის აღებული) წონასწორობის დასაცავად და ექიმი მხოლოდ იმ შემთხვევაში ერევა, თუ ორგანიზმს ძალები არ ყოფნის ავადმყოფობის დასაძლევად. აქტიურად ექიმი შველის ავადმყოფს, თუ ავადმყოფობის სურათი სრულად გაშლალა. რით შეუძლია შველა? წამლებით და, აი საჭიროა, რომ ექიმმა კარგად იცოდეს წამლების მოქმედების ხასიათი. წამლების მოქმედებაშია სამისტადიუმი. პირველი - მოქმედობა წამლის ძირითადი თვისების (სითბო, სიციფე, სიმზრალე, ჰინესტე); მეორე სტადიუმი - მოქმედობენ - ყველა თვისებებზე, და მესამე - წამლების სპეციფიკური მოქმედების გამოყენება (პირ-საქმებელი, საფალარათო, შარდი და სხ.) წამლებს შორის არის სხვაობა იმისდა მიხედვით, თუ როგორ მოქმედობს წამალი: ზოგის მოქმედება თათქმის უჩინარია, ზოგის ძლიერ მოქმედება და ზოგის მავნე. გალენის მტკიცებით მხოლოდ ის არის ნამდვილი მკურნალი, ვინც გამოიყენებს წამლების თავისებურებას და განსაკუთრებულ თვისებებს იმისდა მიხედვით, თუ რას ითხოვს რომელიმე სენის თერაპია.

გალენმა შექმნა მთლიანი ლამაზი თეორია. - ფიზიოლოგია არის დაბოლოვება ზოგადი ბიოლოგიის, ფიზიოლოგიაზე აშენებულია სწავლა დაავადებების შესახებ. აქედან გამომდინარეობს სწავლა ჩვენებებზე და ბოლოს თერაპია. უდიდეს მნიშვნელობას გალენი აძლევდა ანატომიისა და ფიზიოლოგიის შესწავლას. ანატომიური გამოკვლევისათვის ყურადსაღებია მხოლოდ ის, რასაც ზედაკთ საკუთარი თვალით. არავითარ შემთხვევაში არავითარი დასკვნის გაკეთება თეორიული დებულებებიდან. გვამების გაკვეთის ტექნიკა ფრიად გაუმჯობესებული იყო გალენის მიერ. ბევრი შრომა აქვს გალენს ექსპერიმენტალურ ფა-

ზიოლოგიაში. გალენმა შესძლო, ცოდნა-გამოცდილება ძველ ექიმთა, და საკუთარი კოლოსალური ერუდიცია მოეთავსებია მთლიან თეორიაში, დაგმო ბევრი, რაც დასაგმობი იყო, და ისე აამაღლა მედიცინა, როგორც მეცნიერება, რომ მრავალ საუკუნეთა განმავლობაში სხვადასხვა ქვეყნის ექიმები და საექიმო აზრი მასი ნაწერებით საზრდოობდა. გალენი საქართველოს მედიცინაშიც ცნობილია ჯანაოზის სახელით. გალენის შემდეგ მედიცინა, როგორც მეცნიერება, თითქმის არ ვითარდება. ექიმთა წოდების ორგანიზაცია კი მიდის თავის გზით. იპპერატორმა ავგუსტმა მიანიჭა ექიმებს რომის მოქალაქის ყველა უფლებები. აღრიანეს ბრძანებით 117 წ. ექიმები განთავისუფლებული იყვნენ სამხედრო სამსახურისაგან. საქალაქო გადასახადებისაგან და სხვ. ალექსანდრე სევერის დროს სამკურნალო განათლება მიჩნეულ იქმნა სახელმწიფო საქმედ-განსაკუთრებული ჯილდო ეძლეოდა ექიმებს, რომლებიც კითხულობდნენ ლექციებს, სპეციალურ შენობებში და ხელმოკლე მოსწავლეთ ეძლეოდა სტიპენდია, ჰონარარის საკითხიც მოგვარებული იყო. ჯარში სპეციალური ექიმები — ლეგიონის ექიმები *medici legionis* თანამდებობა შემოიღეს. სახელმწიფო დაწესებულებებს, წიგნსაცავებში, გლადიატორების სკოლებში, თეატრებში, ცირკებში ყველგან ყავდათ საკუთარი ექიმები. ექიმები ყავდათ ხელოსანთა კავშირებს, მკედლებს და სხვა. სპეციალიზაცია სამკურნალო საქმის თანდათან ვითარდებოდა;

მედიცინა ბიზანტიაში.

გალენის გარდაცვალების შემდეგ შეწყდა ფართო გამოკვლევითი და შემოქმედებითი მუშაობა მედიცინაში; ბიზანტიის გამოჩენილი ექიმები კარგი პრაქტიკოსები იყვნენ, თეორიაც იცოდნენ საზრდოობდნენ გალენითა და

ჰიპოკრატეთი. ახალი არავერი შეუქმნიათ. მთელი მათი მოღვაწეობა მეცეაერულ--ლიტერატურატურულ სფეროში არ გასცილებია კომპილაციას. გამოჩენილი ექიმებია ბიზანტიის ეპოქისა იყენენ: ორიბაზიური აეციფსი, ალექსანდრე და პავლე ეგინიდან. პავლე ცოცხალი იყო, როდესაც ისტორიულ მოედანზე გამოჩნდა ახალი ძალა-არაბები. მას ღიბი სახელი და პატივისცემა ქონდა, როგორც ქირურგს, და მეანს და მედიცინის ყველა დარგების გამოცდილ მასწავლებელს. თანდათან მცირე აზიაში ყალიბდება ახალი ცენტროები კულტურულ-მეცნიერული მუშაობისა, ასეთი ცენტროები სირიაში, მესოპოტამიაში, დასავლეთ ირანში. სირიულ ენაზე ნათარგნმა ჰიპოკრატეს აფორიზმებსა და გალენის *ars parva* ჩვენამდეც მოაღწიეს.

ბერძნული მედიცინის აღორძინება არაბებთან.

არაბების ახალგაზრდა ძალას წინა აზიაში უცდიდა არა მარტო სამედიცინო მეცნიერება. ნიადაგი მკურნალობის ხელოვნების პრაქტიკული მოღვაწეობისათვის შევნიერად მომზადებული იყო. ანთიურ ქვეყანაში ზრუნვა ავადმყოფებისათვის გამოვიდა ოჯახის ფარგლებიდან-არსებობდენ საავადმყოფოები მონებისათვის დიდ ლატიფუნდიებში და ჯარის ნაწილებში: ქრისტიანობამ ძლიერ გააფართოვა მკურნალობითი ტახმარების საქმე. აღსანიშნავია, რომ სწორედ იმ რაიონებში, რომლებიც სხვაზე უფრო ადრე გადავიდენ არაბების ხელში მეოთხე საუკუნიდან, შევნიერად მოწყობილი საავადმყოფოები არსებობდენ. ცეზარეთში ვასილ დიდმა (370—379) მოაწყო მთელი ქალაქი დაავადებულთათვის სათანადო სატრანსპორტო საშუალებებით საქეიმო ზედამხედველობით, საიზოლიაციო სახლებით (ბაზილიაში). კონსტანტინოპოლში კარგად მოწყობილი საავადმყოფოები იყო, ცალკე განყოფილებებით ქირურგიულისა და გადამდები სენებით შეპყრობილი ავად-


მყრუებისათვის, გაშვებით, უფროსი ექიმებით და დამ-
 ხმარე პერსონალით. სანამ დამასკი იყო ხალიფების რეზი-
 დენცია—ბერძნულ-არაბულა მედიცინის ცენტრი იყო სი-
 რია, შემდეგ კი ახალი სატახტო ქალაქი ბაღდადი. (766
 წელს). აქ დიდი ღვაწლი არაბების მედიცინის განვითარე-
 ბაში მიუძღვის სპარსელებს. გონდუშაპურში თანდათან
 ფეხი მოიკიდა არაბულმა ენამ, მაგრამ უდიდესი ექიმები
 ამ ეპოქისა იყვნენ სპარსელები: არ რაზი, ალი იბნ ალი
 აბბასი, და იბნ სანა. არაბების მედაცინის დასაწყისი
 ცუხად ვიცით—ცნობილია ექიმთა ოჯახი ბახტიშუა, გან-
 თქმულ გარუნ ალ რაშიდის დროს (789—809 წ.) მოლ-
 ვაწეობდენ იუჰან იბნ მახვაჰი და ჰუნან იბნ იშაკი. მი-
 სი შრომის ნაყოფია ჰაპოკრატეს აფორიზმების და პრო-
 გნოსტიკის თარგმანი; ანატომია გალენის და სხვა. არაბ
 ექიმებმა ძლიერ მალე შეისწავლეს გალენი მთლიანად.
 დიდი სახელი მოიჭეკა ცნობილმა კლინიცისტმა რაზეტაჰ
 ხოროსანიდან მე-10 საუკუნის დასაწყისში; შეენიერად იცო-
 და, როგორც ბერძნული, ისე სირიული და არაბული სა-
 მედიცინო ლიტერატურა. დაწერა წიგნები ბერძნულ და
 არაბულ მედაცინაზე, ბავშთა დაავადებებზე, შარდის
 ბუშტის დაავადებებზე, სახსრების ავადმყოფობაზე, თარკ-
 მლის სენებზე და სხვა. მისი თანამედროვე იყო გამოჩე-
 ნილი ექიმი აიბეკ სარაბი, მისი შრომებია: სამედიცინო
 პრაქტიკა და სწავლა წამლებზე. ალი იბნ ალ აბრას.
 (994 წ.) ეკუთვნის მედიცინის სასტემატიური სახელმ-
 ძღვანელო. მეთერთმეტე საუკუნის დასაწყისში აღსა-
 ნიშნავია ალიბენ იზას სალატერატურო მოღვაწეობა.—
 ცნობილია ქირურგი ამმარბენ ალი ალ-მაუზილი (მოსუ-
 ლიდან). მას ეკუთვნის შესანიშნავი აღწერა თვალის ოპე-
 რაციებისა. აღსანიშნავია არაბული შრომა მანედველობას
 შესახებ ფაზიკოს იბნ ალ ჰაიტაჰასი. იბნ ჯაზარის კალამს



სურ. 10. ინსტრუმენტები აბულკაზიმის ქირურგიიდან, არაბულ და ლათინურ ხაზაწერებიდან (მაშა შპრიცები, ხერხები, კაყვები, მარგატლები, სარკვები, და მენსო-გინეკოლოგიური ინსტრუმენტები)

ეკუთვნის მოკლე პრაქტიკული სამედიცინო სახელმძღვანელო მოგზაურთათვის. დიდი მნიშვნელობა მედიცინისათვის ჰქონდა „სამკურნალო ხელოვნების კანონს (ხუთი წიგნი) (980—1037 წ.) ეკუთვნის აბუ ალი ალ გოსანიზნ აზდალაჰ იზნ ალ გოსანიზნ ალი ას-სანი არ რაის იზნ სინას, ექიმს ფილოსოფოსსა და სახელმწიფო მოღვაწეს თავად ავიცენას. პირველი წიგნი შეიცავს ანატომიას, ფიზიოლოგიას, ზოგადი ეთიოლოგიას და თეორიულ მედიცინას, სიმპტობატოლოგიას, ზოგად დიეტეტიკას, პროფილაქტიკას და ზოგად თერაპიას. მეორე წიგნში მოთავსებულია სწავლა წამლებზე და მათ მოქმედებაზე, მესამე წიგნში კერძო პათოლოგია და თერაპია, თვალის, ყურის ყელის დაავადებანი და მეანობა. მეოთხე წიგნში—მოთავსებულია ქირურგია, მწვავე გადამდები სენები, ტოქსიკოლოგია, კანის დაავადებანი და კოსმეტიკა. მეხუთე შეიცავს სწავლას შხამებზე და მათ მოწინააღმდეგე წამლებზე. კიდევ 17 საუკუნეში ეს წიგნი სავალდებულო იყო ყველა ექიმისათვის. ავიცენა დიდი მოტრფიალე იყო არისტოტელესი და გალენის. ცნობილია ექიმები აბულ კაზიმა, ხალაფ იზნ აბბას ალ ზახარავი და აბუ მარუანი ესპანეთიდან. არაბებმა დაკარგეს სიცილია, ესპანეთში მათი პოლიტიკური ბატონობის დღეები დათვლილია, მაგრამ კულტურული გავლენა ჯერ კიდევ შერჩენიათ. დასავლეთი ცხოვრობდა მათი გავლენის ქვეშ მთელი საუკუნეები, განსაკუთრებით ეს გავლენა ცხადი იყო მედიცინაში. არაბთა მკვლევარებმა და მოაზრებმა გადაამუშავეს და განავითარეს ბერძნული მედიცინა; და დასავლეთის რენესანსმა და ჰუმანიზმმა მედიცინის საკითხების გამორკვევის მხრით მეტი მიიღო არაბული ლიტერატურიდან, ვიდრე ბერძნულ წყაროებიდან.

კლასიკურ მედიცინას არ მოეპოვებოდა ისეთი შესანიშნავი თხუზულება თერაპიისა, როგორც იყო „სამეფო წიგნი“ ალი აბბასისა - იტალიაში, (ცნობილ იქნა 1070 წ. კონსტანტინეს წყალობით). თუ თერაპიაში ბევრი



სურ. 11.

ავაცუნის ძველ ებრაულ ხელთნაწერიდან — აუთიაქი.

არაუფრო არ შეუქმნია არაბულ მედიცინას, სწავლაში ევადმყოფობის შესახებ ბევრი ახალი შეიტანეს. მათ გამოჰყვეს, შეისწავლეს და აღწერეს მთელი რიგი სენებისა, როკელთა შესახებ ზერძნებს წარმოუდგენაც არ ქონდათ. არაბებმა წამლების არსენალს ბევრი ახალი წამალი მათმატეს (ქაფური, მუსკუსი, სენნა). არაბებმა შექმნეს აუთია-

ქები. ფარმაკოპიის და ქიმიის განვითარება გამოიყენეს და ისწავლეს ახალი გზები წამლების გაკეთებისათვის. იცოდნენ დესტილატური წყალის მომზადება. იბნ აბუსაიბამ (1203 — 1273) დამასკიდან დატოვა ბიოგრაფიული აღწერა ბერძნულ, სირიულ, არაბულ და ინდოელ ექიმთა ცხოვრება-მოღვაწეობისა. არაბ ექიმს თავისი ხალხის ცხოვრებაში ეჭირა მეტად საპატიო ადგილი. არაბების მედიცინის აყვავება მოკლე ხანისაა — სულ 3 — 4 საუკუნე, მაგრამ, როდესაც ის გადატანილ იქნა შემდეგ დასავლეთში, მან ხელი შეუწყო სამედიცინო შეცნირების და სამკურნალო ხელოვნების აყვავებას — და თანამედროვე მედიცინის ზღაპრულ მიღწევებში ბერძნულ მედიცინასთან ერთად საპატივო ადგილი უჭირავს არაბულ მედიცინასაც.

მედიცინა დასავლეთ რომის იმპერიაში.

კლასიკური ლათინური ლიტერატურა ვერაოდეს ვერ ამალდა ისე, როგორც, მაგალითად, მედიცინა ცელსის ენციკლოპედიაში. პოპულიარული იყო სამედიცინო განყოფილება პლინიუსის საბუნებისმეტყველო ისტორიის სახელმძღვანელოში. სახელგანთქმული ექიმი ბევრი იყო (ვინდიციანი, პრისციანი, კასი ფელიქსი, მარცელი და ბევრი სხვა), რომელთაც ახალი მედიცინაში არაფერი შეუტანიათ და კომპილატორები იყვნენ. ამ ხანაში ძლიერ დაინტერესდნენ მედიცინით მონასტრები და ბევრი მონასტრის წესდება მოითხოვდა, რომ ბერ-მონაზონებს შეესწავლათ მედიცინა. მარცელმა შეიტანა წამლების არსენალში ძველი ცნობილი წამლების გარდა ძველი-კელტების სახალხო მედიცინა. მარცელი გარდამავალი საფეხურია შემდეგი ეპოქისათვის, როდესაც კელტ-გერმანულმა ტომებმა დაიწყეს დამუშავება ანტიურ მედიცინისა და აგრეთვე საკუთარი სახალხო მედიცინის. ეს მუშაობა სხვა-

დასხვა ინტესივობით წარმოობდა იტალიაში, საფრანგეთში, ესპანეთში, ირლანდიაში, შოტლანდიაში, ინგლისში და დასავლეთ და სამხრეთ გერმანიაში.

ანტიურა მედიცინის გადამუშავება დასავლეთ ევროპაში.

იტალიაში ამ ხანაში დაწერილი იყო თერაპიის მოკლე კურსი ბენედაქტე კრისპის მიერ. ცნობილი იყო აგრეთვე თავისი შრომებით ენციკლოპედისტი ისიდორე მონასტრებში ბევრი ექიმი ბერ-მონაზონია და მათ ბაღებში სამკურნალო მცენარეების კულტურას შესაფერი ადგილი ქონდა დათმობილი. გერმანიაში დიდი გასავალი ქონდა კომპლაციურ წიგნს *Concordantia Hyppocratis Galieni et Suriani*; ცნობილი ექიმები იყვნენ ვალაფრიდი, ფრანგი გერიბრანდი. საფრანგეთში ცნობილი იყვნენ, როგორც ექიმები და სამედიცინო მეცნიერების მასწავლებლები რაულ ლეკლერკი, ფირმატი და ოდო. მისა შრომაა წამლებას შესახებ *De herbarum virtutibus*. განათლებული ბერ-მონაზონები მეთორმეტე საუკუნის გათავებამდე საქმედიცინო სალიტერატურო მოქრობას სათავეში იყვნენ: კონსტანტინე აფრიკანელს, ბენედიქტე ლობერს მეთორმეტე საუკუნეში თავის შრომებით დიდი სახელი ჰქონდა მოხვეჭილი მთელ დასავლეთ ევროპაში. მეორემეტე საუკუნის ბოლოში ქვემო გერმანიაში სახელი გაითქვა სალერნის სკოლის ექიმმა ადამატმა. საფრანგეთში ცნობილი ექიმებია რიჩერი და დეროლდი. თანდათან მზადდებოდა მომენტი, რომ ბერ-მონაზონების მედიცინა შებმოდა. სალერნოს სკოლას (საერო სკოლა) საშუალო საუკუნეების მეორე ნახევარში.

სალერნოს სკოლა.

სალერნოს ადგილმდებარეობა ქმნიდა პირობებს, რომ ის ყოფილიყო საკლიმატო კურორტი, დასასვენებელი ადგილი. მეცხრე საუკუნეში სალერნოში არსებობდა თავისი ხელოვნებით ცნობილი საექიმო კოპორაცია. სალერნოს ადგილმდებარეობასა და მზის გარდა ქონდა ზღვა—დიდი სავაჭრო ნავსადგური. საექიმო პერსონალსა და ეკლესიის წსახურთა შორის ნორმალური, მეზობლური დაპოკიდებულება იყო და სულ მოკლე ხანში იმდენი ავადმყოფი მოაწყდა სალერნოს, ისე კარგად მოწყობილი იყო მკურნალობის საქმე, ისე გამოცდილი და მცოდნე ექიმები იყვნენ, რომ სალერნოს უწოდებდნენ Civitas Hippocratica-ს: ჯვაროსნულმა ომებმა ხელი შეუწყვეს სალერნოს აყვავებას. სულ მოკლე ხანში სალერნოში შეიქმნა შვენიერი თარმგნილი სამედიცინო ლიტერატურა. ავადმყოფობის გამოსაცნობად და მკურნალობისათვის სალერნოში სარგებლობდნენ Passianus Caleni ცნობილი მეცნიერი ექიმი იყო ვარიპოტე, რაგენიფრიდი, გრიმოალიდი და სხვები. მეთერთმეტე საუკუნის მეორე ნახევარში სალერნოს სკოლის მედიცინის ვიწრო კალაპოტი გააფართოვა არაბულისა და ბერძნული მედიცინის ნაკადებით კონსტანტინე ფრიკანელმა. დაიბ. და კართაგენში 1020 წ., კონსტანტინე გახდა პირველი დიდი მკვლევარი ძველი არაბული მედიცინისა დასავლეთისათვის—პირველი ცნობილი მთარგმნელი არაბული სამედიცინო თხზულებებისა ლათინურ ენაზე. უდიდესი ნაშრომი კონსტანტინესი არის ალი იბნ ალაბასის Libri regalis ლათინურად გადამუშავება. სალერნოს ცნობილი ექიმი იოანე მედიკი, სახელგათქმული იყვნენ როგორც პრაქტიკოსნი იოანე პლატეარი, ბართლომე, კოფო და ფერარარი. მე-

თორმეტე საუკუნის წახევარს ეკუთვნის დიდი უსახელო შრომა De aegritudinum curatione, სადაც განხილულია ყველა დაავადება და მათი მკურნალობა, თავიდან დაწყებული ფეხამდე. კონსტანტინეს სიკვდილის 50 წლის შემდეგ სალერნოს სკოლამ წარმოშვა ორი დიდშეცნიერი ექიმი-მავრი და ურსო. პირველს ეკუთვნის regulae urinarum (შარდის შესახებ) ზასვე ეკუთვნის „აუორიზმების კომმენტარიები“. ურსოს ეკუთვნის „აფორიზმები“, სადაც შეკრებილია საკუთარი დაკვირვებანი და შეხედულებანი



სურ. 12.

გალენის სურათი უცნობ ავტორის თხზულებაში De pulsibus et urinis“ ზმარებაში იყო სალერნოში.

სამკურნალო ხელობის შესახებ. არაბული ლიტერატურის გაცნობით სალერნოს სკოლამ შექმნა საკუთარი ლიტერატურა. ამ ლიტერატურაში გამოყენებულია არაბულ ბერ-

ძნული ლიტერატურის მიღწევები, მაგრამ სალერნოს სკოლის მეთაურებმა ვერ შესძლეს თავისებური მედიცინის თეორიის შექმნა.

სალერნოს სკოლის ანატომია და ქირურგია.

სალერნოს მიზანი იყო გამოეზარდა თავის სამედიცინო სკოლაში *docti istius pofessionis artifices* — მითხაზი ესმებოდა სამედიცინო განათლებას პრაქტიკულ ხასიათს, მაგრამ უარს არ ამბობდა მეცნიერულ მომზადებაზე. კონსტანტინემდე ერუდიციას დიდი ადგილი არ ექირა ექიმის განათლებაში. მის შემდეგ მდგომარეობა იცვლება, მიდრეკილება მეცნიერებისადმი ღრმავდება და ურსოს დროს სალერნო უახლოვდება ექსპერიმენტალურ მედიცინას, რომელსაც საფუძვლად უდევს მოკემული დებულებას დატკიცება ცუდის საშუალებით სალერნოში ფიქრობდენ სასკოლო მედიცინის მეცნიერულ ნიადაგზე დაყენებას — ამასათვის დადი ყურადღება აქვს მიქცეული ანატომიას, ცხოველთა ანატომიის პრიმიტიულ შესწავლას. ნიკოლოზის ლექციები ანატომიაში ცნობილია სახელწოდებით *Magistri Nicolai physici* რიპარდის თხუზულება ჩვენამდე მოღწეულ დიაგნოსტიკას შეიცავს. მარცინის ცნობით ფრიდრიხ II ბრძანებით 1238 წ. სალერნოში 5 წელში ერთხელ წარმოობდა ადამიანის გვამის გაკვეთა — ექიმთა და ქირურგთა თანადანსწრებით. ანატომიის შესწავლა დიდი სარგებლობა მოუტანა კლინიკურ მედიცინას, და განსაკუთრებით ქირურგიას. — სალერნოს სკოლის გამოჩენალი ქირურგი იყო როჯერ ფრუგარდი, ქირურგიის მასწავლებელი 1170 წ. გვადოფონარეცომ შეადგინა ქირურგიის სახელმძღვანელო, როგორც ის იკითხებოდა როჯერის მიერ. სახელმძღვანელო შეიცავს მთელი სხეულის ქირურგიულ თერაპიას. 1250 წ. ცნობილია იოანე იამატის ქირურგია:

როჯერის ქირურგია დიდხანს უსაქაროესი სახელმძღვანელო იყო დასავლეთ ევროპის ექიმთათვის. *Frotula*-თი სალერნოს სკოლამ დაუტოვა მეცნიერებას თავისი ცოდნა გინეკოლოგიასა და მეანობაში. კოსპეტიკას ნაწილში (*Frotula minor*) ლაპარაკია სილამაზის შოვლაზე და ქალის „ტუალეტის“ საქირო საგნებზე. მეცამეტე საუკუნის დასაწყისს ეკუთვნას *Practica colorum* ბენვენუტო გრაფუგოსა—თვალის აგებულობისა და დაავადების კონსერვატიული და ქირურგიული წამლობის შესახებ. ფრადრიხ მეორეს ბრძანებით მხოლოდ სალერნოს სკოლას, უძველეს სამედიცინო სკოლას, მიენიჭა უფლება ექიმის წოდების მიცემისა. სწავლის ვადა 5 წელი იყო. ამის გარდა საქირო იყო ერთი წელი პრაქტიკული ვარჯიშობისა, რის შედეგადაც ეძლეოდა მოწაფეს ექიმის წოდება: ღარიბი მოსახლეობისათვის სამკურნალო დახმარება უფასოდ იყო. წამლები მზადდებოდა აფთიაქში.

მეთოთხმეტე საუკუნეში სალერნოს დიდება უკვე მხოლოდ მოგონებადა იყო.

სამედიცინო სკოლა მონპელიეში.

სალერნოს სკოლის სუსტ მეტოქეს წარმოადგენს მონპელიეს სკოლა. პირველი ცნობილი ექიმები ამ სკოლისა იყვნენ ვალტერ აგილონი და იონე აკვილიდან. მას ეკუთვნის ტრაქტატი სისხლის გამოწვევას შესახებ ლექსად. მეორე ნახევარი მე-13 საუკუნის და მე-14 დასაწყისი არის მონპელიეს აყვავება მეცნიერულისა და ლიტერატურული მხრივ: პირველი ცნობილი პროფესორი იყო კარდინალისი 1240 წ., მან დაწერა სასწავლო მიზნებისათვის კომენტარიები ჰიპოკრატეს აფორიზმების; ცნობილია აკრეთვე ყილბერტი, რომელმაც 1250 წ. დაწერა *Viaticus* კომენტარიები. ცნობილი მეცნიერი იყო არნალ-

დი ესპანიიდან; მის მიერ დაწერილია *Parabolaē medicationis secundūm instinctū veritatis aeternae* (ექიმის სამკურნალო მოქმედების კანონია). თავის „ბრევარიასი“ მან აღწერა თერაპიული პრაქტიკის წესება. ცნობილი ექიმი იყო ბერნარდ გორდონი (გარდაიცვალა 1318 წ.) დატოვა აუარებელი შრომები: „დიეტეტიკა ციებ-ცხელებიანი ავადმყოფობის დროს“, „ზოგადი თერაპია“; დიდი სახელმძღვანელო შინაგანი მედიცინის *Lilium medicina* ბერნარდის შრომებში უკვე გვხვდება სქოლასტიური მეთოდის ნიშნები, დანიშნები „საიდუმლო“ ხასიათის, აგრეთვე რეცეპტები სიცოცხლის გაგრძელების შესახებ. ჯონ გადდესდენელის კალამს ეკუთვნის პრაქტიკული მედიცინის სახელმძღვანელო *Rosa anglica*. მონპელიეს სკოლის პროფესორთა შორის 14 საუკუნის დასაწყისში ცნობილია გილჰელმი დებეზიე, ვილჰელმა კორვი, *Practica*-ს (ცნობილი პრაქტიკული სახელმძღვანელო) ავტორი. მე-41 საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწეობდა ბერნარდ ალბერტი—შრომა შარდის და ციებ-ცხელების შესახებ, იოანე იაკობი და იონეფონ ტორნამირი. პირველს ეკუთვნის შრომა შავი ჭირის შესახებ, შირიმის შესახებ, მეორეს კი *Introductorium*. 1304 წ. მონპელიეში ჭირურგიას და ანატომიას ასწავლიდა ჰენრი ემონდვეილი, მეცნიერი სქოლასტიკოსი, ექიმი და ცნობილი ჭირურგი. თვალი რომ გადაავლოთ მონპოლიეს სკოლის სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას სამი საუკუნის განმავლობაში, დავინახავთ, რომ იგი მეთოთხმეტე საუკუნემდე თავისუფალი იყო სქოლასტიკისაგან.

სქოლასტიკა მედიცინაში. (პარიზი, ბოლონია, პადუა).

მეცამეტე საუკუნის დასაწყისში თილდე კორბელიმა სცადა საღერწოს მედიცინა გადაეტანა პარიზში. სწავლა შარდის, მაჯის-ცემის, წამლების შესახებ, თერაპიის ნარ-

—კვევება—სალერნოს სკოლის იდეათა გავლენის ქვეშ—
ლექსად იყო დამუშავებული. ა ფრანგეთის განათლებულ
წრეებში დიდი გავლენა მოახდინა მაურუსის და შრუსოს
შრომების გაცნობამ. მე-13 საუკუნის დასაწყისში პარიზ-
ში მოღვაწეობდა ცნობილი ექიმი და ფილოსოფოსა ჟან
დე სანჟელი, რომელიც შემდეგ იყო მასწავლებლად მონპე-
ლიეში. მის მიერ არის დაწერილი ტრაქტატი ადამიანის
ოგრანიზმის აგებულობის შესახებ. პონტიდე სანტოვედიო
მოვიდა პარიზში მონპელიედან, დაწერილი აქვს სამედი-
ცინო კომპენდიუმი. ეროლმა სახელი გაითქვა თავისი
კომენტარიებით, სამკურნალო განათლება მიღებული ჰქო-
ნდა სალერნოში და მონპელიეში. პრაქტიკას ეწეოდა პა-
რიზში. აშგვარათ ამ სამ სამკურნალო სკოლათა შორის
არსებობდა დამოკიდებულება. პარიზი პირველ ხანებში
არ იყო ასეთი ქალაქი, სადაც სწავლობდნენ მედიცინას.
ქირურგიამ კი ადრე მოიკიდა ფეხი და მე-13 საუკუნის
დასაწყისში დაარსებულმა Collège del st. Côme დიდი
სახელი მოიხვეჭა. ქმნიდნ როგორც თეორიას, ისე ქირურ-
გიული ხელოვნების პრაქტიკას. დიდი ღვაწლი მიუძღვის
ჟან პიტარს, რომელმაც გზა გაუკაფა დიდ ლინტრანკს
ვისაც მედიცინის შესწავლა უნდოდა მე-13 და მე-14 საუ-
კუნეებში მიდიოდა უფრო ხშირად მონპელიეში, პადუაში
და ბოლონიაში, ვიდრე პარიზში, ე. ი. იქ, სადაც სამედი-
ცინო სკოლასტიკის მთავარი რეზიდენცია იყო. ბოლო-
ნიის სკოლამ და ექიმებმა დიდი სახელი გაითქვეს მეც-
მეტე საუკუნეში—მათი მეთაური იყო თადეო ალდე-
როტი (1223—1303 წ.). რა არის სკოლასტიკური მედი-
ცინა? უზადრუკი მეცნიერება და უზადრუკი ხელოვნება.
აი, ბეჭედი, რომელიც აზის მედიცინას საშუალო საუკუ-
ნეების დასაწყისში კონსტანტინემ შეიტანა ახალი ნაკა-
დი არაბული მედიცინის სახით ამ უდაბნოში. სკოლას-

ტიური იყო მედიცინა იმიტომ, რომ მოწყვეტილი იყო ცხოვრებას და ცალმხრივი სასკოლო მიმართულება ქონდა. ამას მიემატა ერთი გარემოება, რომელსაც შეიძლება უწოდოთ ცოდნის და რწმენის mésalliance-ს (უსწორო შეუ-



სურ. 13.

კეთრით დაავადებულის გაშინჯვა

ლლება). ჯერ ღვთის მეტყველებამ, შემდეგ ფილოსოფიამ არისტოტელის მ შთანთქა ცოდნა. არისტოტელი ბერძნუ-

ლიდან ითარგმნება სირიულ ენაზე, სარიულიდან არაბულზე, არაბულიდან ლათინურზე, თარგმანი ხშირად ირყვნება, მახინჯდება, ხშირად ზედმეტსაც უმატებენ. მედიცინა იძულებული იყო, როგორც თეოლოგია და „ხელოვნებები“, შემოსულიყო სქოლასტიურა სამოსი და მიეღო მთლიანად დედუქტიური მეთოდი, ე. ი. გარკვეული სილოგიზმების და აქსიომების საშუალებით სისტემატიზაცია ავტორიტეტების და ზოგადი პრინციპების მეოხებით. სწავლის საფუძველი იყო ლექცია, გარკვეული ტექსტის ახსნა. ლექციების კითხვა წყდებოდა ყოველ ორ კვირაში „მორიგი დისპუტისათვის“. ორხელ წელიწადში იმართებოდა დიდი დისპუტი. ყოველ სტუდენტს და ყოველ უნივერსიტეტის კორპორაციის წევრს უფლება ქონდა, წამოეყენებია, როგორც უნდოდა, საკითხი და მოეთხოვა მისი გამოკვლევა. შეიქმნა დისპუტის ფართო ლიტერატურა, კამათის საფუძველი იყო florilegia, ავტორიტეტთა აზრების კრებული. ბუნებისმეტყველება და მედიცინა მოშორდა ცდას და შეტოვა დედუქციასა და დასკვნების ზღვაში. ტიპური წარმომადგენელი ამ სქოლასტიკის იყო თადდეო ალდეროტი. მისი მოწაფეები ბოლონიაში იყვნენ ვილჰელმ კორეი, ბუანო დი გარბო, ბართლომე ვარინიანა პადუას სკოლამ სახელი გაითქვა პიეტრო აბანოდან. პიეტროს მოწაფეები იყვნენ სანტა სოფია და დეიდონდა; ჯაკომო დეიდონდომ გამოიკვლია სამკურნალო წყლები. ენტილდე ენტილი და ფოლანო საუკეთესო კომენტატორები იყვნენ ავიცენის. 1450 წ. პროფესორმა მიქელ სავონაროლამ დასწერა ორიგინალური სახელმძღვანელო შინაგანი მედიცინისა. 1348 წ. მძვინვარებდა „შავი სიკვდილი“ (შავი ქირი) მთელ ევროპაში. ამ ბრძოლის დროს გამოიჩინა, რომ მედიცინა მთლად არ შთაუნთქავს სქოლასტიკას და მას აქვს ელემენტები პროგრე-

სისა. თავიდანვე მიღებულ იქმნა სასტიკი საკარანტინო ზომები, იკეტებოდა ნავთსადგურები, ეწყობოდა საიზოლიაციო წერტები, შემოდებულ იქმნა დეზინფექცია ყველაფერის, რაც ავადმყოფთან ახლოს იყო. დაიწერა აუარებელი შრომა უამის შესახებ. საშუალო საუკუნეების მიწურულში შეენიერად ჩატარებულ იქნა ბრძოლა კეთრის წინააღმდეგ 1400 წლისათვის გერმანიაში და საფრანგეთში 10.000 საიზოლიაციო სახლი იყო კუროვანება-



სურ. 14.

ანატომიის ტიპური გაკვეთილი ბოლონიაში. სურათი ამოკრილია ხეზე, 1535 წ.

საჩვის, და ექიმები ხედავდნ თუ რა შესანიშნავი შედეგი მიიღეს, ამ დაკვირვებებმა შექმნეს სწავლა *morbus contagiosus*-ს შესახებ, ე. ი. ინფექციის უშუალო გადადების შესახებ. მათ რიგს ეკუთვნოდა: კუარი, ინფლუნცა, ბლენორეია თვალის, ტრახომა, ბლერი, იმპეტიგო, ციმბირის წყლული, დიფტერია, წითელი ქარი, ტიფის ციებ-


ცხლედა, ჭირი და ფილტვების კლეჯი, შემდეგ მიემატა ათაშანგიც. შემდეგ შავი ჭირის ეპიდემია. დებულება „ასე ამბობდა გალენი“, შეცვალა დებულებამ „მის შემდეგ, რაც ჩვენ დავინახეთ, თუ რას ვგრება შავი ჭირი“. უკვე, აუ სენი საშიშროებას წარმოადგენდა მთელ სახელმწიფოსათვის, ან მისი ნაწილისათვის მმართველები სთხოვდნენ ექიმებს გამოემუშაებიათ პროფილაქტიური წინასწარი გამაფრთხილებელი ზომები, როგორც პიროვნული, ისე საზოგადოებრივი ხასიათის, რომელიც ტარდებოდა შემდეგ ცხოვრებაში მთავრობის სანქციის თანახმად. მეთოთხმეტე საუკუნეში ბოლონიაში ანატომიის სწავლების დროს უკვე აწარმოებენ გვაჰების გაკვეთას, დიდი ღვაწლს მიუძღვის ამ საქმეში მონდინოს. პადუაში 1341 წ. ჟანტილე დი ჟანტილეს მონაწილეობით მოხდა პირველი გვამის გაკვეთა: აღსანიშნავია ცნობილი ქირურგის ჰენრი დე ემონვიდევილის ლექციები ანატომიისა, მას არ ქონდა საშუალება დემონსტრაციები მოეხდინა გვამზე, ხმარობდა მხოლოდ მის მიერ გაკეთებულ ანატომიურ სურათებს.

მედისინა ჰუმანიზმის და ალორძინების ხანაში.

ბრძოლა ბერძნულსა და არაბულ მედიცინას შორს.

მეთოთხმეტე საუკუნეში განსაკუთრებით ფრანჩესკო პეტრარკმა დაიწყო ბრძოლა არაბულ მეცნიერებასთან. უყურადღებოდ არ დატოვა არაბული მედიცინა, ესოდენ გავრცელებული, როგორც იტალიაში, ისე დასავლეთში, მეთოთხმეტე—მეთუთხმეტე საუკუნეებში უკვე ჩნდება ბერძნული მედიცინის დედნები. ამას თუ დავუმატებთ, რომ ამ ეპოქისათვის უკვე დაგროვდა საკუთარი ალორძინებული მედიცინის ნაშრომი და როგორც ფილოსოფიამ შესძლო მისგლა უშუალოდ არისტოტელამდე ისე მედიცინაც

გამოდის დაბეჭდილი სამედიცინო წიგნები. დიდი მნიშვნელობა საერთოდ მეცნიერების თავისუფალი განვითარებისათვის და მისი განთავისუფლებისათვის სქოლასტიციზმისაგან ქონდა მეთუთხვეტე საუკუნის მაწურულის უდიდეს ფაქტორს, ახალი ქვეყნების აღმოჩენას. მარკოპოლომ იმოგზაურა მთელ აზიაში, ვასკოდეგამამ და კოლუმბმა აღმოაჩინეს მსოფლიოს თითქმის მთელი ნახევარი თანდათან ახალგაზრდა მეცნიერნი დარწმუნდნენ, რომ



სურ. 16.

გალენის თხზულების ტექსტის დასაწყისი; ვენეცია 1490 წელი
შესრულებულია ხელით.

ანტიურ ქვეყანას ბევრი რამ არ ცოდნოდა, რომ მაგ., ბოტანიკაში მცენარეულობათა გვარი და სახეები გაცილებით მეტია, ვიდრე ეს ეგონათ ძველ ავტორიტეტებს. განსაკუთრებით ღვაწლი მიუძღვის ბოტანიკის მეცნიერულ ნიადაგზე გადაყვანის მზრით გერმანელ ექიმებს — ოტტო ბრუნფელს, იგრონიუს ბოკს და ლეოპოლდ ფუქსს. ბოტანიკის მასალის დამუშავებაში ჩანს რენესანსის

მისწრაფიბა ინდუქციისადმი, რომელმაც მე-17 საუკუნეში ბუნების გაფართოებული ემპირიული შემეცნების მეოხებით სასიკვდილო ლახვარი ჩასცა სქოლასტიკას. გაჩნდა „აზალი სენები“, ასე ფიქრობდენ, ვინაიდან ძველ თხუზულებებში მათ შესახებ არაფერი იყო თქმული. მეთუთხვტე საუკუნის ბოლოში აღწერილია ზენინგეტი, ათაშა-



სჯრ. 17.

1493—1534

თეოფრასტ ფონ გოგენჰეიმი მეტი სახელი — პარაცელსი

ნგი. 1546 წ. შესანიშნავმა უიროლოამო ფრანკასტრომ საფუძვლიანად განიხილა საკითხი კონტაგიებისა და კონტაგი-

ოზური სენების შესახებ. იწერება აუარებელი შრომები ავიცენას და გალენის დასაცავად და საწინააღმდეგოდ. აქ დროს გამოჩნდა უდიდესი ექიმი და რეფორმატორი პარაცელსი (დაიბადა 1493 წ.). მისი ნამდვილი სახელი და გვარია ტეოფრატ გოგენჰეიმი. მუშაობდა გერმანიის სხვადასხვა უნივერსიტეტებში. აგრეთვე არის ცნობები, პარიზში, რომში, გრენადაში, ლისაბონში. იმოგზაურა ინგლისში, რუსეთში, პოლონეთში, უნგრეთში. ბერძნულ მეცნიერებას მისი შეხედულებით არავითარი უპირატესობა არ ქონდა არაბულ მეცნიერებასთან. ქიმიურმა ცოდნამ მას საშუალება მისცა მოემხადებია პრეპარატები რკინის, სპალენძის, ანტიმონის სინდიყისა. პარაცელსმა აშკარად დაინახა ჰემორალური პათოლოგიის და ფიზიოლოგიის სიცალიერე, ეს საუკუნეობრივი შეცდომა მან გაიგო, რომ სისხლში და ორგანიზმის სხვა წვენებში არ შეიძლება იყოს ლორწო, ყვითელი და შავი ნალველი რომ მედიცინა უფრო აზროვნობს, ვიდრე ანგარიშს უწევს ფაქტებს. კაპიტალური მისი შრომა: ზოგადი ეთიოლოგია სენების, აღწერა გერმანული სამკურნალო წყლებისა, აღწერა ქიმიური მედიკამენტების მომზადების და მიღების აშენებულია ფაქტებზე, რომელნიც მან დააგროვა წლების განმავლობაში. 1529 წ. გამოვიდა მისი შრომა ათაშანგის წამლობის შესახებ, იმავე წელს დიდი ქირურგიის სახელმძღვანელო (1536 წ.). პარაცელსს ეკუთვნის შრომები ფიზიკაში, ქიმიაში, ასტრონომიაში, ეთიკაში. უდიდესი დამსახურება პარაცელსის იმაშია, რომ იგი ცდილობდა დაედო მედიცინისათვის საფუძვლად ცდა; დაკვირვება ბუნების მოვლენებზე და ექსპერიმენტი. პარაცელსის დასახასიათებლად საუკეთესოა მოვიყვანოთ მისი პირველი ლექციის ნაწყვეტი მის მოწაფეთა წინაშე, და თუ როგორ მნიშვნელობას აძლევდა მედიცინისათვის ეთი-

კ ს, თავისი კუჩხის ბაზელში 5 ივნისს 1527 წ. მან დაიწყო ასე: ახლანდელ დროს მხოლოდ ზოგიერთს აქვს ბედნიერება წარმატებით შეისწავლოს სამკურნალო ხელოვნება. ჩვენ გვინდა გავფშინდოთ ის უხეში შეცდომებისაგან. არ




სურ. 18.

1452—1519

ლეონარდო და ვინჩი ავტობოროტრეტი

არის საჭირო, ხელი მოეკიდოთ ჰიპოკრატეს, გალენს, ავიცენას, ექიმს ქმნის არა მჭევრმეტყველება, ენათა ცოდნა, წიგნების შესწავლა, არა ტიტულება, არამედ ბუნების საიდუმლოებათა შესწავლა. ყოველდღე ორ-ორი სა-



ათი წავიკითხავ საკუთარი სახილმძღვანელოებივით კრა-
ქტიკულ და თეორიულ მედიცინას (არ შეეხანხლავ ჰიპო-




სურ. 20.

1515—1564 ანდრეას ვეზალი. ამოჭრილია ხეზე.

კრატეს და გალენის ნამცეცებიდან), დაფუძნებულს საკუ-
თარ გამოცდილებაზე, რომელიც ზივიდე უდიდესი მასწა-

ვლებელისაგან—ბუნებისაგან. დამტკიცებისათვის საჭიროა არა ავტორიტეტები, არამედ ცდები და გამოცდილება



სურ. 21.

დედაკაცის მუცლის ღრუს ორგანოები. ამოღებულია ვეზალის შრომიდან „Fabrica“ 1543 წ.

ეთიკის შესახებ: ექნმი არ უნდა იყოს მლიქვნელი—მატყუარა, კორიკანა, ბებრუხანა, მტანჯველი, ქარათუტა.

უნდა იყოს სამართლიანი, მართებული, ექიმმა დღე-ღამე უნდა იფიქროს თავის ავადმყოფზე, ყოველდღე ყური უნდა უგდოს მას, ფიქრი და აზრი მისი მიმართული უნდა იქნეს ავადმყოფის მოზრუნისაკენ. ძალა ექიმისა-მის გულშია, მის შრომას უნდა უხელმძღვანელოს ღმერთმა და ის გაციკროვნებული უნდა იყოს სინათლით და გამოცდილებით. უდიდესი საფუძველი მკურნალობის-სიყვარულია.


უდიდესი განვითარება ანატომიამ პარაცელსის სიკვდილის შემდეგ მიიღო დიდებული ვეზალის მეოხებით. დიდი ღვაწლი ანატომიის განვითარებაში მიუძღვის გენალურ შატვარს ლეონარდო და ვინჩის, მისი შრომა გრძელდებოდა ათეული წლები; 30 გვამისაგან გაკეთებული პრეპარატების საშუალებით შექმნა ასეული ანატომიური სურათი—ნახატი. ეს იყო მოძრაობის ანატომიის დამფუძნებელი. ანდრე ვეზალი დაიბადა 1515 წ. ბრიუ-



სურ. 22.
ბონზი „Epitome“-დან 1543 წ.

სელში. მედიცინა შეისწავლა პარიზში. 23 წლისა უკვე იყო ქირურგიის და ანატომიის პროფესორი. პირველი მისი ანატომიური შრომა *tabylae anatomicae*. 1543 წ. ბაზე-

ლში გამოსცა ადამიანის ნამდვილი ანატომია-ფეზალიმ პირველმა გახადა ანატომია მეცნიერებად; გამოიკვლია არა მარტო სხეულის ნაწილები, არამედ ადამიანის აგე-



სურ. 23.

გაბრიელ ფალოპია, 1523—1562.

ბულ. იბა ალწერა ისე კარგად დაწვართოდ, რომ შის შე-
მდეგ სამი საუკუნის განმელობაში ვერაფერ ვერ შესძლო

უკეთ აღწერა, თუმცა შის მეთოდის ხმარობენ. აღსანი-
შნაია ცნობილი გაბრიელი ფალლოპია (1523 1562 წ)



სურ. 24.

1510—1590. ამბრუჯ პარე.

დატოვა შრომები ათაშანგზე, ძელის სისტემის შესახებ, სმენისა და მხედველობის აპარატის შესახებ და ქალის სქესობრივი ორგანოების შესახებ. მიხეზბლ სერვეტი, რომელმაც გარკვევით აღწერა სისხლის მიმოქცევის მცირე

წრე. უდიდესი ქირურგი იყო ამბროუზ პარე. დაიბადა 1510 წ. დატოვა ორი დიდი ქირურგიული შრომა, წიგნი ჭრილობების მკურნალობის შესახებ. ბევრს მუშაობდა აგრეთვე მენაობაში, შემოიღო ბავშვის ფეხით მოძრუნება. მან პირველმა მიაქცია ყურადღება ბავშვის მოძრაობას მუცელში იმის გამოსარკვევად, ცოცხალია, თუ არა ის,



სურ. 25.

მშობიარება სკამზე. (რუფის Trostbucchle

პირველმა გააკეთა საშვილოსნოს გაკვეთის ოპერაცია გვამზე.

ვოგენჰეიმ (მეტე სახელი) პარაცელსი ამტკიცებდა

რომ შველა მხოლოდ ექიმს შეუძლია. მხოლოდ ჰიპოკრატეს უკავია მკვიდრი ადგილი მედიცინაში, დანარჩენები



სურ. 26.
1561—1626
ფრენსის ბეკონი.

კი უნდა გაქრენ. იყვნენ სხვებიც, რომლებიც ხელაფლენ-
ჰიპოკრატეში ინდუქციის მამა-მოაზარს. სკოლასტიკას მე

დიცინაში გამოეცხადა სიკვდილი-სიცოცხლის ბრძოლა და 1562 წ. ფრანგმა პიერ დელა რამემ მოითხოვა, რომ მედიცინა სამუდამოდ განთავისუფლდეს სქოლასტიკისაგან. კლინიკურმა მიმართულებამ უდიდესი და განსაკუთრებული ადგილი დაიჭირა საექიმო განათლებაში. კლინიკურმა კაზუისტიკამ საბატივო ადგილი დაიკავა, ინდუქტიური მეთოდით ჰაერი გაჟღენთილი იყო, მაგრამ მისი საბოლოო გამარჯვებისათვის და დამკვიდრებისათვის საჭირო იყო მასწავლებელი-ფილოსოფოსი, ფილოსოფურად მიმართული გონების მქონე მასწავლებელი. ასეთი იყო ფრენსის ბეკონი, ვერულამელი, რომელმაც (1551-1625 წ.) თავის შრომებში შექმნა ახალი მეცნიერული მეთოდი შეგნებულა ინდუქციის, ე. ი. ცდაზე, დამყარებული. ინდუქტიური გამოკვლევის საფუძვლები მან ფილოსოფიურ პრინციპად აქცია, რომ გაეფართოებია ადამიანის ძალაუფლება ბუნებაზე, და მოესპო ცრუმორწმუნეობა, შიში და მოჩიჩალება ავტორიტეტების წინაშე. ბუნების მოვლენათა ახსნის დროს მასი დასაყრდენი იყო ფიზიკა, ცდა, ექსპერიმენტი, გამოცდილება კლანიკაში, ფიზიოლოგია, დიეტეტიკა, ანატომია. აი, სამედციწო მეცნიერების საფუძველი. მეტეორაღეტე საუკუნეში ბიოლოგიამ დაიჭირა საკადრისი ადგილი მედიცინაში.

მედიცინა მმ-17 საუკუნეში.

ვილიამ ჰარვეი —ახალი ფიზიოლოგია.

მე-16 საუკუნის რეფორმატულმა მისწრაფებამ ყველასე დიდი ნაყოფი ანატომიაში გამოიღო ვეზალის და მისი მრავალრიცხოვანი მოწაფეობის დაუღალავი შრომის გამოისობით. თუმცა გალენის მოძღვრება სამუდამოდ დამარხული არ იყო, მისი გავლენა ძლიერ შესუსტებული

იყო და ანატომია გახდა წმინდა ნატურალისტულ მეცნიერებად. საფიქრებელი იყო, რომ ამ გზით იცლიდა ფიზიოლოგიაც, მაგრამ ეს არ მოხდა. ანატომიის განვითარებისათვის საჭირო იყო მხოლოდ დაკვირვება, ფაქტების სწორი გაიაცემა ფიზიოლოგისათვის კი აუცილებელია მრავალმხრივი საბუნებისმეტყველო მომზადება და საფუძვლიანი ცოდნა



სურ. 27. ვილიამ ჰარვეი 1587—1657

ქიმიისა და ფიზიკის. ნატურალისტურ გამოკვლევების საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის რენე დეკარტს (1596—1650 წ) დიდი დაუფასებელი მნიშვნელობა ჰქონდა მე-

დიცინისათვის დეკარტის ყველა მოვლენათა მექანიკური გზით ახსნას. მისი დებულებაა: ორგანიზმი წარმოადგენს, მანქანას. რომელიც ექვემდებარება მექანიკის კანონებს და სხეულის ყველა ფუნქციები დამყარებულია უშთავრესად მოძრაობის პრცეზე—მაგარ დი თხელ^მ მის ნაწილებში. დეკარტი ძირითად აზრებში უახლოვდება ვილიამ ჰარვეის, რომელმაც შეძლო ფიზიოლოგიის ნამდვილ მეცნიერებად გადაქცევა. ჰარვეი დაიბადა 1578 წ. ფილქსტორში. მედიცინის სწავლა დაიწყო კემბრიჯში და დამთავრა პადუაში. ლონდონში ასწავლიდა ანატომიას და ქირურგიას. ჰარვეის დამახასიათებელი თვისება იყო თავდაბლობა, რამაც დალი დაასვა, როგორც მის პიროვნებას ისე მისი შრომების გამოქვეყნების ისტორიასაც.

მაგალითად, მისი 15 წლის მრავალრიცხოვანი დაკვირებები და ექსპერიმენტები სისხლის მიმოქცევის პრობლემის შესასწავლად დაწერილი იყო და ხელნაწერი ინახებოდა რამდენიმე წელი, ვიდრე 1628 წ., როდესაც ჰარვეიმ გაბედა გამოეტანა საჯაროდ თავის შრომა „*Exercitatio anatomica de motu cordis et sanguinis in animalibus*“ ამ შრომით მან დაამტკიცა, რომ სისხლის მოძრაობა ფილტვებში და გულში ისე, როგორც მთელ სხეულში წარმოიხდის პარკუჭების პულსაციის ძალით. რომ სისხლი გადადის ვენებში და რბილ ნაწილთა ნესტვებში, სისხლი შემდეგ დამოუკიდებლად მიმდინარეობს ვენების საშუალებით პერიფერიიდან ცენტროსაკენ, მცირე ვენებისაგან დიდებში და ბოლოს ღრუ ვენის შემწეობით გადადის გულში. თვით პროცესები გულში სწორედ აყო აღწერილი ცალკე ფაზების მიხედვით და დაკავშირებული სისხლის მიმოქცევასთან. ჰარვეის სისტემის ნაკლი მაშინდელ ის იყო, რომ მან არაფერი იცოდა კაპილარების შესახებ. მისმა დებულებამ *omne vivum ex ovo* ხელ-

დასმით მოსპო ფანტასტიური თეორიები ჩასახვის შესახებ. წინააღმდეგობა ამ დებულებამაც გამოიწვია, ვიდრე 1677 წ. აღმოჩენილი არ იქნა სპერმატოზოიდი, რამაც დაამტკიცა რომ კვერცხი ერთად ერთი წყაროა სიცოცხლის



სურ. 28.


1632—1723

ანტონ ვან ლევენჰუკი

პარეის აზრების განმტკიცებამ გამოიწვია ფიზიოლოგიის ახალი საკითხების წამოყენება და დამუშავება. ამას ხელს უწყობდა ის, რომ 1622 წ. კასპარ აზელლის მიერ აღმო-

ჩენილი იყო ქილუსის ჭურჭლები (coeva) იოჰან ველსინგმა დაამტკიცა გულშეკრლის სადინარისა და ყველა ქილუსისა და ლიმფური ჭურჭლების არსებობა. სისხლის სისტემის დაწვრილებითი შესწავლა შესაძლებელი გახდა მის შემდეგ, რაც ფრიდრიხ რიშემ შემოიღო ინიექციის წესი, ანატომიურ-ფიზიოლოგიური გამოკვლევებისათვის უფრო საჭირო შეიქნა მიკროსკოპი, ჯერ კიდევ ანტონ ლევენჰუკმა (1632—1723წ.) დაამტკიცა, რომ მიკროსკოპის საშუალებით შესაძლებელია ისეთი საიდუმლოების აღმოჩენა, რაც ყოვლად შეუძლებელია თვალისათვის (ზოგიერთის აზრით, მიკროსკოპი გაკეთებულია 1621 წ. კორნელი დრებელის მიერ. (ზოგიერთის კა უფრო ადრე, მეშუშე მანს და ზაქარია იანსენებს მიერ) მიკროსკოპით მუშაობის შედეგი დიდმა იყო. სტრუქტურა კუნთების ძვლის ქსოვილის, დეტალები კაპილარული სისხლის მიმოქცევის სხვა მრავალი და წვრილმანები გამორკვეული იქნენ. კონრად შნეიდერმა დაამტკიცა, რომ ლორწო პროდუქცია არის ყოველგვარი ლორწოვანი გარსისა. ამით დასამარდა ძველი მედიცინის შეხედულება, რომ ლორწო მზადდება ტვინში. ამისათვის მოასპო ძველი ჰიპოტეზა, რომელიც იყო ორთა ათასი წლის განმავლობაში ფუძე ჰუმორალური პათოლოგიის თეორიისა. დეკარტის გავლენის ქვეშ აღმოცენებული მისწრაფება ფიზიოლოგიის დაფუძნება ფიზიკის და ქიმიის კანონებზე — აღტაცებით მიღებულ იქნა მეურნალთა მიერ. ამის შედეგი იყო ორი სკოლის წარმოშობა, მაგრამ ამაზე ქვემოთ. სწორი გეზი იყო აღებული. თავიდანვე ცდილობდნ დაწვრილებით შეესწავლათ აგებულება და ფუნქციები ნორმალური ორგანიზმისა, რომ შემდეგ შესაძლებელი ყოფილიყო პათოლოგიის ძნელი პროცესების გაგება. ზოგიერთებმა, ვინცა წინასწარ სცა-

და ეს, როგორც, მაგალითად, იოჰანე ბაპტისტი და ვან¹ ჰელმონტი, ვერას მიაღწიეს და ამგვარი ცდის ზნაყოფო-ფობამ დაამტკიცა, რომ შეუძლებელია ძველ ფორმებში, ახალი ფორმების შეტანა. თავის ძირითად შრომაში სი-ცოცხლის ყველა პროცესებს უქვემდებარებს Archaeus-ს სიცოცხლის უმაღლეს დასაწყისს, სხეულის ნაწილს აქვს



სურ. 29.

ლევენგუკის მიკროსკოპი

საკუთარი Archaeus insitus თუ მათ შორის ჰარმონია სუფევს, ნორმალური სიცოცხლეა ჯანმრთელობა. ცალკე Archaei insiti იების რეგულიატორია Archaeus iuflusis, რომელიც მოძრაობს უმაღლესი გონებით. მისტიური აზ-

რებისდა მიუხედავად ამ მეცნიერს ძლიერი ნატურალისტური ჭკუა-გონება ქონდა და მისი შრომები საინტერესოა ამ მხრით. მან აღმოაჩინა ნახშირის მკაფა და საერთოდ პირველმა გაარკვია, თუ რა არის გაზი; ცდილობდა ცალკე დაავადებისათვის მოენახა ქიმიური საფუძველი მაგრამ ისევ უბრუნდება საბოლოო ახსნის დროს თავის Archaeus-ებს და, ვინაიდან ეს იყო ეპოქა, როდესაც სპეკულიატური დასკვნები ადგილს უთმობენ წმინდა საბუნებისმეტყველო მეცნიერულ დამუშავებას ანატომიის და ფიზიოლოგიის საკითხებისას, ვანჰელმონტმა ვერც სკოლა შექმნა და ვერც მოწაფეები გაიჩინა.

იატრო-ქიმიკოსების და იატრო-ფიზიკოსების სკოლა

მე-17 საუკუნის პირველ ნახევრის სამკურნალო მეცნიერების უეჭველმა პროგრესმა გამოიწვია ზოგიერთ მეცნიერებაში მისწრაფება, შეექმნათ მთლიანი სისტემა დაყრდნობილი ამ ეპოქის სამეცნიერო მიღწევებზე; ფიზიკამ და ქიმიამ, რომელთაც დიდი მნიშვნელობა უკვე შეძენილი ქონდათ, აასრულეს დიდი როლი მედიცინაში ორი სკოლის შექმნის საქმეში. ერთი სკოლა ცნობილია იატრო-ქიმიკოსების სკოლის სახელწოდებით, მეორე კი იატრო-ფიზიკოსების. პირველი სკოლის დამაარსებელი იყო ლეიდენელი პროფესორი ფრანც დელაბოე სილვიუსი ეს იმას არ ნიშნავს, რომ მარტო მას ეკუთვნის ეს იდეების გამოსვლამდე არსებობდა მთელი რიგი კათედრებისა „იატრო-ქიმიის“ შესასწავლად. ხოლო სილვიუსი იყო პირველი, რომელმაც შესძლო ნამდვილი სკოლის დაარსება: სილვიუსი თვით იყო გამოჩენილი ანატომოსი (მისი შრომები ტვინის აგებულობის შესახებ *fossa sylvii*) მისი სწავლის გამოსავალი იდეა იყო ცნება ფერემენტაციის შესახებ. არსებობს ჰიპოტეტური ნივთიერება „ფერმენტი“

რომლის გავლენით ერთი ნივთიერება გადადის მეორეში მისი წარმოდგენით, არა მარტო საზრდო საქმლის გავლენით, არამედ წარმოობს ჩერწყევში და კუჭის ქვეშა ჯირკვლის სეკრეტში, არამედ იმავე დროს გამომუშავება სისხლის მიერ ისეთ ნივთიერების, რომელიც საჭიროა ორგანიზმის აგებულობისათვის, ზოგიერთი ფერმენტების დახმარებით, ეს ფერმენტები კი მოაქვსთ ლიმფას და ნაღველს სხეულის სითბოს გავლენით (calor innatus) და სიფოცხლის სულები (spiritus) მეოხებით ჩნდებიან საბოლოო პროდუქტები ორი გვარი—ტუტოვანი და მჟავე მათ შორის არსებული წონასწორობა აუცილებელია ჯანმრთელობისათვის. და ავადების მიზეზია წარმოშობა ერთგვარი „სიმწვა ის (acrimonia) ტუტოვანის ან მჟავე ხასიათისა: მათგან წარმოდგება ცვლილება სისხლის, ნაღველის; ლიმფის და ისინი აფერხებენ ნივთიერებათა გაცვლას. ყველა სენა დაავადებანი განიყოფება ორ დიდ ძირითად ჯგუფად იმისდამხედვით, თუ რაზეა დამოკიდებული. მჟავე სიმწვანენი თუ ტუტოვანი სიმწვანენი ეს აზრებო აძლევდა თერაპიას მარტივ საფუძველს. მთავარი ამოცანა იყო გამორკვევა, თუ რომელ სიმწვავესთან გვაქვს საქმე. ამის შემდეგ მკურნალობა წამლობა ქიმიური ნივთიერებების და მიხედვით უნდა წარმოებდეს „contrari contrarius curantur“ პრინციპისდამხედვით ე. ი. ერთ შემთხვევაში უნდა შევადაროთ ორგანიზმში ტუტოვანი ნივთიერებანი, მეორე შემთხვევაში მჟავე. მკურნალობის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს სათანადო დიეტის დაცვას. სილვიუსმა და შისმა მეთოდმა დიდი გავლენა მოიპოვა მაშინდელ ექიმთა შორის. ამის მთავარი მიზეზი იყო შესანიშნავი სამასწავლებლო ტალანტი და მისი დიდი მიღწევები ანატომია ქიმიიაში. ქიმიურ სკოლას ბევრი მიმდევრები ჰყავდა გერმანიაში, და-

ნაში, ნაკლები საფრანგეთში, ინგლისში, იტალიაში. ამ ქვეყნებში დიდი გავლენა მოიპოვა მეორე სკოლამ, იატრი-ფიზიკოსების სკოლამ. ამ მიმდინარეობის აღმოცენების სტიმულად უნდა ჩაითვალოს სისხლის მიმოქცევის აღმოჩენა. ამ მოვლენის მექანიკური ახსნის შემდეგ იყო ცდა რომ ორგანიზმას ყველა პროცესებისათვის მოენახათ ფიზიკური ახსნა. იმ ეპოქაში ფიზიკის ცოდნა მეტი იყო ვიდრე ქიმიისა და ამისათვის მისი გამოყენებაც მედიცინაში უფრო სხვადასხვანაირი იყო. ეს ჩანს იმ მიდგომიდან თავას პრობლემისადმი, რომელიც ახასიათებს იატრო ფიზიკის დამაარსებელს.

პროფესორი სანტორიო—სანტორო (1561—1636 წ.) მოღვაწეობდა პადუაში და ვენეციაში. გასაკვირვლი მოთხინებით მუშაობდა ის 30 წლის განმავლობაში ნიეთაერებათა გაცვლის საიდუმლოების ასახსნელად. სხვადასხვა მუშაობისათვის საჭირო აპარატი მისივე კონსტრუქციის იყო: სასწორი, მაჯის ცემის გამომკვლევი, თერმომეტრი ჰივრომეტრი და სხვა. გამოკვლევის ობიექტა ადამიანები იყვნენ, მათ შორის თვითონაც; სწაღდა გამოერკვია შეფარდება ორგანიზმში შეტანილ ნიეთიერებათა ბედი ორგანიზმიდან გამოყოფამდე. ეს გამოკვლევები გამოქვეყნებულია 1614 წ. შრომაში *Ars de statica medicina* უკიდურესი ცალმხრივობით, უკუგდებული ქონდა ქიმიური თვალსაზრისი სრულებით, სანტორიო სანტორო ფიქრობდა ორგანიზმის პროცესებისათვის მოენახა მექანიკური ახსნა. საქმლის მონელება, მისი აზრით, მხოლოდ საზრდოს მექანიკური დაღეჟვა არის. ხილუის მიღება ნაწლავის შეკუმშვის შედეგია, გამოყოფა განსაკუთრებული *vis a tergos*-ის საშუალებით წარმოიბს სუნთქვა—გულმკერდის მექანიკური მოძრაობის შედეგია, სხეულის სითბო—სისხლის ნაწილების შორის ერთმანეთის ხახუნის შედეგია.

და სხვა. ჯანმრთელობა არის ყველა ფიზიკურ-მექანიკური პროცესების სწორი, წესიერი მსვლელობა. დიდი მნიშვნელობას აძლევდა ორგანიზმიდან მცირე გამონაყოფებს (კანით, ფილტვებით). თერაპია სულ მარტივია იყო ოფლის დენა თითქმის ყველა დაავადებას განკურნავს. სანტორიოზე უფრო შორს წავიდა რომის პროფესორი ჯორჯიო ბალვი (1668—1707 წ.), რომელიც სრულებით უარყოფდა ქიმიურ ცვლილებებს. ყველა ორგანიზმის პროცესს აღარებდა მექანიკურ მივლენებს, არტერიებსა და ვენებს აღარებდა ჰიდრავლიკურ მიღებს, გულს—საქანელს, ჯირკვლებს—საცერს, კუნთებს—აზარმაცს და ასე ამ გვარად. დაავადების ყველა მოვლენებსაც ხსნიდან ორგანიზმის ფიზიკური ცვლილებებით. ორივე სკოლამ თეორიული მედიცინას ბევრი ცალკე საგულისხმო ფაქტი მისცა, მაგრამ ფაქტიურად მკურნალობისათვის თითქმის არაფერი მოუცია ამ სკოლების წინააღმდეგ შესაფერი რეაქცია უნდა გაჩენილიყო. ავადმყოფის მკურნალობისათვის უნდა მიექციათ უდიდესი ყურადღება.



სურ. 30
ტომას სიდენჰემი 1624—1689

ინგლისელ ტომას სიდენჰემი (დაიბადა 1624 წ.) სწამდა, რომ თეორიულ მთლიან სისტემას ვერ შექმნიდ-

და. მედიცის ერთადერთ ამოცანად სთვლიდა ავადმყოფობის გამოკვლევას, ავადმყოფის საწოლთან ავადმყოფობის მსვლელობის შესწავლას და სათანადო სამკურ-



სურ. 31.
გერმან ბოერავი 1668—1738

ნალო ღონისძიებათა მიღებას. სიღნაპის აზრით ექიმისათვის მთავარია, რომ გამოკვლეულ იქნეს ავადმყოფობის მიზეზი და ყოველ ცალკე ავადმყოფს მოსწავროს

დაავადებასთან ბრძოლაში - სიდენჰამის წყალობაა, რომ მე-17 საუკუნის მედიცინა არ გადაიქცა ნატურალისტურ სპეკულიაციად. ამ ეპოქის ცალკე ექიმებმა დატოვეს მონოგრაფიები ცალკე სენების შესახებ. რიჩარდ მორტონმა დაწერა დიდი დაწვრილებითი მონოგრაფია ქლექის შესახებ. აღსანიშნავია ჯოვანი მარია ლანჩინიზის და ვეპფერის შრომები ტვინში სისხლს ჩაქცევის შესახებ. ბერნარდო რამაცინის ეკუთვნის პირველი შრომა პროფესიულ დაავადებათა შესახებ De morbis artificum diatri-პრაქტიკის წინა ფონზე წამოყენებამ გამოიწვია ახალ-სამკურნალო საშუალებათა შემოღება. ქინა-ქინა, პერუდან მოტანილი მე-17 საუკუნის მეორმოცე წლებში, დიდი წინააღმდეგობის შემდეგ მიჩნეულ იქნა მალარიის საწინააღმდეგო სპეციფიკურ საშუალებად. ტროპიკულ ქვეყნებიდან შემოტანილ იქნა ოქროსძირას (იპეკაკუანის) ძირა, Colombo-ს ძირი და მრავალი სხვა.

განახლდა დავიწყებული მეთოდი სამკურნალო წყლებით წამლობისა, შემოღებული იქნა სისხლის გადასხმა, რომელიც პრაქტიკაში ვაცილებით უფრო გვიან შემოვიდა. ქირურგიის წარმომადგენლები, თუმცა ბევრი არაფერი დაუტოვებიათ ჩამომავლობისათვის, არიან ფრანგი პიერ დიონი, იტალიაში ცეზამ მაგატი, ინგლისში რიჩარდ ზაისმინი, გერმანელი ვილჰელმ ფაბრი ფონ გილდენი. მეანობის მდგომარეობა მე-17 საუკუნეში უკეთესი იყო. დიდი მნიშვნელობა ქონდა სამშობიარო სახლის დაარსებას პარიზში Notel Dieu-სთან. გამონჩდა პირველი დედაკაცი ბებია-ძალი, რომელსაც ეკუთვნის შრომა „observations diverses“ სახელგანთქმული იყო აგრეთვე მარგარიტა ტერტრი, გერმანიაში ცნობილია იუსტინა ზიგემუნდ; მას ეკუთვნის შვენიერი სახელმძღვანელო სამშობიარო საქმისა, ცალმორწმუნეობა, რომლის ძალით მამაკაცებმა ვერ ჩა-

ერეოდენ სამშობიარო დახმარებაში, ძლეულ იქნა! ცნობილი მამაკაცი პრაქტიკოსი შეანებია ჟიულ კლემანი, ფრანსუა მორისი, პილო პორტალი და ჰილიომ მოკე და ლა მოტი. მე-17 საუკუნეში ექიმთა წოდების მდგომარეობა განმტკიცდა, საზოგადოებაში სათანადო პატივისცემა ქონდა მოპოვებული. ექიმების უმრავლესობა სამსახურში იყო მუდმივი ჯამაგირით. ასეთ ექიმს ეწოდებოდა vhyicus, უჯამაგირო ექიმს medicus ბევრი იყო ექიმი აგრეთვე სხვადასხვა სასახლეებში, სასახლის ექიმების სწავლა გაუმჯობესდა. სალერნოს სკოლის შემდეგ პირველობა მიიღეს მონპელიეს, პარიზის და ლეიდენის ფაკულტეტებმა — ექიმობის წოდების მიცემა შეეძლოთ მხოლოდ ფაკულტეტებს.

მედიცინა მეთვრამეტე საუკუნეში

სიდენჰამის და მისი თანამოზიარების გავლენით უნდა წასულიყო ემპირიულ პრაქტიკული გზით, თეორია კი მივიწყებული იყო. მაგრამ თანდათან სამედიცინო მეცნიერებაში წარმოიშვა მისწრაფება, რომ შექმნილიყო მთლიანი სამედიცინო სისტემა, რომელიც, როგორც წარსული სამედიცინო სკოლები, გააერთიანებდა მედიცინის ყველა დარგს ერთ მთლიან სასტემაში.

მე 18 საუკუნეც ცნობილია, როგორც მეცნიერების წარმატების ხანა. კერძოდ სამეცნიერო მეცნიერების საექიმო აზროვნებაზე დიდი გავლენა მოახდინეს ლეიბნიცმა და მისმა მოწაფემ ვოლფმა. მათ განდევნეს სრულებით მისტიური ელემენტები მედიცინიდან, როგორც ნატურალისტური მეცნიერებიდან, და უმთავრესი ყურადღება მიაქცეს ისეთ წყაროებს, როგორცაა ფიზიკა, მათემატიკა, მიკროსკოპია. ფიზიკამ ძლიერ წაიწია წინ — უდადესი აღმოჩენანი ამ დარგში დაკავშირებულია ნიუტონის, ბერა

ნულის, ეილერის, ვოლტის, ჯალვანის დიდ მეცნიერულ
 სახელებთან. ქიმიანი დად როლს თამაშობდა ერნასტ
 სტალის ფლოგისტური თეორია, რომლის და მიხედვით
 წვა ყოველგვარ ნივთიერებათა დამოკიდებულია მათში
 მყოფ „ფლოგისტონ“-ზე. ეს იყო მეფეადის შეგრძნობა
 ეს აღმოჩენა ეკუთვნის პრისტლეის, რის შემდეგ ლავუა-
 ზიემ მოგვცა სწორი ახსნა წვის პროცესისა. ხელმძღვანე-
 ლი რილი სამკურნალო ხელოვნებაში ეკუთვნოდა დამოუ-
 კიდებელ მკვლევართ, თუმცა მათზედაც მოქმედობდა ძველ
 იდეათა აზრდელი. ამ მხრით საინტერესოა ერნასტ სტა-
 ლი (1660—1734 წ.). იმის მთავარ იდეას ქონდა გარკვე-
 ული დინამიურ-ორგანიზტული ხასიათი. უმაღლესი სასი-
 ცოცხლო „პრინციპი“ აყო „anima“ რომელიც გავს ცო-
 ტათი ჰიპოკრატეს Physis-ს და ჰოპენჰემის Archæus-ს.
 „anima“ აძლევს მკვლარ მატერიას სიცოცხლეს, იცავს
 ორგანიზმის ფუნქციების წონასწორობასა და აფერხებს
 მის დაშლას. როდესაც „anima“ ტოვებს სხეულს, ეს
 არის დაშლა და სიკვდილი ორგანიზმის. ძალა, რომელიც
 აძლევს საშუალებას „anima“-ს განახორციელოს თავისი
 ფუნქციები, არის მოძრავობა, რის შედეგია მოძრავ ნიწი-
 ლთა და ორგანოთა „ტონუსი“. დაავადება არის მღვთა-
 რეობა, როდესაც ტონუსი კარგავს თავის ნორმალურ
 ხასიათს. ორგანიზმის თავდაცვისათვის დიდი მნიშვნელო-
 ბა აქვს სისხლის სიჭარბეს და „anima“-ს. ებრძვის მას
 ბავშობის დროს ცხვირიდან სისხლის-დენა, ახალგაზრდო-
 ბის ხანაში ყელიდან სისხლის დენა, მოწიფულ ხანაში
 დედაკაცებში—თვიურები და მამაკაცებში ბუასილის სი-
 სხლის დენა.

სტალის უმაღლესი თერაპიული პრინციპია anima-
 სათვის ხელის შეწყობა. სტალზე მეტი გავლენა ქონდა
 ფრიდრიხ ჰოფმანს, მისი ძირითადი ნაშრომია „Medicina

rationalis systematica“, რომელიც შეიცავს 9 ს.

ჩვენი ცოდნა შემეცნება შეკვეცილია და მხოლოდ ვიცი ის, რაც შეიძლება გრძნობებით იყოს მიღებული. ყველა ძალები და მის მიერ გამოწვეული პროცესები და-მოკიდებულია მატერიაზე და გამოიხატება მოძრაობით, მოქმედებით, შეკუმშვით და გაფართოებით. სიცოცხლე არის სისხლისა და გულის მოძრაობა, სიკვდილი მოძრაო-



სურ. 32.

იოჰან პეტერ ფრანკი 1545—1821

ბის გაჩერება და ამის შედეგი ღპობა. ჯანსრთელობა
—ყველა მოძრაობათა ნორმალური მსვლელობაა, ავად-
მყოფობა—მათი აშლა. ორგანიზმი მთლიანად შეიძლება
შევადაროთ ჰიდრაულიკურ მანქანას, რომელიც საზ.

რდობს რალაც ნერვიული ფლჳიდიტ „ეთერიი“. ეს
 ეთერი იმყოფება ტვინის პარკუჭში. თერაპიული პრინ-
 ციპები ჰოფმანისა მარტივია. რომ შევადგინოთ სამკურ-
 ნალო გეგმა, საჭიროა გამორკვეულ იქნეს, თუ რა რიგ
 აშლილია ნორმალური „მოძრაობა“ ორგანიზმში და
 როგორაა შეცვლილი ქსოვილების „ტონუსი“. იმისდა მი-
 ხედვით, თუ რომელი სახის მოძრაობაა აშლილი, ღრის
 ორი მეთოდი მკურნალობისა: ერთი ისახავს მიზნად ბრძო-
 ლას შენელებულ მოძრაობასთან და ტონუსის გაძლიერე-
 ბასთან. ამ შემთხვევაში ენიშნება საწინააღმდეგო საშუა-
 ლეებები; მეორე შემთხვევებში მკურნალობა სწარმოებს
 გამაღიზიანებელი საშუალებებით, რომ ავწიოთ ტონუსის
 მოდუნება. ჰოფმანის მკურნალობაში დიდი მნიშვნელობა
 ქონდა დიეტეტიკას, მინერალურ წყლებსა და სისხლის გა-
 მოშეებას. ცნობილი იყო ჰოფმანის მიერ გამოგონილი „სი-
 ცოცხლის ბალზამი“ Elixir viscerale Hoffmanni და ცნო-
 ბილი ჰოფმანის წვეთები. ჰოფმანის თეორია და პრაქ-
 ტიკა თავის დროზე მეტად პოპულარული იყო. ამავე
 ხანაში ცნობილი იყო, როგორც გამოჩენილი კლინი-
 ცისტი, გერმანე ბოერგავი და მისი მოწაფე ვანსვიტენი,
 დანტონ დე-გაენი, რომელიც ითვლება „ძველი ვენური
 სკოლის“ მამა-მთავრად. ამ სკოლამ მისცა მედიცინას ბე-
 ვრი გამოჩენილი ექიმი მკლევარი: ანტონ შტერკი, მაქსი-
 მილიანე შტალი, ლეოპოლდ აქენბურგერი, პერკუსიის შე-
 მოძლები. პერკუსია, როგორც აუცილებელი სადიაგნოსტიკო
 საშუალება, შემოღებულ იქნა საბოლოოდ ცნობილი ფრანგ
 ექიპის რენე ლენეკიის მიერ (1818 წ.), რომელმაც უშუა-
 ლო ყურის აუსკულტაციას მიუმატა აუსკულტაცია მის
 მიერ გამოგონილი სტეტოსკოპით. არ შეიძლება განსა-
 კუთრებით არ აღინიშნოს იოჰანნე პეტერ ფრანკი (1545
 —1821 წ.), რომელიც 1795 წ.—1804 წლამდე მეთაურო-

ბდა ვენის საავადმყოფოს და შინაგან სნეულებათა კლი-
 ნიკას. მისი შრომა De curandis Hominem morbis epi-
 tome დაუფასებელი სახელმძღვანელო იყო ექიმ პრაქტი-
 კისათვის. დიდად გავრცელებული იყო მისი სამოსამა-
 რთლო მედიცინის სახელმძღვანელო. ფრანკს ეკუთვნის
 შრომები ჰიგიენაში. პრაქტიკული მედიცინისათვის სა-
 ბუნებისმეტყველო—მეცნიერულ ცოდნათა ფუძის შექმნის
 ცდა არ შემწყდარა და ამ მისწრაფების შესანიშნავი გა-
 მონათველი იყო ალბრეხტ ფონ ჰალლერი; რომელიც
 ღირსეულად მიჩნეულია პირველ ექიმ-ბუნებისმეტყველოდ.
 მდგომარეობა, რომელშიც მოუხდა მოღვაწეობა ჰალლერს,
 ბევრით წააგავდა მეორე საუკუნეს—გალენის ეპოქას.
 ძველად, ისტორიულ მოედანზე დიდებულ ალექსანდრიე-
 ლთა გამოჩენისთანავე, დაიწყო გრანდიოზული პროგრესი
 ანატომიის და ფიზიოლოგიის დარგში და რამდენიმე საუ-
 კუნის გამოკვლევითი მუშაობამ დააგროვა უდიდესი ფა-
 კტიური მასალა მედიცინაში. ასეთივე მდგომარეობა იყო
 ახლაც. ვეზალის შემდეგ ეს ორი დისციპლიანა გახდა მე-
 დიცინის საფუძველი და აქაც დაგროვდა აუარებელი
 ახალი ფაქტი. გალენის გამოჩენამდის იყო ცდები მედი-
 ცინა წარმოედგინათ ერთ მთლიან სისტემით. ასეთივე
 მდგომარეობა იყო ჰალლერამდეც. დიდი მიღწევები თხოუ-
 ლობდენ სინტეზს და თუმეორე საუკუნეშიც ეს შესძლო გა-
 ლენმა, მეტვარამეტეშიც ეს თავის თავზე იდგა ჰალლერმა.—
 ჰალლერი დაიბადა 1708 წ. ბერნში. ლეიდენში 19 წლი-
 სამ მიიღო ექიმის წოდება, ბოურგავის მოწაფედ იყო.
 26 წლისა უკვე იყო ანატომიის მასწავლებლად, ცოტა
 ხნის შემდეგ კი ანატომიის, ქირურგიის, ქიმიისა და ბო-
 ტანიკის პროფესორად გეტინგენის უნივერსიტეტში. მისმა
 მოღვაწეობამ ისე აამაღლა გეტინგენის უნივერსიტეტი,
 რომ ყოველმხრივ მოაწყდა აუარებელი სტუდენტი. 1753 წ.

დაბრუნდა სამშობლო ქალაქ ბერნში, გირდაიცვალა 1777 წ. კუჟის კიბოსაგან. უდიდესი შრომები ჰალლერის ანატომიაშია და განსაკუთრებით ფიზიოლოგიაში. ფიზიოლოგიას, იმისდა მიუხედავად, რომ არსებობდა ბევრი შესანიშნავი დაქსაქსული ფაქტი, სკირდებოდა სისტემატიური დაწესება. აღსანიშნავია, რომ გალენის შემოღებ არ გამოსულა ფიზიოლოგიის ნამდვილი სახელმძღვანელო. მით მეტი მნიშვნელობა ეძლევა ჰალლერის შრომებს: ელემენტარული კურსის „*Primae lineae physiologiae*“ (1747წ.) დიდ სახელმძღვანელოს „*Elementa physiologiae corporis Humani*“ (1757 წ.) დიდი ღირებულებისაა აგრეთვე „*icones anatomicae*“ და ბოერგავის „*Institutiones*“ კომენტარიები. თავის შრომაში *De partibus corporis Humani sensibilibus et Irritabilibus*, ჰალერმა ცდებით დაამტკიცა, რომ კუნთების ქსოვილს აქვს თვისება სხვადასხვა გაღიზიანებას უპასუხოს შეკუმშვით, ეს თვისება არ არის მექანიკური ელასტიურობა, ეს თვისება აქვს მხოლოდ კუნთების ქსოვილს. ჰალლერის აზრით, ნერვებს არ აქვსთ გამაღიზიანებელი ფუნქციები, ნერვებში მხოლოდ გაღიზიანების გამტარებელია, რომელიც გამოდის ცენტრალური ორგანოდან და მიდის კუნთებში. ნერვებს აქვსთ თავისებური თვისება მგრძნობიარობა. ჰალლერი ცდილობდა თავისი სწავლასთვის მოენახა საბუნებისმეტყველო მეცნიერული საფუძველი, ემყარებოდა ანატომიასა და ექსპერიმენტს. ჰალლერის სწავლაში თანამედროვე თვალთახედვით ბევრა უსწორია. ბევრი დაუთავებელი, მაგრამ უდავოა, რომ ჰალლერმა შესძლო ძლიერ წაეწია ფიზიოლოგია წინ. აღსანიშნავია ზოგიერთი მეცნიერები: იოჰანე ცინნი, თვალის ანატომიის დამმუშავებელი, ცნობილი ანატომი იოჰან ფრიდრიხ მეკელი, კასპარ ფრაიდრიხ ვოლფი, ემბრიოლოგიის წინამორბედი: იოჰან ფრიდ-

რის ბლიუმენბახმა შექმნა სწავლა, რომ ცხოველთა ორგანიზმს თანდაყოლილი მისწრაფება აქვს თავდაცვისათვის და შთამავლობის გაგრძელებისათვის. ჰალლერის მოწინააღმდეგე იყო ინგლისელი ვილიამ კულენი, მისი მთავარი დებულება იყო, რომ, როგორც ჯანმრთელი, ისე ავადმყოფი ორგანიზმის ყველა ფუნქციების დასაწყისია ნერვულ სისტემაში. ნერვული პრინციპი აწესრიგებს ყველა ფუნქციებს. ნერვული პრინციპი აწესრიგებს ყველა პროცესებს ორგანიზმში და პათოლოგიური მდგომარეობის დროს აღადგენს ნორმალურ ურთიერთობასა და იწვევს ხან კრუნჩხვას, ხან ატონიას. მისი თერაპია ც მარტივია: ატონიურ მდგომარეობაში საჭიროა გამაღიზიანებელი საშუალებანი, კრუნჩხვის დროს დამამშვიდებელი. ის, რაც ჰალერმა გააკეთა ფიზიოლოგიისათვის, პათოლოგიისათვის გააკეთა იერონიმე დავიდ ჰაუბმა (1704—1780 წ.). მან სცადა დაემუშავებია პათოლოგია მფლიან სისტემაზე. ჰაუბი ნამდვილი ეკლეკტიკია, ცდილობს შეაიანხმოს სხვადასხვა თეორიები და შექმნას ერთი სისტემა. ორგანიზმის თანდაყოლ ორ მთავარ ძალად მას მიაჩნია გაღიზიანება და მგრძობიარობა—ამ ძალებში ხედავს ჰიპოკრატეს *physis*-ს ან სტალის „*animi*“-ს ან უბრალო „სიცოცხლის ძალის“ განსახიერებას. ამ ძალას ლოკალიზაცია არას, როგორც ორგანიზმის მკვრივს. ისე თხიერ ნაწილებში, განსაკუთრებით სისხლში. ამ დებულებების დამტკიცებას ცდილობს ფიზიოლოგიური გამოკვლევებით: ყოველ დაავადებაში ჰაუბი ხედავს არა უბრალო აშლას სხეულის ნაწილებს ფუნქციების და თვისებებისას, არამედ ბრძოლას მანენ ელემენტსა, სენას გამომწვევისა, და ორგანიზმის სასიცოცხლო ძალას შორის. იმისდა მიხედვით, დაავადებულია მკვრივი ნაწილები თუ თხიერი, ქსოვილები და სითხეები, სხეუ-

ლის ერთი ნაწილი თუ ბევრი, ჰაუზი არჩევს დაავადების ძირითად ფორმებს. დაავადების ეთიოლოგიას ჰაუზი აქცევდა უდიდეს ყურადღებას. დიდი მნიშვნელობა აქვს დაავადების, როგორც გარეგანს, ისე შინაგან მიზეზებს,



სურ. 33
ალბრეხტ ჰალლერი 1708—1777.

დიდ მნიშვნელობას მიაწერს შემკვიდრეობას და სენისადმი მიღრეკილებას. განსაკუთრებითი მნიშვნელობა აქვსთ ევრეთ-წოდებულ მიაზმებს და კონტაგიებს, რომელნიც არიან გადამდები სენების მიზეზი, აქ ცხადია სიღენჭემის

და ვენის კლინიკისტების გავლენა. ჰაუბმა ნიადაგი მო-
 უშადა ვიტალიზმის სკოლას. მიუხედავად საბუნებისმეტ-
 ყველო მეცნიერულ ცოდნათა პროგრესისა, მედიცინის
 მთლიანი თეორიის შექმნის გზაზე ბევრი დაბრკოლება
 იყო, უმთავრესი იყო სხვა და სხვა თვალთახედვით მიდ-
 გომა. ამ მიზნისათვის დროგამოშვებით მიმართავდნენ ძველ
 იდეებს. ამ მხრით აღსანიშნავია შონპელიე. აქ უფრო,
 ვიდრე სხვაგან, თავი შეინახა ჰიპოკრატეს ძველმა სწავ-
 ლამ, რომ Physis-ი საფუძველია სამედიცინო თეორიისა
 და პრაქტიკის. ამის გამო სტალის თეორიამ სულის შე-
 სახებ, რომელიც წარმოადგენდა ანტიურ „ფიზიატრიის“
 ახალ ვარიანტს, ძლიერ მოიკიდა ფეხი. ფრანსუა ბუასსიე
 (1706—1767 წ.) შეეცადა შეერთებინა ცალმხრივი მექა-
 ნიკური სწავლა სტალის ანიმიზმთან, შეექმნა ამით მონ-
 პელისთვის მისაღები თეორია. ბუასე თეორიას მიაწერდა
 დამორჩილებულ რაოს და იგი გამოსადეგი იყო მხოლოდ
 მოვლენათა ასახსნელად. მისმა თანამედროვემ თეოფილ
 ბორდემ ვახადა მისი თეორია თავისი სწავლის გამოსა-
 ვალ წერტილად; ის იყო ვიტალიზმის პირველი წინამორ-
 ბედი. ბორდემ პირველად სახელი გაითქვა იატრო-ქიმიურ
 სკოლის და ბოერგაეას გააფთრებული კრიტიკით.
 ფიზიკის, ქიმიის, ანატომიის ზედმიწევნით ცოდნამ და-
 აწაშნა, რომ მარტო ამ მეცნიერებათა ცნობებით არ
 შეიძლება აიხსნას ყველა სასიცოცხლო მოვლენები. სეკ-
 რეციის პროცესი არ შეიძლება აიხსნას არც ფიზიკურისა,
 არც ქიმიური გზით და ეს მოვლენა დამოკიდებულია რა-
 დაც უმაღლეს კანონებზე. ძველი მედიცინას შესწავლის
 საშუალებით ის შეეცადა აეხსნა ცხოვრების ყველა მოვ-
 ლენები ჰიპოკრატეს Physis-ით იმ გაგებით, როგორც
 მას მისცა სტალმა თავის anima-ში. სტალის anima ბორ-
 დემ თარგმნა სიტყვა la nature-ით. ეს ძალა იმანენტუ-

რია ცოცხალი არსების, ლოკალიზაცია აქვს სხეულის ყოველ ნაწილში; უმთავრესი ორგანოებია კუჭი, გული და ტვინი. მისმა მოწაფემ პოლ ჟოზეფ ბარტიცმა დაასაბუთა ეს დოქტრინა. მისი აზრით, საბოლოო მიზეზი ორგანიზმის ყველა პროცესების არის—„ვიტალური პრინციპი“, რომლის შინაარსი უცნობია და არ შეიძლება დასაბუთდეს. ამ პრინციპს არაფერი საერთო არა აქვს „გონებრივ სულთან“, მაგრამ საფუძვლად უდევს მოძრაობა და მგრძნობიარობა, რაღაც აბსტრაქტიულია, მაგრამ რეალობის ფიქსებებიც აქვს.—ვიტალური პრინციპი არის მიზეზი მოძრაობის და მგრძნობიარობის, აძლევს სხეულის ყველა ნაწილებს ფორმას, მოცულობას, დაქიმვას, მდებარეობას, და, თუ სადმე მოშლილობა არის, გამოასწორებს ნორმამდე, დაბოლოს კოორდინაციას ქმნის სხეულის სხვა და სხვა ნაწილთა შორის. გერმანიაში ვიტალიზმის დამცველი იყო ცნობილი ექიმი იოჰანე ქრისტიან რეილი (1751-1813) რომლისადა ძიხედვით „სასიცოცხლო ძალას“ ექვემდებარება პსიქიური, ქიმიური და მექანიკური ძალა ცხოველის ორგანიზმში.

მეხმერის სისტემა.

მისმა შრომებმა ელექტრონის შესახებ გაღვანზ მიიყვანა იმ აზრამდე, რომ შესაძლოა ისეთი სასიცოცხლო მოვლენების გაგებაც კი, რომელთა შესახებ მაშინდელი ცოდნა უძლური იყო. ის ფიქრობდა, რომ სენების და განსაკუთრებით ნერვების დაავადების მიზეზი შესაძლებელია იყოს ელექტროული „ფლუიდის“ გამოცვლა. ანტონ მესმერი (1734—1815) თავის დიდ შრომაში გამოვიდა მაგნეტიზმის სწავლის დამცველად, ამტკიცებდა, რომ „ფლუიდი“, რომელიც ყველაგან არის გავრცელებული, მიზეზია ყოველნაირი ზეგავლენის, ყველა ნივთიერების

ერთმანეთზე და ცოცხალ არსებაზე. ადამიანის ორგანიზმს აჭებს საკუთარი ფლუიდი, რომელსაც ის უწოდებს ცხოველის მაგნეტიზმს. მესპერის აზრით, ამ „მაგნეტიზმზე“ შეიძლება გავლენა მოახდინონ ვარედან მაგნიტებმა და ამით შევცვალვით დაავადებული ორგანიზმის მდგომარეობა. მესპერიზმმა დიდხანს ვერ იცოცხლა.

შელინგის ნატურ-ფილოსოფია და მისი გავლენა გერმანიაში.

გერმანული ნატურ-ფილოსოფია ზოგიერთმა ეჭიმებმა გაიხადეს საფუძვლად, რათა შედგინონ ისეთი მიეცათ შეცნიერული დასაბუთება. ამ მხრით ყველაზე უფრო დიდი გავლენა ქონდა შელინგს (1775—1855 წ.).

შელინგს ქონდა მიმხიდველი ძალა მათთვის. შელინგის მიმდევრებს როდი აკმაყოფილებდა ბუნების მოვლენათა შეცნიერული ახსნა ცდების საშუალებით, ისინი ცდილობდნენ აეხსნათ ბუნების მოვლენები ფილოსოფიური ანალიზის შემწეობით. შელინგით, ჩვეულებრივი მატერია არ არის პირველყოფილი ცნება; არამედ წარმოადგენს არსის განხორციელების შედეგს გარკვეულ ფორმაში. მატერია მისი სიმძიმით არ არის საკმარისი მიზეზი მისი შემდეგი ცვლილებისა. პარალელურად მას მოსდევს ისეთი მოვლენები, როგორცაა სინათლე, მოძრაობა ან დინამიური პროცესები. საერთო ბუნების ძირითადი პრინციპებია—მაგნეტიზმი, ელექტრობა და ქიმიზმი. ცხოველთა ორგანიზმში ამ პრინციპებს ეთანხმება სამი რიგის მოვლენა: გერმობიერობა, გალიზიანება და განახლება. მცენარეთა სამეფოს ახასიათებს მხოლოდ განახლების ნაჭი, ქიებს—უკვე ახასიათებს განახლება და გალიზიანება, ფრინველთა—ცოცხალდენი გერმობიერობა და ბოლოს, დანარჩენ ცხოველებს ახასიათებს განახლების ნაჭი, გალი-

ზიანება და მგრძობიერობა. ადამიანის ორგანიზმში მგრძობიერობა დაკავშირებულია ნერვების მოქმედებასთან 1 ცენტრი აზის ტვინი, გალიზიანება დაკავშირებულია კუნთებთან, განსაკუთრებით გულსა, ალდვენის (რეპროდუქციული ძალა)—ვეგეტატიურ პროცესებთან მუცლის ღრუში. შევლინგი ცდილობდა უბრალო ცდის გარეშე აეშენებია მსოფლიო მთელი მისი მოვლენებით აპრიორულად.—ექიმები აზროვნობის სპეკულიაციური მიდრეკილებით მიეკედლენ მას. ერთმა მათგანმა გერმანე ჰორნმა, შეადარა სისხლის ბურთულები—ფორმით და ფუნქციებით—დედამიწას და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სისხლის ბურთულის უჯრედის თვისებები მიწის თვისებებია. მედიცინა ვადაგვარდა იდეათა თამაშად და თავის მოსატყუილებელ მაღალ ფრაზებად.

სწავლა დაავადების შესახებ ამით ვერაფერს მოიგებდა. ფიქრობდენ, რომ ყოველი დაავადების ფორმა ერთგვარ მსგავსებას წარმოადგენს სიცოცხლის პირველ საფეხურთან. წარმოიშვა აზრი, რომ სენი, დაავადება წარმოადგენს დამოუკიდებელ არსებას, რომელიც ცხოვრობს დაბალი საფეხურის სიცოცხლით და ორგანიზმისადმი მოქმედობს, როგორც პარაზიტი. იენის პროფესორი შტარკი ამას არ დასჯერდა და დააარსა სკოლა „ნატურ-ისტორიულის“ სახელწოდებით.

მისი აზრით სენები ისეთი ინდივიდუალობებს მატარებელი არიან, რომ თვით სენი შეიძლება ავად გახდესო. ამ სკოლის მეორე მეთაურმა შექმნა სრულიად თვითნება სისტემა სენების კლასიფიკაციის. მისი ნოზოლოგიური სისტემისდა მიხედვით, დაავადებანი ნაწილდებიან ასე: პირველ ჯგუფს შეადგენენ Morphen, ეს დაავადებანი გამოწვეულია საზრდოობის მოშლით, მეორე ჯგუფია „ჰემატოზები“—სისხლის დაავადებანი და მათი შედეგები, შემ-

დეგ მოდის ნევროზები და სიფილიდები. შემდეგ თვით
შენლეინი კათეგორიულად არ იცავდა თავის სისტემას—
მისი მოწაფეების უმრავლესობამ განაგრძო მუშაობა პრაქ-
ტიკულ მედიცინაში და ნატურ-ისტორიული სკოლის თეო-
რიას თანდათან მოსცილდნ.

განნემანი და ჰომეოპათია.

დიდი გავლენა ქონდა ერთ ღროს ჰომეოპათიას და
ეს ამტკიცებს, თუ რა რიგ მოწყურებული იყო მაშინდე-
ლი სამედიცინო აზრი, რომ მოენახა დასაყრდენი წერტი-
ლი—თავის პრაქტიკულ მუშაობაში. სცდილობდა მოენა-
ხა მუდმივი და სანდო საფუძველი მკურნალობისათვის.
მაგრამ ასეთი საფუძველი არ იყო, მრავალრიცხოვანი სა-
მედიცინო სკოლები და მათ სისტემები და მათი თერაპია
ცვლიდნ ერთმანეთს. ჰომეოპათიის დაზარსებელი იყო
სამთელ განნემანი (დაიბადა 1755 წ.). სწავლის გათავების
შემდეგ სცადა უშედეგოდ პრაქტიკული მოღვაწეობა. შემ-
დეგ დაიწყო მეცნიერული მუშაობა ქიმიისში, ძლიერ და-
ინტერესდა ქიმიო-ფარმაცევტიკული საკითხებით. კულენის
წაკითხვის ღროს მიაქცა ყურადღება ამ მკვლევარის შე-
ნიშვნას, რომ ქინაქინა იწვევს ჯანმრთელ ორგანიზმში
მოვლენებს, რომელნიც ძლიერ ემსგავსებიან მალარიას;
ცდების შემდეგ დარწმუნდა, რომ ეს დებულება სწორია,
ამით წაქეზებულმა დაიწყო ანალრგიური ცდები სხვა სა-
შუალებებზე. თანდათანობით დარწმუნდა, რომ ეს საშუა-
ლებები ჯერ იწვევენ დაავადებული მდგომარეობის გაუ-
არესებას და მხოლოდ შემდეგ იჩენენ სამკურნალო მოქ-
მედებას. ამის გამო დაიწყო დოზების შემცირება. 1810
წ. თავის შრომაში თავგამოდებით იცავს თავის აზრებს.
დაიწყო მწვავე კამათი. შემდეგ წლებში, როდესაც გან-
ნემანმა ხელი მიჰყო პრაქტიკას, ლეიპციგში ექიმთა და

ავადმყოფთა რიცხვი, რომელნიც მას მიმართავდნენ, ძლიერ გაიზარდა. მთავარი აზრი მისი შოძღვრებისა შემდეგია: მედიცინის მთავარი შეცდომა მდგომარეობს იმაში, რომ სენებთან ბრძოლის დროს მოქმედობს ან ანტიპათი-



სურ. 34.
სამუელ ჰანემანი 1755—1843

ურად, ე. ი. „*Contraria contrarius*“ პრინციპისდა მიხედვით, ან ალლოპათიურად, და ამით თვითეულ არსებულ დაავადებას სხვა სახის დაავადებას უმატებს. დაავადება კი სასიცოცხლო ძალის თავისებური მოშლაა. როგორ და რა რიგ წარმოდგება სენი, ექიმისათვის სულ ერთია, ვინაიდან მიზეზის მონახვა არ შეიძლება. ექიმის მოვალეო-

ბაა — განკურნება. ამისათვის საკმარისია ავადმყოფის სიმპტომების ცოდნა, ანატომიური და ფიზიოლოგიური ცოდნა საჭიროა იმდენად, რამდენადაც საჭირო არის სიმპტომების გამოსაცნობად. ჰომეოპათიური თერაპიის ასაშენებლად საჭიროა ექსპერიმენტალური შესწავლა წამლების მოქმედებისა ნორმალურ ჯანსაღ ორგანიზმზე. ავადმყოფს უნდა მიეცეს ისეთი საშუალებანი, რომლებიც იწვევენ ჯანმრთელობის სიმპტომების მსგავს მოვლენებს. წამალმა უნდა გამოიწვიოს მოვლენები, რომელნიც უნდა იყვნენ ანალოგიური დაავადების სიმპტომებისა. განემანმა ეს პრინციპი გამოხატა სიტყვებით *similis similibus curantur*. ამ სამკურნალო მეთოდს მან უწოდა „ჰომეოპათია“. განემანი დარწმუნებული იყო, რომ სასიცოცხლო ძალის საჭირო ცვლილების გამოწვევა შეიძლება წამლების მხოლოდ მცირე დოზებით, ღიდი დოზებით, კი მევენა, რადგან წამლის სამკურნალო მოქმედება დამოკიდებულია არა წამლის პატერიაზე, არამედ მისი „Dynamis“-ზე, რომელიც წარმოადგენს ერთგვარ სულიერ პრინციპს და მოთავსებულია სულ პაწაწა დოზებშიაცო. ამ აზრის მიხედვით, განემანი განაზავებდა წამლებს, ან, როგორც ის ამბობდა, პოტენციას უშვებდა. ჯერ კეთლებოდა რომელიმე წამლის სპირტოვანი ექსტრაქტი, შემდეგ ორ მის წვეთს ურევდენ 98 პროც. სპირტის წვეთთან, აქედან აიღებდენ ერთ წვეთს და ჩაუშვებდენ 99 პროც. სპირტის წვეთში. და ასე 30-ჯერ. მაგარი სუბსტანციების დროს სპირტის მაგიერი იყო რძის შაქარი. ამავე დროს განემანი მოითხოვდა დიეტის დაცვას. ჰომეოპათიის ცალმხრივობიდან წარმოიშვა ახალი მოძღვრება იზოპათია. ამ სწავლის წარმომადგენელიც იყვნენ ლუქსი და მიულერი. ამ თვალთახედვით თერაპიულ პრინციპად აღიარებული უნდა იყოს არა *similis similibus* მსგავსი მსგავ-

სით, არამედ ერთგვარი ერთგვართვე *aequalia aequalibus*; ბლერის წინააღმდეგ აძლევენ ბლერის ნახვეს, ჭიების წინააღმდეგ ამ პარაზიტებისაგან მიღებულ ნივთიერებას, ქლექის წინააღმდეგ ქლექიანის ნახველს და სხვა ამგვარი. იმავე პსიქოლოგიურმა საფუძველმა, რომელმაც წარმოშვა ჰომეოპათია, ხელი შეუწყო რადემახერის მოძღვრებას ემპირიული მკურნალობის შესახებ. მისი ავტორი იყო ი. გ. რადემახერი (1772—1850), განათლებული ექიმი. ცდის, გამოცდილების მეტი მას არა სწამს რა. მისთვის საჭიროა მხოლოდ ავადმყოფობის პროცესის შესწავლა, საკმაოა ცოდნა, თუ როგორ მოქმედობს წამალი ცალკე ორგანიზმზე მისი დაკვირვებით, არსებობს უნივერსალური საშუალება: გვარჯილა, სპილენძი და რკინა. არსებობს სამი მთავარი ჯგუფი დაავადებისა: გვარჯილას დაავადება, სპილენძის დაავადება და რკინოვანი დაავადება.

ყვავილას აცრა.

მრავალი თეორიების არსებობის მიუხედავად პრაქტიკა მიდიოდა თავისი გზით. იყო ახალი აღმოჩენებიც. უპირველესად ასეთ აღმოჩენებს ეკუთვნის აცრის შემოღება. აზრა იმის შესახებ, რომ ხელოვნურად გამოწვეული ბუნებრივი ყვავილით შეიძლება იმუნიტეტის შექმნა ამ დაავადების წინააღმდეგ წინათაც იყო, ძველად ჩინელები აწარმოებდნენ ამ „აცრას“ ისე, რომ ბავშებს ცხვირში უღებდნენ ბამბას, ამოვლებულს ყვავილის ჩირქში. ინდიელები გაფხეკდნენ ხელის კანს და ადებდნენ ზედ ჩვარს, ამოვლებულს ყვავილის ჩირქში. უდიდესი მნიშვნელობა ქონდა 1713 წელს ერთი ბერძენი ექიმის, ემანუელ ტომონის ცნობას იმის შესახებ, რომ ქართველები და ჩერქეზები ფხეკენ კანს ნემსით, რომელიც ამოვლებულია

ყვავილის ჩირქში, ამით იწვევენ ყვავილის სუსტ ფორმას და ამ საშუალებით ებრძვიან ნამდვილ ინფექციასო. ამ მეთოდის შესახებ ამცნო ვეროპას სტამბოლში მყოფი ინგლისელი ელჩის მეუღლემ. (ლედორტლეი მონტევიუ). დიდ პროგრესად ჩაითვლება ის დაკვირვება, რომ ადამიანი, რომელსაც გადაუტანია ძროხის უვნებელი ყვავილი, არ ხდება ავად ბუნებრივი ყვავილით. ედუარდ ჯენერმა (1749—1823) მიაქცია ყურადღება იმას, რომ ყვავილის



სურ. 35.
ედუარდ ჯენერი 1749—1823

ეპიდემიების დროს ძროხის მომვლელნი ნაკლებად ავადდებიან ყვავილით და სრულიად საძართლიანად დაუკავშირა ეს ფაქტი იმ გარემოებას, რომ ამ პირთა დიდ უმრავლესობას გადატანილი აქვს ძროხის ყვავილი. 20 წლის

მუშაობის შემდეგ 1796 წ. ჯენერმა მოახდინა შემდეგი ცდა: აიღო ძროხის ყვავილით დაავადებული ძროხის მომვლელის ყვავილის მუწუკიდან ჩირქი და გადაიტანა პატარა ბიჭზე, მის შემდეგ რაც ბავშვმა მოიხადა ძროხის ყვავილი, აუტრა ბუნებრივი ყვავილი, ბავში ავად არ გახდა. 1798 წ. ჯენერმა გამოაქვეყნა თავისი აღმოჩენა, იმისდა მიუხედავად, რომ პირველ ხანებში მას გაუწიეს წინააღმდეგობა, ოპოზიცია მალე იძულებული იყო გაჩუმებულიყო.

ქირურგია; თვალის დაავადებანი და მენიბა მე-18 საუკუნეში.

ქირურგია საფრანგეთში მე-18 საუკუნის განმავლობაში თანდათანობით გაუთანასწორდა შინაგან მედიცინას. დიდი ღვაწლი ამ მხრით მიუძღვის პარიზის ქირურგიული აკადემიის დირექტორს—ფრანსუა ჟივი დელა პეირონს. დიდი მეცნიერული დახმარება ეონდა ამ მხრით აგრეთვე იმავე აკადემიის პროფესორს ჟანლუი პტის. ცნობილია მისი შრომები ქირურგიულ დაავადებათა და ოპერაციების შესახებ, (მისი ორმომენტიანი ამპუტაცია) აღსანიშნავია აგრეთვე რაფ. საბატის ღა განსაკუთრებით პიერ დეზო, რომელმაც შექმნა ნამდვილი ქირურგიული კლინიკა, დაარსა სპეციალური ჟურნალი, და დიდ ყურადღებას აქცევდა ქირურგიული ანატომიის სწავლას. გერმანიაში დიდხანს ქირურგიის მდგომარეობა ცუდი იყო, განათლებული ექიმი იშვიათად კიდებდა ხელს ქირურგიას. ამ მდგომარეობიდან გამოიყვანა ქირურგია ლორენცი ჰეისტერმა, რომელსაც ეკუთვნის პირველი დამკმაყოფილებელი სახელმძღვანელო ქირურგიისა. ცნობილი ქირურგები იყვნენ: ანტონ ტედენი, ზიბოლდი, რიხტერი მას ეკუთვნის 7 ტანიანი ქირურგიის სახელმძღვანელო. ინ-

გლისელ ქირურგთა შორის ცნობილია ვილიამ რეზელდენი (შარდის ბუშტის კენჭების ოპერაციები), ალექსანდრე მონრო, პ. პოტტი, ორი ძმა ჰუნტერი) Hunter-ის ოპერაცია ანევრიზმის). თუმცა ბევრი ქირურგი თავის მოღვაწეობის ფარგლებში ათავსებდა თვალის დაავადებასაც, არ იყო მეცნიერი, რომ ამ დარგის ცოდნათა სისტემატიზაცია თავს ედო. 1707 წ. გამოვიდა ფრანგ ექიმის ანტუან მეტრუანას შრომა. ამ შრომის შემდეგ დაიწყო მოძრაობა, რომლის განმავლობაში თვალის დაავადებანი გამოეყო ქირურგიას. ჟაკ დავიელმა განაახლა ბროლის ექსტრაქცია. შარდი დე სენ ივს პელსედე კანზის კალამს ეკუთვნის ფართოდ გავრცელებული შრომები ოფთალმოლოგიისა.

გერმანელ ოფთალმოლოგთა შორის ცნობილია რიხტერი, გიუნცი, შტილინგი და გიორგი ბეერი, რომელმაც, როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად დაამუშავა კატარაქტის საკითხი. ინგლისში ცნობილია ჯემს უერდ (მას ეკუთვნის სამაგალითო აღწერა ახალ დაბადებულთა ბლენორეისა) და ბენედიქტ დუდდელი.

ძლიერ წაიწია წინ მეანობამაც. მოძრაობა, დაწყებული გამოჩენილი ფრანგ მეანების მიერ, არ შეჩერებულა. ჰენრიჰ ვან დევენტერმა პირველმა მიაქცია ყურადღება ძელოვანი მენჯის მნიშვნელობას (მისი სიფართოვეს) და შევნიერად დაამუშავა სამეანო დახმარების ტენიკა, ჩემბერლენმა ლონდონში შემოიღო მაშების ხმარება. ჯონ პალფინმა სახელი გაუთქვა ამ ინსტრუმენტს. ფრანგებმა დიესიმ და გრეგუარებმა გააუმჯობესეს ეს ინსტრუმენტი. ფრანგმა ჟან ლუი ბოდელოკმა შემოიღო მენჯის სწორი გაზომვა. გერმანიაში მეანობის პირველი პროფესორი იყო ი. გ. რედერერი. ინგლისში სახელი გაითქვეს ვ. სმელიმ ტომას დენმანმა.

სრულებით დავიწყებული იყო, ქირურგიის წინ-
სვლის მიუხედავად, წინაპრების ორი დიდი მიღწევა: ასე-
პტიკა და ნარკოზი. შეენიერად შესრულებული ოპერაცი-
ის შემდეგ აუარებელი ავადმყოფი ხდებოდა „ჰოსპიტა-
ლური განგრენის“ მსხვერპლად. თითქმის არავითარი ცდა
არ იყო, რომ როგორმე დაეჩლუნგებიათ ავადმყოფის
მგრძნობიერობა. ახალმა სულმა, რომელიც შთაბერეს მე-
დიცინას ისეთმა ექიმებმა, როგორიც იყვნენ ბოერგავი,
ვანსვიტენი, ჰალლერი და სხვები, მოახდინა გავლენა არა
მარტო სამედიცინო აზროვნობაზე, არამედ განაპტიკა
ექიმის ყოფა-ცხოვრების პირობები. საზოგადოებამ შეი-
თვისა, რომ ექიმი ერთგული და საიმედო მრჩეველია,
როგორც ჯანმრთელობის, ისე ავადმყოფობის დროს. შე-
იქმნა ინსტიტუტი შინაური ექიმებისა — აუარებელმა
ექიმმა იშოვა მუდმივი წყარო არსებობისა. ფორმალუ-
რად ქირურგები გათანასწორებული იყვნენ ექიმებთან.
ექიმებს დიდი ადგილი უჭირავსთ სამედიცინო კოლე-
გიუმებში და გადამწყვეტი გავლენა აქვსთ სამკურნალო
კანონმდებლობაზე, 1725 წ. პრუსიაში შემოღებულია
ახალი სამკურნალო წესდება, რომლითაც სხვათა შო-
რის შემოღებულია სახელმწიფო გამოცდები. სამკურ-
ნალო განათლებისათვის საჭირო იყო წინასწარ ასე წო-
დებული აკადემიური გიმნაზიების გათავება, სტუდენტს,
სანამ მიიღებდა პრაქტიკის უფლებას, სპეციალური გამო-
ცდა უნდა ჩაებარებია. სწავლის საფუძველს შეადგენს
ანატომია, საბუნებისმეტყველო მეცნიერებაც დავიწყებუ-
ლი არ იყო. ბოერგავის გავლენით თანდათანობით შემო-
ღებული იქნა კლინიკური სწავლა. საზოგადოებრივი სა-
ნიტარიის ზრდაც მოითხოვდა ექიმთა ახალ რაზმებს.
ყველა სათემო ექიმები გახდნენ სახელმწიფო მოხელეებად.
საფრანგეთში 1742 წ. სამკურნალო ფაკულტეტზე შემო-

ღებულა უკვე ქირურგის კათედრები—კლინიკები. ბებია ქალთა, როგორც უფლებრივი, ისე მატერიალური მდგომარეობა თანდათან უმჯობესდება. საექიმო დახმარებისათვის გარკვეული ნიხრი დაწესდა, განვითარდა როგორც მედიცინის ცალკე დარგი, სამხედრო—სამკურნალო საქმე. პრუსიამ მაგალითი უჩვენა სხვა სახელმწიფოებს ამ დარგის მოწყობაში.

მე-19 საუკუნე

პათოლოგიური ანატომია, პინელი. მორგანი. ბიშა.

მედიცინა იყო სხვადასხვა ერთმანეთის შემცვლელი სხვადასხვა აზრების კიდილის, ბრძოლის მოედანი. აზრი, ღებულება წამოყენებული გარკვეულ მომენტში, როგორც უდავო ჭეშარიტება, უცბად დავიწყებას მიეცემოდა, და სულ მალე, ცოტათი შეცვლილი, კვლავ მოველინებოდა სამედიცინო აზროვნობას. რა დიდი გავლენა ქონდა ფილოსოფიას საექიმო აზროვნებაზე, მოწიპობს ნატურ-ფილოსოფიური სკოლის ისტორია. მეორე მხრით, მიეღო რიგის ექიმებს დიდი სურვილი და მისწრაფება ქონდათ გაედევნათ ფილოსოფიური სპეკულაცია საექიმო წრიდან და მის ნაცვლად დამყარებიათ ფხიზელი საბუნებისმეტყველო აზროვნება. პირველად გარკვეულად ბარტოლის მიერ გამოთქმული იდეები პინელის ხელში შეცვლილი და დამუშავებულ იქნენ. ის ცდილობდა დაავადების სიმპტომები დაეყო მის შემადგენელ ნაწილებად, დამეტკიცებია, რომ გარკვეულ ანატომიურ აგებულობას უნდა ესაბამებოდეს გარკვეული სასიცოცხლო მოვლენები, და დაეკავშირებია ეს მოვლენები სხეულის დაავადებული ნაწილების თვისებებთან, ერთი სიტყვით—მოექებნა ანატომიური ლოკალიზაცია ავადმყოფობათათვის და ამ საფუძველზე აეშენებია ბუნებრივი ნოზოლოგიური სისტემა. ეს იდეა

აღმოცენდა იმ ნიადაგზე, რომ იმ დროს დააგადების ანატომიური საფუძველი ზედმიწევნით იყო შესწავლილი. ეს მიღწევები დაკავშირებულია იმ ადამიანის სახელთან, რომლის მთავარ დამსახურებას შეადგინს პათოლოგიური ანატომიის ცნობა დამოუკიდებელ სამეცნიერო დარგად. ეს კაცი იყო ჯოვანი ბატისტა მორგანი (1682-1771 წ.). ამ მიმართულების დასაწყისი იყო შესანიშნავი მარჩელო



სურ. 36.
მარჩელო მალპიგი 1628—1694

მალპიგი (1628-1694 წ.), რომელსაც განაგრძობდა მისი მოწაფე ინტონიო მარია ვალსალვა (1668-1723 წ.). მორგანიის მასწავლებელი.

მორგანიი პირველად სწავლობდა ნორმალურ ანატომიას და აწარმოებდა დაავადებული ორგანოს ცვლილებების რეგისტრაციას. ამ გზით ის თანდათან გადავიდა ყველა პათოლოგიური ცვლილებების სისტემატიურ შესწავლაზე. თავისი დაკვირვებანი მან დააგროვა მთლიანად 1761 წ. დაწერილ კაპიტალურ შრომაში „De sedibus et causis morborum per anatomicam indagatis libri duivue. ეს შრომა თავისი გეგმით და აგებულებით სცდილდება წმინდა პათოლოგიურ ანატომიურ ფარგლებს და რადგანაც მთავარი ამოცანა, რომელიც დასახული ქონდა თავის შრომაში მორგანიის, იყო საიმედო საფუძვლის შექმნა სწორი დიაგნოსტიკისა და თერაპიისათვის, მის შრომაში პირველ ადგილზე წმინდა მეცნიერული თვალთახედვა იყო, მისი მიზანი იყო ურყევი კავშირის გაბმა ნორმალურ ანატომიას, ფიზიოლოგიასა და პათოლოგიას შორის. ამ შრომაში შეკრებილი იყო ისეთი მასალა, რომელიც გამოდგა საფუძვლად მედიცინის ამ დარგის მომავალი წინსვლისათვის (ჯოზეფ ლიოტოს და ჯონ ჰუნტერის შრომებში). ფრანსუა კსავია ბიშა, რომელიც ითვლება ახალი მედიცინის წარმომადგენლად, ფართოდ სარგებლობდა თავისი წინაპრების შრომებით. ის აღიბადა ექიმის ოჯახში 1771 წ. განათლება მიიღო ნანტში პარიზში, ლიონში და მონპელიეში. პარიზში საყვარელი მოწაფე იყო დეზოსი, რომელთანაც უმთავრესად სწავლობდა ქირურგიას. თავის მასწავლებლის სიკვდილის შემდეგ უმთავრესად დაინტერესდა ანატომიითა და ფიზიოლოგიით. 1796 წ. ამ საგნების შესახებ ლექციებს კითხულობდა კერძო კურსის სახით. 1801 წ. დაინიშნა Hotel Dieu ში. 1802 წელს ის გარდაიცვალა ტუბერკულოზისაგან. მისი უმთავრესი შრომები, რომლებშიაც გამოსჭვივის ბიშას აზრის განსაკუთრებული რეალურობა და მსჯელობა-

თა სიმტკიცე, შემდეგია: Anatomie generale appliquee
 a la physiologie et la medicine და Recherches phy-
 siologiques sur la vie et la mort ორივე შრომა დაი-
 ბეჭდა 1801 წელს. როგორც ყველა დიდ ნოვატორს, ბი-
 შასაც ახასიათებს ერთგვარი იდეური ცალმხრივობა. ეს
 სჩანს იქიდან, რომ სასიცოცხლო პროცესების ქიმიური
 და ფიზიკური მხარე ჩრდილშია და პირველი ადგილი
 უჭირავს ანატომიურ ფაქტორებსა და ანატომიურ სოფლ-
 ხედვას. რა რიგად შორს მიდიოდა ბიშა ამ მხრით, სჩანს
 მისი სიტყვებიდან: „ზოგიერთი ცხელებისა და ნერვული
 დაავადების გარდა. ყველაფერი ეკუთვნის პათოლოგიური
 ანატომიის დარგს“. მისი მოძღვრების საფუძველს შეად-
 გენს ზოგადი ანატომიის შეხედულობა იმის შესახებ, რომ
 ორგანიზმი შედგება „ქსოვილების ზოგადი სისტემისაგან“
 ე. ი. ისეთებისაგან, რომელნიც მოიპოვებიან ყოველგან
 ორგანიზმში (ქსოვილი, ნერვული ქსოვილი, სისხლის ძა-
 რღებისა და ლიმფური სისტემა) და ქსოვილების განსა-
 კუთრებული სისტემებისაგან, ე. ი. ისეთებისაგან, რომელ-
 ნიც მხოლოდ სხეულის გარკვეულ ნაწილშია (მაგ., კუნ-
 თოვანი, ძვლოვანი და ძვლის ტვინის სისტემები, სერო-
 ზული და ლორწოვანი გარსი, ჯირკვლოვანი სისტემა).
 ყველა ეს ქსოვილები გააერთიანა ერთი სახელწოდებით
 მარტივი ქსოვილები და დაუპირდაპირა რთულებს—ამ
 სახელწოდებაში მოაქცია, როგორც სხვადასხვა გარსი,
 ისე ორგანოები. ასეთმა აზროვნებამ საშუალება მისცა ბი-
 შას არა მარტო გამოერკვია ავადმყოფური პროცესების
 ლოკალიზაცია სხეულის ცალკე ნაწილებში და ორგანოე-
 ბში, არამედ გამოერკვია მათი გავრცელება ცალკე ქსო-
 ვილებამდე. ამ გზით ის მივიდა ორ მნიშვნელოვან დას-
 კვნამდე: პირველი, რომ ყოველ ქსოვილს, სხეულის რო-
 მელ ნაწილშიც არ უნდა იყოს, აქვს ერთი და იგივე

სტრუქტურა, ერთი და იგივე თვისებები და ერთნაირი მიდრეკილება და, მაშასადამე, ყველგან მასში არის მხოლოდ ერთფეროვანი ფორმები ავადმყოფური ცვლილებებისა; და მეორე: სხეულის ნაწილი ან ორგანო ყოველთვის მთლიანად არ დაავადდებიან; რომ შეიძლება ქსოვილის მარტო ცალკე სახე დაავადდეს. ეს იდეები შემდეგ ძლიერ ნაყოფიერი გამოდგენ უმთავრესად იმ მხრით, რომ განდევნეს ავადობის მოძღვრებიდან სხვადასხვა სპეკულაცია და დააყენეს ის რეალური სინამდვილის ნიადაგზე. ბიშა, ისე, როგორც ბევრი მისი წინამორბედი და თანამედროვე, განიცდიდა ვიტალისტური სოფლხელების დიდ გავლენას, და შესაძლებლად მიაჩნდა ავადმყოფური პროცესის წარმოდგენა მის გამომწვევ მიზეზთა გარეშე, მაგალითად, დაავადება წარმოდგენილი ჰქონდა როგორც „საციკოზლო თვისებების მოშლა“, სახელდობრ „მგრძნობიერებისა“ და „შეკუმშვისა“. მისი შეხედულებით, სიცოცხლე გამოიხატება ორ ფორმით: „ორგანიულით“, რომელიც საერთოა ცხოველისათვის და მცენარეებისათვის, და „ცხოველურით“, რომელიც წარმოადგენს მარტო ცხოველისთვის. ყოველ ქსოვილს აქვს თავისი საკუთარი სახე მგრძნობიერობის და შეკუმშვის. ბიშა თავისი ძირითადი აზრებით, გარკვეული წარმომადგენელია სოლიდარული პათოლოგიის. სრულ ცალმხრივობას გადუღრჩა მით, რომ პათოლოგიაში ერთგვარ როლს მიაწერდა ორგანიზმის წვენებს, განსაკუთრებით სისხლსა, და ამგვარად-საფუძველი ჩაუყარა ჰუმორალურ პათოლოგიას. ბიშას აზრები მთლიანად გვიჩვენებენ აზროვნებას შესანიშნავ მეცნიერისას, რომელსაც ნათლად წარმოდგენილი ჰქონდა სამედიცინო გამოკვლევის მიზანი, იცოდა გზებიც, რომელნიც მიდიოდნენ ამ მიზნისკენ, მაგრამ დაკავშირებულნი იყო ათასნაირად წარსულთან და ამიტომ ვერ შესძლო თავი-

დან აეცალეზია ცალმზრივობა და ჩაეფლო იმაში, რასაც თვით ებრძოდა—სპეკულაციაში.

მედიცინის საისტორიო საბუნებისმეტყველო საფუძვლების დამუშავება.

ბევრ ექიმს ქონდა სურვილი ერთგვარად დაეკავშირებია თავის საისტორიო საბუნებისმეტყველო გამოკვლევათა შედეგი საკუთარ სოფლებედასთან. მდგომარეობა შეიცვალა, ფილოსოფიის გავლენა იმდენად შემცირდა, რამდენადაც წინ წაიწია საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა გავლენამ. ამ მიმართულებამ ფეხი მოიკიდა განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მე-19 საუკუნის კულტურულ ცხოვრებაში გამეფდა ზოგად-რეალისტური მიმართულება, როგორც რეაქცია წარსული საუკუნის იდეალიზმის წინააღმდეგ. მოთხოვნილება იყო, რომ ბუნებისმეტყველება არ ყოფილიყო დამოკიდებული ფილოსოფიურ სპეკულიაციაზე. ამის დამამტკიცებელია ოგიუსტ კონტის (1798—1857) მიერ შექმნილი პოზიტივიზმი, რომელიც სრულებით უარყოფდა მეტაფიზიკას, ცდილობდა თვისი დებულებები გამოეტანა მხოლოდ ნამდვილ მოვლენათა დაკვირვებიდან და ქეშმარიტ მეცნიერულ დისციპლინებად სთვლიდა მართო სათემატიკას, ასტრონომიას, ქიმიას, ფიზიკას, ბიოლოგიას და სოციოლოგიას. პოზიტივიზმის გვერდით და უფრო მძაფრად იბრძოდა მატერიალიზმი, რომლის მთავარი წარმომადგენლები იყვნენ ჯარლ ფოხტი (1817—1895) ლ. ბიუხნერი და სხვები. რაც შეეხება ცალკე საბუნებისმეტყველო მეცნიერების კავშირს მედიცინასთან, ბოტანიკა ორგვარ გავლენას აწარმოებდა მედიცინაზე: პირველი: სამკურნალო მცენარეების ზედმიწევნით შესწავლამ გაამდიდრა, გაადიდა სამკურნალო საშუალებათა არსენალი, და მეორე და უმთავრესი: ბოტა-

ნიკა თავისი ბიოლოგიური გამოკვლევებით ხელს უწყობდა მედიცინის განვითარებას. თუმცა ეს გავლენა ყოველთვის არ იყო მარგებელი; მაგალითად, ლინნეის მიერ მცენარეულობის ბუნებრივი ნათესაობის კლასიფიკაციის შემოღებამ ააგულიანა ზოგიერთი ექიმები წაებაძათ ასეთი მეთოდისათვის და ეს იყო ერთერთი მთავარი მიზეზი „ნატურ-ისტორიული“ სკოლის შექმნისა. მეორე მხრით მიკროსკოპულმა ბოტანიკამ წინ წასწია მედიცინა ორი მიმართულებით: მიკროსკოპული სოკოსებურ ფორმების აღმოჩენამ საძირკველი ჩაუყარა სწავლას პარაზიტების შესახებ. მცენარეულ უჯრედთა აღმოჩენამ საფუძველი შეუქმნა სწავლას ცხოველის უჯრედის შესახებ, რომელიც ჩამოაყალიბა სასტემაში რ. ვირხოვმა. ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში ჰუკი და მალპიჯი არჩევდნ მცენარეულ უჯრედს, რობერტ ბროუნმა ნახა უჯრედის გუნდი ორქიდეისა, მხოლოდ მატეას იაკობ შლეიდენმა (1804—1864 წ.) პირველმა დაამტკიცა, რომ უჯრედი არის მცენარის განვითარების აუცილებელი ელემენტი. ამ გამარჯვებამ დასაწყისი მისცა უდიდეს ზოოლოგიურ აღმოჩენას, რომელიც პირველად დაამუშავა თავის შრომაში თეოდორ შვანმა (1810—1882 წ.). მან მოსპო ზღუდე, რომელიც ამორებდა მცენარეულობის სამეფოს ცხოველებისაგან და მით უდიდესი სამსახური გაუწია მედიცინას. ზოოლოგიის დარგში დიდი დამსახურება, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ქონდა მედიცინისათვის, მიუძღვის გოტფრიდ ერენბურგს (1795—1876). სამედიცინო გამოკვლევებისათვის დიდი მნიშვნელობა ქონდა აგრეთვე ყორეიკეიუვიეს შრომებს შედარებით ანატომიაში და მის დაკავშირებას ზოოლოგიასთან. უფრო დიდი მნიშვნელობა ქონდა ჩარლზ დარვინის (1809—1882) თეორიას მემკვიდრეობის შესა-

ხებ, რომელმაც ერთხელ და სამუდამოდ მოსპო: ქველი დე-
ბულგუზა სახეთა უცვლელობის შესახებ.

მართალია, დარვინის იდეებს ყავდა წინაპარნი,
ასეთები იყვნენ შვეალიე დე ლამარკი (1744—1829);



სურ. 37.

მატიას იაკობ შლეიდენი. 1804—1864.

ჟოფრუა სენტილტერი (1772—1844), გიოტე და სხვები.
მაგრამ დარვინი იყო პირველი, რომელმაც დაამტკიცა



თედორე შვანი

საბოლოოდ, რომ დღეს არსებული სახეები წარმოიშვენ ძველად არსებულ, ნაკლებად განვითარებულ, სახეთაგან, და რომ შეცვლის თანდათანობის პროცესში მთავარი მიზნობრივი ფაქტორია ბუნებრივი შერჩევა, რომელიც არის „არსებობისათვის ბრძოლის“ შედეგი. ამ თეორიას გამოუჩნდა ბევრი მომხრე და მან მოქალაქობრივობა მოიპოვა სულ მოკლე ხანში. ამ თეორიის განვითარების შემდეგი საგულისხმო მომენტი იყო ერნსტ ჰეკელის (1834—1919) მიერ წამოყენებული „ბიოგენეტიური ძირითადი კანონი“, რომლისდა მიხედვითაც უპალესი ცხოველები ებრიონალურ მდგომარეობაში იმეორებენ (ცხადჰყოფენ) მათ წინაპართა, მთელ განვითარებას, გაივლიან ამ განვითარების საფეხურებს.

მე-19 საუკუნეში ფიზიკამაც ბევრი შემატა მედიცინას. თანდათანობით ფიზიკამ, უმთავრესად ფიზიოლოგიაში, როგორც სწავლაში სასიცოცხლო ფუნქციების შესახებ, დაიკავა ის ადგილი, რომელიც მას ეკუთვნოდა სინამდვილეში. მით უფრო, რომ ახლა მისი გავლენა არ იყო ისე ცალმხრივი, როგორც იატროფიზიკოსების დროს მან შესაფერისი ადგილი დაუთმო თვის მახლობელ, მეზობელ ქიმიას. ფიზიკის ყველა აღმოჩენილი კანონები აღმოჩნდნენ დამხმარედ ცოცხალი ორგანიზმის მოვლენებისათვის. საკმარისია გავიხსენოთ ისეთი სახელები, როგორც ტომას ლუნი (1773—1829), ჯონ დალტონი (1776—1884 წ.) ატომური თეორიის შემქმნელი, გ. ლიუსაკი (1778—1850 წ.), რომელმაც აღმოაჩინა მოცულობის კანონი, ზლადნი, ფრაუნჰოფერი, ამპერი. მათ ნაშრომთა გარეშე შეუძლებელია წარმოვიდგინოთ დღევანდელი ფიზიოლოგია. უდიდესი გავლენა მოახდინა იულიუს რობერტ მაიერის (1814—1878 წ.) მიერ აღმოჩენილმა „ძალთა შენახვის კანონმა“. ამ კანონის მეოხებით სრულებით

თუ არ მოისპო ვიტალიზმი, მისი გავლენა თითქმის არა-
რად იქცა. პრაქტიკული მედიცინაც სარგებლობს ფიზი-
კის მიღწევებით; როგორც დიაგნოსტიკა, ისე თერაპია
გაცხოველებული ინტერესით მიჰპართავენ ფიზიკას. აუსკულ-
ტაცია, პერკუსია, მიკროსკოპია, შემდეგ ფოტოგრაფია,
ენდოსკოპია, ოფტალმოსკოპია ამის საუკეთესო დამამტკი-
ცებელია იმგვარადვე, როგორც ელექტრო-თერაპია, ჰიდ-
რო-თერაპია, და სხვა მეთოდები მეურნალობის. იგივე
ითქმის ქიმიის შესახებ. მისი გავლენა მედიცინაზე განუ-
საზღვრელი იყო მ. შევრელის ახსნა გასაპვნის პროცესი-
სა, აღმოჩენა, რომ შარდულა არის ციანო-მევაა ამონია-
კის გარდაქმნა (ფრიდრიხ ველერი, კლოდ ბერტოლეს და-
მტკიცება, რომ მარტო ჟანგმბადი არ ქმნის მეავას, ე.
ბერცელიუსის შრომები ცხოველთა ქიმიის შესახებ, მისი
სწავლა ქიმიურ პროპორციათა შესახებ, ატომური წონის
ზუსტი გამორკვევა, შესანიშნავი შრომები იუსტუს ლიში-
ხისა (1803—1873 წ.) და მისი მოწაფეების. ყველაფერი
ეს საფუძვლად დაედო თანამედროვე მედიცინას. პრაქტი-
კული ღირებულება ქონდა კარლ ჰოფმანის (1760—1832)
მინერალური წყლების ანალიზებს. ლეოპოლდ გმელინის
ტოქსილოგიურ შრომებს, ფრიდრიხ ვილჰელმ ადამ სერ-
ტიურნერის პირველი ორგანოული საფუძვლის მორფიუ-
მის აღმოჩენას. ქიმიამ დიდი გავლენა მოახდინა სხვათა
შორის ფარმაცო-თერაპიაზე.

მედიცინასა და ბუნებისმეტყველობას შორის მჭი-
დრო კავშირი შეიკრა. მთელი განვითარება მიზანშესაფე-
რად ცელულიარულ პათოლოგიასთან. ფილოსოფიური
სპეკულიაციის უკუგდებამ მედიცინაში საფუძველი წაარ-
თვა ჰუმორალურ-პათოლოგიურ თვალთახედვას. ავადმყო-
ფური პროცესის ლოკალიზაცია ცალკე ქსოვილებაში პი-
რველი ნაბიჯი იყო სოლიდარული პათოლოგიური მოძ.

ღვრებისათვის. აღმოჩენა ცხოველის უჯრედის მნიშვნელო-
 ბისა ორგანიზმის ყველა მოვლენებისათვის იყო საფუძვე-
 ლი, რომელზედაც უნდა აღმოცენებულიყო ახალი მოძ-
 ღვრება. დიდი მნიშვნელობა ამისათვის ქონდა კარგად
 დამუშავებულ ადამიანის და ცხოველების ანატომიას.
 თუმცა ადამიანის სხეულის აგებულობა საერთოდ ცნო-
 ბილი იყო, მაინც ძლიერ ბევრი ხარვეზი იყო, რომელ-
 საც სჭირდებოდა ამოვსება. განსაკუთრებით სჭირდებოდა
 შევსება მგრძობიარე ორგანოების, ნერვული სისტემის,
 ტვინისა და სხვ. შესწავლას. გულმოდგინე მუშაობა წარ-
 მოიბოძა იმის გამოსარკვევად, თუ რა კავშირია ცალკე
 ნაწილებს შორის ვარკვეულ არეში. შეიქმნა ტოპოგრა-
 ფიული ანატომია. ბევრი მკვლევარი მუშაობდა. ზოგიერ-
 თების სახელი აღსანიშნავია. ცხვირის, ყურის განგლიე-
 ბის და ნერვების გამოკვლევით თავი ისახელა ანტონიო
 სკარპამ (1747—1832), გამოჩენილი მორგანიის მოწაფემ.
 დიდი სახელი მოიხვეჭა ჰოლანდიელმა ედ. სანდიფორ-
 ტმა (1742—1819) შრომებით კუნთების და შიგნეულო-
 ბის შესახებ; ინგლისელმა ჯონ ბელმა (1763—1820 წ.)
 შეენიერი სახელმძღვანელო დასწერა ანატომიისა. შედა-
 რებითი ანატომიის დამუშავებაში აღსანიშნავია გ. მეკე-
 ლი უმცროსი (1781—1833 წ.). აღსანიშნავია აგრეთვე
 იუსტ ლოდერი (1753—1832), ჟიულ ჟერმენ კლოკე
 (1790—1883) და ბევრი სხვები. შემოხსენებულ ანატომე-
 ბზე უფრო მაღლა სდგას თავისი მნიშვნელობით იაკობ
 ჰენლე (1809—1865). მისი „ზოგადი ანატომია“ და „სი-
 სტემატიური ანატომია“ (1871—1879) ფუნდამენტალური
 შრომებია დღემდე. თანამედროვე მეცნიერებისათვის მნი-
 შვნელობა ქონდა არა მარტო მის ანატომიურ აღმოჩენე-
 ბს, არამედ მის „პათოლოგიურ გამოკვლევებს“. მომავლი-
 სათვის განსაკუთრებითი მნიშვნელობა ქონდა მის ჰიპო-

ტენჯას „Contagium animatum“-ს შესახებ: ეს ჰიპოტენჯა არის სათავე იმ შეხედულობის, რომელიც მიკროორგანიზმებს მიაწერს მთავარ როლს, გადამდები სენების წარმოშობაში და გავრცელებაში. ანატომთა რიცხვი თანდათან იზრდებოდა. მე 19 საუკუნეში კიდევ აღსანიშნავია ვენელი ანატომი იოსებ ჰირტი (1811—1894). მისი „ტოპოგრაფიული ანატომიის სახელმძღვანელოთი“ და მისი შრომის მედიკო-ქირურგიული პრაქტიკული გამოყენებით. გერმან ველკერმა ძლიერ წასწია წინ მიკროსკოპიული ტენჯიკა მიკროტომის გამოგონებით. აღსანიშნავია ფრანგი მარი; ფილიბერ საპპეი „აღწერილობითი ანატომიის“ ავტორი; შარლ ფილიპ რობენი ცნობილია შრომებით ჰისტოლოგიაში. ინგლისში ცნობილია ჯორჯ გულივერი, ეილიამ ბოუმენი, რომელიც მუშაობდა ანატომიის დარგში და ფიზიოლოგიაში და იმავე დროს გამოიჩინა ოკულისტი იყო. ანატომთა რიცხვს ეკუთვნის ფრანც გალი თავისი სპეციალური სწავლით: კრანტიოსკოპიით და ფრენოლოგიით. მან დაწვრილებით შეისწავლა ტვინი და მისი ცალკე ნაწილები და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ტვინი შედგება მრავალრიცხოვანის, ერთმანეთისაგან დამოკიდებული ცალკე ორგანოებისაგან, რომელთაც აქვს მხოლოდ ადგილობრივი დაკავშირება და მოთავსებული არიან უმთავრესად დიდი ტვინის ქერქში. თვითვე ცალკე ორგანოს განსაკუთრებული დანიშნულება აქვს გარკვეულ პსიქიურ ფუნქციისათვის, თვითვე ფსიქიურ სფეროს თავისი ლოკალიზაცია. ახალი იდეა შემდეგ გადამუშავებულ იქნა სქემატიურ სისტემად, რომლითაც ტვინის შემადგენელ 27 ორგანოს ესაბამება ამდენივე „გრძნობა“. მაგ., მეგობრობის გრძნობა, გამრავლების, მოკვლის, შურისძიების, ხელოვნების, მიბაძველობის და სხვა ამგვარი. ფრენოლოგიას ფართო გასავალი

ქონდა როგორც ექიმთა შორის, ისე ხალხში, და ერთ დროს აქედან წარმოიშვა ავადმყოფური გატაცება. ფიზიოლოგიის დარგშიაც ვხდებით ასეთსავე შეცდომებსა და დაბნევას. ასეთი იყო ევრეთწოდებულ „ბრუსეიზმი“ — მისი შემქნელი პარიზელი პროფესორი ფრანსუა ვიქტორ ბრუსე (1772—1838), ვიტალიზმის მოძღვრების აშკარა მომხრე. მას სწამს ორგანიზმის ძალა, რომელიც სხეულში იწვევს ქიმიურსა და ფიზიკურ მოვლენებს. თავისი მოქმედებისათვის სასიცოცხლო ძალას სჭირდება გარეგანი გალიზიანება, განსაკუთრებით სითბო. როდესაც გალიზიანება საშუალოდ მოქმედებს, ორგანიზმი ჯანმოთელია ან დიდი ძალა ან სისუსტე გალიზიანებისა იწვევს დაავადებას. ავადმყოფური გალიზიანება „irritation“, როგორც წესი, პოქმედობს ჯერ სხეულის ზოგიერთ ნაწილებზე, მანერდ მოქმედობს მათ მგრძნობიარე სფეროზე ან იწვევს წნევას და საზრდობის მოძრაობის შეცვლას. ამ ადგილიდან ავადმყოფური გალიზიანება ვრცელდება ნერვული გზებით ერთგვარი „სიმპატიის“ გამო. საჭმლის მომწელებელი აპარატის ლორწოვანი გარსი წარმოადგენს დასაწყისის წერტილს შემდეგი გავრცელებისათვის. აქედან დაავადება გადადის უმთავრესად ტკინზე, რის გამო წარმოადგება თავის ტკივილი და თავბრუსხვევა, ან გადადის გულზე, რის გამოც იწყება ცხელება.

ვინაიდან კანიც დაკავშირებულია საჭმლის მომწელებელი არსის ლორწოვან გარსთან, ჩნდება ეკზანტემები (ტიფის, ქუნთრუშას, წიჯელას დროს). გასტროენტერიტი ბოლოს და ბოლოს დასაწყისია ყოველგვარი ავადმყოფობის მკვეთრი ფორმის დროს, ქრონიკული ფორმის დროს, კუჭის ავადმყოფური მდგომარეობის ცოდნა გასაღებია პათოლოგიისა და თავისი სიმარტივითა და მიმდევრობითი სისტემით მოქმედობს სიმკვეთრით. თერა-

პიაც ადვილია და თითქმის ყოველთვის ვასტრო-ენტე-რიტის წინააღმდეგ არის მიმართული—უპირველესად წურბელა კუჭის და ნაწლავების არეში. წურბელა ინიშნებოდა აგრეთვე სახსრებზე რევმატიზმისა და ნიკრისის დროს, კისერზე-კრუპის დროს, გულ-მკერდზე ქლექის დროს და სხვა. დიეტასაც მნიშვნელობა ქონდა ამ თერაპიის დროს. ბრუსეს მოძღვრება არავითარ პროგრესს არ წარმოადგენდა და პრაქტიკის მხრით, პირიქით, უარყოფითი გავლენა ქონდა.

ფიზიოლოგია, როგორც საბუნებისმეტყველო-მეცნიერული დისციპლინა.

საჭირო იყო ბრუსეიზმის მოძღვრების უკუგდება, რომ არ შეჩერებულყო მედიცინის საბუნებისმეტყველო-ისტორიული შესწავლა. დიდი მნიშვნელობა ქონდა ამ მხრით ორ გამოჩენილი ფრანგ ავტორების გამოსვლას. ესენი იყვნენ ფრანსუა მაჟანდი (1783—1855) და კლოდ ბერნარი (1813—1878). ორივე განიცდიდა ბიშას გავლენას, მაგრამ ჩანს, რომ ორივე ცდილობდა თავიდან აეცილებიათ მისი შეცდომები. მაჟანდის ძირითადი პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ ყველა სასიცოცხლო მოვლენები, ნერვული სისტემის მოქმედების გარდა, გამოიხატება ფიზიოლოგიურ-ქიმიურისა და ფიზიკური კანონებით. რომ მედიცინაში ცდა, ყოველგვარ რეზონიურობას მოკლებული. ყველაფერია. ეს აზრი, თუმცა ახალი არ იყო, მაგრამ მაჟანდი განსაცვიფრებელი მიმდევრობით ატარებდა ამ აზრებს და თავის გამოკვლევებში ფიზიოლოგიურ ექსპერიმენტებთან და ვივისექციასთან ერთად პათოლოგიურ ექსპერიმენტებსაც მიჰმართავდა. ნერვული სისტემების მოქმედებას მაჟანდი მაინც ხსნიდა ვიტალიზმის საშუალებით, რომელსაც სხვა შემთხვევებში ენერგი-

ულად ებრძოდა. უდიდესი როლი შეასრულა კლოდ ბერ-
ნარმაც თავისი გამოკვლევებითა და აღმოჩენებით — საკმა-
რისია გავიხსენოთ მისი ახსნა პანკრეატული ჯირკვლის
ფუნქციისა და ღვიძლის მოქმედების საშუალებით შაქრის



სურ. 38.

იოჰანეს მიულერი. 1801—1858

გაჩენისა. მათ გარდა ეპოქის ცნობილი ფიზიოლოგებია
ბროუნ-სეკარი, ფლურანსი, ინგლისში ჩარლზ ბელი, შარ-
ხალ გალი და სხვები, ცენტრალურ ფიგურად, რომელშიაც
იკრიბებოდა ეპოქის მისწრაფებანი, იყო გერმანელი
იოჰანეს მიულერი (1801—1858 წ.). თავისი მოღვაწეო-
ბის პირველ ხანებში ის განიცდიდა ნატურფილოსოფიის
გავლენას, მაგრამ თანდათანობით დარწმუნდა, რომ სამე-

დიცინო მუშაობაში, გამოკვლევებში გამოსავალი წერტილი უნდა იყოს დაკვირვება და ფაქტი, რომელთა მიღება ბუნებაში შეიძლება მხოლოდ ერთი გზით — ექსპერიმენტის საშუალებით. ეს პრინციპი შესანიშნავად გაატარა მან თავის კლასიკურ. შრომაში „ადამიანის ფიზიოლოგიის სახელმძღვანელო“ (დაწერილია 1833—1840 წ.).

თუ მიუღწერი არ იყო დამაარსებელი ექსპერიმენტალური ფიზიოლოგიის, მან უჩვენა გზა, რომელთაც მოდიოდა ფიზიოლოგია დღემდე. მასვე ეკუთვნის პირველი სისტემატიური შრომა „ავადმყოფურ სიმსივნეთა უფრო წვლილი აღნაგობისა და ფორმების შესახებ“, რომელშიაც პათოლოგიური ჰისტოლოგია დაწერილია ისეთი ფორმით, რომ შეექმნა სამავალითო მონავალი შრომებისათვის.



სურ. 39.

ემილ დიუბუა—რეიმონდი 1818—1896

დიდი ღვაწლი მაუძღვის მას აკრეთვე ნორმალურის, შედარებითისა და პათოლოგიური ანატომიის დარგებში. შემდეგმა ხანამ შესძლო ბევრი გამოჩენილი სამედიცინო მოღვაწის მოცემა. მათ შორის ბევრია მიუღწერის მოწაფე, მხოლოდ ის, ვინც არ იყო მისი უშუალო მოწაფე, განიცდიდა მის გავლენას. მათ რიცხვს ეკუთვნის ზემოხსენებული თ. შვანი, ემილ დიუბუა-რეიმონდი (1818—1896), რომელიც

ცნობილია შრომებით კუნთებისა ნერვული ქსოვილის ფიზიოლოგიაში. ერნსტ ბრიუკე (1819—1892), რომელმაც სახელი გაითქვა თავისი შრომებით საკმლის მონელების ფიზიოლოგიაში, მხედველობის ფიზიოლოგიაში და სხვ. მიულერის მოწაფე ვ. პფლიუგერი „Archiv gesamte Physiologie“ დამაარსებელი. ყველაზე უფრო გამოჩენილი და შესანიშნავი მის მოწაფეთა შორის უსათუოდ იყო



სურ. 40.

გერმან ჰელმჰოლცი—1821—1894.

გერმანე ფონ ჰელმჰოლცი (1821—1894), რომელმაც თავისი შრომებში და ცდებში დაამტკიცა, რომ ფიზიოლო-

გის ერთად ერთი საფუძველია ქიმიურ და ფიზიკური მეთოდების გამოყენება. მისი გამოგონილია თვალსაშარსი, რომლითაც ოფთალმოლოგიას გაეხსნა ახალი გზები. მთელ რიგი მკვლევართა პირველ ადგილზე აყენებდა ამოცანას, მოენახა ფიზიოლოგიის ქიმიური საფუძველი და ამგვარი გამოკვლევებს აწარმოებდა. მათზე შეიძლება ითქვას რომ ისინი მუშაობდნენ „ფიზიოლოგიური ქიმიის“ ამ ხასიათის შრომებზეა ლეოპოლდ გმელინის (1788—1853 წ.), გერმანე ფელინგის და ფელიქს გოპპეზილერის (1828—1895).

მოძღვრება დაავადობაზე, როკიტანსკი, ვირხოვი.

ბუნებისმეტყველების შესანიშნავი მიღწევები—განსაკუთრებით ანატომიის და ფიზიოლოგიის—უეჭველად მოახდენენ გავლენას მოძღვრებაზე დაავადობის შესახებ. პათოლოგიამ, ბიშას შემდეგ, თვალსაჩინოდ ფერი იცვალა—ისე, როგორც რომის პერიოდში დოგმატიური ჰუმორალური სწავლა გარდაიქცა მეთოდის სოლიდარულ პათოლოგიურ თეორიად. ახლაც გალენის სწავლა მე-16 საუკუნიდან, სავსებით დამარცხებული არ იყო, მაგრამ თანდათან იხევდა უკან. მის ადგილზე ნელა, მაგრამ შეუჩერებლად იზრდებოდა ახალი „სოლიდარული“ თეორია, რომელიც შტეცილებოდა იმის გამო რომ, მატულობდა ცოდნა უჯრედებისა და მისი მნიშვნელობის შესახებ ავადმყოფური პროცესებისაჟვის. ბუნებისმეტყველებაზე დაფუძნებული წინასწარი პირობები სოლიდარული პათოლოგიის შესაქმნელად მოცემული იყო კარლ ფონ როკიტანსკის მიერ (1804—1878). ვენის სკოლის შესანიშნავმა ახალგაზრდა მკვლევარმა გამოიკვლია ყოველმხრივ თვალით დასანახავი ავადმყოფური ცვლილებები და პირველად გამოთქვა აზრი, რომ კლინიკურ მოვლენათა გაგე-

ბისათვის ცოცხალზე აუცვლებელია ცოდნა და ხელმძღვანელობა იმით თუ, რა არის ნახული განაკვეთზე, პათოლოგიური ცვლილებები შესწავლილი იყო ისე, როგორც არაოდეს. ამას მიემატა ცხოველის უჯრედის აღმოჩენა. დიიბადა ბუნებრივი სურვილი გვამზე მაკროსკოპიულ შესწავლას დამატებოდა მიკროსკოპიული და შესწავლა ავადმყოფობის მსვლელობის ბოლომდე, მ. ი. უჯრედამდე. ამ ამოცანის ბრწყინვალე შესრულება ეკუთვნის რუდოლფ ვირხოვს.

რ. ვირხოვი დაიბადა 1821 წ. პომერანიაში, 1839—1843 სწავლობდა ბერლინში, მოწაფე იყო იოჰანე მიულერისა, ბერლინშივე მიიღო პრივატ-დოცენტობა, 1849 წ. გადასახლდა ვირცბურში, სადაც მიიღო პროფესორობა. 1856 წ. დაუბრუნდა ბერლინს, სადაც მიიღო პათოლოგიური ანატომიის კათედრა და ორპოკდა აკი წლის განმავლობაში მუშაობდა როგორც მკვლევარა, მას. წავლებელი, მწერალი და პოლიტიკოსი. გარდაიცვალა 1902 წელს. მისი განვითარების პროცესი მაჩვენებელია იმ გადატრიალებისა, რომელშიც იმყოფებოდა მედიცინა. მის პირველ დიდ შრომაში 1858 წ. „ცელიულარული პათოლოგია“, დაფუძნებული ქსოვილის ფიზიოლოგიური და პათოლოგიურ სწავლაზე—სჩანს ერთი მხრით ჰუმორალურ-პათოლოგიურ სწავლის გავლენა და ვიტალისტური აზრების გავლენა, მეორე მხრივ, მაგრამ ვიტალიზმი მისი თავისებური იყო. ვიტალისტები ფიქრობდნენ, რომ სასიცოცხლო ძალა განაწილებულია მთელ ორგანიზმში ან ზოგიერთ ორგანოებში. ვირხოვი კი სთვლიდა ყოველ ცხოველს როგორც ჯამი სასიცოცხლო ერთეულების, რომლიდანაც თვითეულს აქვს სიცოცხლის ყველა თვისებება. სიცოცხლის ხასიათი და მთლიანობა არ შეიძლება შევკრიბოთ ერთ გარკვეულ წერტში,—უმაღლეს ორგა-

ნიზაკიისა, მაგ., ადამიანის ტვინში, სიცოცხლის კონცენტრაციაა გარკვეულ, მუდმივ განმეორებითი ორგანიზაციაში, რომელსაც თავის თავში ისახავს ყოველი ცალკე



სურ. 41.

რუდოლფ ვირხოვი. 1821.—1902.

ელემენტი. აქედან გამომდინარეობს, რომ დიდი ორგანიზმი წარმოადგენს საზოგადოებრივი ორგანიზაციის სახეს, ეს ორგანიზაცია—სოციალურია, მასში მრავალი ცალკე არსებობანი იმყოფებიან და დაკავშირებული არიან ერთმანეთთან. ვირხოვმა თანმიდევნებით ჩაატარა ჰისტოლოგია, მოიხმარა პათოლოგია და ფიზიოლოგია, და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ უჯრედი არის ნამდვილი პირველი დასაწყისი ყველა სასიცოცხლო მოვლენებისა. ვირხოვის

უდიდესი შრომა იყო „ცელიულარული პათოლოგია“. პათოლოგიური პროცესი ეხატებოდა მას, როგორც უჯრედების მოქმედება არა ნორმალურ პირობებში და მთავარ მიზნად ისახავდა უჯრედებში სტრუქტურის ცვლილებების ცალკე სახეების გამორკვევას მათ ავადმყოფურ მდგომარეობაში და აგრეთვე ამ ცვლილებების მსვლელობის ცალკე გამორკვევას. ავადმყოფობა, მისი აზრით, არის შეცვლილი სხეულის ნაწილი ან, პრინციპიალურად რომ ითქვას, შეცვლილი უჯრედი ან შეცვლილ უჯრედთა აგრეგატი (ქსოვილი ან ორგანო). ამით შექმნილი იყო სოლიდარული პათოლოგიური თეორია. ამ აზრებს დიდი შედეგი მოჰყვა, ვინაიდან საბოლოოდ გამოეთხოვენ რაღაც საიდუმლო „ძალთა“ ძებნას, როგორც მიზესს და ყველა იძულებული იყო მიემართა ფხიზელი საბუნებისმეტყელო—ისტორიული დაკვირვებისათვის სასექციო დანისა და მიკროსკოპის შემოწმებით. მის მოწაფეთა მთელი რიგი განაგრძობდა მის საქმეს—ასეთები იყვნენ მისი ასისტენტი იული კონჰეიმი (1839—1884), ედვინ კლებსი, ფრიდრიჰ რეკლინჰაუზენი და ბევრი სხვა. ბეერს სჯეროდა, რომ იპოვეს ავადმყოფობათა რაობა და ეძებდნენ მას უჯრედში. ამის შედეგი იყო ძლიერი უყურადღებობა სნეულისადმი, სითხეების და კლინიკური სიმპტომების არა საკმაო შეფასება. ავადმყოფურ პროცესებს განიხილავდნენ, როგორც ერთ მთლიან რასმე, და ვერ არჩევდნენ ერთმანეთისაგან იმ სიმპტომებს, რომელნიც გამოწვეული არიან გარეშე მავნებლობისაგან, და იმ სიმპტომებს, რომელნიც არიან ორგანიზმის რეაქციის შედეგი. ეს იყო არა მარტო თეორიული შეცდომა, არამედ პრაქტიკულად მავნეც, ვინაიდან ებრძოდნენ სწორედ იმ მოვლენებს, რომელნიც წარმოადგენენ ორგანიზმის უმთავრეს ბუნებრივ დამცველ საშუალებას.

ბაქტერიოლოგია, პასტერი, კოხი.

ცელიულარული პათოლოგიას მიღწევებმა და აღმოჩენებმა ბევრ ექიმში დაბადა რწმენა, რომ ღღეს თუ ხვალ ყველაფერი ნათელი იქნებაო. მალე წამოიჭრა კითხვა: რით არის გამოწვეული თვით უჯრედების ცვლილებები, რომელშიც ხედავდნენ ავადმყოფობის გამოსახვას? ცხადი იყო, რომ უჯრედოვანი პათოლოგია ხსნის თვით ავადმყოფურ პროცესს, მაგრამ არ შეუძლია გამოირკვიოს მისი მიზეზები. უდიდესი მნიშვნელობა ქონდა ავადმყოფობათა ეთიოლოგიის ახალი საფუძვლების გამოსარკვევად ჰენდეს „Contagium animatum“-ის აღმოჩენას. კანიარ დელა ტური აღმოაჩინეს, რომ ფუილის პროცესის გამომწვევია საფუარის სოკო. სოკო აღმოჩენილია ფოგელის მიერ. გენიალური აღმოჩენაა ლუი პასტერისა (1822—1895), რომ სოკო შეიძლება წარმოიშვას მხოლოდ ჩანასახისაგან და აღუღებთ. თუ დავხოცავთ სოკოებს, შეიძლება მივიღოთ უნაყოფობა, ეს საფუძვლად დაედო თანამედროვე ბაქტერიოლოგიას. პასტერის მიერ შემოღებულმა აცრამ ცოფის წინააღმდეგ (მეოთხმოცე წლებში) საფუძველი ჩაუყარა ვაქცინოთერაპიას და საერთოდ ბაქტერიის-თერაპიას. 1849 წ. ბეითალმა პოლენდერმა და 1855 წ. ბრაუელმა იპოვეს ჩხირისებული სხეულაკები ციმბირის წყლულით დაავადებულ ცხოველებში, მაგრამ ვინაიდან ციმბირის წყლულით დაავადებულ ყველა ცხოველებში, ვერ ნახეს ეს ჩხირები, თეორია უდაოდ არ იყო მიჩნეული. ეს საბოლოოდ დაამტკიცა რობერტ კოხმა. კოხი დაიბადა 1843 წ. ვანათლება მიიღო გეტინგენში, როგორც ქალაქის ექიმი, გულმოდგინედ აწარმოებდა ციმბირის წყლულის გამოკვლევას და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც ციმბირის წყლულით დაავადების

დროს ვერ ნახულობენ ბაცილებს (ჩხირებს), ისინი მაინც არსებობენ სხვა ფორმებში. ეს დადასტურდა მის შემდეგ, რაც აღმოჩენილ იქნა „სპორები“. დიდი მნიშვნელობა ქონდა კოხის აზრს, რომ სიკვდილისაკენ ცხოველი მიჰყავს არა თვით მიკროორგანიზმებს, არამედ მათ მიერ



სურ. 42.
ლუი პასტერი 1822—1895.

გამომუშავებულ ცილოვანი სხეულებს. შემდეგი მისი აღმოჩენა იყო იმას მტკიცება, რომ ყველა ბაქტერიები ერთნაირი არ არიან, როგორც მანამდე ფიქრობდენ. კოხმა დაამტკიცა რომ არსებობენ ბიოლოგიურად სხვა და სხვა გვარი მრავალი მიკროორგანიზმები, თვითეულს შუქულია გამოიწვიოს ცხოველის ორგანიზმში განსაკუთრებული მოვლენები. და

„ინფექციით“ გამოწვეულ ავადმყოფობას მიზეზად აქვს განსაკუთრებულ სახის ბაქტერიები. 1878 წ. ყველაფერი ეს დაასაბუთა თავის შესანიშნავ შრომაში: „ქრილობების ინფექციური დაავადებათა ეთიოლოგიის გამოკვლევა“. 1882 წ. ისარგებლა მიკროსკოპიული ტენნიკის განვითარებით (იმმერსია და კონდენსორი) და აღმოაჩინა ტუბერკულოზის ბაცილა, ერთი წლის შემდეგ კი ხოლერის ვიბრიონი. ამავე ხანაში ნეისერჰა აღმოაჩინა სუსუნატის გამომწვევი კოკი, ჰანსმაკეტორის ბაცილი. ბაქტერიოლოგიის ზრდას ხელი შეუწყო 1881 წ. გამოქვეყნებულმა კოხის სახელმძღვანელომ „პათოლოგიური მიკროორგანიზმების გამოკვლევისათვის“, რომელშიაც მოთავსებულია ბაქტერიოლოგიური მეთოდების მთელი ტენიკა. კოხის მიერ გამოთქმული აზრი ტოქსინების მნიშვნელობის შესახებ ავადმყოფობის გამოწვევისათვის გაფართოვდა სხვა მკვლევართა შრომებით. მათ ნახეს, რომ ორგანიზმში გადატანილი ინფექციის შემდეგ წარმოიშობება უხამის საწინააღმდეგო ნივთიერება, როგორც ორგანიზმის თავდაცვის გამოხატულება. ამ ნივთიერებას 1880 წ. ბერინ-



სურ. 43.

რობერტ კოხი. 1843—1892

მა და 1891 წ. ერლიხმა უწოდა „ანტიტოქსინი“, პფეიფერმა „ბაქტერიოლიზინი“, დეიტშემ „ანტიგენი“. მას ეძებდნენ უმთავრესად სისხლისშრატში. ყურადღება მიაქციეს ვირხოვის შემდეგ დაწყებულ სხეულის თხიერ ნაწილებს. ჰუმორალურმა მიდგომამ საკითხისადმი მოქალაქებრიობა მოიპოვა, გვიხსნა ამასთან ერთად ახალი ჰორიზონტები თერაპიასა და პროფილაქტიკაში.

პრაქტიკული მედიცინის განვითარება. ვენის და ბერლინის სკოლა.

მე-19 საუკუნეში მედიცინის პროგრესი შეეხება არა მარტო თეორიულ მედიცინას. წინ წაიწია აგრეთვე მეურნალობის პრაქტიკულმა მიღწევებმა. იყვნენ ისეთი გამოჩენილი ექიმები, რომელთაც აინტერესებდა უმთავრესად მედიცინის პრაქტიკული მიზანი. ასეთები არიან ტრუსო, (1861—1867); შესანდშნავი კლინიცისტი და დიაგნოსტი, ჟან მარტინ შარკო (1825—1893 წ.), ბრაიტი (1789—1858 წ.), ტომას ადისონი (1793—1869 წ.), ვილიამ სტოსი და მრავალი სხვები. ვენაში შემთხვევით შეიკრიბა ბევრი გამოჩენილი ექიმი, — რომელთაც პირველ ადგილზე წამოაყენეს მედიცინის კლინიკური მხარე. ახალ პრინციპზე დამუშავდა დიაგნოსტიკა. ყველაზე უფრო თვალსაჩინო მათ შორის იყო იოზეფ შკოდა (1805—1891). როგორც თვით შკოდა, ისე მისი მრავალრიცხოვანი მოწაფეები გაურბოდნენ თეორიას და ფიქრობდნენ, რომ სამეურნალო მოღვაწეობის საქმეა მხოლოდ ყოველმხრივ დასაბუთებული დიაგნოზის დასმა, დიდი სახელი გაითქვეს აგრეთვე ვენის სკოლის შემდეგ ექიმებმა იოჰანეს ოპოლცერმა, ადალბერტ დუშეკმა, ოტო კალერმა და გერმანე ნოტნაგელმა, თუმცა უკანასკნელ დროს განახლდა ძიება თეორიულ სფეროშიაც. სამედიცინო

ცენტრი შეიქმნა ბერლინში, თუმცა ეს ცენტრი სკოლად არაოდეს არ ყოფილა. გამოჩენილი ექიმებია: ქრ. გუფენლანდი (1762—1836). რომელმაც 1795 წ. დაარსა „ეურნალი პრაქტიკული მედიცინა“; ერნსტ ლიუდვიგ გეიმი (1774-1834), ზემოთმოხსენებული შენლენი, ფრიდრიჰ ფრერიქსი(1809—1885 წ.), ლიუდვიგ ტაუბე (1818—1876), რომლის შრომა „პათოლოგიის და ფიზიოლოგიის შრომათა კრებული“ დიდ ხელმძღვანელობას უწევდა ექიმებს. ახლად შემოღებულმა წამლებმა ქინაქინამ, მორფიმ, კოკაინმა, ატროპინმა და სხვა ქიმიურმა საშუალებებმა დაიმკვიდრა ადგილი სამკურნალო მოღვაწეობაში. სწავლა წამლების შესახებ მეცნიერულად მუშავდებოდა და გადაიქცა მედიცინის საერთო დისციპლინის აუცილებელ ნაწილად. განახლდა ზოგიერთი ძველი მეთოდები მკურნალობისა სისხლის გამოშვება, კოტოში, ორგანო-თერაპია, წყლით მკურნალობა და სხვა. ახალ მედიცინაში საგულისხმო ადგილი დაიკავა ბალნეო და კლიმატო-თერაპიამ. ძველი მედიცინაც ხმარობდა ამ ფაქტორებს, მაგრამ ახლა მათ იბოვეს მეცნიერული პრინციპები ქიმიისა და ფიზიკის უმეგალითო განვითარების გამო. სეროლოგია დღითი-დღე ვითარდება და ნიადაგი მოიპოვა სჯროდი-ავნოსტიკამ (ჯერ გრუბერი, ვიდალი, შემდეგ კი ცნობილი ვასერმანის რეაქცია).

ქირურგია, ოფთალმოლოგია, მენაობა, ვინეკოლოგია, ჰიგიენა მე-19 საუკუნეში.

მე-18 საუკუნეში ქირურგია იყო მედიცინის უკანონო შვილი. ეს შეხედულობა შეიცვალა მის შემდეგ, როდესაც გამოაშკარავდა მჭიდრო შინაგანი კავშირი მედიცინასა და ქირურგიას შორის. უკანასკნელი ზღუდე დაცვა, როდესაც ექიმებისაგან მოითხოვეს ქირურგიის დამ-

თავრებული ცოდნა და ქირურგიული სასწავლებლები გაერაიანდნენ სამკურნალო სასწავლებლებთან. ამისდა მიუხედავად, ქირურგიამ პირველ ხანებში მოგვცა მხოლოდ ცალკე ცნობილი წარმომადგენლები ქირურგიისა. გასული საუკუნის მეორე ნახევარში ქირურგიამ სწრაფად დაიწყო წინსვლა. ამის უმთავრესი მიზეზია შემოღება, უკეთ რომ ვთქვათ, განახლება სამი უდიდესი ფაქტორისა: ნარკოზის, ანტისეპტიკის და ხელოვნური უსისხლიანობა, უნდა გავიხსენოთ, რომ ძველად დიდი ქირურგიულ ოპერაციების დროს ნარკოზად ხმარობდნენ მანდრაგონას, გასაკვირალია, რომ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარამდე ქირურგია ფონს გადიოდა უნარკოზოდ. შემთხვევით ბოსტონელმა ექიმმა ჩარლზ ჯე კსონმა (1805-1880 წ.) იხმარა გრძნობიარობის დასაკარგავად გოგირდ-მჟავა ეთერი. მისი ცდით ისარგებლეს 1846 წელს ბოსტონელმა კბილის ექიმმა ვილიამ მორტონმა და ქირურგმა ჯონ კოლენს უარენმა (1778-1856 წ.) დაიწყეს სარგებლობა „ეთერიზაციით“. 1832 წ. ლიბინმა მოამზადა ქლოროფორმი და მისი შემოღება ეთერის ნაცვლად ედინბურგელი გინეკოლოგის ჯეშ სიმპსონის (1811-1870 წ.) დამსახურებაა. სკოპოლამინის შემოღება, როგორც ბანგოვანი საშუალების, ნათლად ამტკიცებს, რომ ხშირად მედიცინაში სულ ახალი საშუალება იმავე დროს ძველთა ძველთა: მანდრაგონას მომქმედი ნაწილი ქიმიურად ძლიერ ახლოა სკოპოლამინთან. საერთო ბანგის ნაცვლად კოკაინის შემოღების შემდეგ, ხშირად ხმარობენ ადგილობრივ ანესტეზიას. პლინის ცნობით, ეგვიპტელები, რომ გამოეწვიათ მგრძნობიერობის დაკარგვა, ხმარობდნენ მემფითური ქვის და ძმრის შენაერთის შეზღვევას კანში. გასაკვირალი ფაქტია, რომ უჩანასკნელი დროამდე არ იყო შეგნება, რომ ჭრილობების მკურნალობის დროს აუცილებ-

ლია კრალობის დაცვა ინფექციისაგან, ჰიპოკრატეს ქირურგიაში კი არის მოთხოვნილება ხელების სიწმინდე, საოპერაციო არეს გასუფთავება, ადვილად გასაწმენდი ინსტრუმენტები, ყველაფერმა ამან მხოლოდ მე-19 საუკუნეში გაიკათა გზა, ისიც დიდი სიძნელით. ჯერ კიდევ მეორმოცე წლებში ექიმები ხშირად განკვეთის შემდეგ მიბრძანდებოდნენ მშობიარობაზე, ამიტომ, გასაკვირალი არ არის, რომ მშობიარობის ცხელება აუარებელ მსხვერპლს იწირავდა. ფილიპ ზემელვეისმა (1818—1865 წ.) პირველმა გაიგო, რომ მშობიარობის ცხელების მიზეზი მენების ხელები და ინსტრუმენტებია. მხოლოდ 1867 წელს ინგლისელმა ქირურგმა იოზეფ ლისტერმა (1827—1912 წ.) გამოაქვეყნა თავისი შრომა, რომელშიაც საჭიროთ სცნობდა შემოვლთ ანტისეპტიკურ ღონისძიებათა კრილობის მკურნალობის დროს. ამის გარდა საოპერაციო ოთახის გასაწმენდათ შემოიღო „Karlolspray“. ანტისეპტიკა თანდათანობით შესცვალა ასეპტიკამ.

მესამე დიდი მიღწევა თანამედროვე ქირურგიისა იყო ფრიდრიჰ ესმარხის (1823—1908 წ.) ასე წოდებული ხელოვნური უსისხლიანობა, რომელსაც გამოიწვევდნენ ხოლმე საოპერაციო ნაწილის ზემოთ შეკვრით.

ეს აღმოჩენა მით არის თვალსაჩინო, რომ უშიშარი ვახდა ისეთი ქირურგიული მანიპულიაციები, რომელნიც მანამდე საშიშარი იყვნენ სიცოცხლისათვის ბევრი სისხლის დაკარგვის გამო. საფრანგეთს და კერძოდ პარიზს თვალსაჩინო ადგილი უკავია ქირურგიის განვითარებაში. აქ ბევრი გამოჩენილი ქირურგი გამოჩნდა, ასეთებია: ნაპოლეონის მთავარი ქირურგი ჟან დომინიკ ლარეი (1768—1842), რომელმაც შექმნა ახალი საველე ქირურგია, ვილიომ დუბიუიტრენი (1778—1835), ეაკ დელპეში, შარლ გაბრიელ პროვაცი, ოგიუსტ ნელატონი.

გერმანიაში ცნობილია: კარლ გრეფე, იოჰანე დიფენბახი, ლიუდვიგ შტრიმაიერი, სახელი გაითქვა პლასტიური ოპერაციებით ბერნარდ ლანგენბეკმა (1810—1887 წ.): შე-



სურ. 44.

იოზეფ ლისტერი. 1827—1912.

შემოიღო მთელი რიგი ახალი ოპერაციული მეთოდებისა. კარლ ტირში (1822—1895) და გუსტავ სიმონი ცნობილი არიან თირკმელების ქირურგიაში. ინგლისში აღსანიშნავია ესტლი ჰასტონ კუპერი (1768—1841 წ.), ჯემს საიმი, ჯემს მილლერი და ჯონატან გუტჩინსონი (1828—1913 წ.); რუსეთში ცნობილია შესანიშნავი ოპერატორი ნ. პიროგოვი (1810—1881). სკანდინავიის ქირურგებმა

მშვენიერად დაამუშავეს ორთოპედის საკითხები. ოფთალმოლოგია გამოეყო ქირურგიას. თვალის სარკის შემოღებამ ძლიერ წასწია წინ დიაგნოზის დასმა. სარკემ ხელი შეუწყო რეტრაქციის გამორკვევას, კატარაქტის ამოკვეთას, რქოვანას ზემოთ გაკვეთის საშუალებით; „ლინეარული ექსტრაქცია“ შემოიღო გამოჩენილმა ოფთალმო-



სურ. 45.

ბერნარდ ლანგბეგი. 1810—1887.

ლოგმა ალბრეხტ გრეფემ (1827—1870 წ.). ოფთალმოსკოპის აღმოჩენამ ხელი შეუწყო სხვა სპეციალობებს, რომ გამოეყენებინათ ოპტიური ინსტრუმენტები სათანადო ორგანოების გამოსაკვლევად. ოტიატრია, რინოლოგია და

ლარინგოლოგია თავისი განვითარებისათვის უნდა უმად-
 ლოდენ გელმგოლცის შესანიშნავ აღმოჩენას. დიდი მნი-
 შვნელობა ქონდა ამ აღმოჩენას სხვა და სხვა ორგანოე-
 ბის გამოსაკვლევად (შარდის ბუშტი, კუჭი), სხვა და სხვა
 ინსტრუმენტების საშუალებით (ცისტოსკოპი და სხვა).
 მენობა და გინეკოლოგია სწრაფად ვითარდებოდა. აღსა-
 ნიშნავია ლუკა ბოერი (1751—1835), ფრანც კარლ ნე-
 გელე; უდიდეს წარმომადგენლად თანამედროვე მენობი-
 სა ითვლება ფრანც კივიშ როტერაუ (1814—1852), ცნო-
 ბილი თავის პათოლოგიურ-ანატომიურ ზრომებით. ცნო-
 ბილი არიან აგრეთვე კარლ კრედე, ზემელევისი, ველსი,
 სიმსი, შრედერი. რაც შეეხება სხვა სპეციალობათა ვი-
 თარებას, ცნობილია, რომ ცალკე ორგანოთა მკურნალო-
 ბამ უკანასკნელ ათეულ წლებში ასპარეზი მოიპოვა (სპე-
 ციალური მკურნალობა ყურის, ცხვირის, ყელის, უილ-
 ტვების, სქესობრივ და საშარდე ორგანოების). სპეცია-
 ლურმა დისციპლინებმა შექმნეს განსაკუთრებული სამკურ-
 ნალო მანიპულიაციები. ჩვეულებრივ ყველაზე უფრო
 ახალგაზრდა სამედიცინო მეცნიერებად სთვლიან მედიცი-
 ნის იმ ნაწილს, რომელიც ამ უკანასკნელ დროს ცნობი-
 ლია ჰიგიენის სახელწოდებით. მრავალი საბუთია, რომ
 ეს სწორე არ არის. იმის შეგნება, რომ თავიდან აცილე-
 ბა სენების უფრო საჭირო და საიმედოა, ვიდრე დაავა-
 დებულთა მკურნალობა, არსებობდა ძველადვე. ძველადვე
 არსებობდა ავადმყოფობათა თავიდან ასაცილებლად, რო-
 გორც ზომების მთელი რიგი, ისე მთელი ცხოვრების რე-
 გულიაციის წესები. (გარდაცვალებულთა დამარხვის წე-
 სები, საიზოლიაციო სახლები, გადამდები სენებით შე-
 ყრობილთა მინუკარებლობა. წყალსადენი, რომის Cloaca
 maxima, თემის საკუთარი ექიმები, საერთო დიეტეტიკა
 და სხვა). ძველი ექიმები ცდილობდნენ ჯანმრთელობის

დაცვის საკითხების განხილვას მაშინდელ სამედიცინო ცოდნათა თვალთახედვით. ამის დამამტკიცებელია ჰიპოკრატენ შრომა ჰაერის, წყლისა და ნიადაგის გავლენის შესახებ ან რომელი ვიტრუციუსის „De architectura“, რომელშიაც სრულიად გამოყენებულია მის დროინდელ ექიმთა ჰიგიენური სწავლა და ცოდნა. ჰიგიენა ახალი მიღწევაა მხოლოდ იმ მხრით, რომ მხოლოდ ახლა აღიარებენ მას დამოუკიდებელ სპეციალობად. საგულისხმო იყო მე-18 საუკუნის მიწურულში იოჰანე პეტერ ფრანკის ნაწარმოები: „სამედიცინო პოლიციის სრული სისტემა“. ეს იყო პირველი წიგნი, რომელშიაც საბუთებიანად განხილულია ჯანმრთელობის ყველა საკითხები თანამედროვე მედიცინის თვალთახედვით. ავტორმა შესძლო გამოეყენებინა წარსულის გამოცდილება. მაქს ფონ პეტენკოფერი იყო ისეთი მეცნიერი, რომელმაც აამღლა ჰიგიენა თანამედროვე მეცნიერების დონემდე. მან სრული შეგნებითა და გარკვეული მიზნით გამოიყენა რა ისტორიულ საბუნებისმეტყველო გამარჯვებები და ზედმიწევნით შეისწავლა გარეგან ფაქტორთა გავლენა, როგორცაა ჰაერი, წყალი, ნიადაგი, ტანისამოსი და სხვ., საზოგადოებისა და კერძო ინდივიდუმთა ჯანმრთელობაზე, თავისი დაკვირვებანი დაადასტურა მრავალი ცდითა და მოამზადა მეცნიერთა თაობა, რომელმაც განაგრძო მისი საქმე. რობერტ კოხის და მისი მრავალრიცხოვანი მოწაფეების და თანამოაზრეების შრომებმა შექმნეს ის საფუძველი, რომელზედაც ჰიგიენას შეეძლო ზრდა და გაფართოება და რომელიც ბოლოს წარმოადგენს უდიდეს სოციალურ ფაქტორს. კოხის ბაქტერიოლოგიური შეხედულობა პირველად ებრძოდა პეტენკოფერის უფრო ცალმხრივ ფიზიკურ-ფიზიოლოგიურ მიმართულებას, მაგრამ თანდათანობით ეს ორი მიმართულება შეერთდა. პეტენკოფერის

სკოლის გავლენით ბავარიამ პირველმა მოაწყო ჰიგიენური სწავლება ახალ საფუძველზე და შექმნა პრაქტიკული პირობები ამ დარგში მუშაობისათვის. საფრანგეთმა აღრე, სხვა ქვეყნებმა დაგვიანებით, მიჰბადეს მის მაგალითს და ახლა არ არის არც ერთი კულტურული ქვეყანა, სადაც ცნობილი არ იყოს მედიცინის ამ დარგის უდიდესი მნიშვნელობა მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სენების თავიდან აცილებისათვის. თითქმის ყველგან ჰიგიენის წინაშე გადაშლილია წარმატაცი შესაძლებლობანი.

ხაეკიმო საქმე ახალ დროში.

ექიმების მდგომარეობაზე მძლავრად იმოქმედო უკანასკნელი დროის მისწრაფებამ, რომ მედიცინა გადაექციათ ქეჰმარიტ მეცნიერებად. მედიცინა ერთი მხრით უნდა გამხდარიყო მეცნიერებად, რომელიც საშუალებას მისცემდა ყველას, ვინც შეისწავლიდა მის საფუძველებს, პრაქტიკულად გამოეყენებია ის ავადმყოფის საწოლთან; მეორე მხრით ექიმების მდგომარეობა ისე უნდა ყოფილიყო მოწესრიგებული, რომ ეს მიზანი არ გამქრალიყო; სამედიცინო განათლება ამ მიზნისაკენ უნდა ყოფილიყო მიმართებული და მთელი ორგანიზაცია ისე მომარჯვებული, რომ ექიმს სათანადო განათლების მიღების შემდეგ საშუალება ქონოდა წარმატებით ხელი მოეკიდა თავისი პროფესიისათვის. სამედიცინო განათლება—ეს ცენტრი მთელი სამედიცინო არსებისა და მოღვაწეობის, შეესაბამებოდა სამედიცინო მეცნიერების წინსვლას. სხვადასხვა ქვეყანაში ეს ერთნაირად არ ხდებოდა, უფრო კონსერვატიული იყო ამ მხრით ინგლისი. იქ, იმის გამო, რომ სახელმწიფოებრივი რეგულიაცია საკმარისი არ იყო, დარჩა ასეთი ჩვეულება: ახალგაზრდები, რომელთაც სურდათ გამხდარიყვნენ ექიმებად, პირველად ერთი წლით უნდა

მისულიყენენ მოპრაქტიკე ექიმთან, რომ მას ესწავლება ავადმყოფთა წამლობის საფუძვლები, ზოგიერთები ამისათვის სარგებლობდნენ საავადმყოფოებით. მხოლოდ ამის შემდეგ შედიოდნენ სპეციალურ სამედიცინო სკოლაში. ამ სკოლებს ხშირად აარსებდნენ ისე, რომ სახელმწიფო არავითარ მონაწილეობას არ იღებდა. სასწავლებლებს უფრო ხშირად იქ აარსებდნენ, სადაც დიდი საავადმყოფოები იყვნენ. იქ მომუშავე ექიმები ინაწილებდნენ შრომას ისე, რომ თვითუფლებდებოდა გარკვეული სამედიცინო დარგის შესწავლა. თუ მათ შორის არ იყო რომელიმე დარგის მცოდნე, ასეთს მოიწვევდნენ გარედან; უმთავრესად ასეთები თეორეტიკოსები იყვნენ. ამგვარად ასეთი საავადმყოფოებია ხდებოდნენ საექიმო სკოლებად გარკვეული სამოსწავლო გეგმით. ცალკე სკოლები მუშაობდნენ თავისთავათ საკუთარი პასუხის მგებლობით და მათ შორის დიდი განსხვავება იყო. უმრავლესობა სჯერდებოდა ასეთი სკოლის გათავებას. ეს სკოლები აძლევდნენ მათ დიპლომებს. მხოლოდ ზოგიერთი შედიოდა უნივერსიტეტში არა თავის პროფესიული ცოდნის გასაღრმავებლად, არამედ პატივმოყვარეობისათვის. არც ერთ უნივერსიტეტში, გარდა შოტლანდიისა, არ იყო არც სამკურნალო ფაკულტეტი, არც სხვა რამე დამხმარე სამოსწავლო ინსტიტუტი. ამ გარემოებას მხოლოდ, 1858 წელს მიაქცია ყურადღება სახელმწიფომ და ინგლისის პარლამენტმა გამოსცა საკანონმდებლო გზით „Medical act“. არ იყო აღნიშნული პირობები, რომელთა შესრულება აძლევდა პრაქტიკის უფლებას, აღნიშნული იყო მხოლოდ, რომელ კორპორაციებს ქონდათ უფლება სამკურნალო გამოცდების შემდეგ მიეცათ კანონიერი მოწმობა. ეს მოწმობა აძლევდა უფლებას მიეღო ექიმის ადგილი და კონორარი, რის მოთხოვნის უფლება არ ქონდა იმათ, ვინც

მკურნალობას ეწეოდა სათანადო მოწმობის მიუღებლად. კანონიერი ექიმები რეგისტრაციაში ტარდებოდნენ „შეეროებული კოროლევსტოვის სამედიცინო განათლების და რეგისტრაციის გენერალურ საბჭოში“, მასვე ქონდა ზედამხედველობის უფლება გამოცდებზე და საერთო სამკურნალო განათლებაზე. 1881 წელს შექმნილი იყო კომისია სამედიცინო განათლების რეორგანიზაციის გასატარებლად. — ამ კომისიის მუშაობის შემდეგ თათქმის ყველაფერი დარჩა ძველებურად. სამედიცინო სკოლები, როგორც ძველად, კერძო დაწესებულებაა — რომელთაც აქვთ უფლება სამედიცინო სწავლის წარმოებისა, მაგრამ გამოცდების და მოწმობების მიცემის უფლება მხოლოდ გარკვეულ კორპორაციებს აქვს. ამგვარად ამ სკოლების მთავარი ამოცანაა მოამზადონ თავისი მსმენელები გამოცდების დასაჭერად. სამეცნიერო მუშაობის წარმოება მხოლოდ უნივერსიტეტში შეიძლება, თუმცა ბევრი მათგანი კერძოა. უნივერსიტეტში წმინდა სამედიცინო კონცენტურები ცოტაა და თითქმის ყველა თეორიული. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ანატომიასა და ფიზიოლოგიას. აუცილებელა წინასწარი პირობა სამედიცინო განათლების მიღებისათვის საშუალო განათლებაა. საექიმო გამოცდებს აწარმოებენ სახელმწიფოს მიერ დანიშნული კორპორაციები, აკადემიური ხარისხის შინიჭების უფლება მხოლოდ უნივერსიტეტს აქვს. ხარისხის მისაღებად საჭიროა აკადემიური ხარისხის მღღება ფილოსოფიურ ფაკულტეტზე. მაგ., ოკსფორდში ხარისხი „Bachelore of medicine“, რომელიც პრაქტიკის უფლებას აძლევს, შეიძლება მიიღოს მხოლოდ ზემოხსენებული პირობის შესრულების შემდეგ. აკადემიური ხარისხები და დოქტორის წოდება შეიძლება მიიღოს უმთავრესად ხანგრძლივი პრაქტიკული მუშაობის შემდეგ და უფრო მკიდრო კავშირით

უნივერსიტეტსა და სამკურნალო ფაკულტეტთან. სულ
 სხვა გზით მიმდინარეობდა საექიმო საქმის განვითარება
 საფრანგეთში დიდ რევოლუციამდე. საფრანგეთში იყო
 ორი დიდი საექიმო ცენტრი: პარიზი და მონპელიე, რომელთაც
 ჰქონდათ ასეული წლების ტრადიცია. მათ გარდა
 არსებობდა მთელი რიგი სამედიცინო სკოლებისა, რომელთაც
 მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა ქონდათ. 1790 წელს
 პარლამენტი დაინტერესდა სამკურნალო საქმის რეორგანიზაციით,
 განსაკუთრებით სამკურნალო განათლების საქმის, მაგრამ საქმე პროექტების გარდა
 წინ არ წასულა. 18 აგვისტოს 1792 წლის კანონი, რომელმაც
 დაკეტა უნივერსიტეტები, სამედიცინო სკოლები და სხვა,
 დიდი ნაბიჯი იყო უკან და სულ მალე ქვეყანამ იგრძნო
 მომზადებული ექიმების სიცოცხლე. ამან მისცა საბაზი,
 4 დეკემბრის 1794 წ. კანონის გამოცემას, რომლითაც
 პარიზში, მონპელიეში და სტრასბურგში ხელახლა დაარსებულ
 იქნენ სამედიცინო სკოლები (Ecole ce santé), სადაც უმთავრესად
 მზადდებოდა სამხედრო და საზღვაო ექიმები, 1796 წელს
 პარიზის სკოლა გაუართოვდა და მიიღო 12 კათედრა,
 1798 წელს მას შეუერთეს Ecole pratique და დაარსებულ
 იქნენ კლინიკები. ძლიერ გადიდდა სტუდენტთა რიცხვი.
 სწავლა უფასო იყო და თავდებოდა გამოცდებით, რომელნიც
 სავალდებულო არ იყვნენ. 1803 წელს პრაქტიკის უფლება
 შესაძლებელი იყო გამოცდით, გამოცდები იყო ანატომიაში,
 ფიზიოლოგიაში, პათოლოგიაში, ნოზოლოგიაში, materia medica
 ში, ფარმაციაში, ჰიგიენაში, მეანობაში, ქირურგიაში და
 შინაგან სნეულებებში. ესენი იყვნენ ნამდვილი ექიმები,
 რომელთაც უფლება ქონდათ მოეპოვებინათ დოქტორის
 ხარისხი. იყო შექმნილი დაბალ მედიკთა „officier de santé“
 კათეგორია, რომელნიც სწავლობდნ

პრაქტიკულ სკოლებში, სოფლის მოსახლეობისათვის და ნამდვილ ექიმთა თანაშემწეებად. 1823 წელს მოხდა პარიზის სამედიცინო ფაკულტეტის რეორგანიზაცია—დაწესდა 23 ორდინარული პროფესორა და 36 დოცენტურა (aggrégés). 1877 წლიდან საფრანგეთში არსებობდა 7 სამედიცინო ფაკულტეტი. მათ გარდა არსებობს 18 écoles préparatoires... რომელთაც თითქმის ისეთივე ფუნქციები აქვსთ, როგორც ფაკულტეტებს, მაგრამ ისინი სახელმწიფოებრივი კი არა, მუნიციპალური დაწესებულებებია. სამედიცინო განათლებისათვის საჭიროა საშუალო განათლება. სწავლის კურსი ოთხი წელია, 1878 წლიდან შემოღებულია 5 გამოცდა; ერთი პირველი წლის ბოლოში ფიზიკაში, ქიმიაში, საბუნებისმეტყველო ისტორიაში, მესამე წელს მეორე გამოცდა: ანატომიაში, ჰისტოლოგიაში და ფიზიოლოგიაში. მესამე გამოცდა, ზოგადი, კერძო და ქირურგიულ პათოლოგიაში, მეანობაში და ქირურგიაში, მეოთხე გამოცდა — ჰიგიენაში, სამოსამართლო მედიცინაში, თერაპიაში, ფარმაკოლოგიაში და მებუთე—ავადმყოფთა გამოკვლევა და წამლობა კლინიკებში და გაკვეთების წარმოების ცოდნა. დისერტაციის წარდგენის შემდეგ იღებდნენ დოქტორის დიპლომს. სამედიცინო განათლების და საერთოდ საექიმო საქმის ზედმიწევნითი დაყენებაში გასული საუკუნის დასასრულმა აამაღლა და გაუმჯობესა ექიმთა სოციალური და საზოგადოებრივი მდგომარეობა. ავსტრიაში 1804 წელს სწავლის ვადა განისაზღვრა ხუთი წლით, მათ შორის პირველი სამი წელი თეორიას ეკუთვნოდა, 2 კი კლინიკას. დოქტორის დიპლომის მისაღებად საჭირო იყო დისერტაცია, ორი ავადმყოფის ისტორიის შედგენა და გამოცდა. 1849 წლის კანონით მთელი სამედიცინო განათლების საქმე გადავიდა პროფესორთა კოლეგიუმის ხელში. გერმანიაში, სანამ არ-

სებობდენ — იმპერიის დაარსებამდე — პატარა სახელმწიფო-
 ები, სამედიცინო საქმის მოგვარებაში ბაძავდენ ავსტრია-
 სა და პრუსიას. სამედიცინო ფაკულტეტი ბავარიაში იყო
 ვირცბურგში, ერლანგენში და მიუნხენში; საქსონიაში —
 ლეიპციგში; ჰანოვერში — გეტინგენში; ბადენში — ჰეიდელ-
 ბერგში და ფრეიბურგში; მეკლენბურგში — როსტოკში;
 ჰესენში — გისსენში და ვარბურგში. სამედიცინო განათლე-
 ბის მიღებისათვის საჭირო იყო საშუალო სწავლა და ორი
 წლის სწავლა ბუნებისმეტყველებაში. 5 წლიდან ერთი წე-
 ლი იყო პრაქტიკული და ექიმის წოდების მისაღებად
 დაწესებული იყო სახელმწიფო გამოცდა. 1825 წელს პრუ-
 სიაში არჩევდენ სხვა და სხვა ხარისხის მედიკს; დაპლო-
 მის მქონე ექიმი, I და II კლასის ქირურგი. პირველთა
 მომზადება მარტო უნივერსიტეტებში წარმოობდა იქ შე-
 სასვლელად საჭირო იყო საშუალო განათლება, სწავლის
 ვადა იყო 4 წელი, მხოლოდ სახელმწიფო გამოცდა აძ-
 ლევდა პრაქტიკის უფლებას. ქირურგის წოდების მისა-
 ლებად უფრო იოლი მოთხოვნილებები იყო — სწავლობდენ
 განსაკუთრებულ მედიკო ქირურგიულ სასწავლებლებში.
 ქალაქის ექიმის ადგილის მისაღებად ან სამოსამაროლო
 ქირურგის დაწესებული იყო განსაკუთრებული გამოცდე-
 ბი. 1852 წელს მოისპო განსხვავება ექამთა სხვა და სხვა
 კათეგორიათა შესახებ. 1810 წელს დაარსდა ბერლინის
 უნივერსიტეტი, რომლის Collegium medicochirurgieum-
 ისაგან განვითარდა სამედიცინო ფაკულტეტი. მასვე შეუ-
 ერთდა 1795 წლიდან არსებული სამხედრო-სამედიცინო
 სასწავლებელი. 1871 წელს გაერთიანდა სამკურნალო გა-
 ნათლებასა და ორგანიზაციის საქმე. გამოცდების გარე-
 შე არავის არ აქვს უფლება სამკურნალო მოღვაწეობისა.
 აღსანიშნავია გერმანიაში დამზღვევ დაწესებულებათა მი-
 ერ სამკურნალო საქმის განვითარება: მე-19 საუკუნე სა-

ერთოდ და მიწურული განსაკუთრებით აღინიშნება სამედიცინო საქმის უმაღლესი სპიციალიზაციით, რომელიც მე-20 საუკუნეში არის განვითარების პროცესში.

რუსული მედიცინა

მე-VI საუკუნიდან აღმოსავლეთ ევროპის თვალუწვდენელ ველებს დაეპატრონენ სლავიანთა ტომები. ეს ნამდვილი ველურები იყვნენ. ბინძურნი, ნახევრად მშვირნი, ცხოვრობდნენ კარვებში. მათი სოფლ ხედვა პრიმიტიული და უხეშია. წარმოდგენა სენზე, სიკვდილზე ამავე, ხასიათისაა. ბოროტი სული არის ყველა უბედურების მიზეზი და საჭიროა მის დასამშვიდებლად მსხვერპლის შეწირვა, შელოცვები. შელოცვის დროს საჭიროა სენის შესამუსრავად სხვადასხვა მანიპულიაცია—მაგალითად, სენის გადახვეტა, გაძევება ჯობებითა და მათრახით ან ცოცხით. გავრცელებული იყო აგრეთვე სენის გადარეცხვა წყლის საშუალებით. ქრისტიანობის მიღების შემდეგ ამ მანიპულიაციებს მიჰპართავენ ეკლესიის მსახურნი. სავაჭრო ურთი-ერთობის განვითარებასთან ერთად ძველ რუსეთში შემოდის უცხოეთის მედიცინა მისი წარმოადგენლებით. პირველი ასეთი ექიმი იყო იოანე სმერო. „პოლოფჩანინი“ ვლადიმერის სასახლეში. შემდეგ ხანაში სახელგანთქმულია, როგორც ექიმი, ვილაც „სომეხი“. მეXII საუკუნეს ეკუთვნის ექიმი პეტრე სირიელი „В печ. велика хитер“. წამლობაში ძალიან დაოსტატებულია. რუსეთის ტერიტორია გახდა თათარ ტომების სათარეშო. აღორძინების გზაზე დამდგარა ქალაქები თანდათან დაკნინდნენ. ძლიერდება მოსკოვის სამეფო,—ურთიერთობა სხვა ქვეყნებთან ნელ-ნელა ვითარდება. უცხოელ საქინლის, ხელოსანს, არქიტექტორს მოჰყვა უც-

ხოელი ექიმიც. იმ წელს მეფობის დროს ასეთებია ლეონ ქილოვინი და ანტონ ნემჩინი.

1534 წ. რუსეთში მოწვეულია სამსახურში 123 უცხოელი, მათ შორის 4 ექიმი, 4 მებაფთიაქე, 2 ოპერატორი, 8 დალაქი და 8 ექიმის თანაშემწე. იოანე მრისხანის დროს ექიმები დიდ პატივის ცემაში არიან. ცნობილი არიან არაოლდ ლენზეი და ელისე ბომელი. ლენზეის სისაკვდილის შემდეგ ინგლისიდან მოწვეულ იქნა ექიმი რობერტ იაკობი და მებაფთიაქე ჯემს ფრენჩი. ბორის გოლუნოვის დროს უცხოელი ექიმი უკვე ბევრია. დაარსებულია ეგრედ წოდებული „Аптекарьский приказ“-ი მისი გამგეა განსაკუთრებული პირი, უმაღლესი მეთვალყურე კი ვინმე დიდი მოხელე—კარისკაცი. ამ ექიმთა დიდი უმრავლესობა სწამლობს მხოლოდ მეფეს, მის ოჯახსა და განსაკუთრებული ნებართვით დიდებულთ. ამ დროის წამლობის შესახებ თითქმის არაფერი ცნობა არ დარჩენილა. წამლებს აკეთებენ ბალახებისაგან, რომელთა მოკრება წარმოობს „ივანე კუპალას“ დამეში. 1534 წელს ეკუთვნის პირველი რუსული სამკურნალო წიგნაკი „Благоприходный Вертдагряд“. იწყება პირველი თავი—მცენარეების, ქვების აღწერით. მეორე და მესამე თავი შეიცავს სწავლას შარდისა და სისხლის გამოშვების შესახებ. ექიმები განიყოფიან ორ კათეგორიად. პირველს ეკუთვნის ისენი, ვისაც სენის გამოცნობა შეუძლია შაჯის ცემის გასინჯვით, და მეორე კათეგორიას—დაბალი ხარისხის ექიმები, ვინც დაავადებას გამოიცნობდა შარდის გასინჯვით.

ექიმები, როგორც წინა საუკუნეებში, ისე ახლაც, ხშირი სტუჰარია. 1092 წელს საშინლად მოეკიდა რუსეთს შავი ქირი. 1126 წელს ასეთივე სურათია. 1230 წლიდან 1360 წლამდე შავი ქირი ჩნდება სხვადასხვა

ადგილას. 1409—1417 წლამდე კირმა მძვინვარებს პსკოვში, ტვერში, კიევიში, ნივეგოროდში, 1430—1465 წლამდე შავმა კირმა შიილო საშინელი გავრცელება 10—20 ავადმყოფზე მხოლოდ ერთი ჯანსაღი მოდის. მე-XV საუკუნის მიწურულში ვრცელდება ათაშანვი. საავადმყოფოები არ არსებობს. „Аптекарский приказ“-ის გამგებლობაში იყო: ჯამაგირის გაცემა, მოწმობების მიცემა, საჩივრების გარჩევა, დაკრილთა ექსპერტიზა და შემოსული ფულის აღნუსხვა და შენახვა. წამალთა უმრავლესობა მოდიოდა საზღვარგარეთიდან. უცხოელ ექიმებთან მოწაფეებად უკვე რუსებიც არიან. უცხოელ ექიმებს ავალეებენ ასწავლონ რუს ახალგაზრდებს. მეXVI საუკუნეში უკვე ქალაქის მცხოვრებნი ითხოვენ თავისათვის ექიმებს. მოთხოვნილება ექიმებზე იზრდება. უცხოელი ექიმი თარჯიმანის საშუალებით ვერ აკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნილებას და იწყება გაგზავნა სამედიცინო მოღვაწეობის შესასწავლად საზღვარგარეთ. პირველი ასეთი რუსი ექიმი იყო პეტრე პოსნიკოვი, რომელმაც 1692 წელს გაათავა პადუის უნივერსიტეტი. პირველი აფთიაქი გახსნილი იყო მეXVI საუკუნეში. მე-XVII საუკუნიდან ხელი მიჰყვეს „სააფთიაქო ბაღების“ გაშენებას. ამავე დროს ეკუთვნის მოსკოვში დაარსებული საავადმყოფოს მსგავსი დაწესებულება ორი „შპიტალნი“. სამკურნალო თერაპია მე-XVII საუკუნისა არევა არის ევროპიდან შემოტანილი სამკურნალო მეთოდებისა და ფანტასტიური მანთპულიაციებისა; მაგალითად, ორსულობის დროს ატარებდნენ ტანზე რაღაც ქვას, ბავშვის და დედის ჯანის გასამაგრებლად, კრუნჩხვის წინააღმდეგ ხმარობდნენ მელას ქონს და სხვა. გამოვიდა ახალი ნაწარმოებნი: „Книга имуше лечение различных недуг телесных“ „Описание чумы в Казани“.

თარგმნილ ლიტერატურიდან აღსანიშნავია ვეზა-
ლიუსას ანატომია, ფარმაკოლოგიისა და ფიზიოლოგიის
სახელმძღვანელო, მოსკოვში სწავლული უცხოელი ექი-
მებიც გამოჩნდნენ 1621 წ.: არტემი დიი, ანატომი სამუელ
კოლინსი, და ლავრენტი ბლიუმენსტროტი. რუსეთში
მედიცინამ ვერ წაიწაა წინ ამ საუკუნეებში ისე, როგორც
ევროპაში. ევროპაში ახალ ეკონომიურ ძალას—ბურჟუა-
ზიას საშუალება მიეცა დაწაფებოდა ძველი საბერძნეთი-
სა და რომის მედიცინას. რუსეთში ეს პირობები არ იყო
და ამით აიხსნება, რომ რუსული მედიცინა თვალახვეუ-
ლი, უკრატაკოდ, გადაუშუშავებლად მისდევდა ევროპიულ
მედიცინას ან ეძებდა გამოსაძალს ძველ რუსულ სახალხო
მედიცინაში.—ამ გარემოებამ ხელი შეუშალა დიდხანს
მედიცინის სათანადო განვითარებას. ახალი ხანა რუსული
მედიცინის ისტორიისა იწყება პეტრე დიდის რეფორმე-
ბის შემდეგ, ი. ე. იმ ხანიდან, როდესაც სავაჭრო კაპი-
ტალიზმი რუსეთში დაიწყო აყვავება და საძირკველი ჩაე-
ყარა სამრეწველო კაპიტალის განვითარებას. რუსეთის
სამხედრო ძალთა განვითარებაც თხოულობდა სამხედრო
სასანიტარო ორგანიზაციის შექმნას. ექ. ბიდლოვს თაო-
სნობით დაარსდა სამხედრო ჰოსპიტალი 1716 წელს და
„Аптекарскаѣ прикѣз“-ი გაუქმებულ იქნა. ახალი თანა-
მდებობის პირის ხელში (არქიატერი) შემოკრებილ იქნა
სამედიცინო საქმე. პირველი არქიატერი იყო პეტრე დი-
დის ექიმი—რობერტ ერსკინი. არქიატერის ფუნქციებს
შეადგენდა სამედიცინო საქმის გამგებლობა მთელ სახელ-
მწიფოში: სამსახურში მიღება, დათხოვნა, ჯამაგირის მი-
ცემა ექიმთათვის და მეთათაქეებისათვის, ზედამხედვე-
ლობა გოსპიტლების და ეპიდემიებთან ბრძოლა. ერსკი-
ნის სიკვდილის შემდეგ არქიატერად დანიშნულ იქნა ექ-
იოჰანე ბლიუმენსტროტი, რომლის მოხსენებით 1725

წელს დაარსდა სამედიცინო კანცელარია. 1738 წელს, ჭირის შემდეგ, არქიატერად იყო ექ. ფიშერი, რომლის უმთავრესი დამსახურებაა, რომ გადაარჩინა ბიდიოს მიერ დაარსებული ეგრედწოდებული სამედიცინო სკოლა. მის მოადგილეებს გერმან ლესტოკს, გერმან ბურგავს (გამოჩენილი ბურგავის ძმისშვილი) ახალი არაფერი შეუტანიათ სამედიცინო საქმეში. დიდი ღვაწლი მიუძღვის არქიატერს კონდოიდიის ბერძენს, რომელმაც გამოიწერა საზღვარგარეთიდან ექიმები, დაარსა წიგნსაცავი, შემოიღო საავადმყოფოებში გვამის გაკვეთა—სიკვდილის მიზეზის გამოსარკვევად, გახსნა საბებიო კურსები, მოაწყო კარანტინები. მის მიერ შედგენილია ინსტრუქცია სამხედრო ექიმთათვის, მან დააწესა თანამდებობა „ჰოსპიტლების ინსპექტორის“ და შემოიღო სამხედრო ექიმთა სამეცნიერო თათბირები. ეკატერინე მეორისა და ალექსანდრე პიროველის დროს დაიწყო სამედიცინო საქმის დაქსაქსვა სხვადასხვა უწყებებში, რასაც რუსეთში ბოლო მოუღო ოქტომბრის რევოლუციამ. 1763 წელს დაარსებულ იქნა სამედიცინო კოლეგიუმი, რომლის ხელმძღვანელობა მიენდო არა ექიმს, კარისკაცს ჩერკასოვს. მისი დამსახურებაა რომ 1764 წელს მოსკოვის უნივერსიტეტთან გაიხსნა სამკურნალო ფაკულტეტი. 1764 წელს გამოცემული ბრძანების თანახმად სამედიცინო კოლეგიას მიეცა უფლება მედიცინის დოქტორის ხარისხის მინიჭებისა, რომელიც ამდენხანს შეადგენდა ევროპიულ უნივერსიტეტთა პრივილეგიას. 1803 წელს საშინისტროების დაარსების შემდეგ მედიცინა გახდა უწყებრივი; სასახლის მედიცინა სამხედრო, სამოქალაქო და სხვა. შინაგან საქმეთა სამინისტროში დაარსდა სამედიცინო დეპარტანენტი და სამედიცინო საბჭო—უმაღლესი სამკურნალო—სამეცნიერო დაწესებულება, რომლის კომპეტენციას შეადგენდა: ჯან-

მრთელობის ზოგადი საკითხების გარჩევა, ექსპერტიზა, სამკურნალო-სასანიტარო საქმე, ფარმაკოპეის შედგენა და სხვა. რაც შეეხება სამკურნალო საქმის ორგანიზაციას პროვინციაში, იქ ეს საქმე მეტად უნუგეშო მდგომარეობაში იყო. ყველა გამოსადეგი ექიმი ინიშნებოდა სამხედრო სმმსახურში, და მოქალაქეს რჩებოდა უვარგისი, დაბერებული. პირველი საავადმყოფო „ჰოსპიტალი“ დაარსდა 1706 წელს, რომელმაც იმავე დროს სამედინცინოსკოლაც იყო.

სამოქალაქო საავადმყოფო დაარსდა პირველად 1784 წელს პეტერბურგში „ობუხოვის საავადმყოფოს“ სახელწოდებით. საერთო სანიტარულ ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარებისათვის არ ზრუნავდენ. ეპიდემიებს, რომლებიც მძინვარებდენ რუსეთში, ასე თუ ისე ექცეოდა ყურადღება მე-18 საუკუნეში. ათაშანგი ფართოდ მოედვა მოსახლეობას და სხვათა შორის უმაღლეს წრეებსაც. ამან გამოიწვია 1763 წ. სპეციალური „ათაშანგით დაავადებულ ქალთა განყოფილების“ დაარსება. 1782 წელს ამ განყოფილების ნაცვლად დაარსებულ იქნა „სიფილიტიური სახლები“. ცხადია, რომ ასეთი სახლები სარგებლობას ვერ მოიტანდენ. 1730 წ. ყვავილით გარდაიცვალა პეტრე მეორე. ამ საკითხს მიაქციეს დიდი ყურადღება და ერთგვარი საინჟინერიო ზომებიც შეიმუშავეს. აღსანიშნავია, 1768 წელი, როგორც წელი ყვავილის აცრის შემოღებისა რუსეთში (რასაკვირველია მხოლოდ მის უმაღლეს წრეებში). აუარებელი ხალხი და განსაკუთრებით ახლად დაბადებული იხოცებოდა ყვავილისაგან. გამოწვეულ იქნა ინგლისიდან ექიმი დიმსდელი, რომელმაც აუცრა ყვავილი ეკატერინე მეორეს, მის შვილსა და მათ ახლობელ კარისკაცებს. ყვავილის ჩირქს იღებდა დაავადებულის პუცტულიდან. ჩვენთვის ქართველებისათვის—საინტერესოა

ეს იმ მხრით, რომ ეს ის მეთოდია, რომელიც გააცნო
ევროპას ემანუელ ტიმონიმ და მონტეგეიუმ მე-18 საუკუ-
ნას დასაწყისში, როგორც მეთოდი, რომელსაც ხმარობ-
დნ ქართველები და რომლითაც ისინი ყვავილს ებრძვი-
ან წარმატებით. ჯენერის მეთოდი რუსეთში შემოიტანეს
ექიმებმა დებუმ და ბუტაიციმა მე-19 საუკუნის დასაწყის-
ში. დიდ ყურადღებას იწვევდა საშინელი სენი შავი ქი-
რი, რომელიც არაოდეს არ ასვენებდა რუსეთს. 1709 წ.
1718 წ. განსაკუთრებით სამხრეთით საშინელი ეპიდემიაა.
შემოდებულა კარანტინები. ვინც გაეპარებოდა კარანტი-
ნებს, მათთვის სახრჩობელა იყო მზად. 1738 წელს შავი
ქირი მძინვარებს ოსმალეთის წინააღმდეგ მომქმედ ჯარში.
ხარკოვში დაარსდა საკარანტინო წერტილი—გუბერნატორის
ზედამხედველობით. 1770 წელს შავი ქირი მძინვარებს
მოლდავიაში და აქედან გადადის კიდევ მოსკოვში. შე-
მოდებულ იქნა კარანტინების მთელი სისტემა, მაგრამ
შავმა ქირმა აუარებელი ხალხი იმსხვერპლა. მარიამობის
თვეში მარტო მოსკოვში 7268 სული დაიხოცა, სექტემ-
ბერში კი 21·401 სული. მთავრობის წარმომადგენელი და
გაბატონებული ჯგუფები გაიქცენ მოსკოვიდან. ამავე წელს
ეკუთვნის საშინელი ამბოხება მოსკოველ მღაბიო ხალხისა
საექიმო პერსონალისა და დაწესებულებათა წინააღმდეგ
ამ ამბოხებამ იმსხვერპლა დიდძალი ხალხი. აღსანიშნავია
1812 წლის შავი ქირის ეპიდემია ოდესაში. მე-19 საუ-
კუნეში შავი ქირის ნაცვლად სცენაზე გამოდის ხოლერა.
განსაკუთრებით მძაფრი იყო ხოლერა 1830 წელს, რო-
დესაც ის მოედვა თითქმის მთელ რუსეთსა, განსაკუთრებით
კი პეტერბურგს. სამკურნალო ფაქულტეტზე მისი გახსნის
დროს იყო სამი კათედრა: ქიმიის, ნატურალური ისტო-
რიისა და ანატომიის. ყველა ამ საგანს ასწავლიდა იოჰან-
ნე კერშტენსი. არც კლინიკები იყო, არც ლაბორატო-

რიები. პირველი კლინიკა გაიხსნა 1797 წელს, რომლის გამგე იყო დიაგნოსტიკისა და თერაპიის პროფესორი პეკენი. 1805 წ. სამკურნალო ფაკულტეტზე 6 კათედრაა. 1799 წელს დაარსდა პეტერბურგში მედიკო-ქირურგიული აკადემია. არსებობს უკვე უნივერსიტეტი კაზანში. 180წ წელს სამკურნალო განათლების რეორგანიზაციის გასატარებლად მოწვეულია გამოჩენილი ექიმი მეცნიერი იოჰანე პეტერ ფრანკი. აკადემიაში მან გახსნა თერაპიული კლინიკა. მისი მოადგილეა იაკობ ვილიე, რომელიც გამოჩენილი ქირურგი იყო. მან შესძლო აკადემია გარდაეცია სამედიცინო აზროვნობის ცენტრად. რუსული მედიცინა ჰოლანდიელი ბიდლოოს მეოხებით განვითარდა მოსკოვის ჰოსპიტალურ სკოლაში, ბერძენ კონდიდის მეოხებით გამაგრდა პეტერბურგის ჰოსპიტალურ სკოლაში, კეშტენსმა საძირკველი ჩაუყარა სამკურნალო ფაკულტეტს მოსკოვში. ფრანკმა და ვილიემ აამალლეს პეტერბურგის მედიკო-ქირურგიული აკადემია. მეცნიერული, იმ ხანის თვალთახედვით, რასაკვირველია, მედიცინა შემოაქვსთ რუსეთში მე-18 საუკუნის დასაწყისში ევროპიდან უცხოელებს. 1725 წელს დაარსებული რუსული სამეცნიერო აკადემია ხელს უწყობს მეცნიერებისა და კერძოდ მედიცინის განვითარებას რუსეთში. ეკონომიური მდგომარეობა რუსეთის თანდათანობით იღებს კაპიტალისტურ ფორმებს, ჩნდება რუსი მეცნიერები, რომელნიც უდიდეს ყუარადლებას აქცევენ მედიცინის განვითარების საჭიროებას, ექიმთა რიცხვის გამრავლებას, „требуется довольно число докторов, врачей, аптек, удовлетворенных лекарствами, (გვჭირდება დოქტორები, ექიმები, წამლებით უზრუნველყოფილი აფთიაქი), ამბობს გამოჩენილი ლომონოსოვი თავის თხზულებაში „О размножении

и сохранении Российского народа“ (რუსეთის ხალხის გამრავლებასა და დაცვის შესახებ).

კარლ ერნესტ ბერი მოღვაწეობს დიდ ხანს რუსეთში და საძირკველს უყრის მეცნიერულ ემბრიოლოგიას— რუსეთში ის მიმდევარია შესანიშნავი ბიშასი. ამ უცხოელებს უკვე უჩნდებათ რუსი მოწაფეები. ასეთია ბიდლოოს მოწაფე კონსტანტინე შეპინი, განათლებული და დიდი ერუდიციის მქონე ექიმი. მისი ნიჭის გაშლას ხელი შეუშალა მაგარი სასმლის სმამ, რის გამო დათხოვნილ იქნა სამსახურიდან და აეკრძალა პრაქტიკის უფლება რუსეთში; ივანე შრეიბერი იყო პირველი პროფესორი ქირურგიისა რუსეთში; სიმონი ზიბელინი; ბურგავის სკოლის მიმდევარი ბროუნინგის ბრწყინვალე წარმომადგენელი იყო პროფესორი მათე მუდროვი— უდიდესი რუსი კლინიციისტი. 1817 წელს წარუდგინა სამკურნალო ფაკულტეტს ორი თარგმანი ჰიპოკრატეს აფორიზმებისა. მუდროვი მეტაფრი იყო ეგრეთწოდებული რუსული პარტიისა, რომელიც აბრძოდა უცხოელთა უზომო გავლენის წინააღმდეგ. ჩნდებათ რუსი ფიზიოლოგები: პროფესორი ივანე ვენსოვიჩი, ეფრემ მუხინი, ალექსანდრე ფილომა ფიტსკი. აღსანიშნავია კერძო პათოლოგიის და თერაპიის პროფესორი უსტინ დიადკოვსკი. მუდროვის ადგილი დაიკავა გამოჩენილმა მოსკოველმა პრაქტიკმა ალ. ლვერმა. ქირურგებში აღსანიშნავია განთქმული ექიმი ქრისტიან ლოდერი, თედორე ინოზემცევი ტყვე—სპარსელის შვილი, პეტერბურგში ანატომიის პირველი პროფესორი იყო კარპინსკი, მისი შემცველი ცნობილი ანატომი პეტრე ზაგორსკი (1764—1846 წ.). ცნობილი ქირურგი აკადემიისა იყო ივანე ბუში. მედიცინა რუსეთში მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ამალდა და ზოგიერთი მისი წარმომადგენელი (ზაგორსკი) ევროპაშიაც ცნობილი არიან. ნია-

დაგი ეკონომიურ-კულტურული უკვე არის ამისათვის, ბურჟუაზიული წესწყობილება ფეხზე დგება, ბურჟუაზიული ინტელიგენცია ამუშაებს თავის პოლიტიკურ-ეკონომიურ აზროვნობას. ინოვაციები უკვე ლაპარაკობს „რუსულ ეროვნულ მედიცინაზე“. რუსის წინანდელი „ბურსაკი“ ხდება სტუდენტად ამ სიტყვის უკეთესი მნიშვნელობით. იწყება მე-19 საუკუნის ნახევარს ბრწყინვალე ფურცელი რუსული მედიცინისა, როგორც მეცნიერული მიღწევებით, ისე განსაკუთრებით პრაქტიკული თავისი მნიშვნელობით, — ეგრეთ წოდებული „земская медицина“, (საერო მედიცინა). სამრეწველო კაპიტალის მნიშვნელობა იზრდება, ახალ-ახალი სფეროები ცხოვრებისა მის გავლენის ქვეშ მოექცა, ის მუდამ ბრძოლას აწარმოებს აზნაურულ-წოდებრივ ხელისუფლებასთან. კომპრომისის შედეგია 1861—64 წ. რეფორმები გლეხთა განთავისუფლება უმიწოდ. სამოსამართლო რეფორმა და საერობო დაწესებულებათა შემოღება. საერობო დებულება, მრავალი ძირითადი დეფექტის მიუხედავად, დიდი მიღწევა იყო, როგორც საწარმო ძალთა განვითარებისათვის, ისე სოციალურ-კულტურულ მიღწევათათვის. ეს რეფორმა სამედიცინო საქმის მოწყობასაც შეეხო. მას გადაეცა, როგორც საზოგადოებრივი უზრუნველყოფის ფუნქციები, ისე ზრუნვა სახალხო ჯანმრთელობისათვის. საერობო მედიცინის ხალხოსნური ხასიათის მიღებას უსათუოდ ხელი შეუწყო მაშინდელი ინტელიგენციის ხალხოსნურმა იდეოლოგიამ, მისმა „ხალხში წასვლამ“ (хождение в народ). ათასობით ექიმები, მათი თანაშემწეები, ბებია ქალები გაემურონ სოფელში და თავისი თავდადებითა და შეუპოვარი შრომით შექმნეს საერობო მედიცინა. ერობებმა საცოდავი გემკვიდრეობა მიიღეს გუბერნიათა უმრავლესობაში 1-2-3-4-სააღადმყოფო, ისიც მხოლოდ საგუბერნიო ცენტრებში.

სოფელში აავადმყოფო არ იყო, ექიმები ცხოვრობდნენ ქალაქში. საერობო მედიცინამ აარჩია ახალი გზა. სამკურნალო დახმარება საზოგადოებრივი სამსახურის პრინციპებზე აშენდა. ექიმი—მოხელე пресекающий (გადაამკრე-ლი) карающий (დამსჯელი), უნდა გახდეს ექიმი ხალხო-სანი საზოგადოებრივი აღდგომის მქონე, რომლის მოვალეო-ბაა ხალხის გაჭირვების გაგება, ცრუმორწმუნოებასთან ბრძოლა და მეცნიერული მედიცინისადმი რწმენის მოპო-ვება, საერობო მედიცინამ ხელი შეუწყო რაციონალური სამკურნალო დახმარების საჭიროების შეგნებას მოსახლე-ობის ფართო ფენებში: საერობო მედიცინის განვითარე-ბაში უდიდესი როლი ითამაშეს კოლეგიურმა საექიმო ორგანიზებმა, ე. ი. სანიტარულმა საბჭოებმა და ექიმთა ყრილობებმა.

დიდი ბრძოლა წარმოიბოძა გაშლილი ფრონტით, კონსერვატიულ ხმოსნების წინააღმდეგ. უდიდესი მნიშვნელობა ქონდათ საერობო მედიცინის მოღვაწეობისათვის პიროვნების სახელობის ყრილობებს. 1885 წელს იყო პირველი ყრილობა. ამ ყრილობაზე სხვათა შორის გამოყოფილ იქნა საზოგადოებრივი მედიცინის სექცია, რომელმაც შეიმუშავა საზოგადოებრივი მედიცინის ორგანიზაციის საკითხები. პიროვნების ყრილობებმა უდიდესი მორალური ავტორიტეტი მოიპოვეს ჯანმრთელობის საკითხების გადაჭრის დროს. ძირითადი საკითხი, რომლის ირგვლივ გააფთრებულა ბრძოლა წარმოიბოძა ხმოსნებსა და ექიმთა შორის, იყო საკითხი უფასო სამკურნალო დახმარების შესახებ. ხმოსნები ამტკიცებდნენ, რომ ეს ფილანტროპიის გზაა და საჭიროა და მიზანშესაფერიც, რომ „მუჯიკმა“ გადაიხადოს საფასური სამკურნალო დახმარების მიღებისათვის. ექიმები ამტკიცებდნენ, რომ დაავადებამ, სენი უბედურობა, რომ სენმა მორალური და ნივთი-

ერი უბედურობაა, როგორც დაავადებულის, ისე მისი
 ოჯახისათვის და ფასით დახმარების მიღება მოსახლეობას
 ხელში ჩაუკიდებს ექიმბაშებს, ამიტომ ყოვლად შეუძლე-
 ბელია გადასახადი უბედურობაზე. ხმოსნები მხარს უჭერ-
 დენ ფერშელიზმს, როგორც დამოუკიდებელ მკურნალებს,
 ექიმებმა ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ დაამტკიცეს, რომ
 ფერშელიზმის ვითომდა სიაფე უფრო ძვირი უჯდება
 ხალხს, ვიდრე კვალიფიკური საექიმო დახმარება. მთავა-
 რი გადასაწყვეტი კითხვა შემდეგი იყო: რა მემართულებ-
 ბა უნდა მიიღოს საერობო მედიცინამ? წმინდა სამკურნა-
 ლო თუ სანიტარულ გამაფრთხილებელი? საერობო მედი-
 ცინა თავისი მოღვაწეობის დროს სარგებლობდა ორივე
 ზემოხსენებულა დებულებით. ექიმთა მუშაობამ ცხადყო,
 თუ რა მნიშვნელობა აქვს დაავადების წარმოშობა-გავ-
 რცელებისათვის ყოფა-ცხოვრების, ცხოვრების პირობებს.
 ეკონომიურ დოვლათს, საერთოდ ცხოვრების ვითარებას,
 დაარსებული იყო სამკურნალო-სასურსათო წერტილები მო-
 სული სეზონური მუშებისათვის, ბაგე-თავშესაფარები სო-
 ფელში მუშაობის დროს, ყურადღებებულ იქნა წყალსა-
 დენების გამოყვანის საქმე, სასკოლო-სასანიტარო ზედამ-
 ხედველობის, მოსიარულე ლექტორების ორგანიზაციის
 მოწყობის საქმე და სხვ., სწავლობდნენ მოსახლეობის მო-
 ძრაობას, დაავადებათა პირობების შესწავლას, წარმოობ-
 და სანიტარული აღწერა; ცალკე ადგილებისა და რეგის-
 ტრაციის მთლიანი, ეროვნული წესის შემოღება. საერო-
 ბო მედიცინას ვერ დააკმაყოფილებდნენ დახმარებული მე-
 თოდები ეპიდემიებთან ბრძოლისა. ყრილობებზე, სანიტა-
 რულ საბჭოებში, სპეციალურ და საერთო პრესა-ლიტე-
 რატურაში ირკვევა ყველა ეს საკითხები. 1895 წლიდან
 გამოდის ჟურნალი „Общественный врач“, რომელიც ამ-
 დელი ლაბორატორია შეიქმნა სანიტარიის და საზოგა-

დოებრივი მედიცინის საკითხების ორგანიზაციული ფორ-
მების ჩამოსაყალიბებლად. 1899 წელს ოსიპოვის, პოპო-
ვის და კურკინის რედაქციით გამოვიდა დიდი შრომა
„Русская земская медицина“ რუსულ და ფრანგულ
ენებზე. მე-XV პიროგოვის ყრილობაზე გამოყოფილ იქნა
სპეციალური კომისია ჰიგიენურ ცოდნათა გავრცელებისა-
თვის მოსახლეობაში. შემდეგ ყრილობაზე დაარსდა გან-
საკუთრებულ კომისია, გაბრიჩევსკის თავმჯდომარეობით,
მალარიის შესასწავლად. 1900 წ. დაიწყო მუშაობა ტუ-
ბერკულოზურმა კომისიამ პრიფ. შერვინსკის მეთაურო-
ბით. მთავრობის მხრით ყოველგვარი დაბრკოლებისდა
მიუხედავად მუშაობა არ ნელდებოდა. აღსანიშნავია ა
შინგარევის შრომები რუსული „вымирающая деревня“
„გადაშენების გზაზე დამღვარი სოფლის“ შესახებ-ბევრი
შრომა ეკუთვნის აგრეთვე ექ. დ. ჟბანკოვს. დიდი ორგა-
ნიზატორი საერო მომედიცინის იყო ექ. ევგრაფი ოსი-
სპოვი. მოსკოვის ერობისათვის ოსიპოვმა შეადგენა გვგმა
ამედიცინო საქმის მოწყობისა. გეგმის მიხედვით საჭი-
როა უპირველესად საქიარისი საექიმო დახმარების ორ-
განიზაციის შექმნა. შემდეგ თანდათანობით მოსახლეობის
დაავადების შესახებ ცნობების შეგროვება—დამუშავება,
შესწავლა გუბერნიისა სანიტარული თვალთახედვით და
შემდეგ პრაქტიკულ ღონისძიებათა გამომუშავება და
ცხოვრებაში გატარება სახალხო ჯანმრთელობის დასაცა-
ვად. არ დარჩენილა არც ერთი საკითხი ჰიგიენისა და სა-
ზოგადოებრივი მედიცინისა, რომელსაც არ შეხებოდა ეს
მართლა საერო მომედიცინის გიგანტი. ბუნებისმეტყველე-
ბის აღორძინება რუსეთში დაიწყო ქიმიიდან. დიდი ვაფ-
ლენა რუს მეცნიერებაზე ქონდა ლიბიხს და მის ლაბორა-
ტორიას. 10—15 წლის განმავლობაში ქიმიამ დიდი წარ-
მატება განიცადა შესანიშნავი ქიმიკოსების მეოხებით.

უდიდესი მათ შორის იყო დ. მენდელეევი, ელემენტთა პერიოდულა სისტემის შემქმნელი. თვალსაჩინო ადგილი უჭირავს დარვინის თეორიის მხურვალე მომხრესა და პო-



სურ. 46.
გვარაფი ოსიპოვი. 1841—1904

პულიზატორს ტიმირიაზეცს. უდიდესი ფაგურა იყო „რუს ფიზიოლოგების მამა“ ი. სეჩენოვი. 1863 წლიდან უკვე ცენტრია სამედიცინო აკადემია, მოსკოვის და დორპატის უნივერსიტეტები. დორპატის უნივერსიტეტი შუამავალია რუსულ და ევროპულ მეცნიერებათა შუა. პეტერბურგის აკადემია-მატარებელაა რუსული მედიცინის აყვავების, მოსკოვის უნივერსიტეტი შეიქმნა შუამავალი მეცნიერული მედიცინისა და საზოგადოებრივა, საეროზო მედიცი-

ნის. ახალგაზრდა უნივერსიტეტებმა: ყაზანის, კიევის, ხარკოვისამ თავის წვლილი შეიტანეს მედიცინა ს ახალ საფუძვლებზე გარდაქმნაში. სამხედრო-სამედიცო აკადემიის აყვავებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ნიკოლოზ ზინინს, ლიბინის მოწაფეს და გამოჩენილ ქიმიკოსს, ცნობილ ქირურგს დუბოვიცკის, ფიზიოლოგ გლებოვს, ბუნებისმეტყველების შესწავლას უმთავრესი ყურადღება ექცევა. კაბინეტები და ლაბორატორიები მოწყობილ იქნენ. შვენიერად და სამედიცინო საკითხებს ამუშავებენ მეთოდებით, რომელთაც ხმარობს საბუნებისმეტყველო მეცნიერება. მოეწყო ანატომიურ-ფიზიოლოგიური ინსტიტუტი, ახალი კლინიკები და პოსპიტლები. კათედრები უჭირავსთ გამოჩენილ მეცნიერებს. ანატომიაში მუშაობს ვენცესლავი-გრუბერი შესანიშნავი ანატომი, შვენიერი მასწავლებელი. 500-ზე მეტი მონოგრაფია ეკუთვნის ამ სამაგალითო მეცნიერს. გრუბერმა გასდო ხიდი ადამიანისა და ცხოველის ანატომიათა შორის, ერთი მხრივ, და ნორმალურ ანატომიასა და პათოლოგიურსა, მეორე მხრით; მის მიერ აღმოჩენილია ზოგიერთი სისხლის მილი, ზოგიერთი ძვლები და მრავალი სხვა. მის მოწაფეებს შორის აღსანიშნავი არიან ტარენეკი და ლესგაფტი. დორპატში მოღვაწეობს გამოჩენილი ანატომი რაუბერი. პისტოლოგები იყვნენ იაკუბოვიჩი, ალ. ბაბუხინი, ხაროშევსკი, დოველი დე, მაქსიმოვი და გოერი. ფიზიოლოგია ზეპარულად გაიზარდა ივანე სეჩენოვის (1825—1905) მეოხებით, სეჩენოვი მუშაობდა დიუბუა-რეიმონთან, პოპვე ზეილერთან, პელმგოლცთან, კლოდ-ბერნარდთან. უკანასკნელის ლაბორატორიიდან გამოვიდა მისი შრომა „თავის ტვინის რეფლექსები“. მოსკოვში დასწერა ცნობილი შრომა: „ნერვული ცენტურების ფიზიოლოგია“. 1903 წელს ეკუთვნის მისი შრომა, რომელშიაც ცდილობს თეორიულად და


ექსპერიმენტალურად დაამტკიცოს საქიროება ადამიანი-
სათვის 8 საათის დასვენებისა ძილისათვის. სამუშაოს სა-



სურ. 47.
ვენცესლავ გრუბერი. 1814—1890.

ბაბი იყო ევროპიდან შეოთხმოცე წელში მოსული ცნობები, რომ შეიძლება რვა საათის სამუშაო დღის შემოღება წარმოების შეუფერხებლად. მრავალრიცხოვანი იყო საჩენევის შრომები ფიზიოლოგიაში სერენოვი შესანიშნავი პოპულიზატორი იყო, ამის დამამტკიცებელია მისი „ფიზიოლოგიური ნარკვევები“. სერე-

ნოვი იყო მომხრე წმინდა-მეცნიერული, ფიზიკო-ქიმიური
ახსნისა სიცოცხლის მოვლენათა. მან პირველად შემოიღო
რუსეთში მეცნიერულ მეთოდები კვლევისა ევროპული
ლაბორატორიებისდა მიხედვით. თავისი შრომებით ნერ-
ვულ ფიზიოლოგიაში სეჩენოვმა დაიმსახურა ძველი მეტა-



სურ. 48.

პ. ლეზგაფტი.

ფიზიკური მოაზრებების რიგს. სეჩენოვი რუსული მეცნი-
ერული აზროვნების ხელმძღვანელი გახდა. სეჩენოვის მე-
მკვიდრე აკადემიაში იყო ი. ციონი, გამოჩენილი ფიზიო-
ლოგი. სეჩენოვის გამოჩენილი მოწაფეები იყვნენ ჩვენი

სახელოვანი თანამემამულე ი. რ. თარხან-მოურავი (იხ. ქართულ ნაწილში) და მ. შატერნიკოვი. გამოჩენილი ხარკოველი ფიზიოლოგი ვ. დანილევსკი ცნობილია თავისი შრომებით ნერვული სისტემის დარგიდან, გულის და კუნთების ფიზიოლოგიიდან. რუს ფიზიოლოგთა სკოლას ეკუთვნის სახელგანთქმული პავლოვი (დააბადა 1849 წელს). პავლოვის უმთავრესი შრომები ეხება საქმლის მომწელებელი ტრაქტის ჯირკველთა სეკრეტორულ მოქმედებას. პავლოვის შრომებით საზრდობის ფიზიოლოგიამ ახალი საფუძვლები შეიძინა და კლინიკასაც მისცა პირველ ფრიად მნიშვნელოვანი მონაცემები. მეოცე საუკუნეში პავლოვი შეუდგა ცხოველთა პსიქიური მოვლენების ექსპერიმენტალურად შესწავლას. მისი სწავლა რეფლექსოლოგიის შესახებ დასრულებდა იმ რეალისტიურის, მატერიალისტური გზისა, რომელზედაც შედგა ფიზიოლოგია მესამოცე წლების შემდეგ. ძლიერ განვითარდა დარგი, მოსაზღვრე ფიზიოლოგიისა და ქიმიისა, ფიზიოლოგიური ქიმია. ერთ-ერთი პირველი წარმომადგენელი ამ დარგისა იყო ლ. ბოროდინი, იმავე დროს გამოჩენილი კომპო-



სურ. 49.
ივანე სეჩენევი. 1825 - 1905

ზიტორი (ოპერა „Князь Игорь“-ის ავტორი და ქართული მუსიკის დიდი მცოდნე). ცნობილია მ. ნენცკი, სლოვაცი, გულევიჩი და სხვები. მედიცინამ, როგორც ეს მოხდა ევროპაში, ბიოლოგიური დისციპლინების ასეთ ზრდას უპასუხა უპირველესად იმ დარგებში მუშაობის გაძლიე-



სურ. 50.
ივანე პავლოვი - 1849.

რებით, რომელნიც გამოსავალი წერტილია ექიმის თეორიული სოფლხედვისა და პრაქტიკული მოღვაწეობისა პათოლოგიაში და ფარმაკოლოგიაში. მეცნიერულ სიმაღ-

ლეზე პათოლოგიური ანატომია აიყვანა პროფ. რუდნეე-
 მა, ვირხოვის მოწაფემ. რუდნევის მოწაფეები იყვნენ ყა-
 ზანელი ლიუბიმოვი და ხარკოველი ვ. კრილოვი, რომელ-
 მაც სცადა კონსტიტუციის პრობლემის გადაწყვეტა. ზო-
 გადი პათოლოგიის წარმომადგენელი იყვნენ ვ. პაშუტი-
 ნი, ალბიცკი, რეპრევი, ლუკიანოვი, პოდვისოცკი, მე-
 ცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ფარმაცევტიული
 მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო ვ. ტიხომი-
 როვი, რომელმაც 50-ზე მეტი შრომა დასტოვა და მათ შორ-
 ის ცნობილი სახელმძღვანელო „Руководство к изучению
 фармакогнозии“ ცნობილია აგრეთვე ი. პელი. ფარმაცე-
 ვტიულ მეცნიერებაში ფიზიოლოგიური ექსპერიმენტი შე-
 იტანა პროფ. პ. კრავკოვმა. მისი მთავარი შრომებია ფარ-
 მაკოლოგიაში: „О действии алколоида иохимбина на
 животный организм“ „о действии ядов на венечные
 сосуды сердца და ცნობილი დღემდე „ფარმაცოლოგიის
 საფუძველი“ ევროპელი მეცნიერების ყურადღება კრავ-
 კოვმა მიიპყრო: გამოკვლევებით საზრდოობის სფეროში
 (питательной среды) ცალკე ორგანოთა იზოლაციის წე-
 სით. ბაჭიას მოჭრილი ყურსა ან ამპუტაციის დროს მო-
 კრილ ადამიანის თითებს კონსერვაციას უკეთებდა რამო-
 დენიმე თვე და შემდეგ აცოცხლებდა (оживлял) მათი
 ფიზიოლოგიური ხსნარის შიგ გატარებით. ბაჭიას ამგვა-
 რადღე შენახული ყურის გაღიზიანებით მუავათი კრავკო-
 ვი იღებდა ანთებით პროცესს. ადამიანის მოჭრილი თი-
 თები რამოდენიმე თვე ცოცხალი იყო და იზრდებოდა
 თმა და ფრჩხილი. მოკლულ ცხოველთა ჯირკვლებ-
 ში უშვებდა ფიზიოლოგიურ ხსნარს და იღებდა ამ ჯირ-
 კვალთა ნორმალური სეკრეტის გამოყოფას. კლინიკური
 მედიცინის გზაც ასეთი იყო. მისი ისტორიული გზა იყო
 ევოლიუცია არა. ჰიპოტეზებიდან, არამედ შიშველი, ემპი-

რიზმიდან ფაქტების საბუნებისმეტყველო-რეცნიერულ ანს-
ნამდე. ქირურგიის გადახალისება დაიწყო ადრე მეორმო-
ცე წლებიდან. მაგრამ ნიადაგი მზად არ იყო და დიდი
პიროგოვი მარტოდ იყო რუსული, მედიცინის უმწეო ფონ-
ზე. მხოლოდ ბოტკინის შემდეგ გზა გაიკვლიეს პიროგო-
ვის აზრებმა და შეიქმნა პიროგოვის ქირურგიული სკო-
ლა. პიროგოვს ისეთ დროს და ვითარებაში მოუხდა მო-



სურ. 51.

ნიკოლოზ პიროგოვი 1810—1881.

ღვაწეობა, რომ შესანიშნავი იგი რეფორმატორი იყო მხო-
ლოდ ქირურგიისა. ბოტკინს კი, მოუხდა, სულ სხვა ეკო-

ნომიურ-პოლიტიკურ ვითარებაში მუშაობა და მით გახ-
 და რეფორმატორი მედიცინის არა მარტო ერთი დარ-
 გის.—რუსული ქირურგიის განვითარებაში პიროგოვიდან
 დაწყებული დღემდე აღსანიშნავია რამდენიმე მთავარი
 მომენტი. პირველი: ქირურგიისათვის აუცილებელია და-
 წერილებითი ცოდნა ანატომიისა, როგორც ტოპოგრაფი-
 ულის ისე პათოლოგიურის; მეორე—ანესთეზიისა და ან-
 ტისეპტიკის შემოღება ქირურგიულ პრაქტიკაში და მე-
 სამე—საერობო ქირურგიის შექმნა. ყველა ეს დებულე-
 ბები ან დასახული, ან განხორციელებული იყვნენ თვით
 პიროგოვის მიერ. ნ. პიროგოვი დაიბადა 1810 წელს.
 1828 წელს მიიღო ექიმის სახელწოდება. 1836 წელს
 პროფესორად აირჩიეს დორპატის უნივერსიტეტში. ამ
 ხანას ეკუთვნის მისი „Анналы хирургической клиники“
 და „Хирургическая анатомия артериальных стволов
 и фассий“, ამ შრომებმა მას სწრაფად საპატივო ადგი-
 ლი მოუპოვეს მეცნიერებაში. 1841 წელს პიროგოვი სამ-
 ხედრო სამედიცინო აკადემიის პროფესორია. აქ დასწე-
 რა თავისი კაპიტალური შრომა „Топографическая
 анатомия по распилам и через замороженные
 трупы“ საინტერესოა, რომ აკადემიაში პიროგოვი
 „გერმანულ“ პარტიასთან იყო „რუსულის“ წინააღ-
 მდეგ დარწმუნებული „ზაპადნიკი“ და ფიქრობდა,
 რომ რუსული მედიცინის ისე, როგორც საერთოდ რუსუ-
 ლი კულტურის აყვავება ევროპით შეიძლება, და სრულე-
 ბით არ სწამდა „რუსული“ პარტიის ბელადის ბუალისკის
 აზრი, რომ მედიცინა რუსეთში უნდა წავიდეს საკუთარი
 გზით (самобытным путем), პიროგოვის მოღვაწეობამ
 ყირიმის ომის დროს, სამხედრო—საველე ქირურგიის სა-
 ხით შესძინა რუსულ ქირურგიას „Начала военно-поле-
 вой хирургии“. ძირითადი დებულებანი პიროგოვის სამ-

ხედრო-საველე ქირურგიისა გამომდინარეობენ იმ აზრი-
დან, რომ ომი—ტრავმატიული ეპიდემიაა. აქედან ცხადია,
რომ მთავარია: დაჭრილთა დაკვირვებულნი გარჩევა და
რაციონალური გაფანტვა აუცილებელია სწორი და მი-
ზანშესაფერა მკურნალობისათვის. პიროგოვის სისტემით.
დაჭრილები იყოფოდნენ ოთხ კათეგორიად. პირველ ჯგუფს
შეადგენენ სასიკვდილოდ—დაჭრილნი, მეორე ჯგუფს და-
ჭრილნი, რომელთაც სჭირდებათ დაუყოვნებლად ოპერა-
ტიული ჩარევა, მესამე კათეგორიაა ისინი, ვისაც სჭირ-
დება ოპერაცია მეორე დღეს, და შემდეგ მეოთხე ჯგუფს
შეადგენს მსუბუქად დაჭრილნი. 1856 წელს გამოდის პირო-
გოვის „Вопросы жизни“, რომელიც ისეთ შთაბეჭდილებას
ქმნის, რომ შთავრობა ნიშნავს მას ჯერ ოდესის, შემდეგ კი
კიევისოლქის მზრუნველად. როგორც პედაგოგი, პიროგოვი
იყო მომხრე სწავლის ისეთი სისტემისა, როდესაც ყოველ
ადამიანს უნდა მიეღო საერთო ჰუმანიტარული განათლება
დ. ტოლსტოის მინისტრობის დროს პიროგოვი თავს ანე-
ბებს სამსახურს და ესახლება სოფელში პოდოლის გუბერ-
ნიაში, მოაწყობს პოსპიტალი 30 საწოლით და ხელი მიჰყო
ქირურგიულ პრაქტიკას. თუ პეტერბურგში პიროგოვი იყო
მეცნიერული ქირურგიის დამფუძნებელი, აქ გახდა წინა-
მორბედი საერთო ქირურგიისა. პიროგოვს ეკუთვნის
შრომები მედიცინის სხვა და სხვა დარგებშიაც. გარდაი-
ცვალა კიბოსაგან 1881 წელს. რუსული მედიცინის ის-
ტორიაში პიროგოვს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს.
მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში მისი სახელი დაწე-
რილი იყო რუს ექიმთა დროშაზე. ვერც ერთი რუსი
ექიმი მას გვერდში ვერ ამოუდგება. მან შექმნა მეცნიე-
რული და რაციონალური მიმართულება კლინიკური ქი-
რურგიის შესწავლისათვის, მას საფუძვლად დაუდგა ანა-
ტომია და ექსპერიმენტალური ქირურგია.—და სამართ-

ლიანად დაიმსახურა მეცნიერული სკოლის შემქმნელის სახელი. თავის სიცოცხლეში პიროგოვმა ვერ შექმნა სკოლა, მიმდევრები. ამაში დანაშაული მას პირადათ არ მიუძღვის—მისი გავლენა გამოჩნდა ორი ათეული წლის შემდეგ, როდესაც საზოგადოება დაეწაფა საბუნებისმეტყველო პრობლემებს. მისმა მოწაფემ—პროფ. კტერმა შექმნა პიროგოვის ქირურგიული სკოლა. კტერის სკოლიდან აღსანიშნავია გამოჩენილი ქირურგი კოლომნინი—რომელმაც ტრალიკულად დაათვა თავისი ცხოვრება. კოკაინით ანესთეზია ახალი საქმე იყო. მან შესწავლა საკითხი, ეთაობირა ფარმაკოლოგებს და ერთი თავის ავადმყოფს შეუშხაპუნა ერთი გრამი კოკაინი. ავადმყოფი გარდაიცვალა. განკვეთის დროს დადასტურდა, რომ სიკვდილის მიზეზია კოკაინით მოწამლევა. კოლომნინმა თავი მოიკლა. ეს მაგალითი საუკეთესო ილიუსტრაციაა ამის, თუ რა სინდისის მხილება აქვს ქეშმარიტ ექიმს, რომელიც შეიგნებს თავის დანაშაულს. ამავე სკოლის წარმომადგენელი იყო ე. ბოგდანოვსკი. კიტერის მესამე მოწაფემ, ინგლისში ნამყოფმა, პ. პელტინმა შემოიღო ანტისეპტიკა. რუსეთში მან პირველმა შეიგნო, თუ რა გადატრიალება შეიტანა ქრილობების მკურნალობაში ლისტერმა. პიროგოვის სკოლას ეკუთვნის აგრეთვე ცნობილი კიეველი ქირურგი ვლ. კარაევი. რუსი ქირურგები ზოგიერთნი ირჩევდნ პიროგოვის მოღვაწეობის მეცნიერულ მხარეს, ზოგიერთნი კი საზოგადოებრივ მხარეს. ამგვარად შეიქმნა ორი მიმართულება რუსული ქირურგიისა. ერთ მიმართულებას—აკადემიურს, საუნივერსიტეტო ქირურგიას მეთაურობს ველიამინოვი, მეორეს კი, რომელმაც გაერთიანა ფართო მასები საერობო ქირურგებისა, ხელმძღვანელობს დიაკონოვი. ველიამინოვი—გამოჩენილი კლინიცისტი, შესანიშნავი შრომის „Сифилис суставов“

ის ავტორია. დააარსა 1887 წ. პირველი ქირურგიული ჟურნალი, რომელიც 25 წლის შემდეგ გახდა „ველიამინოვის ქირურგიული არქივი“, ბოლო წლებში დაინტერესდა შინაგანი სეკრეციით და ფარისებრი ჯირკვლით. მასვე ეკუთვნის საკუთარი კლასიფიკაცია ჩაყვების. პეტერბურგის ქირურგთა შორის აღსანიშნავია ფედოროვი და ობელი, კიევში შიმანოვსკი, ხარკოვში გრუბე, ოდესაში საპეეკო, ტომსკში ტიხოვი. მოსკოვში აღსანიშნავია ბასოვი, ბობროვი, მაგრამ მნიშვნელობა შეუცა მოსკოვის უნივერსიტეტის სკოლას პეტრე დიაკონოვის შემდგომ.



სურ. 52.

პეტრე დიაკონოვი

ქირურგის დანა. საერობო ქირურგიის მეცნიერულად დაკავშირება აკადემიურ ქირურგიასთან უმთავრესი დამსახურებაა.

დიაკონოვი დიდ ხანს-ერობის ექიმი, უნივერსიტეტში შედის პროფექტორად 1887 წ. 1901 წელს ქირურგიული კლინიკის გამგეა. მთელი რუსეთიდან მრავალი ერობის ექიმი მოდის მასთან ცოდნის მისაღებად ან გასაღრმავებლად. დიაკონოვის ინიციატივით შედგა პირველი ყრილობა ქირურგების. ქირურგია გამოდის უნივერსიტეტის კედლებიდან და საავადმყოფოებში—ცენტრებში თუ პროვინციებში—ამუშავდა ქირურგის დანა.

რებაა დიაკონოვის რომელმაც თავის თანაშემწეებთან ერთად გამოსცა კაპიტალური შრომა „Лекции оперативной хирургии и топографической анатомии“.

ველიამინოვის და დიაკონოვის სკოლებს შუა დგას ნ. სკლიფოსოვსკის მრღვაწეობა. სკლიფოსოვსკი იყო პრო-



სურ. 53.
ნიკოლოზ სკლიფოსოვსკი

ფესორი ქირურგიისა სამხედრო აკადემიაში და მოსკოვის უნივერსიტეტში. სკლიფოსოვსკი გამოჩენილი ქირურგი-კლინიციტი იყო. სკლიფოსოვსკი სწერს ჩიყვის ამრკვეთის, ყბის რეზექციის და მრავალი სხვა საკითხების შესახებ. ლისტერას იდეების გავლენით სრულებით შესცვალა კლინიკური საქმის წყობა. ქირურგიას რუსეთში ამ ხანაში დი-

დი მიღწევები აქვს. სამედიცინო ცოდნათა განვითარებას-
თან ერთად წარმოობს სპეციალური კლინიკური კათედ-
რების დაარსება. ქირურგიას გამოეყო ორი დისციპლინა,
გინეკოლოგია და ოფთალმოლოგია. ქირურგიას რუსეთში
თუ პიროგოვი ჰყავს მამამთავრად-დამაარსებლად, გინეკო-
ლოგიის ღ ოფთალმოლოგიის დამა არსებელნა რუსეთში
არიან ორი მისი მოწაფე, კიტერი და კარავაევი, კიტერის კა-



სურ. 54.
ვ. სნეგროვი.

ლამს ეკუთვნის გინეკოლოგიის პირველი სახელმძღვანელო,
რომელიც შეიცავდა მენარობასაც. გამოჩენილი რუსი მეანე

იყოალ. კრასოვსკი, რომელმაც ძლიერ აამაღლა ოპერატიული გინეკოლოგია და მეანობა. მის კურსს „Оперативное акушерство“-ს დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა. პეტერბურგის სკოლის მეანებს ეყუთენიან აგრეთვე სლავიანსკი, რეინი, ოტი. ყაზანში მოღვაწეობდა ფლორინსკი, ხარკოვში ლაზარევიჩი. მოსკოვის სკოლის მეთაური ვ. სნეგირევი, ზახარინის მოწაფე. ცდილობდა გინეკოლოგიაში შეეტანა მეცნიერული ემპირიის პრინციპები, რომელსაც ქადაგებდა მისი მასწავლებელი შინაგანი მედიცინისათვის. ოფთალმოლოგიას რუსეთში საფუძველი ჩაუყარა კარაევმა, რომელიც ცნობილია მით, რომ გააუმჯობესა კატარაქტის ამოღების (извлечение) მეთოდი. ახალ საფუძველზე მოაწყო თვალის სნეულებათა კლინიკა პეტერბურგის აკადემიაში ე. იუნგემ. მოსკოვის ცნობილი ოკულისტები იყვნენ კრიუკოვი და მაკლაკოვი. კიევში ივანოვი, ყაზანში ადამიუკი, ხარკოვში ბრწყინავდა შესანიშნავი ადამიანი და გამოჩენილი ოფთალმოლოგი გირშმანი (ტარსაიდის მასწავლებელი). მუშაობდა დიუბუა რეიმონის, ჰელმპოლცის, გრეფეს ლაბორატორიებში. გააკეთა რამდენიმე ათასი ოპერაცია, შექმნა სკოლა მრავალ რიცხოვან მოწაფეთა, დიდხანს ითვლებოდა რუსეთში პირველ ოკულისტად.

შინაგანი მედიცინა, თერაპია, მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ხდება ნამდვილ მეცნიერებად და იკვლევს ახალ გზას თავის განვითარებისათვის. ეს მოვლენა დაკავშირებულია ს. ბოტკინის სახელთან. ეს იმისდა მიუხედავად, რომ ბოტკინის მრავალ აზრს არ იზიარებდენ სხვა ცნობილი კლინიკისტები და პარალელურად შეიქმნენ თერაპიული სკოლები, სრულებით დამოუკიდებელნი ერთი მეორესაგან. შინაგანი მედიცინის აყვავებას ხელი შეუწყო ერთი მხრით ფიზიოლოგიის რეფორმამ, სეჩენოვის

მიერ წარმოებულმა, და ზოგადი და პათოლოგიური ანატომიების მიღწევებმა. მეორე მხრით, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აღორძინებამ მიიყვანა საუკეთესო კლინიკისტები იმ აზრამდე, რომ მედიცინას სჭირდება გამოკვლევათა ის მეთოდები, როგორც ბუნებისმეტყველების თვითეულ დარგს. აყვავება შინაგანი მედიცინისა რუსეთში დაიწყო ერთსა და იმავე დროს მოსკოვში და პეტერბურგში და ამ ორი სკოლის მეთაურობით გამოვიდა ორა შესანიშნავი ექიმი, ბოტკინი და ზახარინი. ორმავე გაათავეს მრსკოვის უნივერსიტეტი ერთსა და იმავე დროს, და ორივე რაჭოდენიმე წლის განმავლობაში იყვნენ ვირხოვის მოწაფეად.

ბოტკინის (1832—1889) არჩევაში სამხედრო-სამედიცინო აკადემიაში დიდი როლი ეკუთვნოდა სტუდენტებსა და აკადემიაში მომუშავე ახალგაზრდა პროვინციელ ექიმებს. 1861 წელს ბოტკინი უკვე პროფესორია. ბოტკინმა კლინიკა აიყვანა ჯერ არ ნახულ სიმაღლემდე. შემოიღო ავადმყოფთა კლინიკური გარჩევა და გვამთა განკვეთა. გაჩაღდა მუშაობა ლაბორატორიებში. მას ეკუთვნის „Курс клиники внутренних болезней“. 1869 წელს გამოუშვა თვის მოწაფეთა ექსპერიმენტალური და კლინიკური შრომები: „Архив клиники внутренних болезней проф. Боткина“. რუსულ მედიცინაში ბოტკინმა შეიტანა ნამდვილი საბუნებისმეტყველო-ისტორიული მეთოდი. პრაქტიკული მედიცინა, ბოტკინის აზრით, უნდა ჩაყენებულ იქნეს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა რიგში და მისი მიდგომა ავადმყოფის გამოკვლევის დროს უნდა იყოს მიდგომა ბუნებისმეტყველის.

როგორც მეცნიერი, ბოტკინი იყო წარმომადგენელი ექსპერიმენტალური თვალთახედვის კლინიკაში და კლინიკისტიის ტიპი ექსპერიმენტალური პათოლოგიისაკენ

განხრით. ბოტკინი ცდილობდა, რაც შეიძლება, მალე მოეხდინა თერაპიის რაციონალიზაცია, გაეხადა ის წმინდა მეცნიერებად, რომელიც დაფუძნებული უნდა ყოფილიყო ანატომიაზე, ფიზიოლოგიაზე და ფარმაკოლოგიაზე.

ბოტკინი შეუდარებელი შესანიშნავი დიაგნოსტი იყო. დიდი მნიშვნელობა ქონდა ბოტკინის ჰიპოტეზებს და თეორიებს. მაგალითად, მისი ჰიპოტეზა, რომ არსებობს კავშირი ნაღვლის კენჭებსა (желчные камни) და მიკროორგანიზმთა შორის, მისა თეორია კატარალური სიყუჯლის ინფექციური წარმოშობის შესახებ. სამი განსაკუთრებული თვისება ახასიათებს ბოტკინს, როგორც მეცნიერს: მეცნიერული ექსპერიმენტალური გადაწყვეტა დიაგნოსტიკის საკითხების, შიღრეკილება ჰიპოტეზისადმი პათო-



სურ. 55.

სერგეი ბოტკინი 1832—1889

გენიზის გარკვევაში და ჯანსაღი სექტრიციზში თერაპიის საკითხებში. ბოტკინის შეცდომებს მიუხედავად, ეს თავისებურობა იყო შემომქმედი სტიმული მედიცინის განვითარებისათვის. მედიცინა, როგორც მეცნიერება, როგორც დარგი (отрасль) ბუნებისმეტყველებისა, განვი-

თარდა რუსეთში იმ გზით, რომელიც მას უჩვენა ბოტკინმა. იმისდა მიუხედავად, რომ საერობო ექიმები უფრო იხრებოდნენ მოსკოვის სკოლის პრაქტიკული აზროვნებისაკენ. ბოტკინის სკოლის ციხე-ბურჯად სამხედრო-სამედიცინო აკადემია იყო და მისი მოწაფეებიც აქედან გამოვიდნენ: უდიდესი მისი მოწაფე იყო მანასეინი, შესანიშნავი ლექტორი, რომელიც შემდეგ თავის ლექციებში უდიდეს ყურადღებას აქცევდა ჰიკიენას და ავადმყოფის სანიტარულ პირობებს, როგორც ეტიოლოგიას, ისე მკურნალობის მხრივ. ექ. თერაპევტი უნდა ყოფილიყო ექიმი ჰიგიენისტი. ბოტკინის სკოლის წარმომადგენელთა შორის აღსანიშნავი არიან: კომლაკოვი, სტოლნიკოვი, პოპოვი, სიროტინინი, იანოვსკი, ყაზანში ვინოგრადოვი, კიევში პოკროვსკი, ხარკოვში დაშკევიჩი და ოპენხოვსკი. უკანასკნელ დროს შატილოვი. ოდესაში ლევაშოვი (ცნობილი რეაქციონერი შემდეგ). ზახარინის, მოსკოვის, სკოლა არ იყო კმაყოფილი, როგორც ბოტკინის, რუსული მედიცინის მდგომარეობის, მაგრამ ამ ამოცანის გადაწყვეტას მიუღდა სხვა გზით. ზახარინი ხდება პროფესორად 1862 წელს, მას ასულდგმულებს კლინიკა, „ჰიპოკრატისებური“. ყველაფერი ეძლევა (отдаётся) დაკვირვებას ავადმყოფის საწოლთან, ლაბორატორიუმს და დაავადებულის ინსტრუმენტალურ გასინჯვას კი ნაკლებ ყურადღებას აქცევს. ზახარინი შესანიშნავი კლინიცისტი-პრაქტიკოსი იყო, შეიძლება ავადმყოფთა გამოკვლევის თავისებური ხერხები (приемы) რომელთა შორისაც დიდი როლი ეკუთვნის ანალიზს. დიდი პოპულიარობა მოიპოვა, როგორც დაკვირვებულმა დიაგნოსტმა, და შექმნა მთელი კადრი ექიმ პრაქტიკოსების—ბევრი მათგანი გამოჩენილი პროფესორებიც შეიქმნენ, თავის შესანიშნავი დაკვირვების ნიჭისა და დიაგნოსტიური ხერხის შეოხებით. თავისი შეხედუ-

ლობა წამლობაზე ზახარინმა მის „клинические лекции“-
ებში გამოიჩინა (კლინიკური ლექციები). მან მიზნად და-



სურ. 56.

გრიგოლ ზახარინი 1829—1897.

ისახა არა მეცნიერულ გამოკვლევთა მომზადება, არა-
მედ პრაქტიკოსეკიმების. მხოლოდ ფაქტის ნიადაგზე იდგა,
ე. ი. მხოლოდ ემპირიკი იყო, და არა მოაზროვნე. არ
აინტერესებდა წამლების ფარმაკოლოგიური მოქმედება,
არამედ მხოლოდ მათი კლინიკური მარგებლობა. გვერდს
უხვენდა თეორიებსა და კლინიკურ მედიცინაში გაურ-
ბოდა ლაბორატორიულ გამოკვლევებს. თერაპიულ საშუა-
ლებათა არჩევის დროს ზახარინის სკოლა მისდევდა არა
ექსპერიმენტს, არამედ დაკვირვებას ავადმყოფის საწოლ-
თან. ბოტკინის წინააღმდეგ ფიქრობდა, რომ ისეთი რთუ-
ლი მოვლენა, როგორც ადამიანის ორგანიზმის სიცოცხ-
ლეა, არ შეიძლება ჩამოყალიბდეს თუნდაც ლამაზ მათე-

მატიკურ ფორმულებში. საჭირო იყო ხიდის გადგმა თეორიულს, უნივერსიტეტის მედიცინასა და პრაქტიკულს, საერობოს შორის. ამ ამოცანის შესრულება თავს იღვა გამოჩენილმა კლინიკისტმა ა. ოსტროუმოვმა (1844—1908 წ.), რომელიც იყო დიდი მკოდნე ფიზიოლოგიისა და პათოლოგიური ანატომიისა. ოსტროუმოვი დიდ მნიშვნელობას აკუთვნებდა ექსპერიმენტს—კლინიკური მედიცინის საკითხების გადაჭრის დროს, მაგრამ ამავე დროს არაოდეს ბრმად მუხლს არ იდრეკდა ექსპერიმენტის წინაშე. მედიცინის პროგრესი შესაძლებელია, თუ ის წინ წავა ბუნებისმეტყველებასთან ერთად და ხხმარს მის მეთოდებს. კლინიკური შესწავლის მიზეზი ისეთივეა, როგორც მიზანი ყველა ბიოლოგიური მეცნიერებისათვის და მდგომარეობს იმაში, რომ გამოარკვიოს გარემომცველი წრის პირობები, რომელშიაც მოქმედება უხდება ადამიანის ორგანიზმს. რადგან წრის ერთგვარი პირობები ქმნიან სხვა და სხვა სენის გაჩენის შესაძლებლობას, კლინიკური მედიცინის შესწავლის საგანია, ერთი მხრით, დაავადებული ორგანიზმის თვისებები, და, მეორე მხრით, წრის პირობები. აქედან გამომდინარეობს ზოგადი—ბიოლოგიური ამოცანა, რომელიც დგას კლინიკის წინაშე; შეისწავლოს პირობები მომარჯვების, გადაშენების და გადაგვარების და მათი მიზეზი. ამისათვის საჭიროა უპირველესად მემკვიდრეობისა და გარემომცველი წრის პირობების ცოდნა. ყოველმხრივი იყო ოსტროუმოვის დიაგნოსტიკა. ორგანიზმის თვისებურობათა ძებნის დროს მან შეაქცია ყურადღება მის კონსტიტუციას. იმისდა მიუხედავად, რომ ხშირად იძულებული იყო დაენიშნა თერაპიამემპირიულად, მაინც ცდილობდა მოენახა მისი დასაბუთება. ოსტროუმოვი შესანიშნავი ტერაპევტი იყო, რომელმაც ასახა თერაპიული აზროვნების გზები, კლინიკური მე-

დიცინა შეიყვანა ბიოლოგიურ მეცნიერებათა წრეში, კლინიკაში შეიტანა ბიოლოგიური აზროვნება. ბავშობ სნეულებათა დარგი თანდათან შორდება შინაგან მედრ ცინას და 1870 წელს უკვე არსებობს ფლორინსკის მეთა-ურობით პედიატრიის კათედრა. უღრდესი წარმომადგენელი ამ დარგის არის მოსკოველი პროფესორი ფილატოვი, რომელსაც ეკუთვნის საკუთარი სახელმძღვანელოები და



სურ. 47

ნილ. ფილატოვი 1847--1902

ბრავალი წერილები. შესანიშნავია მისი შრომა: „Семантика и диагностика детских болезней“ (ბავშობა სე-

ნების სემიოტიკა და დიაგნოსტიკა). ამჟამად ხანაში ჩამო-
ყალიბდა, როგორც ცალკე დამოუკიდებელი დისციპლინა,
სწავლა კანის და ვენერული სენების შესახებ. თვალსაჩი-
ნო წარმომადგენელი ამ მეცნიერებისა იყვნენ პოლიტებ-
ნოვი, ტარნოვსკი და მოსკოველი პოსპელოვი. ნერვული
სენების განვითარებას შევნიშობთ ნიადაგი ქონდა სეჩენო-



სურ 58
ვ. ტარნოვსკი

ვას და სხვების შრომის წყალობით, განსაკუთრებით ცენ-
ტრალური ნერვული სისტემის ფიზიოლოგიას. რუსი მეც-
ნიერები იზიარებდნენ სულიერი მოქმედების რეალისტურ
ახსნას და არავითარი ადგილი არ დაუტოვეს მეტაფიზი-

კას პსიქოლოგიაში. პეტერბურგის სკოლის დამფუძნებელი იყო პროფ. ბალინსკი, რომელმაც დაარსა კლინიკური განყოფილება სულით ავადმყოფთათვის გამოჩენილი პინელის აზრებისდა მიხედვით. ბალინსკიმ გააღვივა ინტერესი პსიქიატრიისადმი, შექმნა პსიქიატრთა მთელი სკოლა: მისი თაოსნობით მოხდა რეფორმა სულით ავადმყოფთა პატრონობის (призрение), დაარსდა საოლქო სამკურნალოები სულით ავადმყოფთათვის. ბალინსკის შემცველი აკადემიაში იყო მერჯევსკი—დიდ-ძალი შრომების ავტორი იდიოტიზმის და პროგრესიული დამბლის შესახებ. ყაზანში მოღვაწეობდა ფრეზე და შეზღვევლ. ბებტერევი, ცნობილი ნევროპათოლოგი და პსიქიატრი. 1893 წელს გადავიდა პეტერბურგის აკადემიაში. მას ეკუთვნის 200-მდე შრომა, რომლებიც შეიცავდენ ნერვული სისტემის ანატომიას, ფიზიოლოგიასა და პათოლოგიას, ნერვული ცენტრების ლოკალიზაციის შესახებ სწავლას და ნერვულ და სულით ავადმყოფობათა კლინიკას. მოსკოვში ამ დარგს წარმოადგენენ კოჟენიკოვი და კორსაკოვი მისი „Учебник психиатрии“ („პსიქიატრიის სახელმძღვანელო“), თვალსაჩინო მოვლენა იყო რუსულ სამედიცინო ლიტერატურაში. კიეველი პსიქიატრები იყვნენ სიკორსკი, ხარკოვში კოვალევსკი. ეს იყო ბრწყინვალე ხანა რუსული მედიცინისა. მეოთხმოცე წლების სასტიკმა რეაქციამ მედიცინის განვითარებაც დიდად შეაფერხა, მაგრამ წარსულის მეოხებით მისი თანდათანობითი წინსვლა უზრუნველყოფილი იყო.

მეოთხმოცე წლების რეაქციამ რუსული კულტურის აყვავების სამუდამოდ ჩაშლა ვერ შესძლო. რუსული სახალხო მეურნეობა ახალი განვითარების ხანაში შედიოდა, მრავლდება ქარხნები, სამრეწველო წარმოებები, იზრდება სამრეწველო პროლეტარიატი. კაპიტალიზმი, რომლის გან-

ვითარება მეოთხმოცე წლებიდან ჩქარი ტემპით წავიდა წინ ცხოვრების საზოგადოებრივი ცენტრი თანდათანობით ქალაქიდან სოფელში გადაიტანა. ინტელიგენცია მეტ ყურადღებას აქცევს ქალაქის მუშის უმწეო მდგომარეობას. მე-V პიროგოვის ყრილობაზე ებანკოვი უკვე აყენებს სა-



სურ. 59.
ვლადიმერ ბებტერევი 1857—1927

კითხს საქალაქო მედიცინის ორგანიზაციის შესახებ, რომელიც უნდა მოეწყოს საერობო მედიცინის პრინციპების მიხედვით, მხოლოდ მეტი ყურადღება უნდა მიექცეს სანიტარულ ჰიგიენურ ღონისძიებებს, ბინის საკითხის მოწესრიგებას, საზოგადოებრივი უზრუნველყოფის საკითხებს და სხვა. 1903 წელს გამოდის საქალაქო მედიცინის სექციის მიერ ექ. ჩერტოვის რედაქციით: „Городская медицина Европейской России“. ამ ხანაში ქალაქები ჩამორ-

ჩენილი არიან ერობებთან შედარებით სანიტარული კეთილმოწყობის საქმეში. საავადმყოფოებია ქალაქების 12,4 პროცენტში, წყალსადენი 20 პროცენტშია, კანალიზაცია მხოლოდ 13 ქალაქში. მიზეზია რუს ვაჭართა წოდების ჩამორჩენა, უკულტურობა და ისიც, რომ ქალაქში მცხო-

ვრები ექიმები ნაკლებ მიდრეკილებას იჩენენ საზოგადოებრივი მოღვაწეობისადმი; რადგან უფრო დატვირთული არიან კერძო პრაქტიკით, ვიდრე საერობო ექიმები. ქარხნების ანტისანიტარული მდგომარეობა იპყრობდა უფლება მოსილთა ცოტაოდენ ყურადღებას წინადაც, 1866 წელს ხოლერის მოლოდინის შიშის ქვეშ გამოცემულ იქნა დადგენილება სამკურნალო დახმარების აღმოჩენის შესახებ მუშებისათვის. ამ დებულების მიხედვით მწარმოებლები ვალდებული იყვნენ მოეწყოთ ქარხნებთან საავადმყოფოები, ერთი საწოლით 100 მუშაზე. გამგებლობა ამ საავადმყოფოების საქარხნო, სამრეწველო დაწესებულებათა პატრონთა ხელში იყო. მუშათა გაფიცვების შედეგად შრომის დაცვისათვის 1882 წელს გამოცემული პირველი კანონი რუსეთში. ამ კანონით დატულია ბავშთა შრომა და შექმნილია საქარხნო ინსპექციის ინსტიტუტი. ინსპექტორს არაერთარი ძალა-უფლება არ ჰქონდა და იმისდამიუხედავად, რომ პირველ ხანებში ინსპექციაში იყვნენ რუსულ ლიბერალური ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები, მისი მოღვაწეობა ოქმების შედგენას არ გასცილებია. 1879 წელს გამოჩენილმა ჰიგიენისტმა—მაშინ მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორმა—ერისმანმა გამოიკვლია და შეისწავლა მოსკოვის გუბერნიის ქარხნების სანიტარული მდგომარეობა: ერისმანმა ხაზ-გასმით აღნიშნა, რომ, როდესაც საერობო მედიცინას ბევრი მიღწევები ჰქონდა, საქარხნო მედიცინა ადგილიდან არ აძროდა. ამის უმთავრესი მიზეზი ის იყო, რომ საქარხნო მედიცინა, რომელიც თავისი დანიშნულებით საზოგადოებრივი უნდა ყოფილიყო, თავისი ორგანიზაციული სტრუქტურით კერძო იყო. მუშათა მოძრაობამ უკვე წამოაყენა ლოზუნგი საქარხნო მედიცინის საქმის გადაცემისა სამკურნალო სალაროების ხელში. მზადდება ნიადაგი მუშა-მოსამსახურე-

ების სახელმწიფო დაზღვევისათვის. 1912 წელს გამოცემულ იქნა კანონი სახელმწიფო დაზღვევის შესახებ. ამ კანონით სამკურნალო საღაროების ფუნქციას შეადგენდა ფულით დახმარების გაცემა. სამკურნალო დახმარება არსებითად დარჩა მრეწველ პატრონთა ხელში. კანონმა მრე-



სურ. 62.
თედორე ერისმანი. 1842—1915

წველი გაათავისუფლა მუშებისათვის სტაციონალური დახმარების შერყმისაგან. სავალდებულო იყ.ო მხოლოდ ამ ბუღალტორიული წამლობის მიცემა და დახმარების აღმოჩენა უბედური შემთხვევის ღროს. თებერვლის რევოლიუ-

ციის შემდგომ 1917 წლის კანონით მრეწველების ანარი-
ცხები გადიდებულ იქნა და გათანასწორებული მუშების
ანარიცხებთან. რეორგანიზაციულ ქმნილ სამკურნალო სა-
ლაროებს მიეცათ უფლება სამედიცინო დახმარების საქ-
მეს თავის ფუნქციად გამოეცხადებიათ. 1917 წლის დე-
კემბრის 22-ს, საბჭოთა ხელისუფლების დეკრეტით, სალა-
როების განკარგულებაში გამოცხადდა საქარხნო მედიცი-
ნა. დიდი დროის განმავლობაში იყო ცდა, რომ სამედი-
ცინო-სასანიტარო საქმე როგორმე გაერთიანებულიყო
ერთი გამგებლობის ქვეშ.

1896 წელს ექიმი ებერმანი მოხსენებას აკეთებს მე-
VI პიროგოვის ყრილობაზე სახალხო ჯანმრთელობის სა-
მინისტროს მოწყობა დაარსების შესახებ. 1910 წლიდან
მუშაობს ეგრეთ წოდებული გ. რეინის კომისია საექიმო-
სასანიტარო კანონმდებლობის გადაწყვეტად, წამოიჭრა სა-
კითხი ცალკე სამინისტროს დაარსების შესახებ, რომლის
ფუნქციაში სასანიტარო-კანონმდებლობის ასრულების თვა-
ლყურის დევნების გარდა უნდა შესულიყო ზედამხედვე-
ლობა დაწესებულებათა სამკურნალო მოღვაწეობა-მოქმე-
დებაზე. ცხადია პროგრესიული ექიმობა ასეთ პრიციპს
გულცივად შეხვდა. ისინი ფიქრობდნენ, რომ ახალი ბიურო-
კრატიული დაწესებულება საქმეს ვერ უშველის, საჭიროა
ცხოვრების ვითარების კარდინალური შეცვლა. დიდმა
ომმა სრულებით გამოაშკარავა ძველი რუსული სახელმწი-
ფოებრივი მედიცინის ორგანიზაციის სილატაკე. წარმოი-
შვა ქალაქებისა და ერობათა კავშირის სასანიტარო ორ-
განიზაციები. ახალი მედიცინის ამოცანების შესრულება
შესაძლებელი შეიქნა ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ,
თუმცა პირველ ხანებში სამედიცინო საქმის გაერთიანე-
ბას, რომლის გარეშე შეუძლებელია საქმის წესიერად
მოგვარება, ბევრი დაბრკოლების გადალახვა დასჭირდა.

ქველი აპარატის დამსხვრევის და ახალთა შექმნის დროს, ცხადია, წამოიჭრა საკითხი ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის დარსების შესახებ. პრაქტიკულად ფრთხილად შეუდგენ ამ საქმის მოგვარებას. თავდაპირველად დაარსდა „Совет врачебных коллегий“ „საექიმო კოლეგიათა საბჭო“. სხვადასხვა უწყებრივი მედიცინის ხელმძღვანელობით იკრიბებოდნენ უმთავრესად ეპიდემიების საწინააღმდეგო ზომების გამოსამუშავებლად. ასეთი სათათბირო ორგანო უკვე დამაკმაყოფილებელი არ იყო და 1918 წლის ივლისში ნ. სემაშკომ სახალხო კომისართა საბჭოში შეიტანა წინადადება ჯანმრთელობის კომისარიატის აუცილებლობის შესახებ. ამ წინადადებას მკაცრი ოპოზიცია გაუჩნდა ექიმ ცვეტაევის და ვიაჩესლავოვის მხრივ. ისინი ფიქრობდნენ, რომ სემაშკოს პროექტით აღდგება „რეინის ბიუროკრატიული დაწესებულება“. პროექტი დამტკიცებულ იქნა და 23 ივლისიდან 1918 წლისა სამკურნალო სასანიტარო საქმემ დაიწყო გაერთიანება ჯანმრთელობის კომისარიატში. საღმა, საუკეთესო ექიმთა თითქმის ასეთი წლის აზრმა გაიმარჯვა და სახალხო ჯანმრთელობის საქმეში მედიცინის მთლიანობის პრინციპი გამეფდა. ჯანმრთელობის კომისარიატი შეუდგა მედიცინის „შეკრებას სხვადასხვა უწყებიდან. უწყებრივი ცრუ პატრიოტიზმი ძლიერი იყო და ბრძოლა მწვავე. დიდი წინააღმდეგობა გამოიჩინა სამხედრო უწყებამ, ამ უწყების ხელმძღვანელ წრეებში განმტკიცებული იყო აზრი, თითქო სამხედრო-სასანიტარო საქმე უწყების გამგებლობის ხელში უნდა იყოს, და ამ შეხედულობის დაძლევა ძნელი იყო, თუმცა ევროპიული ომის მაგალითს ყველა უნდა დაერწმუნებია, რომ სამხედრო უწყებამ ვერსად ვერ შესძლო ომის მიერ წამოყენებული ამოცანების გადაჭრა და ყველგან მოიხმარეს საზოგადო-

ებრივი ორგანიზაციების ცოდნა, პრაქტიკული გამოცდილება და ორგანიზაციული უნარი. მთლიანი მედიცინის იდეა გამოდგა და დასძლია სამხედრო სპეციალისტების წინააღმდეგობა. დიდი ბრძოლის შემდეგ ჯანმრთელობის კომისარიატს, როგორც მისი განუყრელი ნაწილი, შეუერთდა დამზღვევი მედიცინა. დეკრეტი თანახმად ჯანმრთელობის კომისარიატის ფუნქციებში შედიოდა რესპუბლიკის მოსახლეობის ჯანმრთელობის საქმის გამგებლობა და ღონისძიებათა მიღება მოსახლეობის ჯანმრთელობის ღონის ამაღლებისა და იმ პირობათა მოსპობისათვის, რომელნიც ასწეულებენ ორგანიზმს ან მანერდ მოქმედებენ მასზე. პირველი და უმთავრესი განსაკუთრებული თვისება ახალი მედიცინისა არის მისი გამაფრთხილებელი, საზოგადოებრივი ხასიათი. მეორე მხრით, საბჭოთა მედიცინას ახასიათებს მისი კლასობრივი ხასიათი. ჯანმრთელობის კომისარიატის მოღვაწეობაზე იმოქმედა მედიცინის სამმა ისტორიულმა მიმდინარეობამ. ინგლისის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციამ, გერმანულმა დამზღვევმა მედიცინამ და რუსულმა საერობო მედიცინამ. ინგლისიდან ჯანმრთელობის კომისარიატმა გადმოიღო პროფილაქტიურ ღონისძიებათა სისტემა. გერმანული დამზღვევი მედიცინიდან მისი კლასობრივი ხასიათი და რუსულ საერობო მედიცინიდან უფასო და ყველასათვის ხელმისაწვდომი (общедоступность) პრინციპი.

ყველა ზემოხსენებულ სწავლას თან სდევდა მათი კაპიტალისტური წარმოშობის ნიშნები—გაუბედავი ზომები პროფილაქტიური მედიცინისა მუშის ნახევრად წამლობა. საბჭოთა მედიცინის ამოცანა კი იყო არა ნახევარად წამლობა შრომის ინვალიდებისა, არამედ ზომების მიღება მშრომელთა მასის მთლიანად გაჯანსაღებისა.

თვით შრომის ნორმალური პირობების დაცვა, კლასობრივი საბინაო პოლიტიკა, სასურსათო პოლიტიკა საშხედრო კომუნისმის ხანაში—აი პირველი საფეხური სოციალურ ღონისძიებათა. შემდეგ აზის დაემატა: სპეციალური ღონისძიებანი მოზარდი თაობის ჯანმთელობის დასაცავად დედისა და ახალშობილის დაცვიდან დაწყებული სკოლის ასაკამდე, სკოლის ასაკისა და მოზარდი (подростки) თაობის დაცვამდე, ბოლოს სოციალურ სენებთან (ვენერაზმა, ტუბერკულოზი), რომელნიც გადაგვარება-გადაშენებით ეტუქრებიან კაცობრიობას. ბრძოლა ამ სენებთან შეადგენს სახელმწიფოს მოვალეობას და მარტო ვიწრო სამკურნალო მიზნით კი არ არის შემოფარგლული, არამედ მიზნად ისახავს ფართო პროფილაქტიურ ღონისძიებათა გატარებას. ყველაფერი ეს კეთდება მოსახლეობის უშუალო მონაწილეობით—მოსახლეობის ფართო ფენების ჩაბმით ამ დიდ საქმეში. სანიტარულმა განათლებამ დიდი ადგილი დაიკავა ჯანმრთელობის კომისარიატის ყოველდღიურ საქმიანობაში. დაიწყო ზრუნვა ქალაქის და სოფლის კეთილმოწყობისათვის, განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობოდა შრომის სანიტარულ დაცვას, რომელიც შემდეგ იქცა შრომის კომისარიატის ფუნქციად. დაიწყო ბრძოლა ძველ საშინელ მემკვიდრეობასთან, ბავშთა საზარელ სიკვდილობასთან. შეიჭმნენ ბავშთა და დედების დაცვის დაწესებულებები—კონსულტაციები, ბავშვები, ბავშთა სახლები, ახალშენები. სკოლას და მოზარდთაობას სათანადო ყურადღება ექცევა, სასკოლო—სასანიტარო ზედამხედველობა გაძლიერდა. ახალგაზრდის ყოფაცხოვრებაში შეტანილ იქნენ ელემენტები ფიზიკური კულტურისა, სოციალურ სენებთან მებრძოლ დაწესებულებათა რიცხვი, დისპანსერების რიცხვი სწრაფად იზრდება, სამკურნალო დახმარების სათანადო დაყენებისათვის გამრა-

ვლებულ იქნენ საავადმყოფოები, აფთიაქების ამბულატორიების ნაციონალიზაციამ შესაძლებელ ჰყო დემოკრატიული პრინციპების გატარება უფასო, და კვალიფიკური დახმარების მიწოდება. კომისარიატის დებულებებში გამოხატულია ის ამოცანები, რომელნიც დგანან ახალი მედიცინის წინაშე: ერთი მხრით სამკურნალო და სასანიტარო ღონისძიებანი, მეორე მხრით კი ის სოციალური ღონისძიებანი, რომელნიც დაკავშირებული არიან უშუალოდ მოსახლეობის ჯანმრთელობას დაცვის პრობლემებთან. ჯანმრთელობის პრობლემების მეცნიერული დაწესებულებისა თვის შექმნილია მთელი რაფი სამეცნიერო დაწესებულებათა: მათ სათავეში დგას სამეცნიერო სამედიცინო საბჭო. სახალხო ჯანმრთელობის სახელმწიფო ინსტიტუტის, — ამ სამეცნიერო დაწესებულებების სათავეში სიკვდილამდე იდგა ტარასევიჩი. თუ რუსული მედიცინა მეცხრამეტე საუკუნეში პათოლოგიის და კლინიკის სფეროში მოღვაწეობდა უმთავრესად, თანდათან მას მიეცა განხრა ჰიგიენა-ბაქტერიოლოგიისაკენ. ცხოვრების ამ მოთხოვნილებამ შექმნა ახალი კათედრები. ბაქტერიოლოგია, რომელიც დიდხანს პათოლოგიის კათედრასთან იყო გამოყოფილი, დამოუკიდებელ კათედრათ შეიქმნა. ჰიგიენა წინაღუნივერსიტეტის კურსის უკანა პლანზე იყო, ახალა კი განხდა ძირითად საგნად, გაფართოვდა და დაიყო. სპეციალურ დისციპლინებად: ზოგად ექსპერიმენტალურ ჰიგიენად, სოციალურ ჰიგიენად, შრომისა და აღზრდის ჰიგიენად, თანამედროვე მედიცინის პროფილაქტიურ ხასიათი მოითხოვს სპეციალურ დაწესებულებათა შექმნას. დაარსდა ბაქტერიოლოგიური ინსტიტუტები — შეიქმნა სხვა და სხვა სპეციალობის სანიტარული ექიმების მთელი კადრი. ამ მოძრაობის სათავე შორსაა და მისი პიონერი იყო გამოჩენილი ბუნებისმეტყველი ილია მეჩნიკოვი (1845 - 1916

წ.). მეჩნიკოვი ათი წლის პროფესორობის შემდეგ იძულებულ იყო მიეტოვებინა ჯერ უნივერსიტეტი და შემდეგ რუსეთიც და მისი სამეცნიერო მოღვაწეობა უმთავრესად განვითარდა პარიზში, სადაც მას შეუქმნეს ყოველგვარი პირობები სამეცნიერო მუშაობისა და პასტერის ინსტიტუტიდან გამოვიდა მისი მსოფლიო მნიშვნელობის ნაწარმოებნი. 1883 წლის თავის სიტყვაში „о целенных силах организма“ „ორგანიზმის მკურნავი ძალების შესახებ“ წამოაყენა დებულება, რომელიც მისივე თქმით ჩანასახი იყო მისი ფაგოციტების თეორიისა. მეჩნიკოვის თეორიისდა მიხედვით ორგანიზმის თავდაცვაში მასში შემოსულ უცხო ნივთიერებათაგან (тел) კერძოდ მიკრობებისაგან -- უმთავრეს როლს ასრულებენ სისხლის თეთრი ბუროთულები, რომელნიც განსაკუთრებული ფერმენტებით ინელეგენ მიკრობებს (переваривают их). რაც უფრო ენერგიულად მოქმედობენ ეს უჯრედები, მით უფრო წარმატებით წარმოიბოს ბრძოლა ორგანიზმისა ინფექციასთან სისხლის დენას ლეიკოციტები მიაქვს ინფექციის კერასთან, აქ ისინი გადაიან სნეზის მიერ გაფართოვებული კაპილარების კედლებში. თავს ესხმიან მიკრობებს, შეიგდებებ მათ თავის ტანში და შემდეგ ინელეგენ. Невосприимчивость к болезни имеет, таким образом, в основе усиленную деятельность фагоцитов, которые приспособились к уничтожению патогенных микробов“ „შეუფალობას ავადმყოფობის მძაბრთ საფუძვლად უდევს ამგვარად ხსენებული ლეიკოციტების ანუ ფაგოციტების გაძლიერებული მოქმედება, რომელთაც შეძენილად აქვსთ გადაყლაპული მიკრობების მონელების (მოსპობის) უნარი. მეჩნიკოვის უჯრედულ, ფაგოციტალურ თეორიას დიდი წინააღმდეგობა გაუწია გერმანულ მეცნიერთა ჰუმორალურმა თეორიამ. 1892 წელს გამოვიდა მისი წი-

გნი „Лекции по сравнительной патологии воспаления“
 „ლექციები ანთების შედარებითი პათოლოგიის შესახებ“,
 რომელშიც ის ამტკიცებს, რომ უპაღლეს ცხოველთა
 ანთების პირველად ამამოძრავებელი ძალას იმგვარადღე,
 როგორც პირველ საფეხურზე მდგომ ცხოველთა, წარმოა-
 რგენს ფაგოციტების მოქმედება. მისი წიგნში „შეუვალო-
 ბა ინფექციურ სენტა მიმართ“ (Невосприимчивость в
 инфекционных болезнях) (1901 წელს) საბოლოოდ ჩა-
 მოყალიბებულია მისი თეორია. 1903 წელს ეკუთვნის
 მეჩნიკოვის და რუს ექსპერიმენტალური გამოკვლევა ათა-
 შანგის შესახებ. სიბერისა და სიკვდილის პრობლემების
 შესწავლის შედეგია ორი ბრწყინვალე წიგნი: „ეტიუდები
 კაცის ბუნების შესახებ“ Этюды о человеческой при-
 роде და „ეტიუდები ოპტიმიზმის შესახებ“ Этюды
 оптимизма. მთავარი მიზეზი უდროვოდ დაბერებისა,
 მეჩნიკოვის აზრით, არის ალკოჰოლიზმი, ნაწლავთა მი-
 კრობების მიერ გამოწვეული ქრონიკული მოწამლვა, რომ-
 ელიც იწვევს ნაადრევ არტერიოსკლეროზს, ინფექციური
 სნეულგბანი ათაშანგის მეთაურობით. ადამიანს შეუძლია
 თავისი შესანიშნავი და უძლეველი იარაღით, მეცნიერე-
 ბით, დასძლიოს ეს დისგარმონია. სიბერის დაძლევა შეი-
 ძლება კეთილშობილი უჯრედების გამრავლებით, ინფექ-
 ციურ სენტებთან და ალკოჰოლიზმთან ბრძოლითა და ნა-
 წლავის ეხლანდელი ველური (дикий) ფლორის შეცვლით
 სასარგებლო მიკრობების ფლორით, რომელთა შორის
 მეჩნიკოვის აზრით, განსაკუთრებული როლი ეკუთვნის
 რძის მეთავას ფუიდის ბაცილას „бациллы молочно-кис-
 лого брожения. დასასრულ, მეცნიერების მოვალეობაა,
 რომ დღევანდელი შიში სიკვდილისადმი შეიცვალოს ბუ-
 ნებრივი სიკვდილის ინსტიქტით, ეს კი შესაძლებელი
 იქნება თუ მიღწეული იქნება სიცოცხლის საზღვარი.

ბრწყინვალე ჰკუიმ, დიდმა ერუდიციამ, სიმტკიცემ თავისი აზრების დაცვის დროს მიიზიდა მეჩნიკოვისკენ მრავალრიცხოვანი მოწაფეები. ოდესაში მეჩნიკოვის საქმეს განაგრძობდა გამაღვი და ტარასევიჩი. ხარკოვის ბაქტერიოლოგიური სკოლის მეთაური იყო ცნობილი პათოლოგი



სურ. 60.
ილია მეჩნიკოვი 1845—1916

ვისკოვიჩი, შემდეგ ნედრივაილოვი და კორშუნი. ხარკოველთა სკოლას ეკუთვნის ჩვენი გამოჩენილი ბაქტერიოლოგი ამირეჯიბიცი. პეტერბურგის სკოლის მეთაური იყო ზაბოლოტნი, შემდეგ ზლატოვორევი. მოსკოვის მეცნიერულ-ბაქტერიოლოგიური სკოლის შემქნელად ითვლება

გაბრიჩევსკი. რუსეთში პირველად მან მიიღო ანტიდი-ფტერიული შრატი. მასვე ეკუთვნის შრომები ქუნთრუმის, შებრუნებითი ტიფის, მალარიის, კრუპოზული ანთების და მრავალი სხვა და სხვა საკითხების შესახებ. მისი თა-ნაშენწე იყო ბერესტნევი. ცნობილია აგრეთვე მოსკოვე-ლი კედროვსკი თავისი შრომებით კეთრის შესახებ და როზენტალი თავისი შრომით ბაცილარული დიზენტერიის შესახებ. ახალმა საზოგადოებრივმა აზროვნობამ მეტად-ხელი შეუწყო გამაფრობილებელი მედიცინის მთავარი დისციპლინის განვითარებას. ჰიგიენა წარმოიშვა რუსეთში მეთვრამეტე საუკუნის მიწურულში, როგორც სახელმწი-ფოებრივი მედიცინა. ახალ სოციალურ ურთიერთობათა გავლენით ჰიგიენა თანდათანობით გამოეყო სამედიცინო პოლიციასა და განვითარდა სოციალურ ჰიგიენამდე. უმა-ღლეს სამედიცინო სკოლების დაარსების შემდეგ სამედი-ცინო პოლიციის კურსი ერთად ერთი კურსი იყო, რომე-ლსაც საგნად ქონდა ყველა დარგი საზოგადოებრივი მე-დიცინისა. სამედიცინო პოლიციის ერთერთი პირველი მასწავლებელი ნ. დიაკოვი ასე არკვევს თავისი კურსის შინაარს: „врачебная полицейская наука предлагает правила и учения, по которым врачи могут давать советы правительству, как надлежит пешись о всеоб-щем здравии и благосостоянии народа в пользу госу-дарства“. „საექიმო-საპოლიციო მეცნიერება შეიცავს იმ წესებსა და მოძღვრებას, რომელთა მიხედვით ექიმებს შეუძლიათ ურჩიონ მთავრობას, როგორ უნდა იზრუნოს მან საყოველთაო ჯანმრთელობისა და სახალხო კეთილ დღე-ობისათვის სახელმწიფოსდა სასარგებლოდ.

როდესაც მედიკო-ქირურგიული აკადემიის რექტო-რად მოწვეულ იქნა გამოჩენილი ი. პ. ფრანკი, მისი წი-ნადადებით აკადემიაში უნდა დაარსებულიყო ახალი კა-

თედრა ფიზიოლოგიისაჲ ჰიგიენის დართევით, ხოლო საპო-
ლიციო მედიცინა უნდა გამოყოფოდა სამოსამართლო
მედიცინას დამოუკიდებელ კათედრად. მხოლოდ 1837 წ.



სურ. 61.
თედორე გაზი. 1780—1853.

აკადემიის ახალი წესდების დამტკიცების შემდეგ საპო-
ლიციო სამედიცინო ჰიგიენიურთ გამოყოფილ იქნა და-
მოუკიდებელ კათედრად, თუმცა დიდხანს ეს კათედრა
ფაქტიურად გაერთიანებული იყო სამოსამართლო მედი-
ცინასთან, 1864 წელს აკადემიაში დაარსდა უკვე ჰიგიე-
ნის დამოუკიდებელი კათედრა. ფაქტიურად ამ კათედრამ
დაიწყო მუშაობა 1871 წლიდან. ამ კათედრის გამგებ-
ლობა ჩაბარდა ა. დობროსლავინს, რომელიც გამოიჩენი-

ლა პეტენკოვერას მოწაფე იყო და ევროპაში ყოფნის დროს შესწავლილი ქონდა ვენის, პარიზის და სხვა ქალაქების სანიტარული დაწესებულებები. 1870 წელს ეკუთვნის მისი პირველი შრომა „Очерки гигиенической обстановки парижских госпиталей“.

დობროსლავინის მხნეობას მიეწერება, რომ ჰიგიენამ დაიჭირა შესაფერი ადგილი სამკურნალო განათლების სისტემაში. მისი ლაბორატორიიდან გამოვიდა ასორმოცაჲდე მისი მოწაფე. დობროსლავინი არ გაუბოღდა პრაქტიკულ საქმიანობას. ბევრს მუშაობდა კანალიზაციის სისტემის შესასწავლად; როგორც პეტერბურგის ყრობის სანიტარული კომისიის თავმჯდომარე, ის იკვლევდა სასაფლაოების, ეზიდემიების წინააღმდეგ ზომებისა, და საზრდოობის პროდუქტებზე ზედამხედველობის საკითხებს. მისი შრომებიდან აღსანიშნავია „Курс военной гигиены“, „Гигиена“, „Курс общественного здравоохранения“, „Очерк основ санитарной деятельности“, „სამხედრო ჰიგიენის კურსი“, „ჰიგიენა“, „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“. მის მოწაფეთა შორის აღსანიშნავია ნავორსკი, ლევაშევი, შიდლოვსკი. თანამედროვე ჰიგიენის უდიდესი წარმომადგენელია პეტერბურგელი გ. ხლოპინი, ავტორი დიდი ორიგინალური სახელმძღვანელოსი, რომელშიაც სოციალური ელემენტი ცნობილია ჰიგიენური მეცნიერების ცოცხალ სულად. მოსკოვში აღსანიშნავია თ. გააზეს მოღვაწეობა ტომით ავსტრიელისა, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლე ემსახურებოდა, როგორც ციხის ექიმი, ტუსალებსა და ღარიბ-ღატაკთა—საუკეთესო ტიპა ექიმი ჰუმანისტისა და ტყვილად არ უწოდებდენ „წმინდა ექიმს“. საეროზო მოღვაწეობას უნდა შეექმნა პირობები ჰიგიენის განვითარებისათვის მოსკოვში. და სწორედ, როდესაც მოსკოვის

უნივერსიტეტის ჰორიზონტზე გამოჩნდა თედორე ერისმანი, ამ იდეებმა პოვეს თავისი შესანიშნავი გამოხატე-ლი. ერისმანი დაიბადა შვეიცარიაში, 1869 წ. გადმოსახლ-და პეტერბურგში. პირველ ხანებში ეწეოდა პრაქტიკას, როგორც ოკულისტი, პირველი მისი შრომა „О влиянии школы на происхождение близорукости“ — „სკოლის გავლენა სიბეცის წარმოშობაზე“ — შედეგია მისი მოღვა-წაობისა სკოლებში. შემდეგ ის შეუდგა პეტერბურგის ლამის თავშესაფარების გამოკვლევას. 1872 წელს მიატოვა თვალის ექიმობა და რამდენსამე წელს მუშაობდა პეტენ-კოფერის ლაბორატორიაში. 1879 წელს მოსკოვის ერო-ბის მოწვევით დაიწყო მოსკოვის გუბერნიის ქარხნების სანიტარული გამოკვლევა. ამ გამოკვლევათა შედეგი იყო 17 ტომიანი შრომა.

1882 წელს მოსკოვის უნივერსიტეტმა მიიღო მხედ-ველობაში მისი მრავალრიცხოვანი შრომები „Honoris causa“-თი მიანიჭა მედიცინის დოქტორობა და აირჩია ჰიგიენის კათედრის გამგედ. პირველ წელსავე მოაწყო ერისმანმა მოსკოვის უნივერსიტეტში ჰიგიენური ლაბო-რატორია, რომელსაც აუარებელი ექიმი მიაწყდა. დასა-სრულ 90 წლებში მოაწყო ჰიგიენური ინსტიტუტი. კა-თედრის გამგებლობის დროსაც ერისმანი დარჩა მოსკო-ვის ერობის სანიტარულ ექიმად. მისი ინიციატივით დაარსდა მოსკოვში სანიტარული სადგური საზრდოობის პროდუქტების გამოკვლევისათვის. თავისი მზურვალე მუშა-ობის დროს ის, ისე, როგორც მეჩნიკოვი, რეაქციონერების ინტრიგების გამო იძულებული იყო მიეტოვებია უნივერსი-ტეტი და წარუსეთოდა გადასახლებულიყო ციურბინში, სადაც განაგრძობდა მუშაობას. ერისმანს ეკუთვნის შვენიერი შრომა „Руководство по гигиене“ „ჰიგიენის სახელმძღ-ვანელო“. მისი მოწაფეები იყვნენ: მოსკოვში ბუბნოვი;

ახლა ცნობილი ჰიგიენისტი დიატროპოვი; კიეველი ჰიგიენისტი სუბოტინი და ხარკოველი ფაერი, ყაზანელი კაპუსტინი. ზოგიერთი საერობო მოღვაწის აზრი (შინგარევი) თითქო საზოგადოებრივი მედიცინა თავისი არსებით განსხვავდება სოციალური მედიცინისაგან, თანდათან უთმობს ადგილს უფრო ჭეშმარიტ აზრს (კანელი),



სურ. 63.
ნ. სემაშკო. 1874.

რომლისდა თანახმად საზოგადოებრივი მედიცინა მხოლოდ ნაწილია სოციალური მედიცინის ისე, როგორც თვით-მართველობის ადგილობრივი ორგანოები ცენტრალური

ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებია. 1908 წ. შინგარევი კითხულობს საზოგადოებრივი მედიცინის ეურსს—პოპედინსკის კომერციულ კურსებზე. 1909 წელს ასეთსავე კურს კითხულობს პოლიტეხნიკური ინსტიტუტის კკონომიურ ფაკულტეტზე და ელენინსკის კლინიკურ ინსტიტუტში. 1918 წელს ფსიქო-ნევროლოგიურ სამედიცინო ფაკულტეტზე შემოღებულია საზოგადოებრივი სანიტარიის კურსი, 1920 წ. (ბერლინში 1912 წ. გროტიანმა დააარსა ეს კათედრა) დაარსდა დამოუკიდებელი კათედრა სოციალური ჰიგიენისა. პირველ პროფესორად არჩეულ იქნა რუსეთის ჯანმრთელობის კომისარი ნ. სემაშკო. (სურ. № 63) დაარსებულია სოციალური ჰიგიენის ინსტიტუტი, რომელიც გადაიქცა ახალი დისციპლინის განვითარების ცენტრად. გამოდის პერიოდულად „Труды кафедры социальной гигиены Московского Университета“, „მოსკოვის უნივერსიტეტის სოციალური ჰიგიენის კათედრის შრომები“. სამედიცინო მეცნიერებას ამოცანად აქვს დასახული არა მარტო ბრძოლა სენებთან, არამედ ადამიანის ჯიშის გაუმჯობესება, საერთოდ კაცობრიობის გაჯანსაღება-გაჯანმრთელება. შექმნილია პროფ. კოლცოვის მეთაურობით ევგენიკის შესასწავლი ორგანიზაცია და ინსტიტუტი, სადაც მუშავდება ევგენიკის მეცნიერული პრობლემები. დიდი მნიშვნელობა თანამედროვე მედიცინის პროფილაქტიური განხრისათვის აქვს ბაქტერიოლოგია, ეპიდემიოლოგია და სანიტარულ ექიშთა ყრილობებს.

სომხეთის მედიცინის ისტორია

ძლიერ იმპულსს სომხეთის ეროვნული კულტურის განვითარებისათვის წარმოადგენდა ქრისტიანობა. მან

გაუკაფა გზა ევროპასთან დაახლოებას და საბერძნეთის განთლების სომხეთში შემოტანას, ამან კი ხელი შეუწყო წარმართობის დამარცხებას და სომხური კულტურის ამაღლებას. მაგრამ საბერძნეთის გავლენის სიმტკიცეს ხელს უშლიდენ დიდი ისტორიული ქართველები, რომელნიც რამდენიმე საუკუნის განმავლობაში აზანზარებდენ სამხრეთ დასავლეთ აზიას. დაქვეითდა ლიტერატურა ჩამორჩა მეცნიერება, რომელმაც ადგილი დაუთმო ბნელ და მერყევ მისტიურ ცოდნას. მკურნალობის დარგში საშუალო საუკუნეთა ევროპა ცოხნიდა გალენის მეცნიერებას. საშუალო საუკუნეთა გამოჩენილ ექიმთა მცირე რაოდენობას ბევრი არაფერი შეუტანია ახალ მამინდელ მეცნიერებაში. ამიტომ, იმ დიდ გამოცოცხლებამდე, რომელიც შეიტანეს არაბ მეცნიერებმა სამკურნალო მეცნიერებაში, სომხეთამდე სწვდებოდა მხოლოდ ევროპული მეცნიერების უმნიშვნელო გამოძახილი.

არაბული ცივილაზაციის გავლენით რაქდენიმე სამკურნალო ნაწარმოები გაჩნდა სომხეთში და აღიზარდა ექიმთა მთელი რაგი, რომელნიც სარგებლობდენ დიდი პატივით საშუალო საუკუნეებში და ხელს უწყობდენ არაბთა მედიცინის საუკეთესო ტრადიციების დამყარებას. (სურ. № 64).

ხალხური გადმოცემით, პირველი ექიმი სომხეთში, რომელმაც ვითომ გამოიგონა აგრეთვე სამკურნალო ხელოვნება, იყო ვილაც ასტხიგი, რომელიც წარმართობის პერიოდში ითვლებოდა სომხეთში მკურნალობის ღმერთად და ბუნების მფარველ დედად, ეგვიპტური იზიდასიან ბრძნული ესკულაპის მზგაესად. ასტხიგი იყო ყველაზე უფრო პატივცემული ღმერთი; მის სახელზე აღმართავდენ ტაძრებს, სადაც მიჰმართავდენ განკურნების მსურველნი. მფ. 19 საუკუნის ისტორიკოსი თომა არწრუნი ამბობს



სურ. 64.

სამკურნალო საგნები.

ნახული აკად. მარის მიერ ანისში. 1 — აინდიის კურკლები. 3 — უთო 4. წყლის ზეშა. (9, 11 — საუკუნე)

რომ მეფე არტაშეს მე-II მეორე საუკუნის დასაწყისში „არტაშესის სიმაგრის ირგვლივ დარგო ბალი სხვადასხვა ყვავილოვანისა და სურნელოვანი მცენარეებისაგან არა მარტო მხედველობის ან ყნოსვის სიამოვნებისათვის, არამედ წაშლების დასამზადებლადაც, რომელნიც მოიგონეს ცნობის-მოყვარე ექიმებმა, ასკლეიპადის სწავლის მიხედვით“.

სამკურნალო მცენარეების ეს შესანიშნავი ყვავილნარი, იმავე ისტორიკოსის სიტყვებით, მოწყობილი იყო ღმერთი ასტხიგის ქანდაკების მახლობლად.

ქრისტიანულმა ეპოსმა შემოსა ამ მითითური პიროვნების წარმოება სხვადასხვა ბიბლიისებური თქმულებებით. ასტხიგი მიჩნეულ იყო ნოეს შვილად, რომელიც მოხვდა სომხეთში წარღვნის შემდეგ. აქ მან გაიცნო მდიდარი ბუნება და სხვადასხვა სამკურნალო ბალახები და შეიძინა მრავალი ცნობები მათი სამკურნალო მოქმედების შესახებ ორგანიზმზე.


შემდეგ ის გაემგზავრა ეგვიპტეში და იქ თავის შვილ—აპოლონთან ერთად განაგრძობდა მედიცინის შესწავლას ყველა ზემოხსენებულიდან გამომდინარეობს, რომ ასტხიგი ქრისტიანობამდე დიდი ხნით ადრე ითვლებოდა მედიცინის ღმერთად სომხეთში.

ძველ სომხურ ლიტერატურაში ნახსენებია რამდენიმე განსაკუთრებული არსებები, რომელნიც ითვლებოდნენ რაღაც ნახევარ ღმერთებად ან სულებად და რომელთაც ეწოდებოდათ „არალეხები“. ეს არალეხები ითვლებოდნენ დაჭრილთა და მოკლულთა მფარველებად ბრძოლის ველზე.

ადვილად შესაძლებელია, რომ არსებობდა რაღაც კავშირი არალეხების შესახებ სომხების თქმულებასა და ძველი ექიმების ნეიპლატონიკების და კაბალისტების

მისტიციზმს შორის, რომელნიც არავითარ ცრუმორწმუნეობრივ მანიპულიაციებს არ ერიდებოდნენ.

წარმართ სიშებთა წარმოდგენით აოროტ სულებს—



სურ. 65.

სამკურნალო საჯნები, ნახული აკად. მარის მიერ ანისში (9, 11 საუკუნის),
1—საჭოარი, 2, გამოსაფხეკი

„კალი“ და „ალკი“, რომელნიც ბუდობდნენ ბნელ კუნჭულებში და ქაობებში, დამოკიდებულება ჰქონდათ კაცის ჯანმრთელობასთან. ისინი განსაკუთრებით საშიშარი

იყვნენ ორსული ქალებისა და ჩვილი ბავშებისათვის. მათ ჰქონდათ ცეცხლის თვალები, რკინის კბილები და ხელში ყოველთვის მახვილი ეჭირათ. მშობიარობის დროს შეუმჩნევლად გაჩნდებოდნენ მშობიარეთან, დაუფლებოდნენ ახლოს და მიაყენებდნენ სხვადასხვა ზიანს.

დასასრულ, სომხებს ჰყავდათ კიდევ ბოროტი სული ტრახი. თუ ტრახი შეეხებოდა ავადმყოფს, ავადმყოფის მდგომარეობა ითვლებოდა უიმედოდ. საზოგადოთ წარმართული სარწმუნოება არ არის ჯერ შესწავლული საესებით.

შენახულია აურებელი მოთხრობა იმის შესახებ, რომ სომხეთის ფლორას ძველად ხმარობდნენ მკურნალობის მიზნით. ამას ამოწმებს მე-5 საუკუნის ისტორიკოსი ლაზარე პარპელი. პონტოელი მეფე მიტრიდატი, რომელიც პლინის დი საბერძნეთის ბევრი სხვა ისტორიკოსების სიტყვით ითვლებოდა ყველაზე უფრო შესანიშნავ ექიმად მთელ აღმოსავლეთში, სხვადასხვა ბალახისაგან, რომელიც იზრდებოდა სომხეთში, ამზადებდა პირის საღებინებელ წამალს „ტერიაკს“, რომელიც დღემდე ატარებს სომხებში მიტრიდიტის წამლის სახელწოდებას.

სომხეთის სამკურნალო მცენარეთა და საერთოდ სამკურნალო ნავითიერებათა შორის ბევრი შევიდა ევროპულ მედიცინაში. მაგალითად სომხური თიხა (bolus armena), სომხური ქვა (მეიცავს შაბიამანს და კირს,) სომხური კრემოტარტარი—გარედან სახმარებელი, სომხური „ზოფა“ და სხვ. სომხეთის წამლების ნივთიერებათა შესახებ ლაპარაკობენ სალუსტი, სტრაბონი, კსენოფონტე, პლინი უფროსი და სხვა მწერლები.

სომხური სამკურნალო ხელოვნების მდგომარეობისა და მისი წარმოშობის მიზეზების შესახებ ძველად, ჩვენამდის მცირეოდენმა ცნობამ მოაღწია.

საფიქრებელია, რომ მედიცინა ძველად სომხეთში იყო „ჯადოსანი“ ქაღდეებისა და ინდოელების ხელში, რომელნიცაისე, როგორც ჯადოსნური მედიცინის სხვა წარმომადგენლები, ერთი მეორეში ურევდნენ სამკურნალო ხელოვნებასა და ძველი ცრუმორწმუნოებას.

სამკურნალო ხელოვნებისა და ცრუმორწმუნოების ერთმანეთთან შერევა სუფევდა ძველად არა მარტო ქალღელთა შორის, არამედ განათლებულ ბერძენთა და რომაელთა შორისაც, რომელთაც წარმოშვეს აზროვნობის ისეთი ტიტანები, როგორიც ჰიპოკრატე და გალენი. აპოკრიფული მოთხრობა „წმ. სილვესტროს“ ცხოვრება გვეუბნება, რომ იმპერატორ კონსტანტინეს დ სომხეთის მეფის ტრდატის დროს სომხეთში სამკურნალო ხელოვნება ყოფილა ჯადოსანი ქაღდეების, სპარსებისა და ინდების ხელში.

ჯადოსნური მედიცინის სამშობლო კი იყო ქალღელთა, სომხეთში ასეთი მედიცინა არასოდეს არ ყოფილა პოპულარული, რადგან შემოიჭრებოდა ხოლმე სომხეთში იძულებითი გზით.

საექიმო ხელოვნების განვითარება წარმოიბოდა ძველად სომხეთში ორი გზით—მეცნიერული გზით—ექიმ პროფესიანელების მიერ და ჯადოსნობის გზით—ქურუმების მიერ. არსებობდა კიდევ მკითხავეების ექიმობა, რომელსაც ეწოდნენ ბნელი და სამკურნალო ლიტერატურისა და ხელოვნების არმცოდნე, უმეცარი პირები.

სომხეთის ამ დროის ისტორიაში არ შენახულა არც ერთი ექიმის სახელის ან საავადმყოფოს არსებობის ხსენება.

ასეთია საერთოდ ის ნაწყვეტი ცნობები, რომელნიც შეგვინახა ისტორიამ მედიცინის შესახებ ძველ სომხეთში

სომხური ლიტერატურის ოქროს ხანა.

ჯერ კიდევ სომხური დამწერლობის გამოგონებამდე (მე-4 საუკუნეში), დიდი ელინოფილის პატრიარქ ნერსეს დიდის გავლენით შექმნილ იქნა სომხეთში პირველი სამკურნალო დაწესებულებები. უკანასკნელნი დაარსებულ იქნა სომხური პირველი საეკლესიო კრებულის დადგენილების თანახმად (365 წელში): „აგებულ იქნეს კეთრით ავადმყოფთათვის ლეპროზორი, ავადმყოფთათვის — საავადმყოფო, კოჭლთა და ბრმათათვის — თავშესაფარი“. ამ დაწესებულებათა შესანახავად დაწესებულ იქნა სპეციალური გადასახადები.

მე-IV საუკუნის ისტორიკოსი ფაუსტი ბიზანტიელი სხვათა შორის დიდი პატივისცემით მოგვითხრობს პატრიარხ ნერსეს მიერ გახსნილი საავადმყოფოების შესახებ, ამასვე ამოწმებს მოსე ხორენელი.

ნერსეს დიდის სიკვდილის შემდეგ, დაწესებულებათა უმრავლესობა, როგორც მეტად ძვირი შესანახავი, დახურულ იქნა.

მე-V საუკუნე მიღებულია, როგორც სომხური ლიტერატურის ოქროს ხანა. იმ სხვა და სხვა მეცნიერებათა შორის, რომელთაც მაშინ სწავლობდა სომეხი ახალგაზრდა, მედიცინას საპატივო ადგილი ჰქონდა დათმობილი. მიღებული იყო, რომ ყველა განათლებულ კაცს იმავე დროს უნდა სცოდნოდა მედიცინაც. ეს მტკიცდება მეცნიერ ეზნიკის საინტერესო შრომითაც „მწვალებრული სწავლის წინააღმდეგ“, სადაც ავტორი ბევრჯერ ააშკარავებს ბერძნული მედიცინის ცოდნას მაშინდელი დროის სწავლათა საფუძვლიან ცოდნასთან ერთად (ამ შრომაში ავტორი ეხება წარმართთა სარწმუნოებას, ზოროასტრის

სპარსული მოძღვრებას, ბერძნული ფილოსოფიის თეორიას და მარკიანის მწველებლობას).

სომხეთის მეორე ფილოსოფოსი დაეითი, წოდებული „უძლეველად“; რომელმაც მრავალი წელი გაატარა ათინაში ბერძნული ფილოსოფიის შესწავლისათვის, აგრეთვე კარგად იცნობდა მედიცინას. მის ყველა მრავალრიცხოვან თხზულებებში მის მიერ არა ერთხელ არის მოყვანილი შედარებები და ანალოგიები მედიცინის ან ბუნებისმეტყველების დარგიდან.

მედიცინაზე მაშენდელ შეხედულობათა ილუსტრაციას წარმოადგენს მცირე ნარკვევი ისტორიკოს ევიშეს მაღალმხატვრული ნაწარმოებიდან, სადაც გამოხატულია სომხების ისტორიული ბრძოლა სპარსელებთან, რომელთაც სწადდათ იარაღით აღეგვათ სომხებიდან ქრისტიანობა და შეეტანათ იქ ზოროასტრის სწავლა. ამ ნარკვევის ინტერესი იმაში მდგომარეობს, რომ ორიგინალურად მოცემული ანალოგიების წყალობით მასში გაშუქებულია საკითხი იმის შესახებ, თუ რა იყო მაშინ მედიცინა და ექიმები და როგორ უყურებდნენ მათ როლს და მნიშვნელობას.

იქ ჩვენ ვხვდებით: „როდესაც ექიმს აცნობებენ, რომ რომელიმე ავადმყოფი იწვევს მას; ის მირბის მასთან და ხმარობს მთელ თავის ხელოვნებას, რომ განკურნოს იგი. ის ბრძანებს, საჩქაროდ ახადონ ავადმყოფს საბანი, და დაკვირვებით ნახულობს მთელ სხეულს, რომ გაიგოს, არის თუ არა ის ავად ცხელებით. ის ითვლის მისი გულის და არტერიის ცემას, ყურს უგდებს მათ რეგულიარობას, ნახულობს, ხომ არ გამაგრებულა ღვიძლი ან ხომ არ დასუსტებულა იგი, და აძლევს მას წამალს, რომელიც აღადგენს მის ჯანმრთელობას“. ეს მხატვრული ნარკვევი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ სომხეთში ჯერ

კიდევ მე-V საუკუნემდე არსებობდნენ. ექიმები, რომელნიც იცნობდნენ მაჯის ცემას, ლვიძლის ნახეას და სხვა მანიპულაციებს.

ეგაშეს აქვს კიდევ უფრო საინტერესო და მნიშვნელოვანი ადგილები, სადაც ის ააშკარაებს მეტს, ვიდრე მაშინდელი დროის მოაზროვნე საზოგადოების შეხედულობათ ექიმზე და მის მოვალეობაზე, ეს ის ადგილებია, სადაც ის ასწერს მოდარაჯე მეომრის სულით ავადმყოფობის თავისებურ სურათს.

ზოგიერთი ცნობები იმ მდგომარეობის შესახებ, რომელშიაც იმყოფებოდნენ მაშინ ექიმები სომხეთში, და საექიმო ხელოვნების და პატივის-ცემის შესახებ, არის წიგნში, რომელსაც მიაწერენ მოსე ხორენელს: „წიგნი საჭირო ცოდნათა“. ამ ნაწარმოებში დათმობილი აქვს ადგილი მედიცინის საკითხებსაც.

სომხეთის ერთ-ერთ თვალსაჩინო კლასიკოსს და მათემატიკოს ანანი შირაკელს (VIII საუკ.) აგრეთვე ახლო დამოკიდებულება ჰქონდა მედიცინასთან.

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ სომხური ლიტერატურა ჩაისახა მხოლოდ მე-V საუკუნეში და, რასაკვირველია, ვიწრო სპეციალური სამკურნალო ლიტერატურა არ შეიძლება ყოფილიყო პირველ რიგში, გასაგებია, რომ ლიტერატურა მედიცინის შესახებ ფრიად ღარიბია. არა ხელსაყრელ ფაქტორად მედიცინის აყვავებისათვის უნდა ვგულისხმობდეთ იმასაც, რომ სომხური ლიტერატურის აღმოცენება და აყვავება მოხდა სომხეთის მიერ ეროვნულ-პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკარგვის დროს რა გარემოებაც იყო ფრიად ხელშემშლელი ფაქტორი ცოდნის ისეთი სპეციალური დარგის აყვავებისათვის, როგორც არის მედიცინა.

თარგმნილი ზეჩანული მედიცინა.

მე-VI და მე-VIII საუკუნეებს შორის გადათარგმნილია ბერძნულიდან რამდენიმე სამედიცინო თხზულება, რაც ადასტურებს გარკვეული ინტერესის წარმოშობას სომხეთში ამგვარი ნაწარმოებებისადმი და საფუძვლად დაედვა სომეხ ექიმთა უკვე ორიგინალური შრომების წარმოშობას. იმ ბერძნულ სამედიცინო ნაწარმოებთა რიცხვიდან, რომელნიც გადათარგმნილი იყო სომხურ ენაზე, პირველი ადგილი უჭირავს თავისი ღირსებებით ფილოსოფოს ნემესიოს შრომას „ადამიანის ბუნების შესახებ“. ეს თხზულება, რომელმაც ღიღი სახელი მოიხვეჭა თავის დროზე, გადათარგმნილ იქნა სომხურ ენაზე 772 წელს, ესე იგი ორიგინალის დაწერიდან 400 წლის შემდეგ, რაც იმას ამტკიცებს, რომ მეცნიერება ასეთი ხანგრძლივი დროის განმავლობაში სრულებით არ წაწყველა წინ.

აღნიშნული შრომა „ადამიანის ბუნების შესახებ“ რომელიც გადართარგმნილ იქნა სომხურ ენაზე კონსტანტინოპოლში დავით ელჩის მიერ, შეიცავს ფიზიოლოგიას და პსიქოლოგიას მაშინდელ ცოდნათა ფარგლებში და გადმოცემულია უმთავრესად გალენის და არისტოტელის მიხედვით.

გრიგოლ ნუსიელი, რომელიც გადათარგმნილ იქნა სომხურ ენაზე უამრავი ამონაბეჭდების სახით, ცნობილია თავისი „ანატომიით“. შინაარსის მხრივ, „ანატომია“ წარმოადგენს მაშინდელ ანატომ-ფიზიოლოგიურ ცნობათა ნაკრებს.

სომხურ ენაზე გადათარგმნილ ნაწარმოებთა შორის, რომელთაც მოაღწიეს ჩვენამდე ნაწყვეტების სახით, არიან თხზულებები გალენის, ასკლეპის, ორიბაზისა და სხვ.

ბერძნულიდან თარგმნულ ავტორების ესოდენი ღირსი რაოდენობა ამტკიცებს, რომ ბერძნული მედიცინის

სულმა ადვილი განხორციელება ჰპოვა სომხური ექიმების თხზულებებში. გამოჩენილ ბერძენ ექიმთა გავლენამ თავი იჩინა აგრეთვე იმაშიაც, რომ საბერძნეთის მრავალრიცხოვანი ექიმების აზრები იმდენად მჭიდროდ მკვიდრდებოდა ხალხში, რომ დღემდე შეიძლება აღმოვაჩინოთ ამ გავლენის კვალი, მაგალითად, დღემდე სომხეთის ზოგიერთ ადგილებში ფართოდ არის გავრცელებული ქერის ნახარშით წამლობა მძიმე სისხლნაკლულობის დროს, რაც შემოღებულ იყო მედიცინაში არისტოტელის მიერ.

საბერძნეთის მრავალრიცხოვან ექიმთა შორის ყველაზე მეტი გავლენა სომხებზე მაინც გალენმა მოახდინა.

სომხეთის განხილული პერიოდის სამკურნალო დაწესებულებების შესახებ ისტორიულ ლიტერატურაში არ მოიპოება ცნობები და ერთადერთი, რაც აშუქებს ამ საკითხს, არის საეკლესიო კრებულთა დადგენილებები, რომელნიც ამოწმებენ, რომ ზოგიერთი წარჩინებული პირები ავრცელებენ ნთავის ძალა-უფლებას საავადმყოფოებზე და ავიწროებენ მათ დახმარებისა და მკურნალობის ნაცვლად უფრო გვიან—771 წელს შედგა ახალი საეკლესიო კრება ქ. პარტავაში, რომელმაც დაადგინა დანგრეული სამკურნალო დაწესებულებების აღდგენა.

ლიტერატურაში არის ნაჩვენები—სომხეთში ერთი სამკურნალო დაწესებულებების—ლეპროზორის არსებობა, რომელიც დაარსებული იყო მე-V საუკუნეში ან შეიძლება უფრო ადრეც. ამბავს ამ დაწესებულების წარმოშობის შესახებ გადმოგვცემს ისტორიკოსი სტ. ორბელიანი.

სამედიცინო დარგის ყველაზე უფრო დიდი ცენტრი იყო ქ. ედესა, რომელიც იმყოფებოდა მესოპოტამიის სომხურ ნაწილში და პირველ საუკუნეში ქრ. დაბ. შემდეგ მცგობრული ურთიერთობის დამყარების მიზნით ქ. ედესა დაეთმო რომს, ამისდა მიუხედავად ქალაქს მაინც

არ დაუკარგავს სომხეთთან მჭიდრო კულტურული და მორალური კავშირი. მე-IV საუკუნიდან, ედესამ როდესაც სირიელებმა დაარსეს აქ აკადემია, ქალაქმა თანდათან მოიპოვა სამეცნიერო მნიშვნელობა და შეასრულა ბერძნული მედიცინის საფუძვლების გამავრცელებლის როლი. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ სირიელი და ბერძნული ენების შესწავლა განხილულ ეპოქაში სომხეთში ითვლებოდა აუცილებელ საჭიროებად განათლებული კაცისათვის, გასაგები იქნება ედესის მნიშვნელობა.

არაბთა გავლენა.

გაყინულ მდგომარეობაში მყოფი ბერძნული მედიცინის ბუნებრივი გაგრძელებად მოგვევლინა არაბთა მედიცინა, რომელმაც თავისი განვითარებისათვის ძლიერი იმპულსი მიიღო ჯერ კიდევ მე-VIII საუკუნეში. ბერძნული ავტორების თარგმნის შემდეგ ისინი მე-VIII საუკუნის მიწურულში უკვე ბატონ-პატრონნი შეიქმნენ მთელი ბერძნული მედიცინის. მე-IV საუკუნეში არაბთა მედიცინამ ფეხი შედგა დამოუკიდებელი შემოქმედების გზაზე. განვითარებულ მეცნიერებათა შორის მედიცინას განსაკუთრებული ყურადღება ჰქონდა მიპყრობილი არაბეთში. ჩიმიური ნივთიერებათა სახელწოდებების მთელი რიგი, როგორც, მაგ., ალკოჰოლი, სიროპი, ქაფური და სხვა— არაბული წარმოშობის არის; პირველად არაბებმა შემოიღეს მეურნელობაში ისეთი ფასიანი წამლები, როგორც არის სინდიკის პრეპარატები, ლიაპისი, რევანდი, სეკლე (მამრუებელი სოკო), ალექსანდრიული ფოთოლი, ტამარიინდა და სხვა. ამასთანავე მათ განავითარეს სწავლა წამლების დამზადების შესახებ პედანტიურ დაწვლილებამდე და დააყენეს იმ დონეზე, რომელზეც იდგა ევროპიული მეცნიერება მე-XVIII საუკუნის დამლევს და მე-XIX

საუკუნის დამდეგს. არაბების დროს გაჩნდნენ ევროპაში პირველი აფთიაქები. არაბული მკურნალობის უსაყვარელეს ნაწილს შეადგენდა წამლისპცოდნეობა, რომელიც შეიცავდა ფარმაკოპეიას და ფარმაკოლოგიას, რასაც არაბეთში ეწოდებოდა ახრაბადინი. საშუალო საუკუნეთა დასასრულიდან არაბული მეცნიერება და კერძოდ არაბული მედიცინა ნელ-ნელა იწყებს უკან დახევას და ბოლოს—მონღოლების მიერ კულტურის შემუსვრის დროს—სრულიად ჰქრება.

სომხეთში არაბულ მედიცინის გავლენა გრძელდებოდა თითქმის მე-XVIII საუკუნის ბოლომდე; უკანასკნელი სამედიცინო შრომა, რომელიც დაწერილ იქნა ამ ეპოქაში სომხურ ენაზე არაბული წყაროების მიხედვით, იყო ექიმ მანუკ პონტიელის „ანატომია“, რომელიც ატარებს არაბული მედიცინის ყველა ნიშნებს.

თითქმის დღემდე სომხური სამედიცინო ნაწარმოებები შედგენილი არიან არაბული ორიგინალების მიხედვით, საიდანაც ადგილები ნასესხებია მთლიანად ან გადმოცემულია შემოკლებით. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ სომხური მედიცინა დამყარებულია არაბულზე და განვითარდა-აყვავდა მისი გავლენით. არაბული გავლენის მთელი სიძლიერე შეიძლება შევნიშნოთ დიდი რაოდენობით დღემდე მოღწეულ სომხურ წიგნებში წამლის მკოდნეობის დარგში, რომელიც, როგორც ცნობილია, შეადგენდა არაბული ცოდნის საყვარელ საგანს. თუ მივიღებთ მხედველობაში წამლის ბალახების იმ სიუხვეს, როლითაც განთქმული იყო სომხეთი უძველესი დროიდან, გასაკვირალიც არ იქნება, რომ ფარმაკოთერაპია უსაყვარელესი დარგი იყო სომხების მოღვაწეობის.

2. სომხეთის ექიმების შესახებ მე-X საუკუნემდე ჭრავითარი ცნობები არ შენახულა, მაგრამ დანამდვილე-

ბით შეიძლება ითქვას, რომ ამ დროს იყვნენ განათლებული ექიმები, რომელნიც სწერდენ სამედიცინო ნაწარმოებთ. ისტორიამ შეგვინახა მხოლოდ ერთი ფრიად ცნობილი ექიმის და ფილოლოგის სახელი მე-IX საუკუნეში— იოანესი, მაგრამ მისი ცხოვრების და მის მიერ დაწერილ სამედიცინო ნაწარმოებთა შესახებ არ არსებობს არაერთი ცნობა.

3. არაბული მედიცინის აყვავების ხანაში ერთობ ბევრი არაბი ექიმი ეწვეოდა ხოლმე სომხეთს, სადაც სწერდენ თავის თხზულებებს. ასეთ ექიმებს შორის ყველაზე უფრო ცნობილი არიან: გოსტა ბენ-ლუგა, მაჰომედ-ედინ ბენ-გოლალ, იესუ (იუსუფ), რომლის სახელი ხშირად აღნიშნული სარდალ ვაგრამ ფალაგუნის შეილისთვის გამოწერილ რეცეპტებზე, შემდეგ ნახსენებია ვილაც უცნობი ექიმი, რომელსაც ძველ სომხურ სამკურნალო წიგნებში ეწოდება მოხუცი ბაღდადეგი ექიმი. შემდეგ სამეურ-ბენ ისაია-ებრაელი, რომელიც ცხოვრობდა მე-XII საუკუნეში სომხეთის აღმოსავლეთ პროვინციებში, დასასრულ მე-XIII საუკუნის გამოჩენილი ექიმი ები ელ-ბეითალი, ისპანიიდან. მისი შრომა ვეტერინარიის შესახებ გადათარგმნილია სომხურ ენაზე.

სომხურ ნაწარმოებებში ხშირად არის მოყვანილი ადგილები გალენისა და ჰიპოკრატის ნაწარმოებთ ვარდა არაბულ და ბერძენ ექიმთა ნაწარმოებებიდან. ყველაზე უფრო ხშირად ჩვენ ვხვდებით მასარჯევის, იოანეს, საპიდ-გორანის, აბულ-ჰასანის, ავიცენას, გონეიმის და მისი შეილი ისაკის, რუთოსის, პავლეს (ალბად ევგინელის) და სხვა მრავალის სახელებს.

4. განხილულ ეპოქაში დეოდალების დამოუკიდებლობისადმი მისწრაფების გამო სომხეთი დაყოფილ იქნა რამდენსამე სამეფოდ, რომელთა შორის ყველაზე უფრო

ძლიერი და მნიშვნელოვანი იყო ბაგრატიდების სამეფო. ერთ-ერთ ბაგრატიდის—ამოტი მოწყალის (გარდაიცვალა 977 წ.) მიერ დაარსებულ იქნა მრავალი სავადმყოფო, ხოლო ავადმყოფები და ხელმოკლენი ფართოდ სარგებლობდნენ ჰუმანიური მეფის ზრუნვა-მფარველობით.

არწმუნის დინატიის ყველაზე უკეთესი მეფე მაგიკი, რომელიც ფლობდა ვანის ტბის სანაპიროებს, თანამედროვე ისტორიკოსის თომას არწრუნის მოწმობით, დიდ ყურადღებას აქცევდა თავისი სამფლობელოს ავადმყოფთა მკურნალობას და ბევრი ჰუმანიური საქმე გააკეთა ამ დარგში.

5. ზოგიერთი ლიტერატურული ცნობები მოწმობენ რომ მონასტრები სომხეთში იმ დროს ის ადგილები იყვნენ, სადაც ავადმყოფები ნახულობდნენ თავშესაფარს და მკურნალობას და სადაც არკვევდნენ მედიცინის ყოველგვარ საკითხებს. მაგ., ცნობილია, რომ ზოგიერთი მონასტერია, განსაკუთრებით სეიანის, იყო სულით ავადმყოფთა თავშესაფარი. ბევრმა მონასტერმა გაითქვა სახელი, როგორც სამკურნალო ადგილმა, სადაც ავადმყოფები ღებულობდნენ განკურნებას სხვა და სხვა სნეულებებიდან.

მკურნალებად გვევლიანებიან ჩვეულებრივად სწავლული ბერები, რომელთაც ხანდისხან ძალიან შორეული წარმოდგენა ჰქონდათ მედიცინაზე.

6. ყველა ზემოთაღნიშნული ცნობები მოწმობენ, რომ მედიცინის საკითხები ამ დროის სომხეთში არ იყვნენ მივიწყებული, ამ დროის სომეხ ექიმების მოღვაწეობის კვალი. სხვათა შორის ჩვენ გვხვდება რუსეთშიაც. როგორც კარამზინი ამბობს თავის ისტორიაში, ვლადიმირ მონომახის დროს კიევში საუკეთესო და გამოცდილი ექიმები იყვნენ სომხები, რომელნიც შეიქმნენ ცნობილი თავისი გამჭირვაბობით, ვაჭრობით და პირადი სიმამაცით.

ცნობებს ძველ რუსეთში სომეხ ექიმების ყოფნის შესახებ, რომელთაც დიდი სახელი მრუპობებით, ჩვენ ვხვდებით „ჰერორის პატერიკში“—რომელიც წარმოადგენს კიევის—ჰერორის მონასტრის „წმინდათა“ ცხოვრების აღწერას.

მითარომატი საუკუნე.

სრულიად იშვიათ მოვლენას სომხურ ლიტერატურაში თავისი დიდი მნიშვნელობით წარმოადგენს გრიგოლ მაგისტრი. ეს იყო კაცი უდიდესი ერუდიციის, ყოველმხრივ განათლებული. მეცნიერული ნიჭის პატრონი. ამავე დროს—ნიჭიერი სარდალი, რომელმაც სახელი გაითქვა რამდენსამე ბრძოლაში.

დიდი ხანი არ არის, მისი ნაწერების გადათვლიერების დროს რომ აღმოჩნდა, რომ ის ყოფილა იმავე დროს სომხეთის გამოჩენილი ექიმიც, რომელიც მედიცინის გარდა იცნობდა ფილოსოფიას, ბუნების მეტყველებას და იმ დროს მრავალ სხვა აყვავებულ მეცნიერებას.

გრიგოლ მაგისტრი დაიბადა მე-X საუკუნის მიწურულში თავადის. ე. პახლავუნის ოჯახში, რომლის ძმის წულიც იყო იგა. ყმაწვილობა გრიგოლ მაგისტრს გაუტარებია ქ. ანში. აქ მას მიუღია საუკეთესო განათლებას ახალგაზრდობაში მაგისტრს ყვარებია ეკლესიების აღმშენებლობა. იოანე სმბატის მეფობის დროს მან დააარსა საკუთარი აკადემია, სადაც თვითონ ასწავლიდა სხვადასხვა მეცნიერებას, რომელთა შორის მედიცინას საპატიო ადგილი ეჭირა.

მეცნიერებისა და ლიტერატურის მხრივ მისი სიცოცხლის ეს უმეტესად ნაყოფიერა ეპოქა, რომელიც შეადგენს ერთ-ერთ ყველაზე უფრო საინტერესო ფურცელ

სომხური მედიცინის წარსულ ისტორიაში, სრულებით არ არის გაშუქებული და გამოკვეთილი ცნობების არ არსებობის გამო. შემდეგ მაგისტრმა სხვა წარჩინებულ ექთან ერთად მომართა მახვილი ტახტის კანონიერი მემკვიდრის გაიკი მე-11-ის გასამეფებლად. როდესაც ეს მიღწეულ იქნა, მაგისტრი,—მეფესთან მკვეთრი კონფლიქტის გამო, შიღის ჯერ ქ. ტარონში და შემდეგ კონსტანტინეპოლში, სადაც ის მიღებულ იქნა ბიზანტიის სასახლეში. დუქსის და სამხედრო დამსახურების გამო მაგისტრის წოდებით აღჭურვილ გრიგოლს არ დაუკარგავს ინტერესი მეცნიერებისა და ლიტერატურისადმი. რამდენიმე ხნის შემდეგ ბიზანტიელების მიერ ის დანიშნულ იქნა სომხეთის სამხრეთ—აღმოსავლეთის პროვინციის მოადგილედ, სადაც მან დაჰყო სიკვდილამდე. გარდაიცვალა 1058 წელს, მან დასტოვა რამდენიმე ორიგინალური და თარგმნილი ნაწარმოები, რომელთა შორის მთავარი ადგილი უჭირავს მის წერილებს; წერილების და ნაწილი, რომელშიაც ის ეკამათება ბერძენ მეცნიერთ, არკვევს სამედიცინო თემებს: აქ გრიგოლ მაგისტრი გვევლინება ჩვენ არა მარტო, როგორც დახელოვნებული ექიმი, არამედ, როგორც ძველი სამედიცინო ლიტერატურის კარგი მცოდნე.

მე-XI საუკუნის განმავლობაში არაბულიდან სომხურ ენაზე გადათარგმნილ იქნა რამდენიმე სამედიცინო ნაწარმოები. ჩვენამდე მოაღწია 1024 წელს გადაწერილმა წიგნმა შემდეგი სახელწოდებით: „სამკურნალო წიგნი, გადათარგმნილი არაბულიდან სომხურ ენაზე სომხეთის გამარჯვებული მეფე გაგიკის დროს“. „სამკურნალო წიგნი“ იწყება ადამიანის მოკლე ანატომიით, შემდეგ მის სწავლა მაჯის ცემის შესახებ, ავადმყოფობის სიმპტომების, მედიკამენტების, წამლების, დამზადების და იმ

ავადმყოფობათა შესახებ, რომელთა წინააღმდეგ მათ ხმა-
რობენ, ბოლოს უფრო დაწვრილებით ციებიან ავადმო-
ყოფობათა და მისი მკურნალობის შესახებ.

მეორე ხელთნაწერი, რომელიც თარგმნილია ცოტა-
თი უფრო გვიან, ვიდრე პირველი, მეფე იოანეს დროს,
წარმოადგენს თითქმის სიტყვა—სიტყვით გრ. ნიუისელის
ანატომიას. იქვე აღნიშნულია, თუ რა სჭირდება ექიმს
ავადმყოფის მოვლისათვის, მაგ., ავადმყოფობის მიზეზის
გამორკვევა, სიმპტომები, კონსტიტუცია, ასაკი, წლის
დრო, ავადმყოფის ჩვეულებები და სხვა. შემდეგ ლა-
პარაკია მაჯის ცემის ხარისხის გამორკვევაზე პროგნოზ-
თან დაკავშირებით, ავადმყოფობის ბუნებაზე და სხვა.

აი ის ნაწყვეტი ცნობები იმის შესახებ თუ როგორ
შეიქრა და განვითარდა არაბული მედიცინა სომხეთში.

სომხური ლიტერატურა კილიკიაში.

მე-XI საუკუნის ბოლოს, სომხეთის საბოლოოდ და-
მარცხების შემდეგ, სომხეთა უმრავლესობა გაიქცა კილი-
კიაში. იქ, ძირითადი სომხეთის ფარგლებს გარეშე იმათ
შექმნეს ახალი სომეხთა სამეფო, რომელიც, თავისი მო-
ხერხებული ტოპოგრაფიულ მდგომარეობისა და წარმა-
ტებით წარმოებული ომების მეოხებით გაფართოვდა და
იმდენად გაძლიერდა, რომ 3 საუკუნის განმავლობაში
წარმატებოთ იცავდა თავის არსებობას. დასავლეთ ევრო-
პასთან კონტაქტმა ჯვაროსნული ომის დროს, დინასტი-
ების ევროპიული წარმოშობამ და სხვ. სრულებით ევრო-
პული ელფერი და მიმართულება მისცეს სომეხთა ცხოვ-
რებას კილიკიაში. ამ გარემოებას ფრიად დიდი შედეგი
ჰქონდა ქვეყნის კულტურისათვის. გაცხოველდა ლიტე-

რატურა, შეიქმნა მთელი ეპოქა, რომელიც მიჩნეულია სომხური ლიტერატურის ვერცხლის საუკუნედ. სამკურნალო საქმეც არ ჩამორჩენია სხვა დარგს. მაგ., არის ცნობები, რომ კილოჯიაში სახელგანთქმულმა ნერსეს ლაბრონელმა დასწერა თხზულება ანატომიის შესახებ. მე-XII საუკუნეში ვილაც შეცნიერმა — აბუსაიდმა — აგრეთვე დასწერა „ანატომია“. მაგრამ ამ ეპოქის ყველაზე უფრო შესანიშნავ ნაწარმოებს წარმოადგენს პირველი ორიგინალური სამკურნალო ნაწარმოები სომხურ ენაზე, რომელიც ფრიად ცნობილი იყო თავის დროზე, ეწოდებოდა „ნუგეში ციების დროს“ და ეკუთვნებოდა გერგლი ექიმ მხითარის კალამს.

ექიმ მხითარის წიგნი წარმოადგენს ციების არსის იმ დროინდელ შეცნიერებაში გაბატონებულ შეხედულებათა მეტად კეთილსინდისიერ კომპილაციურ ნაკრებ შრომას, რომელიც იმ დროისთვის ფრიად ძვირფასი ნაწარმოები უნდა ყოფილიყო, დიდი ლიტერატურული მასალის გულდასმითი და სერიოზული დამუშავებისა და ავტორის საფუძვლიანი ცოდნის გამო.

მხითარის შრომა კომპილიაციურია, მაგრამ, სადაც ის ეხება ავადმყოფთა მოვლას, დიეტეტიკურ და წამლით მკურნალობას, ავტორს მასალა მოჰყავს საკუთარი გამოცდილებიდან ან სხვა სომეხ ექიმთა თხზულებებიდან. თავისი შრომის წინასიტყვაობაში მხითარი ადასტურებს მის დროს სომხურ ენაზე სამედიცინო წიგნების არსებობას, თუმცა ისინი არ განიხილენ განსაკუთრებული ღირსებით.

მხითარის პიროვნების შესახებ ცოტა ცნობებია შენახული. ის დაიბადა გერში (ახლა ხოი), საექიმო მოღვაწეობა კი ჩაატარა კილიკიის სომხეთში. ცნობილია

რომ მხითარი დიდი მეგობარი იყო ცნობილი სასულიერო მწერლის და მგოსნის ნერსეს კეთილის.

ის დაახლოებული იყო აგრეთვე კათოლიკოს გრიგოლთან, რომლის თხოვნითაც მის მიერ დაწერილი იქნა ტრაქტატი „ნუგეში ციებაში“. უკვე ეს დაახლოება იმ დროინდელ უგანათლებულეს ადამიანებთან მოწმობენ იმ მაღალ პატივისცემას, რომლითაც ეპურობოდენ მხითარს, როგორც ექიმს და მეცნიერს. მხითარის მრავალ ნაწერს არ მოუღწევია ჩვენამდე. მოაღწია მხოლოდ მისმა შრომამ „ქვაზე, მის ღირსებაზე და სამკურნალო თვისებებზე“. მედიცინას გარდა მხითარი კარგი მცოდნე იყო ასტრონომიის და ფილოსოფიის. თავის „ნუგეში ციებაში“ -ში მხითარი ჰყოფს ციებას 3 ძირითად ტიპად, სახ ლდობრ, ერთ-დღიურად, დამაუძღურებლად და ანთებისებურად. თავისი მხრივ დამაუძღურებელი ციება არის 3 სახის— დამასუსტებელი, გამაფიტებელი და რბილი ციების მე-3 ჯგუფი განიყოფება 4 სახედ: მუდმივ ანთებისებურ ციებად, ციებად ყოველდღიური შეტევებით, სამღიურად და ოთხდღიურ ციებად.

შემდეგ ლაპარაკი ქლექის ცხელების და მისი მკურნალობის შესახებ, რომელიც ავტორს საძნელოდ მიაჩნია. წიგნის 8 გვერდზე დასახელებულია მრავალი სხვადასხვა სამკურნალო შემადგენლობა, რომელთა დანიშნულებას შეადგენს ხელი შეუწყოს განკურნებას ან შეუმსუბუქოს ტანჯვა ავადმყოფს.

ასეთია მხითარის აზრით ციების არსი. როგორც სამკურნალო საშუალებანი, ხშირად ნახსენებია მეტად დიდი რაოდენობის ნივთიერებანი არაბული ფარმაკოპეის არსენალიდან. ჩვეულებრივ სამკურნალო საშუალებათა გარდა ნახსენებია კიდევ ღვინო და ლუდი. მხითარი ათავებს თავის თხზულებას შემდეგი მოწოდებით ექიმებისა-

გვ. ზე წარმოდგენილია პირველი გვერდი ხელთნაწერის „ნუგეში ცაგბას“ დროს მებრძოლ გერმანულ ჯარს იმ ეკზეზიარის მიზიდვით, რომელიც ინახება ენციკლოპედიის ბიბლიოთეკაში № 431-416 და ევსთენის მე-XIII საუკუნეს

თანდასტოვებული ნაოკვევის თარგმანი: „მკურნალობის წიგნი ლეთისისა სახელისა ციების მხოლოდ სამი სახის შესახებ, შედგენილი ბოქანი ექიმის მეხთარის, რომელიც წარმოიშვა ქ. გერიდან, და შეითვია ბეჰაშული, სოჰაური, არაბული და სპარსული სიბრძნე.

„შე მუაითარ გერელო, მცირე, ექიმთა შორის, რომელმაც სიყრმიდან მივაოდა ცოდნა და სამკურნალო ხელოვნება, შევითვისე არაბული, სპარსული და ბერძნული მწერლობა და წავიკითხე მე მათი დაწერილებითი და სრულქმნილი წიგნები სამკურნალო ხელოვნების შესახებ, პირველი ბრძენთა თანახმად. ესე იგი მოქდორება პროგნოზის შესახებ. რაც სამკურნალო ხელოვნების აზრსა და დოქტორნას წარმოადგენე. სონცებში შე სრულებით ვერ ვიპოვე პროგნოზის მეცნიერება და სიბრძნე და ხხოლოდ (მოძღვრება) მოვლის (ავადმყოფის) შესახებ და ისიც არა თან მიყოლოდი და სრული, არამედ ნაწევრები და მოკლე, რომელიც შეკრებილი იყო აქ იქ, სწვა და სხვა სიეზიდან და აზრებდნან.

და აი მოვისურვე მე, შეძლებდისა და ცოდნის დაგვარ...

დში, რომელთაც მკურნალობის წარმატებისათვის აძლევს დარიგებას: გამოირკვიე ავადმყოფობის მიზეზი, მისი წარმოშობა, სხეულის აგებულება, ავადმყოფის ასაკი, ჰავისა და ქვეყნის თვისება, ამინდი და წლის დრო, ის ქვეყანა, საიდანაცა წარმოშობილი ავადმყოფი, ავადმყოფის ჩვეულებები, მისი ორგანიზმის ძალა და გამძლეობა.

წიგნის ბოლოში დართულია რეცეპტები, მთელი რიგი, სადაც მოყვანილია სხვადასხვა რთული წამლების შენაერთები. ასეთია წიგნის „ნუგეში ციების დროს“ შინაარსი, რომლის ძირითად პრინციპებში დაცულია ძველთა ჰუმორალური პათოლოგიის ხასიათი თვისი დადებითი და უარყოფითი თვისებებით. აღნიშნული წიგნი შედგენილია მრავალი წყაროების გამოყენებით, შეიცავს მაშინდელი სამედიცინო ქვეყნის ყველაზე უფრო მოწინავე ელემენტების შეხედულობებს და თავის წმინდა კულტურულ მნიშვნელობის გარდა, იმ დროს ჰქონდა აგრეთვე აღმზრდელობითი მნიშვნელობაც რადგანაც ის დანიშნული იყო ექიმებისთვის და აძლევდა მათ მნიშვნელოვან მასალას პათოლოგიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დარგში. (სურ. 66) იმავე მე-12 საუკუნეში დაწერილია პატარა წიგნი „ანატომი“ა რომლის ავტორიც ყოფილა ვიდაც ექიმი აბუსაიდი. თუმცა წიგნში არაფერია ნათქვამი აბუსაიდის სიცოცხლის დროის შესახებ, მაგრამ არის მასალები, რომელთა მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ აბუსაიდი ნერსეს კეთილმყოფელის და ნერსეს ლამბრონელის თანამედროვე იყო. ეს გარემოება საბუთს გვაძლევს მივაკუთვნოთ ამ წიგნის დაწერის ხანა მე-12 საუკუნეს. შესაძლებელია, რომ აბუსაიდს დაწერილი აქვს თავისი თხზულება მხითარ გერელზე აღრე.

ბიოგრაფიული ცნობები აბუსაიდის შესახებ თითქმის არ არის. ცნობილია მხოლოდ, რომ აბუსაიდი იყო

მეტად მომზადებული მსცნიერი, არქეოლოგი და ექიმში და იმდენად კომპეტენტური მეცნიერულ საკითხებში, რომ მისი ზემოხსენებული მაღალ-განათლებული თანამედროვენი ხშირად რომელიმე მეცნიერული საკითხების გასარკვევად მიჰმართავდნენ მას განმარტებებისთვის. გამოაქმულია აზრი, რომ „ანატომიის“ პირვანდელი ტექსტი დაწერილი იყო სირიულ ენაზე და მხოლოდ შემდეგ იქნა იგი თარგმნილი სომხურად. ხელნაწერი შეიცავს მოკლე შესავალს გარდა 17 თავს, რომლებშიაც მოცემულია სხეულის სხვადასხვა ნაწილების ანატომია.

ამ „ანატომიის“ ახალი რედაქციების დიდი რაოდენობა მოწმობს იმას, რომ ეს შრომა, როგორც ჩანს ანატომიისა და ფიზიოლოგიის ერთობ გაერცელებილი სახელმძღვანელო უნდა ყოფილიყო მაშინდელ სომხეთში. საერთოდ აბუსაიდის შრომა არ წარმოადგენს რასმე ახალს და შეიცავს მხოლოდ იმ დროში ცნობილი მეცნიერების კონსპექტს ადამიანის ორგანიზმის აგებულობისა და მოქმედების შესახებ.

თავი VII. საექიმო—იურიდიული ელემენტები მხითარ გოშის „სასამართლოს წიგნში“.

ჩვენდამი ერთად-ერთ მოღწეულ სომხეთის კანონთა კრებულს, რომელსაც შერჩენილი ჰქონდა თავისი მნიშვნელობა თითქმის მე-12 საუკუნემდე, წარმოადგენს მხითარ გოშის კლასიკური შრომა, მისი „სასამართლოს წიგნი“. რასაკვირველია, კრებულს პირდაპირი დამოკიდებულება მეღაცინასთან არ აქვს, მაგრამ მასში მოცემულია საკითხების მთელი რიგი სამოსამართლო მედიცინის დარგში, რომელთაც კავშირი აქვს მედიცინასთან.

მხითარ გოში დაიბადა განჯაში მე-12 საუკუნის პირველ ნახევარში. მან მიიღო ჯერ სასულიერო განათლება და განეწესა მღვდლად; მაგრამ მღვდლის წოდებამ

ვერავითარი კმაყოფილება ვერ მისცა ბუნებით მღვდლის მდიდრად დაჯილდოებულ მის ნიქს. ამიტომ ის მიემგზავრება განათლების გასაგრძელებლად სომხურ კილიკიაში, რომელიც წარმოადგენდა იმ დროის სომხეთის კულტურულ ცენტრს. რამდენიმე წლის ბეჯითი მეცადინეობის შემდეგ მან დაამთავრა თავისი განათლება და მიიღო სამეცნიერო ხარისხი „ვარდაპეტი“ (მეცნიერი). შემდეგ მხითარ გოში ცხოვრობდა არცახის პროვინციაში, სადაც მოიპოვა დიდი გავლენა მასებზე. მისმა ძლიერმა ავტორიტეტმა თავი იჩინა სომხური და დასავლეთის ეკლესიების შეერთების გეგმების დამსხვრევაში.

მხითარმა დასტოვა მრავალი სხვადასხვა თხზულებები, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს მის „სასამართლოს წიგნს“, რომელიც დაწერილია 1184 წელს, კილიკიაში ეს წიგნი იყო კანონთა ოფიციალური კრებული მართლმადიდებლებისათვის, შემდეგში მხითარის კანონებით სარგებლობდენ ყველა იმ ქვეყნებში, სადაც კი ცხოვრობენ ისტორიული ბედის ტრიალით დევნილი სომხები.

„სასამართლოს წიგნის“-ს წყარო იყო სომეხთა ჩვეულებათა უფლება, შემდეგ დიდი ხნით ისტორიულად ხმარებაში შემოღებული, საეკლესიო კრებულთა ან სომხურ ეკლესიათა მიერ დაწესებული წესები, აგრეთვე მაჰმადთა კანონები და იუსტინიანის კოდექსი.

შინაარსის მხრივ წიგნი შედგება შესავლისაგან და 2 ნაწილისაგან. პირველ ნაწილში მოცემულია საეკლესიო უფლება, მეორეში კი—საერთო უფლება. შევჩერდეთ მცირე ხანს ზოგიერთ მუხლებზე, რომელთაც კავშირი აქვთ ჩვენს თემასთან. „სასამართლოს წიგნის“ მიხედვით, მაგალითად, ავადმყოფნი, სერიოზული სნეულებით ან ბუნების საწინააღმდეგო ზნეჩვეულებით შეპყრობილნი,

ჰკარგავდენ შეუღლების უფლებას. კერძოთ შეუღლების უფლება არ ჰქონდათ კეთროქან ავადმყოფებს, რადგან ესენი მემკვიდრეობით გადადიოდა. შეუღლების უფლების აკრძალვა ვრცელდება აგრეთვე ბლერიანებზედაც. ქორწინების უფლება ეძლევათ სრულ წლოვანებს (მამაკაცი—15 წლის და დედაკაცი—12 წლის). აკრძალული იყო ქორწინება ახლო ნათესაებს შორის.

მომთვრალეთა და ალკოჰოლიკების მიმართ სომხური კანონები ძალიან მკაცრი იყვნენ. „სასამართლოს წიგნის“ ავტორს ალკოჰოლიკი სულით ავადმყოფათ მიაჩნდა და მათი ჩვენება, როგორც არა ნორმალური პირების, სასამართლოში მხედველობაში არ უნდა ყოფილიყო მიღებული.

ექიმებისათვის არსებობს მართლმსაჯულების განსაკუთრებული მუხლი (119 წგ. 2), რომელიც ეხება შემთხვევებს ექიმსა და ავადმყოფს შორის მომხდარ გაუგებრობათ. მაგ., ექიმი, რომელიც თავისი უმეცრებიდ სიკვდილს მიაყენებს ავადმყოფს, განხილულია, როგორც მკვლელობის შეგნებულად შემსრულებელი.

ზემოთქმულიდან ჩანს, რომ—ჯანსაღ მეუღლეთა უფლებები დაცული იყო კანონით. უკეთუ იყო საშიშროება გადამდებ სნეულებათა მეუღლეზე გადადების მხრით, ამ შემთხვევაში ნება დართული იყო გაყრა, რაც სხვა შემთხვევებში თითქმის შეუძლებელი იყო.

სომხის თქმები მე-XIII და XIV საუკ.

ამ ეპოქის სომეხ ექიმთა თითქმის ყველა შრომებია დაკარგული, ამ დროს მედიცინის მდგომარეობის შესახებ სომხეთში მცირეოდენი ცნობები მოიპოვება. მაგრამ, სომხეთის ეს ეპოქა მეტად ნაყოფიერი იყო მედიცინის დარგში შესრულებულ მუშაობათა მხრივ: ეს მტკი-

ცდება დაწერილ სამედიცინო შრომათა სიმრავლით, მეტად თუ ნაკლებად ცნობილ სომეხ—ექიმთა ჩვენამდე მიღწეული მრავალი სახელით და საავადმყოფოს საქმის მოწყობის მოღვაწეობით სომხეთში.

იმ წინასიტყვაობაში, რომელიც გაკეთებული აქვს მე-XV საუკუნის ექიმ აშირტავლადს თავის სამედიცინო ლექსიკონში, არის რამდენიმე სტრიქონი სომხეთის ექიმების ჩამოთვლით: „ამ დარკში მუშაობდენ ჩვენი პირველი ექიმები, დიდებული ექიმი მხითარი, ექიმი აარონი, ექიმი დეგინი, ექიმი სიმავონი და ექიმი ვაგრამი, რომელთაც დასწერეს მრავალი წიგნი წამალთა მოქმედებისა და სარგებლობის შესახებ“...

ამირტავლადის მეორე ხელნაწერში, რომელიც ინახება ლონდონში, ნახსენებია სახელები ექიმ ბარხუდარ სევასტიელის, მისი შვილის—დოსტაქარ ასარის, მისი შვილის ექიმ პეტრესი და ექიმ მიქაელ ბასმაჯიანის. ამირტავლადის შრომის ზოგიერთი სხვა სიგელების ტექსტში, რომელსაც სათაურად აქვს „მედიცინის სარგებლობა“, ჩვენ ვხვდებით ექიმ იოანეს, ექიმ გრიგოლს ჯულფიდან და ექიმ იაკობის სახელებს.

„ახრაბიდინი“-ს კრებულში ჩვენ ვხვდებით კიდევ ორი ექიმის დავითის და ვაგრამის სახელებს, რომელნიც მუდამ ერთად გვხვდებიან.

ამნაირად, განხილულ ეპოქას ეკუთვნიან საერთოდ 12 ექიმის ნაწარმოებნი, რომელთაც ჩვენამდე არ მოუღწევიათ. უმეტეს ნაწილად ეს შრომები ეკუთვნოდათ ახრაბაღინებს, ესე იგი ისეთ ნაწარმოებთ, რომლებშიაც შეერთებული იყო ფარმაკოპეია და ფარმაკოლოგია.

რაჩ შეეხება სტეფანეს, ეს იყო განხილული ეპოქის აარონის ოჯახის ყველაზე უფრო შესანიშნავი ექიმი, თავის თხზულებებში ის ფართოთ სარგებლობდა ბერძნული

და არაბული ავტორებით. სხვადასხვა წამლების ტერმინების სახალხო სახელწოდებით. ავტორი სწერს თავის შრომას კილიკიელ და აღმოსავლეთ სომეხთა ენაზე. ექიმ სტეფანეს შრომა დაწერილია 1232 წელს.



სურ. 67.

სურათი ამოღებულია სომხური სამეცურნალო ხელთნაწერიდან 1294—1307. რომელიც ინახებოდა იერუსალიმში. ორი ექიმი სინჯავს ავადმყოფს

მეტად ბევრი ციტატებია ექ. სტეფანეს წიგნიდან სხვადასხვა ახრახადინებში. განხილული ეპოქის სომეხ

ექიმებზე ლაპარაკის დროს არ შეიძლება არ შეეჩერდეთ სასულიერო მწერალ გრიგოლ შათეველზე, რომელიც თუმცა არ ყოფილა პროფეიით ექიმი, მაგრამ გაცნობილი იყო მედიცინასთან და დასტოვა თავისი მოსაზრებანი მედიცინის დარგში. ერთ-ერთ თავის შრომაში „კითხვათა წიგნი“—ში კითხვა პასუხის სახით გადმოცემულია სხვადასხვა მწვალებლური სწავლა, სწავლა ცხოველების შესახებ, ანატომია და სხვა. ავტორის მიერ გალენის თეორიის ცოდნა ჩანს ყოველ სტრიქონში. სხვა მის ქადაგებებში ვხვდებით ადგილებს, სადაც შათეველი ლაპარაკობს დაავადების მიზეზთა შესახებ. მის წიგნში „კითხვათა წიგნი“—ვხვდებით მეტად საინტერესო მოსაზრებებს ძილის თეორიის შესახებ ბერძნული ავტორების მიხედვით.

ამავე ეპოქის თარგმნილ ნაწარმოებთა შორის მოაღწია ჩვენამდე ბერძენ ნატურალისტის პონი ანატოლის მეტად საინტერესო თხზულებამ—„შრომის წიგნი“. წიგნი თარგმნილია არაბული თარგმნიდან, თარგმნის დრო კარგად არ არის ცნობილი, მაგრამ ეს უნდა ყოფილიყო არა უგვიანეს XIII საუკუნისა კილიკიაში. შთარგმნელის ვინაობა ცნობილი არ არის.

წიგნი ეხება სასოფლომეურნეობის სხვადასხვა მხარეებს, ბალოსნობას, მცენარეთა მავნებელ მწერებს და სხვა. 30 თავზე მეტი ეხება პრაქტიკულ ვეტერინარიას.

ამ ნაწარმოებს სომხური თარგმნის ბოლოში არის მეტად მნიშვნელოვანი სიტყვარი 25 გვერდზე, სადაც განმარტებულია „შრომის წიგნში“ მოყვანილი გაუგებარი სიტყვები და თერმინები. ეს მეტად საჭირო დამატება, რომლის გარეშე წიგნში ბევრი რამე იქნებოდა გაუგებარი, დაწერილია მწერალ გიორგი პლატელის მიერ. მეXIII საუკუნეში თარგმნილ იქნა არაბულიდან „ცხენის სნეულებათა სამკურნალო წიგნში“, რომელიც

ეკუთნოდა ცნობილ არაბ ექიმს და ვეტერინარს—ბეთალს. ამას გარდა მოწვეული იყო ვილაც სტეფანესი უცხო ენიდან რამდენიმე წიგნის გადასათარგმნავად. მან სთარგმნა სპარსულიდან „ცხენთა“ ქაჩაჩის ავადმყოფობის შესახებ. ცნობილია აგრეთვე უცნობი ავტორის თარგმანი „ცხენის სნეულებათა სამკურნალო წიგნი“.

ცხენთა შესახებ დაწერილი თხზულებათა შედარებითი სიუხვე იმით აიხსნება, რომ რუბენიდების დინასტიის წარმომადგენლებს ერთობ უყვარდათ ცხენები. ეს სიყვარული იმდენად შორს მიდიოდა, რომ ფულზეც კი ისინი ნხატებოდნენ ცხენზე შემჯდარნი.

მაგრამ მარტო კილიკიის მმართველთა ყურადღება არ იყო მიქცეული მედიცინის განვითარებისაკენ თავის ქვეყანაში. როგორც სომეხთა, ისე უცხოელთა ისტორიკოსები ამოწმებენ, რომ ამ ეპოქაში გაიხსნა ბევრი საავადმყოფო, ლეპროზორიები, ხოლო ღარიბნი და ღატაკნი აყვანილი ჰყავდა მთავრობას თავის მზრუნველობის ქვეშ. ამ დარგში განსაკუთრებული გულმოდგინებით მოღვაწეობდნენ მეფე ლეონ მე-II ქალიშვილი, დედოფალი ზაბელი და შვილის შვილი მისი ლეონ მე-III. ერთი ხელნაწერის მიხედვით დედოფალმა ზაბელმა ააგო ქ. სისში საავადმყოფო, რომელსაც ჰქონდა აბაზანები და წყალსადენის მოწყობილობანი. საავადმყოფოს შესავალთან შემდეგ წარწერა ჰქონდა: „დასრულდა დიდი ზემით საავადმყოფოს აგება ქრისტეს მოყვარული დედოფლის ბრძანებით სომხურ წელთაღრიცხვის 690 წელში (1241 წ. ქრ. დაბ. შგმ).“ აღიშაკის აზრით, ზაბელის მიერ დაარსებულ საავადმყოფო არსებობდა კილიკიის სამეფოს დამხობამდე (1375 წელში).

სომხეთის მკურნალობის ისტორიასთან არაპირდაპირ დამოკიდებულებაში მყოფ მომენტებს შორის უნდა

აღინიშნოს ჰოსპიტალიერია 1100 წელს დაარსებულის და სომხეთში 1149 წელს დაწესებული ორდენის შესახებ.

ქრისტიანობის მტრებთან ბრძოლას გარდა ისინი მშვიდობიან დროს აარსებდენ საზოგადო მზრუნველობასა და საქველმოქმედო ხასიათის დაწესებულებებს. ყველაზე მეტად განვიჯარდა ეს ორდენი ლეონ მე-II დროს (მე-XII საუკუნის ბოლო და მე-XIII დასაწყისში), როდესაც ეს ინსტიტუტი გადაკეთებულ იქნა “ჰოსპიტალურ კავალერეიად” იმავე საფუძვლებზე, როგორც წინად.

სირიელ ექიმთა ყოფნას სომხეთში მეტად დიდი გავლენა ჰქონდა სომხურ მედიცინაზე. ვილფრუას მტკიცება, რომ სომხებს საშუალო საუკუნეებში აზიაში ჰქონდათ მეტად სახელგანთქმული აკადემია, ადასტურებს, რომ სომეხთა ცხოვრების ყველა ცნობილ ისტორიულ პერიოდებს შორის კილიკიის სამეფოს ეპოქა სომხური მედიცინის ყველაზე უძვირფასესი ძეგლების და მახსოვრობის ეპოქად უნდა ჩაითვალოს. მე-XIV საუკუნის ისტორიკოსს სტ. ორბელიანს მოჰყავს ერთი საყურადღებო ცნობა სომხეთის მინერალური წყლების გამოყენების შესახებ, სამკურნალო მიზნებით ახლანდელი დარალაგეზის რაიონში.

მეთუთხმეტი საუკუნე.

სომხეთის განადგურებამ ჯერ მონღოლების მიერ და შემდეგ მათზე რიგ რიგობით ოსმალების და სპარსელების გაბატონებამ საბოლოოდ მოსპო ქვეყნის კულტურული ცხოვრება. ლიტერატურა დაეცა და მხოლოდ სამკურნალო თხზულებები იწერებოდა კიდევ უფრო გაძლიერებული ტემპით. ამ დროს ეკუთვნის სომხეთში სახელგანთქმული ექიმის ამირტოვლადის მიერ კაპიტალურ ნაწარმოებთა დაწერა. 1438 წელს ეკუთვნის ერთი თხზულება, რომელსაც არ აქვს სათაური და რომლის ავტორ-

რის ვინაობა არ არის აღნიშნული. წიგნში აღნიშნულია, რომ წიგნი ესე დაწერა ვილაც ექიმ იოანეს წინადადებით. ამ წიგნის საფუძვლად მიღებული იყო 1294 წლის სამკურნალო წიგნი. განხილული წიგნი წარმოადგენს სხვა და სხვა ცნობილ ნაწარმოებთა უბრალო კომპილაციას.

მე-XV საუკუნას მეორე ნახევარში სომხეთში მოღვაწეობს ცნობილი ექიმი ამირტოვლადი, ეგვის შვილი, რომელმაც სომხურ სამკურნალო ლიტერატურაში დაიკავა საპატიო ადგილი მხითარ გერელის გვერდით. ამ ექიმმა დასწერა 3 კაპიტალური სიმედიცინო თხზულება, რომელმაც უნაკლოდ მოაღწია ჩვენამდე ბევრი სხვა და სხვა ხელთნაწერის სახით.

ამირტოვლადი დაიბადა ქ. ამასიაში დაახლოებით 1410—1420 წელს. ზოგიერთ ბიოგრაფიულ ცნობებს იძლევა ამირტოვლადი თავის თავზე თავისი თხზულების— „მედიცინის სარგებლობას“—წინასიტყვაობაში.

„მე ჩემი ხელით დავსწერე ბევრი შრომა, ამბობს ამირტოვლადი, გადვიტანე ბევრი უსიამოვნება და ფათერაკი ურწმუნოთა და უცხოელთაგან, მოსამართლეთა, მეფეთა და თავადთაგან. მე შევკრიბე ბევრი წიგნი არაბული, სპარსული, ოსმალური; დიდხანს ვცხოვრობდი უცხოეთში და ამ ხნის განმავლობაში ვიხილე ბევრი სიმოროტე, სიკეთე, ცაუნება. გადვიტანე სიმდიდრე და სიღარიბე. „ვმოგზაურობდი ქვეყნებში და ვეწვოდი საექიმო ხელობას“. გარდაიცვალა ის ბრუსაში 1496 წელს, მისი 3 კაპიტალური სამედიცინო თხზულება იყო: 1) „მედიცინის სარგებლობა მნიშვნელოვანი კრებული, სადაც შევიდა მაშინდელი „პათოლოგიის ყველა დარგი; 2) „არა საჭირო უვიცთა წამლების ენციკლოპედიური ლექსიკონის მზავისი თხზულება 3) წამალთმცოდნეობა (ახრახადინი)—სწავლა წამალთა თვისებებზე და მოქმედებაზე.

ტრადიციების თანახმად ამირტოვლადი სწერდა თავის თხზულებებს სალაპარაკო და არა კლასიკურ სომხურ ენაზე, იმ მიზნით, რომ უფრო გაეგო მკითხველს.

„მედიცინისაგან სარგებლობა“ — წარმოადგენს უზარმაზარ კომპილაციურ ნაწარმოებს, რომელიც ემყარება არაბ და ბერძენ ექიმების შრომების მთელ რიგს. წიგნი „არა საჭირო უმეცართათვის“ — წარმოადგენს წამლების ენციკლოპედიურ სიტყვარს. (იხ. სურ. 68)

1481 წელს კონსტანტინოპოლში ამირტოვლადი სწერს თავის მე-3-ე თხზულებას — ახრაბადინს. მცირე წინასიტყვაობაში ამირტოვლადი ამბობს, რომ მან სთარგმნა ეს ახრაბადიდი ექ. მუშ-ბენ მაიშუნის მიერ შედგენილი არაბული ორიგინალიდან. მაგრამ ეს ორიგინალი იყო ფრიად არა სრული; წამლების ბუნება და მოქმედება არ იყო აწერილი დაწვრილებით; უბრალო წამლების შესახებ არაფერი არ იყო ნათქვამი სრულებით; ამის გამო ამირტოვლადმა გადააკეთა ახრაბადინი, შეავსო ხსენებული ნაკლი და დაურთო სიტყვარი 5 ენაზე, რათა შესაძლებელი ყოფილიყო წიგნის ყველგან გამოყენება.

ამირტოვლადის მიერ დაწერილ იქნა კიდევ ერთი მოკლე თხზულება შემდეგი სათაურით: „იმის შესახებ, თუ როგორ წარმოიშვა ახრაბადინი, ბევრი დარიგება და წინასიტყვაობა ახრაბადინის“.

ყველა ამ თხზულებებში ყველაზე უფრო დაწვრილებით შედგენილია ის თავები, რომელნიც ეხებათ შინაგან პათოლოგიას.

ქირურგიულ სნეულებათა შორის აღწერილია ბევრ სხვა და სხვა ცნობილი ქირურგიული დაავადება, არსებითად ამ განყოფილებაში ამირტოვლადი მხოლოდ ტრამვატიულ ქირურგიას ეხება.

მე-XVI და XVII საუკუნოები.

ამირტოვლადის შემდეგ სომხურ სამედიცინო მწერლობაში ერთგვარი სიჩუმე ჩამოვარდება. მცირე მნიშვნელობის ნაწარმოებთა შორის, რომელნიც ეკუთვნიან მე-XVI საუკუნეს, მეტად თუ ნაკლებად მნიშვნელოვანია ის წიგნი, რომელიც გადაწერილ იქნა 1567 წელს გადაწერასტევაცატურის მიერ. ეს წიგნი დაწერილია პირველ ექიმთა გალენეს, ჰიპოკრატეს და რუფის რჩეულ ნაწერთა მიხედვით. წიგნი თარგმნილია არაბულიდან და შინაარსის მხრივ წარმოადგენს სხვა და სხვა სნეულებათა პათოლოგიას და თერაპიას.

ამ დროს ეკუთვნის შესანიშნავ არაბ ექიმის ავიციენას სამედიცინო შრომების სომხური თარგმანი, რომელიც ეკუთვნის ვილაც მარკს, გარდარქმეული სახელით ფატალს და წარმოშობით სომეხს.

მე-XVII საუკუნეში სამედიცინო ლიტერატურა სომხეთში ხელახლა გაცხოველდა. გაჩნდა ბევრი საკმაოდ განათლებული ექიმი, ყველაზე უფრო გამოჩენილი მათ შორის ასარ სევასტიელი იყო.

ბიოგრაფიული ცნობები მის შესახებ თითქმის არ შენახულა. ცნობილია მხოლოდ ის, რომ 1695 წელს ის ცხოვრობდა ქ. ისპაჰანში, სადაც მის მიერ გადამუშავებულ იქნა „ანატომია“ აბუსაიდის. საფიქრებელია, რომ თავისი სიცოცხლის უმეტესი ნაწილი მან გაატარა სევასტიაში. ჩვენამდე მოაღწია მისმა წიგნმა — „წიგნი საექიმო ხელოვნების შესახებ“, რომელიც წარმოადგენს პრაქტიკულ სახელმძღვანელოს მკურნალობის დარგში. და შედგენილია სხვა და სხვა უცხო და სომხური წყაროებისა, უმთავრესად კი მხითარ გერელის და ამირტოვლადის მიხედვით. თერაპიის განყოფილებაში ბლომად მოთავსებუ-

ლია ავტორის პირადი დაკვირვებებიც. „წიგნი ექიმობის ხელოვნების შესახებ“ დაწერილია 1614 წელს და შეიცავს ტექსტს 300 გვერდამდე და სამედიცინო სიტყვარს 5 ენაზე. მასალის დალაგების მხრივ ასარი ცდილობდა წაება ამირტოვლადისთვის. მის წიგნში ზოგადად აწერილია ანატომია და პიგიენა და საკმაო დაწვრილებით—პათოლოგია და თერაპია.

ავადმყოფობათა წარმოშობის მიზეზის შესახებ ასარი ჯერ ლაპარაკობს იმ ზოგად ფაქტებზე, რომელნიც მოქმედობენ დაავადებაზე, შემდეგ აღწერს დაავადების კერძო მიზეზებს, რომელთა რიცხვი ავტორს აჰყავს 38-მდე. ამასთანავე მთელი ტექსტი შევსებულია მაგალითებითა და ლიტერატურული წყაროების აღნიშვნით.

ამავე ხანებს ეკუთვნის იმავე სევასტიის მცხოვრების ექიმ პუნიადის მოღვაწეობა. თავის წიგნის წინასიტყვაობაში ის მოგვითხრობს ზოგიერთ ცნობებს თავის შესახებ: „მე მიყვარდა საექიმო ხელოვნება. რის გამო შევკრიბე მრავალი წიგნი, უცხოეთის, ებრაული და სომხური და ბევრი ვიმუშავე ზედ, მაგრამ მოვიდენ რუსები, დასწვეს და დაანგრიეს სამსუნი და ჩემი წიგნები დაიღუპა ცეცხლში, რითაც ვარ უნუგეშო. შემდეგ მე კვლავ ვიწყე წიგნთა ძებნა, ვიპოვე ნაწარმოებნი სომხურ და არაბულ ენაზე, ვიმუშავე ზედ და ვთარგმნე ერთი პატარა წიგნი არაბულიდან სომხურ ენაზე“. მის მიერ დაწერილია „სამკურნალო კრებული“ და „მედიცინის სარგებლობა“.

ასარისა და პუნიადზე ცოტა უფრო გვიან ცხოვრობდა სომხეთში კიდევ ერთი ექიმი, რომლის ვინაობა და შრომა ცნობილ იქნა სულ ახლა. ეს იყო ვინმე გალუსტი ქალ. ამასიიდან. მის ნაწარმოებს ეწოდება „სამკურნალო წიგნი“ და არავითად სპეციალურ სათაურს არ შეიცავს.

სამკურნალო პრაქტიკა დაიწყო მან 1678—79 წ. და ამ დროიდან მოგზაურობდა სხვა და სხვა ქალაქებში, ცხოვრობდა სივასში, სამსუნში, კონსტანტინოპოლში, ალექოში, ვანში და სხვ. და ყველგან—მისი სიტყვით— ბრწყინვალე წარმატებას მიაღწია.

გალუსტის შრომამ მოაღწია ჩვენამდე 2 რედაქციით (დაწერილებითითა და შემოკლებითით). შინაარსი შეიცავს შემდეგს: თავში შესავალის სახით მოყვანილია ზოგიერთი ზოგადი განმარტებითი სამედიცინო ცნობები, შემდეგ მიდის: ანატომია, პათოლოგია და ჰიგიენა, რთული წამლების დამზადების წესები, სამედიცინო სიტყვარი, სხვა და სხვა სამედიცინო ცნობები ფიზიოლოგიის ზოგიერთ საკითხებში, ახრახადინი. დასასრულ მოყვანილია სნეულებათა სახელწოდებანი და ავტორის პირადი მოგონებანი. ახრახადინში, წამლების დამზადების სახეების და საშუალებათა აღწერის დროს ხშირად არის ნახსენები იმ წამლების შენაერთები, რომელნიც მოგონებულ იქნენ თვით გალუსტის მიერ.

საერთოდ გალუსტი მიჰყვებოდა ძველ, სომხურ სამედიცინო ნაწარმოებთა წერის ხასიათს და ან სარგებლობდა. მათი ტექსტებით ან სეხსულობდა მათ მიმართ უღებას.

მე-XVII საუკუნეს ეკუთვნის კიდევ ერთი წიგნი, რომელიც დაბეჭდილ იქნა მარსელის სომხურ სტამბაში 1675 წელში სათაურით: „როგორ მოვეუაროთ ქალის სხეულს“. არ არის ცნობილი, ეს წიგნი ორიგინალურია, თუ თარგმნილი.

განხილული ეპოქის თარგმნილი ლიტერატურაში განირჩევა სირიელი მეცნიერის იშჩაეზონის შრომა: „წიგნი ბუნებისა, ზოგადი და კერძო, შედგენილი მღვდელ იშჩაეზონის მიერ“ წიგნის შინაარსი შეიცავს ფიზიოლოგიას.

მე-XVII საუკუნის სომეხ ექიმთა შორის იყო აგრეთვე ვილაც აზრუმანი, რომლის სახელი შენახულა ამირტოვლადის ერთ-ერთ ხელნაწერში.

ძვირფას ქვებს იმ თავითვე მიაწერდენ სხვადასხვა საიდუმლო და ხშირად ფანტასტიურ თვისებებს. მათვე მიაწერდენ სამკურნალო მოქმედებას, რომელიც უფრო მიაჩნდათ ძვირფასი ქვის ჯადოსნური მოქმედების შედეგად და არა ფარმაკოლოგიურ მოქმედებად. ძვირფას ქვებს ჩვეულებრივ უთანასწორობდენ ჯადოს ან თილისმას. ხსენებულ თვისებებს მიაწერდენ მათ ძველი მეცნიერების ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე ქრ. დაბ-მდე.

ძვირფასი ქვების და მათი თვისებების სერიოზული შესწავლა დაიწყო არაბებმა.

პროფ. პატკანოვი ჩამოთვლის ქვებს და მათ თვისებებს. აქვე უნდა აღენიშნოთ, რომ ბევრ ქვას, რომელიც მაშინ ძვირფასად მიაჩნდათ, ახლა ან მცირე ფასი აქვს ან არავითარი. ამგვარი წარმოდგენა ძვირფას ქვებზე და ლითონებზე იყო, რასაკვირველია, იმ დროის ცრუ მორწმუნეობის ნაყოფი.

სომხურ ენაზე დაცულია შრომა ქიმიის შესახებ, რომელშიაც ლითონის თვისებები გულმოდგინედა შესწავლილი უფრო ალქიმიური მიზნით. იმავე დროს ახრახანებში ლითონს საპატიო ადგილი უჭირავს. თვისი სამკურნალო თვისებების გამო (მაგალ., სინდიყის პრეპარატები).

არაბთა გავლენის დასასრული.

მე-XVIII საუკუნის განმავლობაში არაბთა გავლენა მედიცინაში ადგილს უთმობს ევროპულ გავლენას. მაგიერად, აღნიშნული პერიოდის ექიმები განირჩეოდნენ გაცილებით ნაკლები ორიგინალობით და ნიჭით. მეXVIII სა-

უკუნის იმ სამედიცინო ნაწარმოებთა შორის, რომელნიც ღირსია ყურადღების, უნდა აღინიშნოს შემდეგნი:

1754 წელს დაწერილია თუ თარგმნილია წიგნი, რომლის ნახატ ყდაზე არის შემდეგი წარწერა: „სასარგებლო დარიგებანი დიდი გალინოსი, რომელსაც არაბულ ენაზე უწოდებენ ექიმ ლოხმანს და რომელიც არის თვით ბრძენი გალენი“. ეს წიგნი წარმოადგენს მოკლე ჰიგიენას, მაგრამ ის გალენის უბრალო თარგმანი კი არ არის, არამედ შედგენილია არაბულ წყაროების მიხედვით. ეს ნაწარმოები დაწერილია კარგი სალაპარაკო ენით. პირველ 15 გვერდზე მოთავსებულია ჰიგიენის შესავალი უმთავრესად გალენის მიხედვით. ამის შემდეგ მიდის ჰიგიენის თვით შინაარსი—26 გვერდზე. ჰიგიენა დაყოფილია 11 თავად, თითოეული თავი იწყება მოკლე ლექსით, რომელიც შეიცავს დარიგებებს აფორიზმების სახით. იქ ჩამოწერილია წესები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაიცვა ჯანმრთელობა, ტვინის ჰიგიენა, ძილის შესახებ დღის განმავლობაში, მუცლის გაბერვის თავიდან აცილება, კვების ჰიგიენა და სხვა. საერთოდ, შინაარსი სავსებით ეგუება საშუალო საუკუნის. ცოდნათა დონეს და გადმოცემულია გალენის პრინციპების დაცვით.

მე-XVIII საუკუნის ლიტერატურის რიცხვთა შორის ყურადღების ღირსია კიდევ დიაკვან—პავლეს (პოლოსის) მიერ დაწერილი ვეებერთელა ტომი. ამ წიგნის ბოლოსიტყვაობაში ნათქვამია, რომ ეს წიგნი დაწერილია არაბულისა და სომხური რჩეული ორიგინალების მიხედვით ექიმ პავლეს მიერ, რომელმაც დიდი შრომა და ჯანმრთელობა შესწირა ამ საქმეს, და რომ ის საკუთარი ხელით თარგმნიდა და ადგენდა ამ შრომას 1748 წელს ქ. თოსხათში. წიგნი წარმოადგენს პათოლოგიას და თერაპიასნეულებათა ყველა სახეების აღწერას. წიგნს დართული

აქვს დიდი ახრაბადინი—წამალთმცოდნეობა. საერთოდ შრომა წარმოადგენს არაბულისა და სომხური მედიცინის ლიტერატურული მასალის მეტად კეთილსინდისიერ კომპილიციას თერაპიისკენ ძლიერი გადახრით.

1757 წელს ექიმ მანუკ პონტოლის მიერ დაწერილ იქნა თხზულება „ანატომიის“ სახელწოდებით, რომელიც წარმოადგენს განხილული ეპოქის საუკეთესო ნაწარმოებს. „ანატომია“—არის სუფთად დაწერილი წიგნი ლამაზი სალაპარაკო ენით და შეიცავს 113 გვერდს. პირველ გვერდზე აღბეჭდილია შემდეგი თარიღი: „დაწერილია მანუკ პონტოლის ხელით, რომელიც იყო ექიმ სააკას შვილი, სომხურ წელთაღრიცხვის 1206 წელს (1757 წ.) ქალაქ კაფაში. ამ წიგნის შედგენის მასალად ავტორს გამოუყენებია ამირტოვლადის შრომა და აგრეთვე ბევრ ბერძნულ და არაბ ექიმთა თხზულებები. მანუკ პონტოლის დიდი განათლება ჩანს, როგორც წიგნის შინაარსიდან, აგრეთვე გადმოცემის საკვირველი სიმშვენისიერიდან. საერთოდ კი მანუკ პონტოლის თხზულება წარმოადგენს მედიცინის ზოგიერთ განყოფილებათა კომპილაციურ გადმოცემას, დანიშნულს ისეთი მკითხველისთვის, რომელიც წაკითხვის ან შესწავლის დროს არ ისახავდა ფართო მიზნებს.

თხზულებას, რომელიც დაწერბლია ვინმე ექიმ ხაჩატურის მიერ, არ ახასიათებს რამე განსაკუთრებული ღირსება და მისი ავტორიც იყო უფრო უბრალო მკითხველადრე ექიმი,—რომელიც სომხური წიგნების საშუალებით გაეცნო მედიცინას. დიბადა სოფ. შურუტში ქ. ნახიჩევანის მახლობლად. ბევრი ხეტიალის შემდეგ ხელი მოჰკიდა მედიცინას და იმდენად სერიოზულად დაიწყო საექიმო მეცადინეობა, რომ დასწერა თითქმის წიგნიც ძველი სომხური სამედიცინო თხზულებათა ყაიდაზე-

თუმცა მცირე მნიშვნელოვანია ეს წიგნი, მაგრამ, ის იმას მოწმობს, რომ თითქმის ნაკლებად განათლებული ექიმები ან მკითხავეები ბეჯითად სწავლობდნენ იმ დროს სომხურ-სამედიცინო თხზულებებს და ცდილობდნენ თავის პრაქტიკულ მოღვაწეობაში სახელმძღვანელოდ ჰქონოდათ ის მეცნიერული ცნობები, რომელთაც ხსენებული თხზულებები შეიცავდნენ.

მე-XVIII საუკუნესვე ეკუთვნის სამედიცინო ნაწარმოები—ახრაბადინი, რომელიც დაწერილია ექიმ ალექსიანის მიერ. წიგნში ძალიან ბევრია ცრუმორწმუნეობრივი, მისტიური, დარიგებანი შელოცვით და სხვა, რაც სხვა ნაკლთან ერთად წიგნს აძლევს უფრო მკითხავის, ვიდრე სამედიცინო ნაწარმოების ხასიათს.

სხვა ნაწარმოებთ შორის, რომელთაც არა-პირდაპირი კავშირი აქვს მედიცინასთან, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ერთი მეცნიერი „ბერის-ხაჩატურის—შრომა შემდეგი სათაურით: „ყველა მეცნიერებათა შინაარსი“, სადაც შესულია მედიცინაც. შრომა დაიბეჭდა ვენეციაში 1711 წელს, ესე იგი იმ დროს როდესაც სარწმუნოებრივი საკითხი გაბატონებული იყო სომეხთა ცხოვრების ყველა დარგში. შრომის დაწერის მიზანი იყო სახორციელო ინტერესების გამოწვევა სომეხთა შორის და ამით მათ შორის საერთო განათლების დონის აწევა.

მედიცინის შესახებ წიგნში ნათქვამია ექიმის დამისთვის საჭირო ცოდნის შესახებ, ქარებზე—დაავადებასთან დაკავშირებით, საკვებ-სასმელზე, ჯანმრთელობის დაცვაზე და სხვ. ხაჩატურის თხზულებები იყო მეცნიერულ-პოპულიარული, რითაც ის ცდილობდა დაეკმაყოფილებია თავისი ინტელიგენტი—თანამემამულეების ცნობის მოყვარეობა.

მე-XVIII საუკუნის შუა წლებში კონსტანტინოპოლის სომეხთა პატრიარქმა ნალიანძა, რომელიც ცნობილი იყო თავისი სხვა და სხვა ხასიათის შრომებით, სხვათა შორის დასწერა ერთი ნაწარმოები—„წიგნი, რომელსაც ეწოდება ცნობათა საუნჯე“. ამ წიგნში რამდენიმე სამედიცინო წერილია. მეორე წერილში—„ომის შესახებ, თუ როგორ მკურნალობდნენ ექიმები ძველად“, ავტორი გვიხატავს ექიმთა მდგომარეობას, მათ პროფესიულ მოვალეობას და ჰკიცხავს თანამედროვევე ექიმებს ანგარებისათვის.

საკვებ ნივთიერებათა შესახებ იწერებოდა მრავალი შრომა. ჩვენამდე მოაღწია ლექსიკონმა ყოველგვარად სახის საკვებ ნივთიერებათა შესახებ—ცხოველის, მცენარეულის. ლექსიკონის ავტორი და დაწერის თარიღი ცნობილი არ არის. ჩამოთვლილს გარდა, თარგმნილია წმინდა სამედიცინო ნაწარმოებებიც. მაგ., ცნობილია, რომ სომეხ მწერალმა გიორგი პალატელმა სთარგმნა ბერძნულიდან 1783 წელს სიმონ მაგისტრის წიგნი შემდეგი სათაურით: „საკვებ ნივთიერებათა სარგებლობის შესახებ“. სიმონ მაგისტრის წიგნის შესახებ ცნობილია, რომ ეს არის სერიოზული კომპილაცია ჰიგიენისა და დიეტის შესახებ, შედგენილი ბერძნულისა და ნაწილობრივ არაბული ორიგინალების მიხედვით.

დასასრულ თარგმნილ ნაწარმოებთა სახით გვაქვს ნაკლებ მნიშვნელოვანი შრომის მთელი რიგი: „ალბერტის საიდუმლოება“—სადაც აწერილია ქალთა სქესობრივი ცხოვრება, ქიმიკა (უფრო ალქიმიკა), სადაც, პირველ ნაწილში, აწერილია ოქროს და ვერცხლის დამზადების საშუალება, და სხვ. და, მეორე ნაწილში, ლაპარაკია რთული ქიმიური შენაერთებზე, ზეფირზე და სხვ. ე. ფ. ფორდენის წიგნის შემოკლებული თარგმანია „ფიზიოლოგია და ხირომანტიკა“.

პირველი ნაწილი შეიცავს მეცნიერულ ცნობებს ადამიანის ფიზიოლოგიის შესახებ; თარგმნა შესრულებულია კონსტანტინეპოლელი ბერის იოანეს მიერ. ქიმია (უფრო ალქიმია)—უცნობი ავტორის; მასში, სხვათა შორის აწერილია სიცოცხლის ელექსირის დამზადება. ასეთი თარგმანების არსებობა ადასტურებს იმ დიდ ინტერესს, რომელსაც იჩენდა განხილული ეპოქის სომხობა—მედიცინის შიშართ.

სომხურ სამედიცინო ნაწარმოებთა ფორმა იყო ერთნაირი: თავში იწერებოდა ანატომია ფიზიოლოგიით, შემდეგ ჰიგიენა, სიმპტომოპათოლოგიის მცირე მიმოხილვა, ზოგიერთი ზოგადი—პათოლოგიური ცნობები, რის შემდეგ დაწვრილებით აწერილი იყო პათოლოგია და თერაპია და დასასრულ—წამალთმცოდნეობა.

მე-XVIII საუკუნე

მე-XVIII საუკუნის იმ სომეხ ექიმთა სახელები რომელნიც ლეზულობდენ მონაწილეობას წინადაცნობილ ხელნაწერთა გადაწერა-გადაკეთებაში, ცნობილია შემდეგი: ექიმი სივრას ანელი, რომლის რედაქტორობით გამოდიოდა ამირტოვლადის „მედიცინის სარგებლობა“, რომლის შინაარსი მას არ შეუცვლია, მხოლოდ ზოგან ჩაამატა საკუთარი მასალა.

ცხოვრობდა სივრასი (1640—1700 წ. წ.)	სწერდენ სამეცნიერო შრომებს, რომელთაც არ მოუღწევიათ ჩვენამდე.
ექიმი ლაზარე ტერ გრიგორიანი (1743)	
„ კიურეგ სევასტიანი კონსტანტ. (1743)	
„ ეგიაზარ, სევასტიანი (1744)	
„ იოსები, შვილი მიკირტუმისა	
„ ესემია	
„ არუტიუნი—შვილი უკანასკნელის.	
„ გერაპსტი, შვილი უკანასკნელის, იყო კარგად ცნობილი ექიმი ერევანში.	

„ არუტიუნი—ექიმბაშად წოდებული.

„ გრიგოლი.

„ კარაპეტი.

არის კიდევ ცნობები ექიმ პრაქტიკოსების შესახებ.

ექიმი მნაცაკანი—დასწერა კრებული, რომელიც შეიცავს გრ. ნიუსიელის „ანატომიას“. მნაცაკანი იყო ამ წიგნის მხოლოდ გადამწერი. გადაწერას მან მოანდომა 3 წელიწადი (1793—1796). ამ წიგნში მოყვანილია 4 მასწავლებლის სახელები, სახელდობრ:

ექ. ამბარცუმი, შვილი პეკმეზჩის,

„ სტეფანე საჩლია,

„ ეგნატე მიაზენა,

„ სააკი.

ამ 4 ექიმის შესახებ არაფერი ცნობა დარჩენილა იმის გარდა, რომ მათ, როდესაც მნაცაკანი თავის წიგნს წერდა, მას ბევრი ასწავლეს და იყვნენ ექიმი—მგოსნებ ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით.

დაცულია კიდევ ექიმ ვოსკანის სახელი, ქალაქ ახანიდან, რომელიც გარდაიცვალა კონსტანტინოპოლში 1766 წელს.

ყველა ზემოხსენებული ექიმები აღზრდილი იყვნენ არაბულ ტრადიციებზე. იხინი ლებულობდენ თავის ცოდნას სომხური სამედიცინო წიგნებიდან, სწავლობდენ ემპირიულად და მათ მასწავლებლებად ჰყავდათ უფრო გამოცდილი ექიმები, უფრო ხშირად თავისი მამები, რომელთაგანაც ეს პროფესია გადადიოდა მემკვიდრეობით.

სომეხი-მედიკოსები—მედიკოსული უნივერსიტეტის განათლებით.

მე-XVIII საუკუნის ევროპული მედიცინის სომეხ წარმომადგენელთა შორის უძველესია ექიმი პეტრე კალანტარიანი. დაიბადა 1735 წელს ქ. ჯულფაში, შემდეგ გა-

დადის მოსკოვში, სადაც დიდხანს ეწევა პრაქტიკას. 1793 წელს გამოუშვა თავისი მცირე სამკურნალო წიგნი ძველ-სომხურ ენაზე. წიგნი შეიცავს ორ ნაწილს: პირველი 84 გვერდი —თვით სამკურნალო, მეორე ნაწილი შეიცავს იმ სამედიცინო ტერმინების ლექსიკონს, რომელნიც მოყვანილია სამკურნალო წიგნში.

დიდად ცნობილი იყვნენ აგრეთვე მამა და შვილი გერმეტიანები. უფროსი მათ შორის იაკობი (ანუ აკოფჯანი) დაიბადა ჯულთაში 1706 წ. დაამთავრა პადუის უნივერსიტეტი. მე-40 წლებში ის მსახურობს ნადირ შაჰის კარზე ექიმად, შემდეგ გადადის ქ. ბასრაში, სადაც ეწევა პრაქტიკას. 1765 წ. ის მიდის ვენეციაში თავის შვილთან პეტრესთან ერთად, სადაც დიდხანს დარჩა. უკანასკნელი წლები გაატარა ქ. ტრიესტში და გარდაიცვალა იქ 1786 წელში.

იაკობის შვილი—პეტრე გერმეტიანი დაიბადა 1747 წელს. სწავლობდა ვენეციური კონგრეგაციის მხითარისტების სკოლაში, შემდეგ სწავლობდა მედიცინას ბოლონის უნივერსიტეტში, ბოლოს გადავიდა მამასთან ტრიესტში.

მე-XVIII საუკუნის განმავლობაში ქ. ჯულთამ კიდევ მოგვცა ექიმების მთელი რიგი: მალჰაზი, ცატური, მინას ორბელიანი, მინასი (არამ ხსენებული). გალსტანი, ხაჩიკის შვილი, ავგანელეზის მიერ მოკლული.

ექიმი იოაკიმ ოჯულუხიანი დაიბადა 1741 წ. დაბადების ადგილი უცნობია. დაამთავრა ვენის უნივერსიტეტი. დასწერა ორი „თხზულება ლათინურ ენაზე—პათოლოგია 2 ტომად. მეორე მისი შრომა—„მატერია მედიკა“—დაწერილია 1785 წ.; 20 წლის შემდეგ—1805 წ.—ოჯულუხიანმა სთარგმნა უკანასკნელი თავისი ნაწარმოები სომხურ ენაზე და მიჰმართა აბატ აგონცს იტალიურ ენა-

ზე თხოვნით შეესწორება ნათარგმნის ენა და გამოცემა. წიგნი გამოვიდა ვენეციაში და წარმოადგენს ფარმაკოლოგიას. წიგნი ბლომად შეიცავს ფარმაკოლოგიურ ცნო-



სურ. 70.

ექიმი იოაკიმე აგულუხიანი

ბებს და დაწერილია მოკლედ. ავტორი; ჩანს, სრულდებით არ იცნობს არაბული და სომხური მედიცინის ავტორებს. წიგნის ბოლოში მოყვანილია თავი შალაროს ავადმყოფო-

ბათა, შხამიან ცხოველთა და მანე ჰავას შესახებ. არის აგრეთვე აღფაჭკურთხა ცნობარი წამალთა და დაავადებათა სახელების შესახებ სომხურ და თურქულ ენებზე.

დიდად ცნობილი იყო თავის დროზე აღმოსავლეთში ექიმი რესტენი, რომლის ნამდვილი გვარი იყო პატ-



სურ. 71.

ექიმი მიხეილ რესტენი (პატკანიანი) 1754—1844.

კანიანი. უკანასკნელი დაიბადა კონსტანტინოპოლში 1754 წელს, რესტენის მამა გადასახლდა ვენეციაში და შეიღებ მძღლები განათლება მხითარისტების კონგრეგაციის სკო-

ლაში. აკადემიის დამთავრების შემდეგ მიხეილ რესტენი შედის ქ. პიზის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ (1798 წ.) ერთ ხანს ეწეოდა პრაქტიკას იტალიის ქალაქებში და გაითქვა სახელი. 1818 წელს მოწვეულ იქნა კარის ექიმად ევვიპტის ხელივთან. 1822 წელს გამოსცა თავისი შრომა „მედიცინა“-ს 2 ტომი, რომელიც დაიბეჭდა ვენეციაში. შემდეგ გადმოსახლდა კონსტანტინოპოლში, სადაც დაჰყო სიკვდილამდე. აქ მან დასწერა დიდი შრომები მედიცინის შესახებ სომხურ ენაზე, სადაც მან გადმოგვცა მთელი მისი 40 წლის ფართო საექიმო გამოცდილების შედეგი. გარდაიცვალა 1844 წელს. თვის „მედიცინა“-ში ავტორს დაწვრილებით ეხება ციების-ყველა ფორმებს; შეშდეგ მიდის შინაგანი პათოლოგიის სხვა განყოფილებები. რესტენის შრომებს ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ სომხებისათვის.

ექიმი პავლე ანტონიან შაშიანი დაიბადა კონსტანტინოპოლში 1749 წ. სწავლობდა რომის უნივერსიტეტში და 1768 წ. დაბრუნდა კონსტანტინოპოლშივე. სომხური მედიცინის ისტორიაში პავლე შაშიანი ცნობილია, როგორც თურქ სულთანების მთელი რიგის კარის ექიმი.

მეცნიერული შრომები მას, როგორც ჩანს, არ დაუტოვებია.

შვილი მისი მანუელი იყო სულთან მახმუდ მე-II-ის კარის ექიმი. საზოგადო ამ გვარმა გამოჰყო ოსმალეთში ბევრი ცნობილი ექიმი და ფარმაცევტი. ამ გვარის ყველა ექიმებს შორის, მათი მამამთავარი—პავლე ანტონიანი ცნობილი იყო, როგორც ექიმი პრაქტიკოსი და როგორც მეცნიერი. „კონსტანტინოპოლის წმ. მაცხოვრის საავადმყოფოს ისტორიაში“ მოხსენებულია მისი სახელი. ღუნდა ვიფიქროთ, რომ საავადმყოფოს მისი უშუამდგომლობით ბევრი სხვა და სხვა უპირატესობა ჰქონდა მინიჭებული.

კონსტან-ში მე-XVIII საუკუნის შუა წლებიდან არსებობდა 2 საავადმყოფო, ერთი ინახებოდა სომეხ-კათო-



სურ. 72. ექიმი პავლე შაშიანი 1749—1815.

ლიკეთა და მე-2-ე სომეხ-გრიგორიანების ხარჯზე. ქალაქ სმირნაშია ც იყო დაარსებული საავადმყოფო 1801 წელს,

მაგრამ ამასზე უფრო ადრეც იყო იქ ცალკე სახლები, სადაც სწამლობდნენ შავი ჭირით შეპყრობილ სომხებს.

რამდენად კარგად იყო დაყენებული საექიმო საქმე სხვა ქვეყნებში, იმდენად ცუდად იყო სომხეთში. იქ მკითხაობა ისეთი ძლიერი იყო, რომ თითქმის ოფიციალური ხელისუფლებაც კი მიჰმართავდა მას. ეს მკურნალები სარგებლობდნენ უმთავრესად არაბული წყაროებით და გადმოცემებით. მათ გარდა მკურნალობას ეწეოდნენ აგრეთვე დალაქებიც. მედიცინის ასეთ მდგომარეობას გაველენა ჰქონდა მოსახლეობას მიერ ჰაგიენურ ცოდნაზე, რომელიც ძალიან დაბალ დონეზე იდგა.

სომხური მედიცინის ნაწარმოებთა მნა.

თუ არ ვიანგარიშებთ ზოგიერთ თარგმნილ სამედიცინო ნაწარმოებთ, რომელნიც დაწერილია კლასიკურ ენაზე. ნაწარმოებთა უმრავლესობამ მოგვეცა ლამაზი და მოხდენილი სალაპარაკო სომხური ენის შესანსწავლი ნიმუშები, რაც დიდ პლიუსად უნდა ჩაითვალოს მაღალსა და მძიმე და ხანდისხან სრულიად გაუგებარ ძველ სომხურ ენაზე დაწერილ ნაწარმოებთან შედარებით.

ამას გარდა სომეხ ექიმთა დამსახურებად უნდა ჩათვალოს მათ მიერ შემოღებული საკმაოდ კარგი სამედიცინო ტერმინოლოგია სომხური ენის ბუნების მიხედვით. ახლაც, საშუალო საუკუნეების ექიმთა მიერ შემოღებული უფრო ხმარებული სამედიცინო ტერმინები შესულაა იმ მეცნიერებაში, რომელსაც ვაღიან უნივერსიტეტში.

მართალია მედიცინა სომხეთში არ აღმადგენულა შემომქმედ სიმაღლემდე, არ მოუცია არც გამოჩენილი რეტორმატორები და არ დიდი ნიჭის მქონე და ეპოქის შემქმნელი მწერლები, მაგრამ მაინც ზოგიერთ სომეხ ექიმ-

თა, როგორც მაგ., ამირტოვლადის, სამედიცინო ნაწარ-
მოებთა მნიშვნელობას თამამად შეუძლია შეეჯიბროს
არაბ ექიმ-მწერლების ნაწარმოებებს, რომელნიც კარგად
ცნობილი არიან, როგორც ნიჭიერი ლიტერატურული
კომპილატორები. ამისდა მიუხედავად ის მცირე მნიშვნე-
ლობა, რომელიც ჰქონდა სომეხ ექიმ-მწერლებს მედიცი-
ნის საერთო ისტორიაში, საფსებით იჩრდილება ამ დიდი-
პრაქტიკული სარგებლობით, რომელიც მოუტანეს მათ
თავისი თხზულებებით—თავის ქეყანას და ავადმყოფებს.

იმ ახალ აზრთა შორის, რომელნიც გამოთქმულ იქ-
ნენ მაშინდელი სომეხ ექიმების მიერ, აღსანიშნავია ისე-
თი მეცნიერული ტენდენციები, როგორიც არის პსიქიური
სფეროს დაავადების მემკვიდრეობითი გადაცემა (ვარდენ-
დიდი), აგრეთვე ყვავილის აწერა და მისი მკურნალობა
აცრით, რაც შემდეგ გადატანილ იქნა ევროპაშიაც,
და სხვ.

თუ განვიხილავთ თანამედროვე სახალხო სამედიცი-
ნი ლიტერატურას კავკასიაში, შევამჩნევთ, რომ ეს არის
ჩვენამდე ზეპირ და წერილობით მოწეული არაბული მე-
დიცინის ნაშთი. მედიცინის ცოდნა გადადიოდა მამიდან
შვილზე. მედიცინის ასეთი მემკვიდრეობითი გადაცემით
შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ კავკასიის სახალხო მე-
დიცინაში დღემდე დაცულია მრავალი სამკურნალო წე-
სები, რომელთა წარმოშობა და გავრცელება კავკასიის
ხალხთა შორის უნდა მიეწეროს არაბული მედიცინის
აყვავების ხანას. აქ შეიძლება აღინიშნოს ზოგიერთი თე-
რაპევტიული საშუალებები, სინდიყი, საშუალებანი ქვის
წინააღმდეგ, საფალარათო, კუჭის შემკვრელი, დასაძინე-
ბელი (ოპი, ბელადონა) და სხვა, აგრეთვე კავკასიის ხალ-
ხური ქირურგია, სადაც უნდა აღინიშნოს ისეთი რთული
ოპერაციები, როგორც მაგ., ქვის ამოღება, რომელსაც

აწარმოებდნენ იმავე წესით, როგორც ამას მოითხოვს ახლანდელი მეცნიერული მედიცინა.

დასასრულ ავტორის აზრით მეცნიერების აყვავების და წინსვლის მიზნით საჭიროა, ფრთხილად და დამხატვრულად პატივისცემით მოვეპყროთ ყველა იმ ისტორიული მასალის შემკვიდრებას, რომელმაც მოაღწია ჩვენამდე და თავის დროზე შეასრულა იმ საფუძველის როლი, რომელზედაც აღმოცენდა ახლანდელი სამედიცინო მეცნიერება.

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვაობა	83
ემპირიზმი. პირველყოფილი მედიცინა	3
მედიცინა მესოპოტამიაში, ეგვიპტეში, საბერძნეთში	7
ჰიპოკრატეს შემდეგ	24
ალექსანდრიის სკოლა	26
რომის მედიცინა	30
გალენი	36
მედიცინა ბიზანტიაში	42
მედიცინა დასავლეთ რომის იმპერიაში	48
ანტიური მედიცინის გადამუშავება დასავლეთ ევროპაში (სალერ-ნოს, მონპელიეს სკოლები)	49
სქოლასტიკა. მედიცინა ჰუმანიზმისა და აღორძინების წანაში	59
მედიცინა მე-17 საუკუნეში	73
იატრო-ქიმიკოსების და იატრო-ფიზიკოსების სკოლა	79
მედიცინა მეთვრამეტე საუკუნეში	85
მესმერის სისტემა	94
შელინგის ნატურ ფილოსოფია	95
განწყობილი და ჰომეოპათია	97
ყვავილის აცრა	100
ქირურგია თვალის	102
მე-19 საუკუნე	105
მედიცინის საისტორიო-საბუნებისმეტყველებო საფუძვლების დამუშავება	110
მოძღვრება დაავადებაზე, როკიტანსკი, ვირხოვი	123
ბაქტერიოლოგია, პასტერი, კოხი	127
ქირურგია, ოფთალმოლოგია	131
საექიმო საქმე ახალ დროში	138
რუსული მედიცინა	144
სომხეთის მედიცინის ისტორია	196

მთავარი შეცდომები


გვერდი	სტრიქონი		დაბეჭდილია	უნდა იყოს
	ზევიდან	ქვევიდან		
3	0	1	ის	მას
5	0	3	რომელიმედაც	რომელიღაც
16	7		დემოკრატი	დემოკრიტი
17	5		კრიდოსელების	კნიდოსელების
"		6	დემოკრატი	დემოკრიტი
19	13		ორანიზმი	ორგანიზმი
"		9	თავისეფურად	თავისებურად
"		4	ჰიპკრატეს	ჰიპოკრატეს
24		10	ჰჰკრატეს	"
25		6	გაგებას ბევრს	გაგებას უდი-
			უდიდესი	დესი
26	12,13		მიაღწია მწერ-	მიაღწია იმ
			ვალს, და მხო-	მწერვალს, რო-
			ლოდ	მელიც მხოლოდ
"		1	თსახელმწიფო	სახელმწიფო
"		8	ნერვეულ	ნერვიულ
27		7	დახერხემლის	და ხერხემლის
"		4	თვალთაე	თვალთან
28	1		ორგანცები	ორგანოები
"	"		ძალა	ძალა—
"	3		ნევიულ	ნერვიულ

II.				
"		10	შამთით	შანთით
49		2	სსვისი	სხვისი
23	2		მეცეიერულ- ლიტერატურა- ტურულ	მეცნიერულ- ლიტერატურულ
52	6		ptofessionis	professionis
55	8		ორბანიზმის	ორგანიზმის
"		12	რომლმც	რომელმაც
58	4		ავადმყოფთან	ავადმყოფთან
"		4	contagioeus	coutagiosus
59	4		ამბობდა	ამბობდა
75	5		პრცეზე-მაგარ დი თხელ	პროცესზე-მაგაში და თხელ
"	6		დეკარატი	დეკარტი
77	1		ქურჭლები (coeva)	ქურჭლები
77	9		საიდუმლო- იბის	საიდუმლოების
"	15		სტრქტურა	სტრუქტურა
79		2	ფერემენტა- ციის	ფერემენტაციის
80	13		სიმწვაის	სიმწვავის
"		8	უნდა შვადა- როთ ორგა- ნიზმში	უნდა შევიტანოთ ორგანიზმში
81	1		იტალააში	იტალიაში
84	9		arifeium diatrid	artificium diatribe
"		5	observationis	observationis
85	8		vhsicus	physicus
"		10	სისტემაში	სისტემაშია

86	13		აყო	იყო
"	2	1	ნიწილთა	ნაწილთა
87	1		9 ს.	9 ტ.
"	5		იოჰან	იოჰან
88	7		მოძრაობაა	მოძრაობაა
"		5	ლენნეკის	ლენნეკის
89	2		Homknem	hominum
"		6	ბოურგავის	ბოურგავის
117		15	კრანტიოს- კობით	კრანიოსკობით
127	2		პათოლოგიას	პათოლოგიის
"	10		ჰენდეს	ჰენდეს
"	16		აღუღებით.	აღუღებით
"		11	ბაქტერიის- თერაპიას	ბაქტერიო- თერაპიას
129	4		ინფექციური	ინფექციური
137	2		ჰიპოკრატენ	ჰიპოკრატეს
"	5		De archite- ctura	De architectura
140		16	კონცენტუ- რები	დოცენტუები
141		13	პარაზის	პარიზის
144		1	სმქობლის	საქონელს
145	7		აროლდ	არიოლდ
148	3		ბილოოს	ბიდლოოს
149	6		სმმსახურში	სამსახურში
152	2		შერხობ	შესახებ
"		12	ფილომა ფიდ- სკი	ფილომაფიდსკი
154	1		ავადმყოფი	ავადმყოფი
"		15	მედიცის	მედიცინის
158		2	ცენტურების	ცენტრების

20.

159			„ ფიზიო- ლოგია. 1903	ფიზიოლოგია.“
165	10	3	საჩნევეის სახელმძღვანე- ლო	სეჩენევის სახელმძღვა- ნელო
167	2		оператив- ной	оператив- ной
174			ანალიზს	ანამნეზს
175		5	უხვენდა	უხვევდა
179	15	7	პათოლოგიას	პათოლოგიას
180	3		ქალაქიდან სო- ფელში	სოფელიდან ქალაქში
182			ღროს	ღროს
183	3	1	რეორგანიზა- ციულ	რეორგანიზა- ცია
185	6		დეკრტი	დეკრეტის
187	7		ლოისძიებანი	ლოისძიებანი
189	1		сравнитель- ной	сравнитель- ной
201			ნავთიერებათა	ნავთიერებათა
208		10	მე IV საუკუნეში	მე IX საუკუნეში
„		14	მეტურნობაში	მეტურნალობაში
		7	ისეთი ფასიანი	ისეთი ძვირ- ფასი
209			არაბულმ	არაბულმა
211	10		დინატიის	დინასტიის
218	6		მსცნიერი	მეცნიერი.
	1			



41/5

